

ალექსანდრე პოპერიშვილი

ევოქატი
სამანებთან



გამომცემლობა „ნიპრუსალი“
თბილისი 2011

ამჯერად მასობრივი აუდიტორიის სამსჯავროზე გამოტანილია პროფ. ალექსანდრე მღებრიშვილის მიერ უკანასკნელ წლებში ქვეყნის შიგნით გამოგავალ თუ უცხოურ პერიოდში გასული მანძილზე მასალის ერთი ნაწილი. ავტორის ინტერესთა სფერო ბარკვეულწილად ვრცელ კორიფონტს მოიცავს, კერძოდ, მზერა მიმართულია იმ ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილებისაკენ, რომელთა ჩარჩოებიც კულტურულ ტრადიციებს, ცნობილ ადამიანთა ლიტერატურულ უსკივნებს, კრიტიკასა და ბიბლიოგრაფიას მოიცავს. მოვლენები შეფასებულია მიუკერძოებელი, საღი მოქალაქეობრივი პროზიციებიდან. ამცენტირებულია ნაკლებად ცნობილი დეტალები. თითოეული უსკივი, თითოეული ნიუანსი ნაკერფია მსუბუში ღირიკისა და არბუმენტირებული, კომენტირებული მსჯელობის სინთეზი.

წარმოდგენილ მასალებში ნათლად იკვეთება ავტორის ლიტერატურული გემოვნება, ზნეობრივი, ზოგადადამიანური ღირებულებებისადმი მოკრკალება და კატივისცემა. ძირითადი სათქმელი კი მაინც ცხინვალის რეზიონის პრობლემატიკის ავტორისეულ აღქმასია საკიებული.

წიგნი განკუთვნილია ჰუმანიტარული პროფილის და საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის.



რედაქტორი: პროფ. გიორგი სოსიაშვილი

რეცენზენტები: პროფ. შოთა ქურდაძე

იოსებ ალიმბარაშვილი


© ა. მღებრიშვილი, 2011

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011

თბილისი, 0179, ი. ჯანაშიას გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-386-8

ალექსანდრე გვებრიშვილი



ბანათლება:

1981-1990 წ.წ. - ცხინვალის №4 საშ. სკოლა;

1990-1992 წ.წ. - კასპის №3 საშ. სკოლა;

1992-1997 წ.წ. - ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, სპეციალობა: ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის მასწავლებელი;

1997-1999წ.წ. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი;

სამეცნიერო ხარისხი, წოდება:

1999 წ. – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

2003 წ. – დოცენტი;

2005 წ. – სადოქტორო დისერტაციის აპრობაცია: ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრება (XX ს. ქართულ-ოსურ-ებრაული ურთიერთობები)

2005 წ. – დღემდე – სრული პროფესორი;

ღამატებითი კვალიფიკაცია და საორბანიზაციო საქმიანობა:

1996 წ. – ატესტაცია, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების, დახელოვნებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტი; კვალიფიკაცია – “რელიგიისა და კულტურის” მასწავლებელი;

1998 წ. – საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი;

2000 წ. – საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის ცხინვალის განყოფილების წევრი;

2003-2006 წ.წ. – ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრასთან არსებული სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარე;

2003-2006 წ.წ. – ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;

2003-2005 წ.წ. –ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი;

2007 წ. –ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის საბჭოს წევრი;

2007 წ. –ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი;

2007 წ. –გორის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის საბჭოს წევრი;

2008 წ. –გორის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ურუნალისტიკის მიმართულების საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი;

2008-2010 წ.–გორის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი;

ტრენინგები:

2006წ. –ასოციაცია“სკოლა-ოჯახი-საზოგადოება”–ტრენინგი “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი უზრუნველყოფა”;

2007 წ.–საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული სკოლის დირექტორთა ტრენინგი;

2008 წ.–საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი – ტრენინგი “ორგანიზაციის მართვის საფუძვლები და მენეჯერის უნარ-ჩვევები”;

2008 წ. – საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი – ტრენინგი “ორგანიზაციის ფინანსური მართვა”;

2008 წ. – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) – ტრენინგი “კრიზისული ფსიქოლოგიის პრაქტიკული გამოყენება”;

2008 წ. – განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) ქსელი “დეენილთა ინტეგრაცია განათლების გზით”, გორის ორგანიზაციის დეენილთა პრობლემების კვლევისა და ადვოკატირების საგანმანათლებლო ქსელის ტრენინგი – „სკოლაში სწავლა – სწავლების თანამედროვე მეთოდები“;

2009 წ. – ბულგარეთის გენდერული კვლევის ფონდის (BGRF) და ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის (AVNG) ტრენინგი – კოორდინირებული საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა ოჯახურ ძალადობაზე;

2009 წ. – შვეიცარიის ფედერალური ინსტიტუტის (ციურიხი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკური განათლების და განვითარების ცენტრის (CEED) საერთაშორისო სემინარი – სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია;

პროშენიული ბამოცდილება:

1995-1999 წ.წ. – კასპის რაიონის, სოფ. მეტეხის სკოლის ქართული ენის, ლიტერატურის, შემდეგ ისტორიის მასწავლებელი;

- 1997-1998 წ.წ. –გორის საერო სკოლა “ნერგებში” “რელიგიისა და კულტურის” მასწავლებელი;
- 1998 წ. –გაზ. ”ლიტერატურული ცხინვალის” უფრ.კორ.
- 1999 წ.-2007წ. –გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, პროფესორი;
- 2000წ.-2007წ. –ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, სრული პროფესორი;
- 2006წ.-2007წ. –გორის №5 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
- 2007 წ.-2010წ. გორის №5 საჯარო სკოლის დირექტორი;
- 2007წ.-2010წ. გორის უნივერსიტეტის სრული პროფესორი;
- 2010წ.-დღემდე –გორის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი;
- 2010 წ. –გორის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
- 2011-დღემდე გორის სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი;

მონოგრაფიები:

- 1) ივანე მაჩაბელი (ცხინვალის ქართული პერიოდიკის მიხედვით), გორი 1998;
- 2) ომამდელი პერიოდის ცხინვალის ქართული გაზეთი (1933- 1940), /ავტორეფერატი ფილ. მეცნ. კანდ. სამეცნიერო ხარ. მოსაპ. /, თბილისი 1999;
- 3) XX საუკუნის ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ისტორიისათვის,(ნაწ.1),თსუ,თბილისი 2003;

- 4) XX საუკუნის ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ისტორიისათვის, (ნაწ. II), თსუ, თბილისი 2004;
- 5) XX საუკუნის ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ისტორიისათვის, (ნაწ. III-IV), თსუ, თბილისი 2005;
- 6) რეგიონული პრესის ქმედითუნარიანობისა და ეფექტურობის პრობლემა ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტის პერიოდში, თბილისი 2007;
- 7) ჟურნალისტური ძიებანი, თბილისი 2008;
- 8) ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია, თბილისი 2011;

აღ. მღებრიშვილი არის სამ ათეულზე მეტი სამეცნიერო შრომის და ორ ასეულზე მეტი საგაზეთო პუბლიკაციის ავტორი.

ბარი პირველი


ტ რ ა ღ ი ც ი ე ბ ი



ცხინვალისა და მოსკოვისსაკენ ახალი ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეპარტა

ცნობილია, რომ ქართველი ერი მაღალი ზნეობრივი და ეროვნული კულტურით ხასიათდება. ლიტერატურისა და ხელოვნების მწვერვალებისაკენ ყოველდღიური სწრაფვა, აი ის ძირითადი ფაქტორი, რომლის წყალობითაც ქართველობამ ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა ცივილიზებულ სამყაროში.

ამჯერად, მკითხველს უნდა ვაუწყოთ ერთი მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ. ფაქტის, როდესაც მოსკოვის სცენებზე კიდევ ერთხელ იქუხებს “ქართული გენია, როკით განფენილი”. კიდევ ერთხელ მოხიბლული დარჩება აუდიტორია.



(ფოტოზე მარჯვნიდან მარცხნივ სკვპ ცკ პრეზიდენტის წევრობის კანდიდატი და საქართველოს ცკ პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე, სსრკ კულტურის მინისტრი ნ. მიხაილოვი)

ჩვენი ყურადღების ცენტრშია 1958 წელს გამართული ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში. ჯერ კიდევ თებერვლის ნომერში (გაზ. "საბჭოთა ოსეთი", 8/II) დაბეჭდილია ინტერვიუ საქართველოს კულტურის მინისტრთან დ. ჩხიკვიშიელთან. საუბარში მითითებულია, რომ ეს არის მეორე დეკადა, გაიხსნება იგი მარტის თვეში (პირველი დეკადა გაიმართა 1937 წელს), გამოიცემა კლასიკოსთა და თანამედროვე ქართველ მწერალთა წიგნები, შესრულდება კომპოზიტორების: ა. ბალანჩივაძის, შ. შშველიძის, ა. მაჭავარიანის, ო. თაქთაქიშიელის, რ. ლალიძის ნაწარმოებები. ფართოდ იქნება წარმოდგენილი სახვითი ხელოვნების ოსტატთა შემოქმედება. იმავე დღეებში გაიხსნება რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიის გამოფენა. დეკადაში მონაწილეობას მიიღებს 15 თეატრი და მუსიკალური კოლექტივი.

რუსთაველის სახ.თეატრს დასადგმელად დაგეგმილი აქვს—ლ. ქიანელის "ტარიელ გოლუა", გ. ქეღბაქიანის "ახალგაზრდა მასწავლებელი", სოფოკლეს "ოიდიპოს მეფე", ვ. ვიშნევსკის "ოპტიმისტური ტრაგედია".

მარჯანიშვილის თეატრს—რ. თაბუკაშვილის "რაიკომის მდივანი", ლ. გოთუას "გზა ჯვარედინზე", ვაჟას "მოკვეთილი", შექსპირის "რიჩარდ მესამე".

გრიბოედოვის თეატრს—ა.კაპლერის "ქარიშხლიანი წელი", ლესკოვის "მფლანგველი", ვ. დარასელის "კიკვიძე", ა. ყაზბეგის "ხევისბერი გოჩა".

ახალი პროგრამით წარსდგება ხალხური ცეკვის ანსამბლი და მრ. სხვ.

მომდევნო, მარტის თვიდან "საბჭოთა ოსეთი" სისტემატურად იწყებს ხსენებულ საკითხზე ჩვენთვის საინტერესო მასალების ბეჭდვას. "ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის გამო", "რით წარსდგება ქართული ხელოვნება და ლიტერატურა". ამ და სხვა სათაურებით დაბეჭდილ საგაზეთო მასალებში საუბარია სამზადისზე, რომელიც დეკადის მონაწილეთა შორის გაჩაღებულია. უფრო

კონკრეტულად კი საუბარია 14 მარტს ყოფ. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროში რადიოსა და პრესის წარმომადგენელთათვის გამართულ პრესკონფერენციაზე. ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქ. კ(ბ)ც.კ. მდივანმა ი. დოლიძემ, საქ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. კუჭავამ, კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. ჭიაურელმა და სხვებმა (“ს.ო.”, 1958, №55).

მეორე არანაკლებ საინტერესო მასალა იმავე პრობლემას ეხმაურება: “21 მარტს მოსკოვში იწყება ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა. იგი პირველ დეკადასთან შედარებით გრანდიოზული იქნება თავისი მრავალფეროვნებით. პირველ დეკადაზე მოსკოვმა ნახა ჩვენი რესპუბლიკის მხოლოდ სამი შემოქმედებითი კოლექტივი. ახლა კი ნახავს 15 მხატვრულ კოლექტივს” (“ს.ო.”, 1958, №57).

ერთობ სასიამოვნოა ჩვენთვის იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ: “ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში მონაწილეობას მიიღებენ: სამხრეთ ოსეთის ორდენოსანი კომპოზიტორი ბ. გალავეცი, ცეკვის ოსტატები: გ. თედევი, ლ. ძაგოვეა, პოეტი რევაზ ასაევი” (“ს.ო.”, 1958, №58).

მხატვარი ნ. კაბისოვი წერილში “ნიჭიერი ფერმწერი” წერს: “მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე ქართველ ნიჭიერ მხატვართა ნამუშევრებთან ერთად საგამოფენო დარბაზში წარდგენილია სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდა ფერმწერის ბორის სანაკოევის მშვენიერი ტილოები. საგულისხმოა, რომ ბ. სანაკოევი, როგორც ახალგაზრდა რეალისტი მხატვარი მრავალგზის მონაწილეა საოლქო, რესპუბლიკური და საკავშირო გამოფენებისა. მის მიერ შექმნილ ტილოებს “მომავალი” (კოსტა ხეთაგუროვი ბავშვებთან), “სიჭაბუკე”, “ჩაბიევის პორტრეტი”, “სტუდენტი ქალიშვილის პორტრეტი” და მრავალ ეტიუდს მაღალი შეფასება ხვდა.”

იქვე იბეჭდება საინტერესო წერილი “ოსური “ნარნარის” ოსტატები”. მასალის ავტორია სამხრეთ ოსეთის სიმ-

დერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ბალეტმეისტერი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ვ. ჯატიევი. მასში ნათქვამია: “ოსურმა ეროვნულმა ცეკვებმა კარგახანია სახელი მოიხეჭა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ვინ არ მოხიბლულა ისეთი შესანიშნავი ცეკვებით, როგორცაა ნართული ცეკვა “სიმღი”, რომლის სინარნარე მნახველებს უდიდეს სიამოვნებას გვრის. ბევრი, ძალიან ბევრი თბილი სიტყვა შეიძლება ითქვას ისეთ ოსურ ხალხურ ცეკვებზეც, როგორცაა “კაფა”, “ხონგა” და სხვ.

არ შეიძლება არ აღვნიშნო ჩვენი კოლექტივის ახლა უკვე ყველასათვის ცნობილი მოცეკვავეების, ოსური “ნარნარის” ოსტატების გ. თედევეისა და ლ. ძაგოვეას ბრწყინვალე წარმატება თბილისის სცენებზე. აი რას წერდა ოსურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაზე, კერძოდ გ. თედევესა და ლ. ძაგოვეაზე რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ხელოვნების მცოდნეობის კანდიდატი ლილი გვარამაძე ჟურნალ “საბჭოთა ხელოვნების” 1957 წლის 2-3 ნომერში: “მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებენ ლირიკული ცეკვები-ქორეოგრაფიული სურათი “წყაროსთან”, განსაკუთრებით შეწყვილებულთა ნარნარი ცეკვა. წინანდელ ოლიმპიადაზე თბილისელმა მაყურებელმა კარგად გაიცნო ამ ცეკვის შესანიშნავი შემსრულებელი გიორგი თედევევი. უნდა აღინიშნოს, რომ თედევევი იმდენად პლასტიკური და მეტყველია, რომ მისი შესრულებით ეს თითქოს მიმიგ, ერთფეროვანი ცეკვა ნამდვილ პოემად იქცევა და მისი დასრულებისას მაყურებელს წყდება გული, რომ ლამაზი სანახაობა ასე ჩქარა დამთავრდა. კარგად ცეკვაეს თედევეის პარტნიორი ლ. ძაგოვეა...”

დასასრულ ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ სამხრეთ ოსეთიდან წარგზავნილი მოცეკვავეები კვლავაც ღირსეულად დაიცავენ საქართველოს რესპუბლიკის ღირსებას.

ორიოდე სიტყვა აუცილებლად უნდა ითქვას პოეტ მ. გაბულოვის სტატიასზე “ძმებთან მარად ერთად”. მასში ომა-

ხიანადაა გაცხადებული: “მოსკოვში იხსნება ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა. ჩვენთვის, ოსებისათვის მეტად სასიამოვნოა, რომ მოძმე ქართველებთან ერთად ამ დეკადაზე ოსი ხალხის შვილებიც მონაწილეობენ. მათ შორისაა პოეტი რევაზ ასაევი. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ოს და ქართველ ხალხებს შორის საუკუნეების მანძილზე განმტკიცებულ ძმობასა და მეგობრობას...”

მკვლევარი, კრიტიკოსი და მეცნიერი ა. თოფურია გამომცემლობა “ირისტონის” მიერ გამოცემულ წიგნში “ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები” მიუთითებს: “მოსკოვში საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაში მონაწილეობისათვის რ. ასაევი 1958 წელს დაჯილდოებულ იქნა საპატიო ნიშნის ორდენით...” (ცხინვალი, 1969, გვ. 177)

აი დადგა 21 მარტი და საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ზემოთ მრავალგზის ხსენებული დეკადა. საქდესის სპეცკორესპონდენტის ცნობით სსრ კავშირის დიდ აკადემიურ თეატრს, რომელშიც შეკრებილან მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, მარშლები, მოსკოვში აკრედიტებული მთელრიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, უცხოეთის პრესის წარმომადგენლები, ამშვენებს ორივე ქვეყნის სახელმწიფო დროშები, საზეიმოდ ჟღერს სახელმწიფო ჰიმნები.

პირველ სპექტაკლებს: ვ. ხამაშურიძის, თ. თაქთაქიშვილის, ა. მურადოვას, პ. ამირხანაშვილის და სხვათა მონაწილეობით, მაყურებელთა უდიდესი მოწონება ხედა წილად.

სპექტაკლებს ესწრებოდნენ: ნ. ბულგანინი, კ. ვოროშილოვი, ა. კირიჩენკო, ა. მიქოიანი, მ. სუსლოვი, ნ. ხრუშჩოვი, ვ. მჟავანაძე, გ. ჯავახიშვილი და სხვები.

დეკადის მეორე დღეს, 22 მარტს, შ. რუსთაველის სახელობის თეატრმა უჩვენა მსოფლიო კლასიკური დრამატურგიის შესანიშნავი ნიმუში—სოფოკლეს ტრაგედია “ოიდი-

პოს მეფე”. მთავარ როლს ასრულებდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ხორავა.

“იმ წარმატების შემდეგ, რომელიც წილად ხვდა ოპერა “დაისს” თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრის დადგმით, მოსკოველები ინტერესით მოელოდნენ საბალეტო სპექტაკლების დაწყებას. დიდი თეატრის სცენაზე 22 მარტს წარმოდგენილი იყო დ. თორაძის ბალეტი “გორდა”... რესპუბლიკის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ზ. კიკალეიშვილის მონაწილეობით.

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დადგმით მოსკოველებმა ნახეს ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ვაჟა-ფშაველას პიესა “მოკვეთილი”(ა. ჩხარტიშვილისა და ო. მელვინეთუხუცესის მონაწილეობით) და სხვ. (“ს.ო.”, 1958, 26/III).


26 მარტსვე “საბჭოთა ოსეთი” ბეჭდავს წერილს “გაიხსნა დეკადის ლიტერატურული ნაწილი” საქდესის სპეც. კორესპონდენტის ცნობით 22 მარტს კავშირების სახლის ვრცელ, სვეტებიან დარბაზში შეიკრიბა ორი ათასამდე სტუმარი: მწერლები, მსახიობები..

საღამო გახსნა რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ ლ. სობოლევმა.

“საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ი. აბაშიძემ ილაპარაკა რუსი და ქართველი ხალხის ისტორიულ ფესვებზე, რუსეთ-საქართველოს უძველეს კულტურულ ურთიერთობაზე... ი. აბაშიძემ აღნიშნა წარმატებანი, რომლებითაც ქართველი მწერლები მოვიდნენ დიდ შემოქმედებითს ანგარიშზე—მშობლიური ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე.

შემდეგ გამოდის საქართველოს სახალხო პოეტი ვალაკტიონ ტაბიძე. შეკრებილნი მხურვალე ტაშით აჯილდოვებენ მას, როცა მან წაიკითხა ახალი ლექსი „დეკადის დროშები”, რომელიც ეძღვნება მეგობრობის სასიხარულო დღესასწაულს — ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის

რის დეკადას. პოეტმა მ. ანტოკოლსკიმ წაიკითხა გ. ტაბიძის ლექსის „ჩვენი მაისის“ თარგმანი“ („ს.ო.“, 1958, 26/III).



(კავშირების სახლის ვრცელ სვეტებიან დარბაზში(22/03) სობოლევო ხსნის დეკადის ლიტერატურულ ნაწილს)

საგაზეთო ინფორმაცია ერთობ ძუნწ ცნობებებს იძლევა დიდი გალაკტიონის ირგვლივ. მისი პორტრეტის უფრო მეტად სრულყოფისათვის ჩვენი მხრიდან დავსძენთ, რომ დეკადის ათი დღე მოსკოვში, მან სასტუმრო „მოსკვას“ მეთუე სართულზე გაატარა. ამავე სართულზე დაბინავდა პოეტი მურმან ლებანიძე, რომელიც დიდი მგოსნის აღსასრულიდან ოცდათორმეტი წლის შემდეგ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1990 წლის (№48) ნომერში გამოქვეყნებულ საინტერესო წერილში „ათი დღე გალაკტიონთან“ დაწერს: „დგას განუყრელი პორთფელით ხელში, აქეთ-იქით იყურება, ზღვა სიმხნითა და ენერგიით საესე... მოსკოვის დაპყრობას და პოეტების დაშამათებას პოეზიით აპირებს...“

ან კიდევ: „ქართული კულტურის დეკადა მოსკოვში. თეატრი, კინო, მუსიკა, მწერლობა და რა თქმა უნდა, ქართული ხალხური ქორეოგრაფია – აქ გახლავთ „ოთხასი ცხენოსნით“. ჩვენ უნდა ვაამოთ მოსკოვს, თავი მოვიკატუნოთ და ვუშტკიცოთ ხრუშჩოვს, რომ აღარც კი გვახსოვს გუშინდელი სილაქი – სისხლიანი ცხრაას ორმოცდათექვსმეტი... დიდი აუიოტაუია მოსკოვში, უმთაერესად ჩვენი, თორემ სატახტო თავისი ცხოვრებით ცხოვრობს...

სვეტებიან დარბაზში ქართული მწერლობის სადამოზე ვიკრიბებით. ამ ღონისძიებით იხსნება დეკადა. ირაკლი აბაშიძე ბრძანდება ჩვენი შეფი. ლაღად, თავისუფლად უჭირავს თავი, შინაური კაცია სატახტოში. საღამი დაარიგა, სობოლევს მიესიყვარულა – დასხდნენ, საღამოს პროგრამას ჩასკქერიან. ვსხედვართ და ფარდის გახსნას ველოდებით...

არაფერი განსაკუთრებული არ მახსოვს. ეს იყო საღამო-შაბლონი: სობოლევის ზერელე, ზოგადი სეფე-სიტყვა, რამდენიმე ჩვენი პოეტის გამოსვლა ქართული ლექსის, ასე ვთქვათ, ენობრივ-მუსიკალური ჭაშნიკით და რუსი პოეტების გამოსვლები იმავე ლექსების რუსული თარგმანებით. ერთადერთი რაც იმ საღამოდან წამომყვა, ეს იყო პავლე ანტოკოლსკის გულწრფელად მოწამებრივი გამომეტყველება გაღაკტიონის ლექსის თარგმანის კითხვისას და თვითონ გაღაკტიონის მძინვარე, ფრთაგაშლილი გამოსვლა თავისი „დეკადის დროშებით“ („ლ.ს.“, 1990, №48).

იმავე წყაროზე დაყრდნობით ჩვენთვის ცნობილი ხდება, რომ ოცდათერთმეტ მარტს დეკადა „დაჯამებულია“. მოკლედ შევჩერდებით განაწყენებულ გაღაკტიონსა და მ. ლებანიძეს შორის გვიან ღამით გამართულ დიალოგზე: „რატომ, ბატონო გაღაკტიონ, რატომ წავაგეთ, ტრიუმფალური იყო თქვენი გამოსვლა სვეტებიან დარბაზში, თითქმის ყველა გაზეთში თქვენი ლექსებია და თქვენი – დიდება – მეთქი, – ვამშვიდებ.

– აჰ! არ მითხრა, ძამიკო! წავაგებდით, აჰა, რა იქნებოდა! გააბეს გრძელ-გრძელი ლექსები და ახლა კიდევ ტაშ-

ფანდური! - ერთს, ორს, სამს, ბობოლა პოეტებს ასახელებს და სიცილით კედება... ახლა კიდევ, ამ ჩვენს სიმონიკას ანტოლოგია გამოუცია, თავისი ორმოცი ლექსი შეუტანია და საწყალი გალაკტიონის თორმეტი, ძამიკო, თორმეტი, თორმეტი ლექსი..."(იქვე)

როგორც ჩანს დკადაზე წარმოდგენილი ნომრების შემფასებელთა და ზედამხედველთა მხრიდან ერთგვარი ტენდენციურობა იგრძნობა, თუმცა ღონისძიების კეთილშობილური მიზანი ნათელია.

გულთბილად შეხვდა მოსკოველი მაყურებელი ქართველ მწერლებს: მ. ბარათაშვილს, ი. გრიშაშვილს, ა. გომიაშვილს, შ. დადიანს, კ. კალაძეს, რ. მარგიანს, ა. მირცხულავას, ი. ნონეშვილს, ს. ჩიქოვანს და სხვ.

დასასრულს გვინდა ყურადღება გაავამახვილოთ გაზ. "საბჭოთა ოსეთის" კიდევ ერთ ნომერზე, რომელიც ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე გამოქვეყნებული მასალების სიუხვით გამოირჩევა.

მასში მოცემულია ცნობები დეკადის დასკვნითი ეტაპის ირგვლივ.

24 მარტს პირველად უჩვენეს კომპოზიტორ ა. მაჭავარიანის ბალეტის "ოტელოს" დადგმა, რომელსაც განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად. ასეთივე მაღალი შეფასება დაიმსახურა შოთა რუსთაველის სახ. თეატრის მიერ წარდგენილმა ვ. ვიშნევსკის "ოპტიმისტურმა ტრაგედიაში", კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის - შექსპირის "რიჩარდ მესამეში"; ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში - ხალხური ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა დეკადისათვის მომზადებული ვრცელი პროგრამით და სხვ.

კონსერვატორიის დიდ დარბაზში მაყურებლის წინაშე წარსდგა საქართველოს ფილარმონიის ორი კოლექტივი - სიმფონიური ორკესტრისა და კაპელა.

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა მოსკოვის საზოგადოებას უჩვენა ქართველი კომპო-



ზიტორის დ. თორაძის ახალი ოპერა “ჩრდილოეთის პატარ-
ძალი...”

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა წარმოდგენილ უამრავ სპექტაკლებს, კონცერტებს, ლიტერატურულ სადამოებს, გამოფენებს გულთბილ მიღებას უწყობდნენ. მათში ასახული გახლდათ ქართველი ხალხის მიღწევები ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში. ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა ის ფაქტი, რომ ეს პროცესი საკმაოდ ინტენსიურად ვითარდებოდა და სწრაფი ტემპით მიემართებოდა აღმავალი გზით.

გაზ. “შიდა ქართლი”, 1997,
№ 251.



ცნობილია, რომ ქართული ბუნებისათვის უცხოა გაუტანლობა, შური სხვისი საკუთრების დაუფლებისაკენ ლტოლვა. მას ღალატიც ბევრი უნახავს და კარგი კაცობის დამფასებელიც ბევრი გამოსჩენია. საქართველოს ცის ქვეშ გაზრდილ მამულიშიელთა სულიერი კრედო ყოველთვის იმავე ცის ქვეშ დაზრდილი შვილობილების დაკვალიანება-დავაჟკაცება გახლდათ. ქართველთა და ოსთა მეგობრობას მოწმედ მრავალი ათწლეული უდგას.

ამჯერად, ჩვენი საგაზეთო წერილის მიზანია გააშუქოს ამ ორი ხალხის მეგობრობის დამადასტურებელი ისეთი ბრწყინვალე ფაქტი, როგორც გახლდათ ოსური ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა თბილისში.

თბილისს მანამდეც უმასპინძლია მსგავსი ღონისძიებებისათვის. 1940 წელს აქ ჩატარდა ოსური ხელოვნების ჩვენება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა და კ. ხეთაგუროვის სახ. თეატრმა. სწორედ მაშინ, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭათ: მ. შავლოხოვს, დ. მაძიევს, ს. ჯატიევას, ბ. გალაევს და სხვა. ბუნებრივია, თექვსმეტი წლის მანძილზე ოსური ხელოვნება და ლიტერატურა ბევრად გაიზარდა. ახლა დეკადაში მონაწილეობას იღებს: კ. ხეთაგუროვის სახ. თეატრი, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, საქართველოს მხატვართა კავშირისა და მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილებები.

დეკადისათვის მზადება და მისი სანიმუშოდ ჩატარება პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს მწერლების, მსახიობების, მუსიკოსების, ხალხური მთქმელებისა, მომღერლებისა და მთელი თვითშემოქმედების წინაშე. დეკადის დღეებში სამხრეთ-ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა რესპუბლიკის მოსახლეობას უნდა უჩვენონ ოსური კულტურის

ზრდა და აყვავება. 1940 წლისგან განსხვავებით მომავალ დეკადაზე გამოვლენ მწერლები, მუსიკოსები და ხალხური მთქმელები.



(სცენა პიესიდან „ზალინა“ კ. ხეთაგუროვის სახელობის თეატრის ოსური სექტორის დადგმა)

1931 წელს ჩამოყალიბდა სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი. მან სეზონი კ. ცხინვალში გახსნა იმავე წლის 29 ივლისს, ს. წერეთლის პიესით „ციებცხელეუბა“. პირველი სეზონი წარმატებით დამთავრდა. რეჟისორებად მუშაობდნენ: ვ. ხეთაგუროვი, თ. ქოქოევი, მხატვარი მ. თულანოვი, დამდგმელი ა. ბეკოევი და სხვ. 1939 წელს კ. ხეთაგუროვის დაბადებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებით სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო თეატრს მიენიჭა კოსტა ხეთაგუროვის სახელი. მომდევნო წელს თბილისში მოეწყო ხსენებული-ოსური ხელოვნების ჩვენება, სადაც თეატრმა წარმოადგინა სამი სპექტაკლი: გ. ბერძენიშვილის „ზინგ“ (ცეცხლი), კ. ხეთაგუროვის „დუნია“ და მ. შავლოხოვის

„მწყემსთა ბინა“. მათ დიდი წარმატება ხვდათ წილად. ეს იყო 1940 წელს, შემდგომში კი თექვსმეტი წლის შემდეგ, სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრს სურს დაადასტუროს, რომ იგი ჩამოყალიბდა მძლავრ თეატრალურ კოლექტივად და თამამად შეიძლება ითვლებოდეს მოწინავე თეატრთა რიგებში, სწორედ ამიტომ, როგორც საგაზეთო სტატია „შემოქმედებითი მუშაკების ღირსების საქმე“ გვაუწყებს: „სტალინირის (ცხინვალი-ა.მ.) სახელმწიფო თეატრის სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილებით დეკადაზე წარსადგენად ოსური კოლექტივისათვის შერჩეულია დ. თუაევის „ობლების დედა“, ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“, ვ. გაგლოევის „ჩვენთან მთებში“, ქართული კოლექტივისათვის გ. პლიევის „ჩერმენი“. თეატრის ორივე კოლექტივი, რომელთაც მაღალიდღეური, მხატვრულად და პოლიტიკურად გამართული სპექტაკლების შექმნის კარგი გამოცდილება აქვთ, აღფრთოვანებით შეუდგა მუშაობას დეკადისათვის მაღალმხატვრული სპექტაკლების შესაქმნელად. რის საფუძველზეც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ისინი გაამართლებენ მოლოდინს, ვინაიდან ამ კოლექტივებში წლების მანძილზე ნაყოფიერად მუშაობდნენ საქართველოს სახალხო არტისტები: დ. მამიევი, ნ. ჩაბიევა; საქართველოს დამსახურებული არტისტები: გ. კაბისოვი, ზ. გაგლოევა, ზ. თუაევი, გ. გუბიევი, ბ. ცხოვრებოვი, ი. შერაზადაშვილი, ი. ტყემალაძე, მ. მელქუევა, ი. ცხვირაშვილი და სხვები“.

ასეთივე ფართო შემოქმედებით მუშაობას ეწევა სამხრეთ-ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომელსაც უკვე 70 კაცი ჰყავს. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია საქართველოს დამსახურებული არტისტი, გამოჩენილი მოცეკვავე გიორგი თედეევი; საუკეთესო შემსრულებელი და სოლისტი კი: ა. ჯატიევი, ვ. ჯატიევი, ვ. ენაღიევი, ხ. გაგლოევი, ვ. იარალოვა, მ. გაგლოევი, თ. გაბაშვილი, კ. ამაშუკელი, და სხვა. დეკადისათვის მის რეპერტუარში შედის ასზე მეტი სიმღერა და ცეკვა. ქედან დაახლოებით სამოცი ოსური ხალხური სიმღერა და ცეკვაა.

ზემოთმინიშნებული საგაზეთო მასალიდან ცნობილი ხდება ყოფილ ოლქში მომუშავე მხატვართა სადეკადო მზადებაც. წამყვანი მხატვრები: ბ. სანაკოვეი, გ. დოგუზოვი, გ. ქოქოვეი, ნ. კაბისოვი, ხ. გასიევი, ვ. მეზურნუთოვი და ა.შ. ამზადებდნენ დიდ მხატვრულ ტილოებს. „კულტურის განყოფილებამ და საქართველოს მხატვართა კავშირის სამხრეთ-ოსეთის განყოფილებამ სერიოზული ღონისძიებანი უნდა გაატარონ იმისთვის, რომ დეკადაზე ფართოდ ვუჩვენოთ ჩვენი სახვითი ხელოვნება. პროფესიონალი მხატვრების ნამუშევრებთან ერთად გამოფენაზე უნდა წარმოვადგინოთ ხალხური სახვითი ხელოვნება, კერამიკა, ხეზე ჭრა, სკულპტურა, ფერწერა და მთელი ხალხური შემოქმედება, ვუჩვენოთ ხალხური მთქმელები, მუსიკოსები, მომღერლები“ (გაზ. „ს. ო“ 1956, 30/VI).

გადაწყდა დაისტამბოს, გამოსაცემად მომზადებული, ოლქში მომუშავე მწერლების საუკეთესო ნაწარმოებთა კრებულები-ქართულ, რუსულ და ოსურ ენებზე. პირველ რიგში აქ უნდა შევიდეს ოსური ლიტერატურის კლასიკოსების: კ. ხეთაგუროვის, ა. ქოცოვეის, ნიგერის, ს. გადიევისა და სხვათა თხზულებანი.

მომღენო, ჩვენთვის საინტერესო წერილში „მზადება ოსური ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის თბილისში“ საკუთარ აზრს, ხსენებული საკითხისადმი, მოკლედ გვიზიარებენ საქართველოს დამსახურებული არტისტები: ი. შერაზადიშვილი, ი. ცხვირაშვილი, ი. ტყემალაძე, მსახიობი გ. ქოქიევი, რომლებიც მონაწილეობენ ოსი დრამატურგის გ. პლიევის პიესა „ჩერმენში“. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ქართულ კოლექტივს ამ დეკადაზე ეს ერთადერთი დადგმა მიაქვს და ისიც ოსური დრამატურგის თვალსაჩინო ნაწარმოები.

გაზ. “შიდა ქართლი”, 1997, № 255.

ათეული საუკუნეები აშორებს ებრაელ ერს იმ დღესთან, როდესაც უცხო-ტომისაგან დევნილმა საქართველოს შემოაფარა თავი, ჩვეული სტუმართმოყვარეობით მიიღო, შეისისხლხორცა და გულში ჩაიკრა იგი ქართველობამ. დასრულდა გაუთავებელი დევნა-შევიწროება, რომელიც ბედმა არგუნათ. საოცრად შეეთვისნენ მოსულნი, ბიბლიის მთარგმნელ და ღვთის ნების გამომხატველ ქართველობას. ოცდაექვსმა ასწლეულმა განვლო. ცდაექვსი საუკუნე იცხოვრეს ქართულ მიწაზე, მაგრამ მისი დაჩემება აზრად არ მოსვლიათ. პირიქით, ქართული ენის მადლიც იცხეს და საკუთარი სულის ნაწილადაც იქციეს. ამ ორი ერის უმაგალითო მეგობრობის ერთი ნათელი ფურცელთაგანი გვინდა შევახსენოთ მკითხველს.

ცხინვალში დაბადებული რაბინი დავით ბააზოვი-ებრაელთა სულიერი წინამძღოლი, განმანათლებელი და საყოველთაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე. ქომაგი ქართველი ერისა და ქართველი ებრაელობის საუკეთესო ძმობისა.

როგორც რაბი დავითის ქალიშვილი პოლინა ბააზოვი იგონებს: „1921 წელს ჩემი მშობლები გადმოსახლდნენ თბილისში. მამაჩემი-რაბინი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე დავით ბააზოვი ქალაქ თბილისის ებრაელთა კონგრეგაციას მიუწვევია საკულტო სამსახურში. ბინა სალოცავის პირველ სართულზე მიუციათ. ჩვენი ბინა მოთავსებული იყო დღევანდელი ლესელიძის და რიჟინაშვილის შესახვევის კუთხეში. ჩემი ბავშობის ადრეულ პერიოდში რიჟინაშვილის შესახვევს ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდა ძველისძველი სახელწოდება – იერუსალიმის შესახვევი. გარეგნულად იერუსალიმის შესახვევი მეტად კოლორიტული იყო. იგი ითვლიდა სულ რაღაც 12-მდე ნომერს. მაგრამ მჭიდროდ იყო დასახლებული სხვადასხვა ქვეყნიდან დევნილი ებრაელებით. იერუსალიმის შესახვევში ცხოვრობდნენ ახალციხის ებრაე-

ლები, ასევე თურქეთიდან, სპარსეთიდან თუ უკრაინიდან დეენილნი და სხვა." (იხ. „ლ.ს" 1989წ. №51).

საუბარია სწორედ იმ რაბინ დავით ბააზოვზე, რომელმაც უცხოეთში გამართულ ერთ-ერთ სიონისტურ თაყვრილობაზე საჯაროდ განაცხადა: „მე ჩამოვედი კავკასიის მთებში ჩაკარგული ერთი პატარა ქვეყნიდან, რომელსაც პქვია საქართველო და სადაც არასოდეს ყოფილა ებრაელთა სიძულვილი, რბევა, ანტისემიტიზმი."

გამოსვლის საპასუხოდ სიტყვით გამოვიდა ფრანგი გენერალი ლიფმონი (ფრანკფურტი, 1913წ.).

„ძმებო! თქვენს წინ დგას თქვენი ძმა შორეული ქვეყნიდან მოსული. ეს ქვეყანა შორს არის ჩვენგან, მაგრამ იგი უნდა ახლოს იყოს ყოველი ებრაელის გულში (კონფერენცია დიდის აღტაცებით ფეხზე წამოუდგა. საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა). ევროპა დღეს ცდილობს ადამიანის სიყვარულის განხორციელებას. ეს კი ქართველ ერს 2000 წლის წინათ პქონდა შეთვისებული. მისი მომსწრეა მცხეთის ქალაქი და მისი პრეზიდენტი (მამასახლისი), რომელიც დაუხვდა იერუსალიმიდან გამორეკილ ებრაელებს პურ-მარილით. აქ ისტუმრა ძმურად და დღევანდლამდე. თუმცა, ბევრი პოლიტიკური ცვლილება მოხდა ერში, მაგრამ თავისი იდეალი ადამიანის სიყვარულისა და ძმური განწყობისა მათში შეუცვლელია.

ქართველ ერს შეუძლია ამაყად წარმოსთქვას: „ჩვენ გვყავდა მეფეები, სამღვდელოება, მწერლობა, მაგრამ სხვა ერების დენა ფიქრადაც არ მოგესვლიაო. ევროპის წინანდელი ძალებით დაქცეულ სისხლში ჩვენი ხელი არ გასვრილაო." აი, ასეთია ქართველი ერი, საიდანაც ჩვენი სტუმარი ჩამოვიდა.

კრებამ საშინელი ტაშისცემა ატეხა და ხმამაღლა გაიძახოდა: „გაუმარჯოს ქართველ ხალხს, სიცოცხლე და ბედნიერება ქართველ ხალხს." ბევრის თვალზე ცრემლი გამოჩნდა. საზოგადოება დიდხანს ვერ დამშვიდდა. გენერალმა ლიფმონმა თავისი სიტყვა ასე დასრულა:

„შვილებო! ანდერძად გქონდეთ, ვისაც რით შეგიძლიათ, იმით გამოხატოთ სიყვარული ქართველი ერისა!”

საზოგადოება კვლავ აღფრთოვანებული შეხვდა ამ სიტყვებს და უსურვა ქართველ ერს კეთილი მომავალი (იხ. გაზ. „სამშობლო” 1915წ. №126).

უამრავი მსგავსი მაგალითის დასახელება ძალგვიძს, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბდა ქართველთა და ქართველ ებრაელთა ურთიერთობის, ქვეყნიერებისაგან სრულიად განსხვავებული ფენომენი.

საგაზეთო წერილში „მათი ლიტერატურული ცხოვრება” ბატონი გურამ ბათიაშვილი საინტერესო ზოგად მიმოხილვას აკეთებს საქართველოდან ისრაელში ამოსული მწერლების ცხინვალელი თამარ და აბრამ მამისთვალოების (რომელთაც ახლახან ქართველმა და ებრაელმა საზოგადოებრიობამ გულწრფელად მიულოცა საიუბილეო თარიღები), იცხაკ დავიდის (დავითაშვილის), ილია პაპისმედოვის, თინა შიმშილაშვილის, სიმხა ადარი (აჯიაშვილის) და სხვათა შემოქმედებითი მოღვაწეობის ირგვლივ.

იქვე, ავტორი ვრცლად აანალიზებს ისრაელში გამოცემულ კრებულს დავით და გერცელ ბააზოვების შესახებ.

„ამ რამდენიმე წლის წინათ ისრაელში გამოიცა საკმაოდ სქელტანიანი და ერთობ სოლიდური კრებული დავით და გერცელ ბააზოვების შესახებ, რომელიც გვიხატავს ამ ორი დიდი მოღვაწის მიერ განვლილ გზას. გერცელ ბააზოვის შემოქმედებითი ცხოვრება ჩვენი მკითხველისათვის თითქმის სრულადაა ცნობილი. დაბით ბააზოვის მოღვაწეობა კი თითქმის უცნობი გახლავთ, რადგან ის, რაც რევოლუციამდე იყო და რევოლუციის პირველ წლებშიც კი, 30-იანი წლების რეპრესიებმა გაანადგურა. ფაინა ბააზოვას ძალისხმევით გამოცემულ ამ წიგნში თვალწინ წარმოგიდგებათ დიდი სასულიერო და საერო მოღვაწე დავით ბააზოვი, რომლის პოლემიკური სტატიები ქართული პრესის ფურცლებზე დღესაც ინტერესით იკითხება.

დავით და გერცელ ბააზოვების პიროვნება, შემოქმედება მაღალ დონეზე იქნა შეფასებული ისრაელის სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. მართლაც წარუშლელია ამ ორი პიროვნების როლი ქართველი ებრაელების კულტურული ფორმირების საქმეში, განუზომელია მათი ღვაწლი”. (ლ.ს. 89წ. №33)

ღიას, მამა-შვილმა ბააზოვებმა ომი გამოუცხადეს დამყაყუბულ წეს-ჩვეულებებს პერიოდს, როდესაც ყველაზე იაფად ქართული კულტურის, მეცნიერების კირიფეთა და საერთოდ ინტელიგენციის ღირსება ფასობდა. ამიტომ გამოცხადდნენ რაბი დავითი და გერცელი ხალხის მტრებად, ამიტომ შეიწირა ქრისტეს ასაკში მყოფი გ. ბააზოვი 37-38 წლების ტრაგედიაში. არც მსცოვანი რაბინი დაინდო ვინმემ, როგორც ბატონი მიხეილ შაფთოშვილი წერს: „რამდენიმე დღის შემდეგ ხმა დაირხა რაბი ბააზოვი აიყვანესო. ამ ხმამ, სუბსარქისის ქარივით, კიდევ ერთხელ შესძრა ებრაელთა გულები ქართულ მიწაზეც. უფსკრულში ჩაიჩხვა ეროვნულ სწავლა-აღზრდაზე ფიქრი. დუმილს მოეცვა ებრაელთა ენა-პირი” („ღმერთი მაღლიდან იყურებოდა” გვ. 27).

ოცდაექვსი ასწლეულის წინათ მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ ოტებული წმინდა მიწის მოღვმა შეიტკბო საქართველომ, შეისისხლხორცა და განშორება უჭირს. დღეს კი, როდესაც ღვთის მიერ აღთქმული მიწის დედოზარი მოუხმობს ქვეყნიერების სხვადასხვა ნაწილში შეხიზნულ უზენაესის რჩეულ ერს, მიდის, მიდის, არა იმიტომ, რომ იოლი დასათმობია ყველა და ყველაფერი, მათ ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად მიჰყვებათ საუკუნეებით ნაწრთობი ძმადნაფიცობის გაუსაძლისი სევდა-ნაღველი. თვალში აკიაფებული, ტკბილ-მწარე მოგონებით მოგერილი ცრემლი საქართველოს უსაშველო სიყვარულის უტყუარი მაცნეა.

მანანა გიგინეიშვილის სიტყვებით გესურს დავასრულოთ საგაზეთო წერილი: „ქართველი ებრაელის” ანალოგიით ჩვენს ენაში გაჩნდა „რუსი ებრაელი”, „გერმანელი ებრაელი”. ქართველმა ერმა თავისი დამოკიდებულება გააფრცე-

ლა სხვა ქვეყნებს შეხიზნულ ებრაელებზეც, ჩვენი ყოფის შესაბამისად გაიზიარა ებრაელობის ფენომენი სხვა ქვეყნებშიც. არა და ჩვენს გარდა არავის ესმის, რა შესიტყვებაა „რუსი ებრაელი“, „გერმანელი ებრაელი“. ებრაელი ებრაელია. რა შუაშია აქ რუსი ან გერმანელი? ამქვეყნად მხოლოდ ქართველი ებრაელია, ერთდროულად ქართველიც რომაა და ებრაელიც.

გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1998, №9(28).



სამაჩაბლოს, საქართველოს ძირძველ კუთხეს, უამრავი სტუმარი ჰყოლია. ერთ-ერთი ღირსეული სტუმართაგანი გახლდათ ქართველი ერის დიდი მოჭირნახულე მიხეილ ჯავახიშვილი, რომელსაც ერთხელ უბის წიგნაკში ჩაუწერია, “მე სუფთა ქართულის ფანატიკოსი ვარ”. მშობლიურ ენაზე ფანატიკურად შეყვარებული და მისი სიწმინდის დამცველი კაცი ჩამოდის შიდა ქართლში; ღიახვის ხეობა განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს მასზე და აქ განცდილ სიამოვნებას სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ვერ ივიწყებს. მისი მიზანია ქართული ენის ზედმიწევნით შესწავლა, რადგან მხოლოდ აქ, ამ მადლიან მხარეში გაისმოდა ნამდვილი, მამა-პაპური სუფთა ქართული. ქართული ენა ზეობდა სამაჩაბლოში და ამ ანდამატს არა მხოლოდ მ. ჯავახიშვილი მოუხიბლავს.

პროფესიად რომ მწერლობა აირჩია, მიხეილმა საჭიროდ ცნო, ზედმიწევნით კარგად შეესწავლა მშობლიური ენა. გაახსენდა, რომ ჯერ კიდევ წინამძღვრიანთკარის სასწავლებელში თავისი საყვარელი მასწავლებელი დავითაშვილი ასე არიგებდა: “თუ გინდა მშვენიერი ქართული ისწავლო, წადი თამარაშენში ან ქურთაში. იქ ყველაზე საუცხოოდ ლაპარაკობენ, გლეხებიც კი ლიტერატურულ ენას დაუფლებიან. სხვა არა იყოს რა, ვანო მანაბელი იქაა დაბადებული, შექსპირი მიუწვდომლად აქვს ნათარგმნი”.

ღიღმა მწერალმა ქურთაში ყოფნისას მანაბლიანთ ოჯახში დაიდო ბინა. იგი განაცვიფრა ქართულმა ხალხურმა სასაუბრო ენამ, მისმა მოქნილობამ, მძაფრმა მხატვრულმა გამოთქმებმა. ამიტომაც აცხადებდა: “გლეხებთან გაცილებით მეტ სიამოვნებას ვგრძნობდი ქართული ენის მოსმენაზე, ვიდრე თბილისის ქართული გაზეთების რედაქციებში”.

სწორედ ამ კუთხეში, სადაც ჯერ ისევ ნამდვილი ქართული სული ტრიალებდა და მადლიანი, გამართული ქართუ-

ლი სიტყვა გაისმოდა, 30-იან წლებში ცხინვალში ჩამოყალიბდა პირველი და ერთადერთი ქართული გაზეთი, რომელსაც ცნობილი მიზეზების გამო “საბჭოთა ოსეთი” ეწოდებოდა.

გაზეთი დაარსების პირველი დღეებიდანვე თავის მოვალეობად მიიჩნევდა, სხვა პრობლემატური საკითხების გვერდით, სათანადო ყურადღება დაეთმო ენის სიწმინდის დაცვისათვის. კერძოდ, 1936 წლის 18 მაისის ნომერში გამოქვეყნებულია სტალინირის (ცხინვალის) ებრაელთა სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებლის ეკ. თედიაშვილის წერილი “მეტი ყურადღება ენის სიწმინდეს”.

ეკ. თედიაშვილი საყვედურს გამოთქვამს თვით ამ გაზეთის მიმართაც, ვინაიდან, როგორც ჩანს, მასში ზოგჯერ იპარება ისეთი შეცდომები, როგორიცაა სიტყვის უწესოდ გადატანა, ზმნის ფორმის არასწორი გამოყენება, სახელების შეცდომით ხმარება და სხვა, რასაც “ხშირად აღმოაჩენს ხოლმე ლიტერატურული ენის დაუფლებას მონდომებული მკითხველი”.

ამავე ნომერში იბეჭდება ცხინვალის ქართული სკოლის მშობლიური ლიტერატურის მასწავლებლის ბ. ბათიაშვილის წერილი “ენა და სტილი”. მასალაში აღნიშნულია, რომ სამხრეთ ოსეთის საოლქო გაზეთი “საბჭოთა ოსეთი” პროკულარობით სარგებლობს. მას დიდი ინტერესით კითხულობს ოლქის მოსახლეობა. უყვარს ეს გაზეთი მოწაფე-ახალგაზრდობასაც, რადგან იგი სისტემატურად აშუქებს სასკოლო საკითხებს და ეხება ლიტერატურულ ცხოვრებასაც.

იქვე ბ. ბათიაშვილი მიუთითებს: “ზოგჯერ გაზეთში გაპარული კორექტორული შეცდომების გამო ირღვევა ენა და სტილი. გაზ. “საბჭოთა ოსეთი” უფრო შინაარსიანი, მდიდარი ორგანო იქნება თუ რედაქცია მჭიდრო კავშირს დაამყარებს მკითხველ საზოგადოებასთან. ოპერატიულ ხელმძღვანელობას გაუწევს კორესპონდენტებს და ა.შ.”

ცხინვალის ქართული გაზეთი თავიდანვე ჩაება ლიტერატურული ცხოვრების ფერხულში.

1935 წლის 13 თებერვალს იგი ბეჭდავს ინფორმაციას ცხინვალის ქართულ სკოლაში არსებული ლიტერატურული წრის შესახებ. აქ მოთხრობილია იმ ნაყოფიერ საქმიანობაზე, რომელსაც წრე ეწეოდა მოსწავლეთა მხატვრული გემოვნების ამღლების, ქართველ მწერალთა შემოქმედების პოპულარიზაციისა და, რაც მთავარია, წმინდა სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. მოხმობილი საგაზეთო მასალა გვაუწყებს, რომ ქართულ სკოლაში გამართულა შოთას, ილიას, აკაკის და სხვა კლასიკოსებისადმი მიძღვნილი საღამოები. ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ ამ წრემ შემდგომშიც დიდი როლი შეასრულა ცხინვალელი ახალგაზრდების ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში. სამაჩაბლოს ოკუპაციამდე წრე ხშირად აწყობდა შეხვედრებს ქართველ მწერლებთან, უშვებდა ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებს, ატარებდა სხვა ღონისძიებებს. სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ ამ წრის დავაუკაცებულნი არიან ცნობილი ქართველი პროზაიკოსი მერაბ ელიოზიშვილი და “ეეფხისტყაოსნის” ოსურ ენაზე მთარგმნელი გიორგი ბესთაუთი.

იმავე წელს საერთო სათურით “ლიტერატურული გვერდი №1” გამოქვეყნდა რამდენიმე ყურადსაღები მასალა. მათგან პირველ რიგში აღნიშვნის ღირსია წერილი “რა სარგებლობას მისცემს ლიტერატურული გვერდი ჩვენი ოლქის ახალგაზრდა ძალებს”. ამ საგაზეთო მასალის ავტორი ბ. ბათიაშვილი სხვა პრობლემათა გვერდით მიუთითებს: “ახალგაზრდა მწერლები სისტემატიურად მუშაობენ თავიანთ თავზე. იმაღლებენ ცოდნის დონეს ლიტერატურულ წრეებში მუშაობით, რომელსაც ხელმძღვანელობს მწერალთა კავშირი, რომელიც ცდილობს თავისი კონსულტაციებით ყოველდღიურად გამოზარდოს ახალგაზრდა მწერალთა ნიჭიერი კადრები”(გაზ. “საბჭოთა ოსეთი”, 1938, 12/IX).

ჩვენთვის საინტერესო მომდევნო ნომერი მოგვითხრობს საქართველოს მწერალთა კავშირის ყოფილ სამხრეთ ოსეთის განყოფილებასთან ჩამოყალიბებული ლიტერატურული წრის ნაყოფიერ საქმიანობაზე. საგულისხმოა, რომ აქ გაერთიანებული იყვნენ ისეთი შესანიშნავი კადრები, როგორც იყო საბავშვო მწერალი დავით ელიოზიშვილი, “რომლის ლექსები არც ისე იშვიათად იბეჭდებოდა ძველ საბავშვო ჟურნალებში და რამდენიმე მისი ლექსი საბავშვო სახელმძღვანელო წიგნებშიც შედიოდა”(“ს.ო.”, 1938, 12/VI).

სტატიის ავტორს (ს. ბურნაძე) არც მეზიდუე კლასის მოსწავლე აბრამ მამისთვალოვი გამოორჩენია მხედველობიდან. აქვე, სასიამოვნოა კიდევ ერთხელ აღინიშნოს იმ 26 საუკუნოვანი თანაცხოვრების შესახებ, გასულ 1998 წელს რომ იდღესასწაულეს ქართველმა და ებრაელმა ერებმა. ამ თანაცხოვრებამ და მეგობრულმა ურთიერთდამოკიდებულებამ ძირძველ ქართულ მიწაზე სრულყოფილებას მიაღწია. თუმცა თითქმის გასრულებული ურთულესი საუკუნის მკვეთრად გამოორჩეულმა უარყოფითმა ტენდენციურობამ ხელი შეუშალა ებრაელი ერის ფსიქოლოგიური, მორალურ-ეთნიკური რაობის და შინაგანი სულიერი პროცესების შემდგომ განვითარება-გამოსახვას. ზოგჯერ მათ კრიზისულ მდგომარეობაში უხდებოდათ არსებობა, მაგრამ ათობით საუკუნის წინათ ფესვგადგმულ მეგობრობას ყოველთვის საფუძვლად ედო გარკვეულად ჩამოყალიბებული ესთეტიკური, მაღალ-ზნეობრივი პრინციპები. ეს წარსული და თანამედროვე ცხოვრების სინთეზის რთულ პროცესში ვლინდება, თანაც აღნიშნული პრინციპები კვლავაც ინარჩუნებს აქტუალობას.

რასაკვირველია, მწერლებმა შეძლეს ამალღებულებიყვნენ ეპოქის მოთხოვნილებათა დონეზე. უკედავეყოთ ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის არსებული ის გლობალური კულტურა, დღესაც რომ სამაგალითოდ ითვლება მსოფლიოში. ამის ნიმუშად კმარა აბრამ მამისთვალოვის პიროვნება, როგორც თავისი დროის შესანიშნავი მოქართულის, ნიჭიერი ჟურნალისტისა და მთარგმნელის.

ახლახანს ბატონი აბრამის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი თარიღი დიდი პატივით აღნიშნა ქართველმა და ებრაელმა საზოგადოებრიობამ. ამ სასიამოვნო ღონისძიებას ღირსებას მატებდა პრეზიდენტის ჯილდო – ლიახვისპირელი გენიოსის ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია, რომლის პირველი ლაურეატი მთარგმნელობით საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გახდა ა. მამისთვალავი (დასთან, თამარ მამისთვალავი-კუხერაშვილთან და გერშონ წიწუაშვილთან ერთად).

ზემოთ ნახსენებ საგაზეთო მასალაში სულ ბურნაძე მადლიერების გრძნობით ახსენებს საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს, საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავ თეატრმცოდნესა და ცხინვალის ისტორიის მკვლევარს ვახტანგ კასრაძეს, რომელიც ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე ატარებდა წრეობრივ მუშაობას სიმღერა-მუსიკაში.

ვ. კასრაძე 1940 წელს ჩაუდგა სათავეში ცხინვალის №1 საშუალო სკოლას და პირველი დღეებიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებდა სკოლის ლიტერატურულ ცხოვრებაში. ამ სკოლას ვ. კასრაძე 33 წლის მანძილზე მუხლჩაუხრელად ემსახურა. უმძიმესი შრომის შედეგად მან მიაღწია მოსწავლეთა ესთეტიკური თუ ფიზიკური სწავლების აყვავებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საგრძნობ მიმდგრად აყვანას. უმდიდრესი ტრადიციების მქონე №1 ქართული სკოლა, რომელიც 115 წელს ითვლიდა, სკოლა, რომელმაც აღზარდა ისეთი ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, როგორებიც არიან: აკადემიკოსი ქრისტეფორე არეშიძე, პროფ. ტარიელ სართანია, პროფ. გარსევან კრიხელი, დოც. მიხეილ ცოტნიაშვილი და სხვ. დღეს დგას დანაცრული, ქართულ სიტყვას დანატრებული, დგას უმწეოდ და სასწრაფოდ აღორძინებას ითხოვს.

დასახელებული ნიმუშები ცხადყოფს, რომ ივანე მაჩაბლის მშობლიურ კუთხეში მარადეამს წინა პლანზე იდგა ზრუნვა ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის. ეს ტრადიცია განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს დღეს, რათა გახმაუ-

რეზულმა ეთნოკონფლიქტებმა არ წაბილწონ შექსპირის ტრაგედიების მთარგმნელისა და “ჯაყოს ხიზნების” ავტორის ენა.

ჟურნ. “ბურჯი ეროვნებისა”,
1999, №7-8 (20).



*ცხინვალის ქართული გაზეთი XX საუკუნის
90-იან წლებში*

XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ცხინვალიდან დევნილი მოსახლეობა გაიფანტა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. ამდენად, დაირღვა ჰარმონია ცხინვალის ქართული მოსახლეობის კულტურული თუ ლიტერატურული განვითარებისა. საჭირო გახდა ძალა, რომელიც ნაწილობრივ მაინც მოახერხებდა ცხინვალი რეგიონის შემოქმედებითი პოტენციალის შემოკრებას და ქვეყნის საკეთილდღეოდ, ხალხის სამსახურისათვის მის ძველ კალაპოტში მოქცევას.

დაახლოებით მსგავსი მისია იკისრა ცხინვალის ერთადერთი ქართული გაზეთის კოლექტივმა, რომელმაც შეძლო ფენიქსიით მკვდრეთით აღდგომა. ცხინვალის პედ. ინსტიტუტის მაშინდელ ქართულ სექტორთან და თეატრის ქართულ დასთან ერთად ცხინვალელმა დევნილმა ჟურნალისტებმა მოკიდეს ხელი სახლ-კარ დაქცეული, გაწამებული დევნილი მოსახლეობის წიგნიერებისაკენ, უზარმაზარი კულტურული ტრადიციებისაკენ, უზარმაზარი სამწერლო ტრადიციებისაკენ შემობრუნებისათვის ზრუნვას. განუზომელია ამ თვალსაზრისით მათი დეაწლი. განსაკუთრებით გამოვყოფთ გამოცდილ ჟურნალისტებს, რომელთა ყოველდღიური ომახიანი შეძახილი, ყოველდღიური მოწოდება კეთილგონიერებისაკენ, ძველი, კეთილი ურთიერთობის აღდგენისაკენ, ვფიქრობთ, კეთილ ნაყოფს გამოიღებს. ასე ფიქრობდნენ 90-იანი წლების დამდეგსაც. სიტყვას სჭირდებოდა საქმე და იწყება ზრუნვა ცხინვალის რეგიონის ქართული გაზეთის დაარსებისათვის.

ასეთ ვითარებაში ეყრებოდა საფუძველი გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ სამართალმემკვიდრეს. ცხინვალის ქართული ინტელიგენცია ვერასოდეს შეეგუებოდა რეგიონის ერთადერთი გაზეთის დაკარგვას. მართალია, ახალი გაზეთის, რომლის

სახელწოდებად თავიდანვე „შიდა ქართლი“ გადაწყდა, პირველმა ნომერმა მზის სინათლე იხილა არა მშობლიურ ქალაქ ცხინვალში, არამედ ქართლის უმშვენიერეს შუაგულში, გორში, მაგრამ მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ შინდაბრუნების ღოდინით გაიღეოდა ერთი ათეული და, ვინ იცის, კიდევ რამდენი უსაშველო, გრძელი და მიძიმე წელიწადი.

მაშ ასე, გაზეთ „შიდა ქართლის“ პირველი ნომერი დაიბეჭდა 1991 წლის 27 ივნისს. დაარსდა თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პრობლემური, ერისათვის მტკივნეულ თემატიკით გულდამძიმებული გაზეთი. გამოცემის საკითხის საბოლოო მოგვარებას დიდად შეუწყო ხელი იმ პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ.

ბუნებრივია, დასაწყისში ჭირდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული დევნილი ჟურნალისტების თავმოყრა, ხელახალი მობილიზება, მაგრამ არც მაშინ და არც შედგომ, მიუხედავად იმ უმძიმესი ტრაგედიისა, რომლის დიდი წილი ცხინვალელმა დევნილმა ჟურნალისტებმა საკუთარი მხრებით ზიდეს საკმაოდ გრძელ გზაზე. მიუხედავად უმძიმესი კატაკლიზმებისა, მიუხედავად განუკითხაობის ქარბორბალისა, მათ არასოდეს გადაუხვევიათ ჭეშმარიტებისა და ობიექტურობის გზიდან, არასოდეს დავიწყებიათ პროფესიული მოვალეობა და ჭეშმარიტების ძიებაში იოლი გზები არ უძებნიათ. აკი, ამის პირობას დებდა ახალშობილი „შიდა ქართლიც“: „იმედია, დაგძლევთ ნერვიულ დაძაბულობას, დავთრგუნავთ ემოციებს და რეალურად, ობიექტურად ავსახავთ სამაჩაბლოს ცხოვრებას, ყურადღებას გაავამახვილებთ არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. ახალი გაზეთი იქნება სამაჩაბლოს ჭირისა და ღხინის გამზიარებელი. იგი გახდება ცენტრი, საკრებულო, სადაც იქნება მსჯელობა სადღეისო საკითხებზე. მის ფურცლებზე შეიგრძნობა ლტოლვა სრული თავისუფლებისაკენ, სწრაფვა ტერიტორიული მთლიანობისაკენ. მეთოდურად, დამაჯერებლად დაუშმტკიცებთ ზოგიერთს, რომ სამაჩაბლო იყო და

დარჩება საქართველოს მთლიანობაში და ყველანაირი ცდა, რომ იგი მოგვეგლიჯონ, მოგვეწყვიტონ, უიმედო და უპერსპექტივოა” /№ 1 /.

აი, პროგრამა, რომელიც შემოგეთავაზა რედაქციამ და რომელსაც მიყვება მთელი კოლექტივი.

აქვე ვიტყვით, რომ გაზეთის დაარსებაში დიდი როლი შეასრულა სრულიად საქართველოს ივანე მაჩაბლის საზოგადოებამ პროფ. გურამ შარაძის ხელმძღვანელობით. იგი მთელი შემართებით დადგა დევნილი უურნალისტების გვერდით და თუ დღეს გაზეთი „შიდა ქართლი“ არსებობს, ეს ბატონი გურამის დიდი პირადი წვლილითაა განპირობებული.

მოგვიანებით, ი. მაჩაბლის საზოგადოების გამგეობა „შიდა ქართლის“ დაბადებასთან დაკავშირებულ მისალოც ბარათში წერდა: „გეწამს, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს გაზეთი მძლავრი ლახვარი იქნება იმათთვის, ვინც გულშიც კი გაივლო ამ ძირძველი მიწის საქართველოსაგან მოწყვეტა.“

ვიდრე უშუალოდ გაზეთ „შიდა ქართლს“ შევეხებოდეთ, საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ ის პიროვნება, რომელიც დაარსების დღიდან სათავეში უდგას, ერთგულად ემსახურება და მთელს ძალისხმევას, ენერგიას ახმარს აწ უკვე ერთ ათეულ წელს მიღწეულ გაზეთ „შიდა ქართლს“, იგი ძირძველი ცხინვალელი უურნალისტი ვასილ საბანაძე გახლავთ.

საბჭოური ანექსიის შემდეგ, ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგს კიდევ ერთხელ შეეცადნენ სამაჩაბლოში მზიური ქართულის გადაჯიშებას. ამ პირობებში გაზეთმა „შიდა ქართლმა“ საკმაოდ ღრმა კვალი გააგლო. მისი მემშვეობით თანდათანობით გაცოცხლებას იწყებს ცხინვალის რეგიონის ისტორია, შორეული თუ ახლო წარსულის პრობლემური, მნიშვნელოვანი ფურცლები. პირველი ბარიერი წარმატებით გადაილახა, გადაიდგა პირველი ურთულესი ნაბიჯები, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი ეტაპია. „შიდა ქართლი“

თანდათანობით იკრებს ძალებს და წინ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემების მთელი წყებაა გადასატრელი.

როგორც მივანიშნეთ, კრახი განიცადა მავანთა მიერ ცხინვალის რეგიონში ტკბილქართულის ამოძირკვის მცდელობამ. უსაზომოდ გაიწვლა და გაგრძელდა მშობლიური სამკვიდროსკენ მიმავალი გზა მოთმინებაშემოცვეთილი დევნილებისათვის, ამ პერიოდში მკაცრ პირობებში უხდება არსებობა გაზეთს. „ძალზე რთულია ერთ პაწია ოთახში მდივან-მემანქანესთან ერთად ოცდაათზე მეტი ადამიანი მუშაობდეს, მაგრამ უხმოდ იტანდნენ ყოველგვარ გასატრის... აგვარებდნენ ყოველგვარ ყოფით პრობლემებს, რათა სამაჩაბლოს შემორჩეს თავისი ნაღდი მემატრიანე. ყოველგვარ გაჭირებას სამაჩაბლოს უზომო სიყვარულის გამო იტანენ“ / № 129 /.

გაზეთი „შიდა ქართლი“ თავიდანვე გამოვიდა როგორც უზენაესი საბჭოს ორგანო. მართალია, 1992 წლიდან, როდესაც იგი დამოუკიდებელი ხდებოდა, უფრო მეტად გართულდა ფინანსური მხარე, მაგრამ ხელისუფლების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ გაზეთს გარკვეული სუბსიდიის მთავრობისგან ყოველთვის ჰქონდა. ბუნებრივია, გამოყოფილი თანხები ვერ უზრუნველყოფდა გაზეთის ყოველდღიურ, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემას, ვერ უზრუნველყოფდა მის გავრცელებას მთელ რესპუბლიკაში, სამაგიეროდ ჰაერივით იყო საჭირო დევნილი ჟურნალისტების საარსებოდ და სამუშაოდ. პრობლემების ასეთ ჭრილში ხედვამ სულ მალე გამოიღო სასიკეთო ნაყოფი. სულ მალე მკითხველი გახდა მოწმე გაზეთის სრული მუტაციისა, მისი, როგორც ჭეშმარიტი მემატრიანისა და კონფლიქტურ რეგიონში საკათარზისო ნიავის დასაბამისა.

1994 წლის მიწურულიდან „შიდა ქართლი“ დროებით შიდა ქართლის სამხარეო გაზეთის მოვალეობას ასრულებს, თუმცა დასაწყისშივე აცხადებს, რომ იგი თავისი შინაარსით, საქმიანობით კვლავ დამოუკიდებელი, თავისუფალი იქნება და იქვე მიუთითებს: ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ მიმდინარე ეტაპზე, როცა ვითარება შედარებით სტაბილური ხდება,

როცა ეკონომიკა აღმავლობის გზაზე დგება, საჭირო არის, აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი ხალხისათვის იყოს იგი ხლმისაწვდომი. ამჟამად საკმარისი არ არის იგი ასახავდეს მხოლოდ ცხინვალის რეგიონის – სამაჩაბლოს ცხოვრებას, იქ მიმდინარე პროცესებს. დღევანდელი ვითარება მოითხოვს, წარმოვადგინოთ სრული სურათი საერთოდ შიდა ქართლის მხარისა, ვინაიდან ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარება ამ პრობლემის მარტო ქალაქ ცხინვალში მოგვარებას არა გულისხმობს” / № 189 /.

მშობლიურ სამკვიდროში დევნილობის პრობლემის პროვინციული არსის დრამატულობა უფრო და უფრო თვალში-საცემი ხდება ყოველი ახალი გრძელი წელიწადის ჩამარცვლისას. ქართველი ერი არაერთხელ გამხდარა მოწმე ერთ დროს კეთილ მეზობელთა, თუ შემოკედლებულ შეილობილთა საოცარი უმადურობისა. უმადურობა კი ყველაზე უფრო ხშირად ჩვენს მიერ გაწეული სიკეთის წილ, ჩვენივე ქართული მიწების ხელში ჩაგდების დაუოკებელი წყურვილით გახლდათ გამოწვეული.

სამწუხაროდ, ვერც ცხინვალის შემოგარენში ჩამოსახლებულმა ჩვენმა ოსმა მეზობლებმა ვერ გამოიჩინეს ამ თვალსაზრისით იოტისოდენა ორიგინალობა. სამაგიეროდ, ოს ხალხს ჰყავს პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციაც, რომელიც დღემდე ცდილობს მონიშნოს თავს მოხვეული კონფლიქტის უღელი და მზად არის ძველებური ცხოვრების რიტმს დაუბრუნდეს. ამ სიტყვების თქმისას არ შეგვიძლია პროფესორი ვასილ აბაევი არ გავიხსენოთ; მან ერთ-ერთმა პირველმა გაფანტა ნისლი ეფემერიული მითისა ორი ოსეთის არსებობის შესახებ:

„Главный Кавказский хребет – естественная граница между с Грузией и Осетией, и всякая попытка размыть эту границу за собой состояние перманентного конфликта между грузинами и осетинами

Надо прежде всего покончить с разговорами об отторжении Южной Осетии от Грузии. Ни одно грузинское правительство с этим никогда не согласится и будет право потому,

что это будет означать нарушение территориальной целостности Грузии.

Кто хочет мира между южными Осетинами и Грузинами, должен и навсегда отвергнуть идею присоединению южной Осетии к Северной. Кто хочет мира между Грузией и Россией, также должен оставить эту идею. Такова реальность “ /Осетинский вопрос”. Тбилиси 1994 г стр. 87-88/.

გაზეთი „შიდა ქართლი“ მთელი შემართებით ემსახურება ისეთი კულტურული ტრადიციების, ისეთი თბილი ურთიერთობის აღდგენას, როგორზედაც პროფ. სიმონ არეველაძე წერდა: „ნართებისა და დიდი კოსტა ხეთაგათის მშობელ ხალხთან ქართველთა ძმობა ისევე ნათელი და თავანკარაა, როგორც ღიახვი თავის სათავეში. ისტორიული განვითარების მდინარეც მუდამ აუმღვრეველ ნაკადად იტოტება ოსთა და ქართველთა ურთიერთობის დასაბამიდან.“

სხვათა შორის, იგივე ს. არეველაძემ საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა გაზეთ „შიდა ქართლს“. მოეუხმობთ მცირე ამონარიდს ხსენებული მასალიდან: „ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ გაზეთი „შიდა ქართლი“ აქტიურად არის ჩართული ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების პოზიტიურ პროცესებში, მოუწოდებს ორივე მხარეს შერიგებისაკენ და გამორიცხავს მათ შორის ურთიერთობის დაძაბულობის გამწვავების რაიმე შესაძლებლობას. ქართული მხარე ყოველთვის გამოირჩეოდა და ახლაც ესწრაფვის დიალოგის გზით მიაღწიოს ოსებთან ურთიერთგაგებას და სადაო პრობლემების გადაწყვეტას. „შიდა ქართლიც“ აქეთკენ წარმართავს თავის ძალისხმევას, ცდილობს დარაზმოს საზოგადოების ყველა წარმომადგენელი კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის საერთო გზების გამოჩვენებისა და ძველი ურთიერთობის აღდგენისათვის” / № 195 /.

ძველი, კეთილი ურთიერთობის აღდგენისათვის ბრძოლა კონფლიქტურ რეგიონში, მოგეხსენებათ, შესაშური საქმიანობაა, ამიტომაც დღემდე არ ზოგავენ თავს დევნილი ქურ-

ნალიტები საკუთარი კომპეტენციის, საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმუმის გამოყენებით ემსახურონ მამულს.

ჟუნალისტიკის განვითარების თვალსაზრისით გაცილებით მზიანი დარი იდგა ცხინვალში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებამდე. საყვარელ საქმეს იქ ასობით ჟურნალისტი ემსახურებოდა. ერთმანეთის გვერდიგვერდ შემართებით შრომობდნენ როგორც ქართველი, ისე ებრაელი, სომეხი და ოსი ეროვნების ჟურნალისტები და არავითარი უკმაყოფილება, არავითარი ამბიციაცა. . .

ჯერ კიდევ ყოფილი სსრკ-ს სივრცეში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გამოდიოდა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და საოლქო საბჭოს აღმასკომის ორგანო „საბჭოთა ოსეთი“. სხვათა შორის, ეს იყო პირველი და ერთადერთი ქართული პერიოდული გამოცემა ცხინვალის რეგიონში.

დიდი ფორმატის ყოველდღიური გაზეთი 13 000-იანი ტირაჟით იბეჭდებოდა და ყოფილი კავშირის თითქმის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. შესაბამისად, გაზეთ „საბჭოთა ოსეთს“ გააჩნდა საკმაოდ მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამშრომელ ჟურნალისტთა, შემოქმედ თუ ტექნიკურ მუშაკთა ფართო ქსელი.

ავადსახსენებელი ეთნოკონფლიქტის შემდეგ ქართული გაზეთის კოლექტივი ყოველივე ამის გარეშე დარჩა და ზებუნებრივი მოთმინებითა და ენთუზიაზმით შეძლო ცარიელი ხელით შიშველ ადგილზე დასახლება. დასახლდა და სულ მალე კეთლმოსურნეთა მაღალი, მასტიმულირებელი შეფასებაც სამართლიანად დაიმსახურა.

პროფ. ტიტე სარიშვილი მის შესახებ წერდა: „გზ. „შიდა ქართლი“ რესპუბლიკაში ერთ-ერთი იდეურ-მეცნიერულად გამართული, ხალხის ავკარგის მცოდნე, მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ყოველგვარ სოციალურ სიდუხჭირეთა /მიზეზების/ მამხილებელი, სამართლიანობის ნორმების დამრღვევთა წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი, ერთა შორის მეგობრობის შემდულბელია, ხალხში მეცნიერუ-

ლი ცოდნა-განათლების გამაგრცელებელია, ჭეშმარიტი სახელმწიფო იდეოლოგიისა და პროგრესული იდეების პოპულარიზატორის, პერსპექტიულ-რაციონალურ შეხედულებათა აქტიური პროპაგანდისტი და სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის თავდაუზოგავი ბრძოლის მეცნიერულ-პროპაგანდისტული მუშაობის იდეოლოგიური შტაბია.”

ქართულ-ოსური უთანხმოების დასამარება და ძველი ურთიერთობის ხელახალი შენება – აი, გაზეთ „შიდა ქართლის“ მთავარი ორიენტაცია, მოწოდება. უამრავი ბიწიერებით შებღალულ ტრაგიკულ ეპოქაში ნათელი ფერების, გარკვეულ სიახლეთა გამოძახილი – აი, ის ძირითადი შტრიხები, რის წარმოჩენასაც ვესწრაფოდით წარმოდგენილ მასალაში.

დასასრულ, კიდევ ერთი მაგალითის მოხმობა გვსურს იმ გარემოებათა სადემონსტრაციოდ, თუ რა დრამატული გახლდათ ქართველ და ოს ხალხებს შორის არსებული ურთიერთობის ნგრევა ორივე ერის პროგრესული ნაწილისათვის. იმ გარემოებათა ნიმუშად, თუ რა ძლიერია ხსენებულ ორ ერს შორის არსებული საერთო ფესვი, მაკაეშირებელი ლიტერატურულ-კულტურული ტრადიციები. ოსი მწერალი და მოაზროვნე მიხეილ ბულკათი 90-იანი წლების დასაწყისში აღშფოთებული მოუწოდებს მწერლებს, ინტელიგენციას ახლად აკვამლებული ცხინვალის გონებადაბინდული მოთარეშეების წინააღმდეგ: „არ ეიცი რა პასუხს გაეცემ ხვალ ჩემს შვილიშვილებს – ნინო და გიორგი ხაუალიებს, ან გიორგი და ალან ბულკათებს, როცა წამოიზრდებიან და მკვახედ მკითხავენ / ღმერთო, მაღალო, ნუ მაცოცხლებ იმ უმკაცრეს სამსჯავროს დღემდე/, ბაბუა, სად იყავი შენ და რას აკეთებდი, როცა ოს-ქართველები ერთმანეთს პურმარილს უგინებდნენ და მამა-პაპათა საძვალეებში ურთიერთ მკვდრებს აღარ ამარხვინებდნენ.”

ან კიდევ: „რად დაგვავიწყდა იღია ჭავჭავაძე, როგორც დიდი მედროშე ქართული ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობისა, ისეთივე დიდი თმენის ადამიანი რომ იყო სხვა

ერებთან თანაცხოვრების საკითხში? რატომ ერთხელ მაინც არ გაგვახსენდა, კოსტა ხეთაგათმა აღექსანდრე ყაზბეგის სულით დაავადების შეტყობისას ქუდით ხელში სოფელ-სოფელ რომ იარა და გაზეთ „კავკაზის“ საშუალებით მთელ კავკასიას გადასძახა, არიქათ, სანდრო მწერალს გაუჭირდა და ეუშველათო... შარშან მთაწმინდაზე ავედი, ილიას საფლავის მიწა ამოვიღე, ხელისგულზე ბურნუთის მწიკვზე ცოტა მეტი და კოსტა ხეთაგათის საფლავიდან აღებულ მიწას შევეურიე... განა ამით ვინმეს რამეს ეუმტკიცებ? არა, ორი უწმინდესი ადგილის წინაშე მინდა ყოველ ჟამს ვიყო სულით და ხორცილთ მართალი. ეს არის და ეს”.

ღიახ, ასე მძიმედ განიცადა ორივე ხალხის მოაზროვნე ნაწილმა ცხინვალის ტრაგედია. სწორედ ამ ტრაგიკული დღეების პირუთვნელი, ობიექტური მემბტიანეს მძიმე როლის შესრულება იკისრა გაზეთმა „შიდა ქართლმა“. უამრავი ტიკვილის, უამრავი ცრემლიანი მოგონების, ბევრი დევნილის მიმქრალი სიხარულის დატევა შეძლო ამ არც თუ მცირე ხნის მანძილზე ცხინვალის რეგიონის ქართულმა გაზეთმა; გაზეთმა, რომელმაც შეძლო საკუთარი გოლგოთის გზის უდრეკი ობიექტურობით გაღევა, რომელმაც საუკუნის მეხსიერებას დაადულაბა მშობლიური კუთხისათვის წამებულ შეილთა სახელები, მამულიშვილთა, საკუთარი სიცოცხლე უყოყმანოდ რომ შესწირეს მამულს ტარიგად. „შიდა ქართლმა“ დაეიწყებას გამოსტაცა ისინი ხელიდან და ამით უკვდავებას აზიარა.

ზემთ მოტანილი ამონარიდების მიხედვით, ვ. აბაევის, მ. ბულკათის და სხვათა სტატიებიდან, რომლებიც დაბეჭდილია გაზ. „შიდა ქართლის“ ფურცლებზე, მკითხველისათვის ნათელია როგორი სულისკვეთებით არის გაჟღენთილი „შიდა ქართლის“ რედაქცია და მაინც საგანგებოდ უნდა გამოიყოს რამდენიმე ასპექტი:

პირველი, გაზეთი იმსახურებს ყურადღებას იმ თვალსაზრისით, რომ მის ფურცლებზე უხვად და პერმანენტულად იბეჭდება ქართულ-ოსური მეგობრობის წარმომჩენი მასალე-

ბი. ისინი გარკვეულწილად ხელს უწყობენ ქართულ-ოსურ ურთიერთობათა მოწესრიგებას. ამ მიმართულებით საინტერესოა ნელი ჩალაურის „სინათლის კეაღდაკეაღ“ / № 210 /; იზო ტიგიევის „წინ როკის გვირაბია“ / № 209 /; ვასილ საბანაძის „სიბრძნემ უნდა იხეიშოს ცხინვალში“ / № 219 / და მრ. სხვ.

მეორე, ეს არის მხილება, მძაფრი კრიტიკა მათი, ვინც დაუნდობლად და უსამართლოდ ილაშქრებს იმ კარგი ნაკადის წინააღმდეგ, რომელიც უკვე გაჩნდა და რომელიც ერთა მეგობრობას შეუწყობს ხელს. ჩვენ ვეთანხმებით დოც. ავთანდილ ცოტნიაშვილს, რომელიც მკაცრად აკრიტიკებს ლექსის „საქართველოს ცის ქვეშ ვმღერი“ ავტორს, ოს პოეტს რევაზ ასაევს, რომელმაც / გაზ. „იუენია ოსეტია“ 1997 წ. 19 / 111 / გამოაქვეყნა პროვოკაციული ხასიათის მასალა და ქართულ მხარეს ბრალი დასდო ოსი მოსახლეობის გენოციდში / № 234 /; ასევე საყურადღებოა ამ მხრივ „საიდან სადამდეა ოსეთი“ / № 225 /; გივი ბორცვაძის „გაღმა შეედავე, გამოღმა მაინც...“ / № 237 / და ა.შ.

მესამე ასპექტი, რომელიც ჩვენ განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია, იმ სულისკვეთების გამხსნელებაში გამოიხატება, რომ ჩვენ მშობლიურ კერას დაეუბრუნდებით. ცოტა არ არის 10 წელი, შეიძლება გულიც გაუტყდეს ვინმეს, ეს კარგად იცის რედაქციამ. დაუუკვირდეთ, როგორ კარგად წერს გაზეთი ამის შესახებ: „ გეასულდგმულებს იმედი მომავლისა, მამა-პაპისეულ ნაფუძარზე დაბრუნებისა. ჩვენ აუცილებლად დაეუბრუნდებით, ოღონდ თავაწეულები და ამაყები “ / № 295 /.

სხვა მომენტებიც შეიძლებოდა წარმოგვეჩინა, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია. „შიდა ქართლი“ საკმაოდ მრავალფეროვანია თემატიკითაც და ჟანრობრივი მრავალფეროვნებითაც: ნარკვევი, სტატია, რეპორტაჟი, ინტერვიუ.

რას არ ნახავთ ხსენებული გაზეთის ფურცლებზე. სწორედ ამიტომაც, რომ იგი მკითხველის დიდი სიყვარულით

სარგებლობს. ამას ემატება კოლექტივის შრომა, რომელიც უსრუნველყოფს გაზეთის ტრქნიკურ მხარეს.

გაზეთმა „შიდა ქართლმა“ რეალური საფრთხისაგან იხსნა ცხინვალური ტკბილქართული და თანდათანობით შემოაბრუნა იგი პერიოდისაკენ, როდესაც ზეობდა ცხინვალში ქართული ენა.

„ჩან / შიდა ქართლმა“/ ვაჟკაცურად გაუძლო განგების მიერ მოწყობილ გამოცდას. მისი მკერდიდან თანდათან აორთქლდა დენთისა და კვამლის სუნი, რომ არა უკანასკნელი ნოსტალგია მშობლიური კუთხისა, ალბათ იავარდის სურნელად იშრიალებდა, მაგრამ. . . /№ 220 /.

კრებ. “ქურნალისტური ძიებანი”,
2001, №1,



**XX საუკუნის ცხინვალის სამეცნიერო
ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ**

გასული საუკუნის 50-იან წლებში ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში¹ უკვე თერთმეტი კათედრა ფუნქციონირებს და შესაბამისად იზრდება მაღალკვალიფიციურ პედაგოგთა ქსელიც. ჯერ კიდევ 1940-1941 სასწავლო წლებში ცხინვალის რეგიონის ყველა სახის საერთო-საგანმანათლებლო და წესებულებებში 28,9 ათასი მოსწავლე ირიცხება.² ბუნებრივია, ამდენი მოსწავლის პედაგოგიური კადრებით უზრუნველსაყოფად ცხინვალის ინსტიტუტს განსაკუთრებული მისია დაეკისრა.

1954 წელს ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში აღდგა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პროფ. შ. გაფრინდაშვილი.

ზოგადი ენათმეცნიერების ცალკეული, პრობლემური საკითხების ნაყოფიერ მკვლევარს პროფ. შ. გაფრინდაშვილს ერთ-ერთი ღირსეული ადგილი უკავია ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო ცხოვრებაში. გარდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეობისა ცხინვალში იგი პარალელურად მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმცოდნეობის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

მართალია ბ-ნი შოთა უფრო ცნობილია, როგორც ექსპერიმენტული ფონეტიკის მკვლევარი, რომლის ნარკვევებმაც ავტორს საერთაშორისო აღიარება მოუპოვეს, მაგრამ იგი გამორჩეული სპეციალისტი გახლდათ დაღესტნურ ენათა

¹ ცხინვალის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა 1961 წლიდან ოფიციალურ სახელწოდებად მიიღო-სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

² სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, მოკლე სტატისტიკური კრებული, ცხინვალი 1972, გვ. 102 (რუს)

დარგუული ჯგუფისა. სწორედ ამ სფეროში დაიცვა როგორც საკანდიდატო, ასევე სადოქტორო დისერტაციები. საგულისხმოა ერთი გარემოებაც, სწორედ ცხინვალის პედაგოგიკურ ინსტიტუტში წლების მანძილზე მოღვაწეობისას იკვლევდა პროფ. შ. გაფრინდაშვილი დაღესტნურ ენათა ჯგუფის დარგუულ ენას. ცხინვალში მოღვაწეობისას, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში დაიბეჭდა ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომი როგორც გახლდათ: „Образование и функции основных падежей в диалектах даргинского языка.“¹ საერთოდ, მისი ავტორობით გამოქვეყნებულ ათობით სამეცნიერო ნაშრომს შორის გამორჩეულია ვრცელი მონოგრაფია „დარგუული ენის ფონეტიკა“ და სხვა.



(ფოტოზე მარჯვნიდან მარცხნივ-პროფ. ი. მეგრელიძე, გ. სომხიშვილი, ნ. მესხრიკაძე, მ. ცოტნიაშვილი)

¹ იხ. სტალინირის (ცხინვალის) სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, III, 1956, გვ. 331-377

იმავე პერიოდში ცხინვალის სახ. პედინსტიტუტში და-
ლესტინის დიდოურ ენათა ჯგუფის დიდოურ ენას იკვლევდა
პროფ. ი. მეგრელიძე და ლაკურს პროფ. გ. ბურჭულაძე.¹

პროფ. გ. ბურჭულაძე მიუთითებს, რომ ი. მეგრელიძე
ერთი პირველი ენათმეცნიერთაგანია ჩვენში, ვინც ხელი
მოჰკიდა იბერიულ-კავკასიურ ენათა დალესტინური ჯგუფის
დიდოურ ენათა შესწავლას, თანაც ადგილობრივი...²

ცხინვალში მოღვაწეობისას დაისტამბა ცხინვალის პე-
დაგოგიური ინსტიტუტის შრომებში პროფ. ი. მეგრელიძის
არაერთი პირველხარისხოვანი შრომა: Числительные
дидойского языка³, “Из дидойской диалектологии”⁴, “Склонение в
дидойском языке”⁵, “Из истории изучения некоторых вопросов
языков дидойской группы”⁶ და ა. შ.

ასეთ ინტერესს ი. მეგრელიძეს დიდოური ენათა შეს-
წავლის მიმართ, ალბათ ნ. მარი გაუღვივებდა, ვინაიდან
ენათმეცნიერთაგან პირველი წერდა, რომ ქართველურ ენა-
თა მყარი მეცნიერული კვლევა შეუძლებელია მთის იბერი-
ულ-კავკასიური ენების ყველა მკვიდრი ენის ღრმად შესწავ-
ლის გარეშე.

აქვე აღსანიშნავია, რომ გიულდენშტედტის ცნობილი
ჩანაწერებიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე დიდოური
ენების შესახებ მეტად მწირი ცნობები იყო სამეცნიერო მი-
მოქცევაში. არნ. ჩიქობავას აზრით ი. მეგრელიძე საგ-
რძნობლად ავსებდა ამ ხარეზს.

¹ იხ. გ. ბურჭულაძე, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევა ცხინვალ-
ში, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის III (XI) სამეცნიერო სესიის
მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გორი 2002, გვ. 11-14

² იქვე

³ სტალინირის (ცხინვალის) სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომე-
ბი, II, 1955 გვ. 211-222

⁴ იქვე, გვ. 223-242

⁵ სტალინირის (ცხინვალის) სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომე-
ბი, V, 1959 გვ. 223-250

⁶ სტალინირის (ცხინვალის) სახელმწ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომე-
ბი, VII, 1959, გვ. 191-198

ი. მეგრელიძე მისი ცხინვალში პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისას გარდა დიდოურ ენათა კვლევისა ცნობილი გახლდათ, როგორც ფართო პროფილის ქართველოლოგი და საერთოდ, მისი მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები თუ სამეცნიერო შრომები აშუქებენ ქართული და ქართველური ენების, ქართული ლიტერატურის, რუსთველოლოგიის, ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, ეპიგრაფიკის პრობლემურ საკითხებს.

ხომ არ გაუდევია დიდოეთის წარმოშობის საკითხებზე მუშაობამ ბ-ნ იოსებს მშობლიური სიძველეების კვლევის სურვილი? რაც თანდათან გადაიზარდა სერიოზულ დაინტერესებაში და რამაც მოგვცა კიდევ ორი ტომი შრომისა „სიძველეები ღიახვის ხეობაში“¹.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დარგული და დიდოური ენების დასახელებულ მკვლევართა გვერდით აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა პროფ. გ. ბურჭულაძე. იგი წლების მანძილზე ნაყოფიერად იკვლევს ლაკურს და ამდენად, იმ პერიოდის ცხინვალის პედინსტიტუტი ფაქტობრივად წარმოადგენდა მთის იბერიულ-კავკასიური ენების დაღესტნურ ენათა სამეცნიერო კვლევის კერას. ასეა ახლაც, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ყოფილ პედაგოგიურ ინსტიტუტში) დაღესტნურ ენათა კვლევა კვლავაც გრძელდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროფ. გ. ბურჭულაძე ჩვენს უნივერსიტეტში უძღვება სპეცკურსს „შესავალი ქართველურ ენათა საერთო ლექსიკაში,“ რომელშიც ფაქტობრივ იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო ლექსიკებზეა საუბარი.

პროფ. გ. ბურჭულაძემ, ჩვენი თხოვნით გადმოგვცა იმ განცხადების ტექსტი, რომლითაც იგი ჯერ კიდევ ცხინვალში მიმართავდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედ-

¹ თბილისი 1984 (ნაწ. I); 1997 (ნაწ. II), უფრო ადრე, იხ. სტალინირისა და ნიქოზის სიძველეები, ცხინვალი, 1952.

რის გამგეს პროფ. შ. ქურდაძეს, შემოღებულიყო ზემოთ ხსენებული სპეცკურსი. მოვიყვანთ ამონარიდს განცხადების ტექსტიდან, რომელიც ვფიქრობთ საყურადღებოა.

„ყოველი ცივილიზებული ერისათვის ფრიად საპატიო მისიაა, იძიოს და იცოდეს საკუთარი ხალხის წარმომავლობა, ისტორია. მას კი სხვა მომიჯნავე მეცნიერებათა გვერდით ემსახურება ენათმეცნიერებაც. აქ ხდება ძიება საერთო ლექსიკური მარაგისა, მათი ურთიერთმიმართებისა... ჩართულია სათანადო მასალის ეტიმოლოგიური კვლევაც.

ძიება ქართული ენისა კავშირისა ახლო მონათესავე ენებთან (მგრულ-ჭანურთან, სვანურთან) და უფრო შორეულთანაც, მყარ მეცნიერულ საფუძველზე ნ. მარმა დააყენა. შემდეგ ეს მუშაობა წარმატებით წარმართეს დიდმა ივანე ჯავახიშვილმა და ბოლოს არნ. ჩიქობავამ და მისმა საენათმეცნიერო სკოლამ.

ქართველურ ენათა ლექსიკის კვლევის შედეგები მრავალ შტუდიებშია გაბნეული, ამიტომაც ამ საკითხებით დაინტერესებული სტუდენტი ახალგაზრდობისათვის (და არა მარტო მათთვის, ზოგჯერ სპეციალისტათათვისაც კი) მათი მიგნება არც თუ ადვილია. მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ თვალსაზრისით ქართველურ ენათა კვლევისას ჩართულია სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა სათანადო მასალაც, ზოგჯერ სხვა ენათა ოჯახისაც. გასაგებია, რომ ისეთი მასალის გათავისება სტუდენტთათვის დამოუკიდებლად ძალზე ძნელია.

აგერ უკვე ათი წელია ვიკვლევთ ამ საკითხებს. საკავშირო და რესპუბლიკურ სამეცნიერო ჟურნალებში გამოვაქვეყნეთ წერილების სერია საერთო სათაურით „იბერიულ—კავკასიურ ენათა საერთო ლექსიკიდან.“ გასაგებია, გარკვეული გამოცდილება დაგვიგროვდა, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ხასიათისა, ამიტომაც ვფიქრობთ, კარგი იქნება თუ ჩვენს ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე შემოვიღებდით სპეცკურსს „შესავალი ქართველურ ენათა საერთო ლექსიკაში“. იმასაც დაეძმენთ, რომ

ანალოგიური კურსი ჯერ-ჯერობით რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჩვენში სხვა პედაგოგიურ ინსტიტუტში არ იკითხება. არადა საჭიროა, განსაკუთრებით პედაგოგიურ ინსტიტუტში, რათა ჩვენთან აღზრდილმა სტუდენტებმა, მომავალმა მასწავლებლებმა შეძლონ, მეცნიერულად აუხსნან და დაუსაბუთონ სკოლაში თავიანთ მოსწავლეებს, თუ რატომია, რომ მეგრელ-ჭანიცა და სვანიც ისეთივე ქართველია, როგორც ჩვენ. ჩვენ ხომ ყველანი ქართველები ვართ ეროვნებით, მიაწოდონ ელემენტარული ცნობები იმის შესახებაც, თუ ვინ ვიყავით, ვინ გვენათესავება და რატომ. ამაზე ხომ ყველაზე უკეთ ენა გაგვცემს პასუხს, ენის ლექსიკური შედგენილობა („არსებობს უფრო ცოცხალი მოწმე ხალხებისა ვინემ ძელები, იარადი და საფლავები, ეს მათი ენაა“- ი. გრიმი). ამით კი ხელი შეეწყობა ჩვენი მომავალი თაობის თვითდამკვიდრებას.

ერთი სიტყვით, ამ კურსის წაკითხვა, ვფიქრობთ, სასურველია. თუ კათედრა ჩათვლის მიზანშეწონილად ამ კურსის შემოღებას უკვე მომავალი სასწავლო წლიდან და მოგვანდობს ჩვენ მის გაძღოლას, გამოწვლილივით გეგმა-კონსპექტს კათედრას დროულად წარმოვუდგენთ”.

ბუნებრივია, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ მიზანშეწონილად მიიჩნია პროფ. გ. ბურჭულაძის ნოვატორული ხასიათის წინადადება და ახლად შემოღებული სპეცკურსის გაძღოლაც მასვე დაევალა იმავე 1989 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან.

აღსანიშნავია, რომ ამ კურსს უფრო გავრცობილი სახით პროფ. გ. ბურჭულაძე ამჟამად უკითხავს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის მსმენელს.

აქვე დავსძენთ, რომ ახლახან პროფ. გ. ბურჭულაძემ დასტამბა მონოგრაფიული ხასიათის შრომა „პირის დაბოლოებათა წარმომავლობა ლაკურში“.¹ იგი ავტორის მიერ

¹ თბილისი 2002;

უწინ გამოცემული შრომების: ა) „ბრუნვათა შედგენილობისა და არსებით სახელთა ბრუნების პროცესების ძირითადი საკითხები ლაკურ ენაში“, ბ) „ლაკური ზმნა“, გ) „ზმნური სიტყვაწარმოება ლაკურ ენაში“ მეოთხე დამაგვირგინებელი ნაწილია, რომლის სამზეოზე გამოსვლითაც დასრულდა ჩამოთვლილი ოთხივე შრომის ერთობლიობაში პარმონიზაციის პროცესი. ხსენებული შრომა გვესახება დასკვნით ანალიტიკურ ძიებად იმ ფუძემდებრივი საენათმეცნიერო პარადიგმებისა, რომელთა სათავეში დგანან ეროვნული ენათმეცნიერების ისეთი კორიფენი, როგორებიც გახლდნენ პროფ. არნ. ჩიქობავა, პროფ. ვ. თოფურია, პროფ. ს.ჯანაშია და სხვა.¹

ცხინვალში არსებული საენათმეცნიერო კვლევის კერაზე საუბარი ვფიქრობთ, შეუძლებელია აკად. გ. ახვლედიანის წვლილის ხსენების გარეშე. იმავდროულად, მანვე განსაკუთრებული ამაგი დასდო ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სიღრმისეულ შესწავლას.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფ. გ. ახვლედიანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესაძირკვლე ბრწყინვალე თაობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელია. ავტორი ასობით მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომისა. ბუნებრივია, მისი შრომების დეტალურ განხილვას არ ვაპირებთ, ზოგადად კი დავსძენთ, რომ მის მიერ ორ ტომად გამოცემულმა შრომამ „რჩეული შრომები ოსური ენის შესახებ“ ახალ საფეხურზე აიყვანა ქართულ-ოსური კულტურული ურთიერთობა და მნიშვნელოვან მოვლენად მოიაზრება ლინგვისტურ მეცნიერებაში.

„უდიდესი წვლილი მიუძღვის აკად. გ. ახვლედიანს ოსურ ენის მკვლევართა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში. ამ უკანასკნელთა შორის ძნელია იპოვო ადა-

¹ უფრო დავწერილებით ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. ა. მღებრიშვილი, ენათმეცნიერების ემბაზში ნაგროვები ლაკური ზედაშე, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 2002, №12, გვ. 3-4;

მიანი, რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელი ან ოპონენტი გ. ახვლედიანი არ იყო. მათ რიცხვში ვინც გ. ახვლედიანის სკოლა გაიარა იყვნენ ჩვენი ინსტიტუტის ოსური ენის სპეციალისტებიც: ა. ბეკოევი, დ. ბეკოევი, ნ. გაბარაევი, ბ. მედოევა და სხვა.”¹

აკად. გ. ახვლედიანის მიერ, ქართულ-ოსურ კულტურულ ურთიერთობათა თვალსაზრისით შექმნილ შრომებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მისი რედაქციით გამოცემული „ოსურ ენის აკადემიური გრამატიკა“² ორ ტომად.

როგორც ცნობილია, ოსური ენა ინდოევროპულ ენათა ირანულ ჯგუფს განეკუთვნება. ქართულ-ოსური ისტორიულ-კულტურული თანაცხოვრების საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის გამო თანდათანობით გამოვლინდა ქართულ ენასთან ოსურის საინტერესო ენობრივი კონტაქტები. ამ პრობლემატიკის კვლევით დაინტერესებული იყვნენ ისეთი რანგის მეცნიერები, როგორებიც გახლდნენ: აკად. ვ. მილერი, აკად. ნ. მარი, პროფ. ვ. აბაევი, და სხვები. მათ „გვერდში ამოუდგა გ. ახვლედიანი და ამ დარგში მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო. გარდა ამისა, ჩვენს მეცნიერს, როგორც ინდოევროპეისტს, თავისთავადაც აინტერესებდა ოსური ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ლექსიკის საკითხები.”³

ასევე ჯეროვანი მნიშვნელობა ენიჭება გ. ახვლედიანის ნაშრომებს ოსური დიალექტოლოგიის დარგში, როგორც ოსური ენის ტექსტოლოგიაში. „მის სახელთან არის დაკავშირებული ოსური მწერლობის ფუძემდებლის ივანე იაღღუზიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა. გ. ახვლედიანმა პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში ჯეროვნად დააფასა იაღღუზიძის ღვაწლი და როლი ოსური ტექსტოლოგიის ისტორიაში. მან მოგვცა ვ. მილერისა და

¹ ი. გაგლოთი, ლ. ჩიბიროვი, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ცხინვალი 1982, გვ. 73 (რუს.) /თარგმანი ჩვენია/;

² ვლადიკავკაზი 1966.

³ გიორგი ახვლედიანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოგრაფია (1887-1973), თბილისი 1978, გვ. 13-14.

სხვათა მიერ გამოთქმული შეხედულებების კრიტიკა და ფაქტობრივი მასალის შესანიშნავი ანალიზის საფუძველზე წარმოაჩინა იაღლუზიძისეული ტექსტების ფუნდამენტური მნიშვნელობა ოსური ენის შესწავლის დარგში. გიორგი ახვლედიანმავე გამოაქვეყნა და შეისწავლა იაღლუზიძის ხელნაწერი (1802 წლის)¹, რომელიც უძველესია ამ ავტორის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში და დიდად საყურადღებოა მეცნიერებისათვის”.²

ამრიგად, მიგვაჩნია, რომ აკად. გ. ახვლედიანის , პროფ. არნ. ჩიქობავას, პროფ. ვ. თოფურიას, პროფ. ს. ჯანაშიას და მსგავსი რანგის მოღვაწეთა აქტიური მეცადინეობის წყალობით ცხინვალის უმაღლესი სკოლა ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებიდან წარმოადგენდა მთის იბერიულ-კავკასიური ენების დაღესტნურ ენათა საენათმეცნიერო კვლევის და ამასთან, ქართულ-ოსური კულტურული ურთიერთობების გაღრმავება-განმტკიცებისათვის აქტიურად მებრძოლ კერას.

აღმ. “კავკასიის მაცნე”, 2005, № 11,



¹ ამ ხელნაწერთან დაკავშირებით გ. ახვლედიანმა ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების 1926 წლის 8 ივნისის სხდომაზე წაიკითხა მოხსენება. უფრო დაწვრილებით იხ. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1927, ტ.7, გვ. 90-97.

² გიორგი ახვლედიანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოგრაფია (1887-1973), თბილისი 1978, გვ. 14.

**სასკოლო ცხოვრების ზოგიერთი საკითხისათვის
ცხინვალის რეგიონში**

საგულისხმოა, რომ მთის ოსი მოსახლეობის განათლების დონე მკვეთრად ჩამორჩებოდა ბარის მოსახლეობის ინტელექტუალურ განვითარებას. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოს ინტელიგენციაში ძირითადად სასულიერო და სამხედრო მოსამსახურენი მოიაზრებიან. იმ პერიოდის „საზოგადოებრივი ცხოვრების არენაზე სამოქალაქო ინტელიგენცია ჯერ კიდევ არ ჩანდა. სასულიერო ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი ხალხის წრიდან იყო გამოსული და ხალხის კეთილდღეობისათვის (ოსური დამწერლობისა და კულტურის განვითარებისათვის) იბრძოდა, მაშინ, როდესაც სამხედრო წრის ინტელიგენცია ოსი ხალხის კულტურული აღორძინების საქმისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებას იჩენდა”.¹

ეოსტორგოვის რეჟიმამდე კავკასიაში ერთობ გავრცელებულ ქართულ ენას, რომელსაც სხვა, საკუთარი დამწერლობის არმქონე ერებიც ხშირად მიმართავდნენ (განსაკუთრებით რელიგიური რიტუალების შესრულებისას), სერიოზული საფრთხე დაემუქრა. „ეოსტორგოვისა და მის თანამზრახველთა უნაშუასობა იქამდე მიდიოდა, რომ ბედავდნენ ხმამაღლა გამოეთქვათ რუსეთის იმპერიის ვერაგული განზრახვები საქართველოს მიმართ”.² აკი ამიტომ შეუნიღბავი სიძულვილით აცხადებდა ცარიზმის ერთგული მოხელე ეოსტორგოვი: „ჩვენთვის ქართველები სრულიად არ არიან საჭირონი, სამაგიეროდ დიდად საჭიროა საქართველო”.³ ეოსტორგოვის მიერ ყველა ერის ხალხთა მიმართ ხორციულებადი გარუსების პოლიტიკა ჩვეული სისასტიკით ტარდებოდა იმავე ოს მოსახლეობაში. ნებისმიერი ოსისათვის სასწავლო თუ სასაუბრო ენა უნდა ყოფილიყო რუსული. „ამის გამო აკრძალულია... ოსთათვის სწავლება ქართული ენისა.”⁴

ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით⁵ გარკვეულია, რომ მე-19 საუკუნის დამდეგიდან ოსი ეროვნების წარმომადგენლებს ბევრჯერ მიუმართავთ თხოვნით რუსეთის მთავრობისათვის, აღმოეჩინათ დახმარება სკოლების გახსნისათვის, მაგრამ ჩანს ხელმძღვანელობა აბსოლუტურ პასიურობას იჩენდა და საერთოდ არ რეაგირებდა მსგავსი შემთხვევების დროსაც, უფრო მეტიც, როგორც გ. თავზიშვილი მიუთითებს⁶ – ხშირად სკოლისა და მასწავლებლის მაგიერ ოსებს მთავრობის მიერ ბოქაულები და ყაზახთა რაზმები ეგზავნებოდათ.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ვერ მოხერხდა ხალხის შეგნებიდან სწავლა-განათლების აუცილებლობის ამოძიკვა, პირიქით, უკვე საუკუნის (XIX) უკანასკნელი ორისამი ათწლეულის მიჯნაზე მწვავედ დადგა საკითხი სკოლის დაარსების აუცილებლობის შესახებ.

ვიდრე უშუალოდ ცხინვალის განათლების პირველი კერების შესახებ ვისაუბრებდეთ, ორიოდე სიტყვით მივუთითებთ მის მიმდებარე ტერიტორიაზე ამ მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ.

„დიდი ღიახვის ხეობაში-ჯავაში, კოშკაში და როკაში ყოველგან ეკლესია და სკოლებია; ზღუბირშიაც ეკლესია არის, მაგრამ სკოლა ჯერჯერობით არ არის. ეკლესიები და სკოლები სხვა საზოგადოებაშიც ბევრგან არის, როგორადაც ედისაში“.⁷ ჩამოთვლილი და მომდევნო პერიოდის სხვა სოფლებშიც გახსნილი პირველი საეკლესიო სკოლები ძირითადად მთის მოსახლეობაში ქრისტიანული რელიგიის დანერგვა-განმტკიცებას ისახავდნენ მიზნად.

1. ტ. სარიშვილი, ოსეთის გამოჩენილ მოღვაწეთა პედაგოგიური შეხედულებანი, ცხინვალი 1968, გვ.45.

2. რ. ლიპარტელიანი, ენის ქომაგი, ჟ. „დაწყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდა“, 1990 №3, გვ. 15

3. ი. გოგებაშვილი, შევიწროება ქართულის ენისა და ქართველებისა სწავლა-განათლებისა სფეროში, თბზ. თ. IV, 1955

4. უურნ. „განათლება“, 1913, №9

5. იხ. გ. თავსიშვილის-სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, თბილისი 1948

6. გ. თავსიშვილის დასახ. შრ.

7. გაზ. „ღროება“, 1876, №128;

მიუხედავად იმისა, რომ მოხერხდა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა, ვგულისხმობთ პირველი სკოლის გახსნას ცხინვალის რეგიონში, მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა როგორმე ხელი შეეშალა ამ პროცესის შემდგომ განვითარებისათვის. ხშირად აშკარა წინააღმდეგობასაც არ ერიდებოდნენ. რა იყო ყოველივე ამის მიზეზი. პირველყოვლისა შიში, „რომ ცოდნის გზით მშრომელ გლეხობას არ შეეგნო თავისი ბედშავი ცხოვრების ნამდვილი მიზეზი“.¹

გაზ. „შრომა“ წერდა: „სამხრეთ ოსეთში, როცა მხოლოდ სამი სკოლაა, განათლება სრულიად დაცემულია... უჭვი არ უნდა იყოს, რომ 20000 მცხოვრებისათვის სამი სკოლა საკმაო არ არის“.²

დასახელებულ შრომაში პროფ. ტ. სარიშვილი გამოყოფს სოფ. მგალობლიშვილის მიერ გაზ. „ღროებაში“ გამოქვეყნებულ საინტერესო მასალას. მოგვაქვს მცირე ამონარიდი: „ამას წინათ რაღაც ჩემი საქმისათვის მივდიოდი ცხინვალისაკენ. გზაზე შემხვდა ჯავის ხეობის ოსი. მე გამოველაპარაკე. იმან დამიწყო ქართულად ლაპარაკი (საზოგადოდ ქვემო ოსეთში ოსებმა თითქმის ყველამ იცის ქართული ლაპარაკი). შემდგომ რამდენიმე ხნის ბაასისა, მე ჩამოუუგდე სკოლებზე ლაპარაკი. გადააგდ-გადმოაგდო თავი, რა-

¹ ტ. სარიშვილი, სკოლა და სახალხო განათლება რევოლუციამდელ ოსეთში, თბილისი-სტალინირი, 1958, გვ. 87.

² გაზ. „შრომა“, 1883, № 17

ღაცნაირის. თვალთ გადაშორებდა: რის შკოლები, რის სწავლა, სად ვინ გაიგონა?!...”¹

ამ შემთხვევაშიც მთავრობა ნაცად ხერხს მიმართავდა. სკოლებში მასწავლებლად აგზავნიდა ადგილობრივი ენის უცოდინარ, რუს მოხელეებს, რომლებიც ერთობ დაუდევრად ეკიდებოდნენ, ხშირ შემთხვევაში კი საერთოდ არ ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას. სამაგიეროდ ხალხს გული უცრუვდებოდა სწავლაზე და შეილები გაჰყავდათ სკოლიდან. მართალია, ზოგიერთ სოფელში მიაღწიეს მიზანს, მოსახლეობამ ეჭვის თვალთ დაუწყო ცქერა სკოლებს, განათლების სისტემას, მაგრამ საბედნიეროდ, ს. მგალობლიშვილისა და მის ღარ მოღვაწეთა მეოხებით, ცხინვალის რეგიონში განათლებისაკენ სწრაფვა ინტენსიური აღმავლობის გზას დაადგა.

რაც შეეხება ცხინვალს, როგორც განათლების კერას, ამ პერიოდში ჯერ-ჯერობით უნუგეშო მდგომარეობაა. XIX საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგს აქ სკოლა არ მოიპოვება. მოსახლეობის მხრივ მაშინდელ ცხინვალში ქართველთა გვერდით ძირითადად ქართველი ებრაელები და სომხები სახლობდნენ, რომელთა შორის “ძნელად იპოვიოთ სამშობლო ენის მცოდნეს, საზოგადოდ აქ ქართული იხმარება”²

ზემოთ ვთქვით, რომ ხსენებულ პერიოდში ცხინვალში ჯერ კიდევ არ არის სკოლა, თუმცა ეს ფაქტი ისე არ უნდა აღვიქვათ, თითქოს განათლებისაკენ სწრაფვა, ან, თუნდაც დაწყებითი ზოგადი განათლება ცხინვალელთათვის უცხო ხილი გახლდათ. ამ დროს საკმაოდ ფეხმოკიდებულია კერძო სწავლება, რის შესახებაც მაშინდელი ქართული პრესა არა ერთხელ აუწყებდა მკითხველს.

ცხინვალი - როგორც ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის მქონე სავაჭრო ცენტრი განსაკუთრებით შეძლებული ცხოვრების საშუალებას აძლევდა ებრაელ და სომეხ

¹ გაზ. „ღროება“, 1880, № 19

² გაზ. „ღროება“, 1876, № 126

მოსახლეობას. ისინი ძირითადად ვაჭრობას მისდევდნენ, ამიტომ მასწავლებლის დაქირავეების ნებას შვილების აღსაზრდელად, პირველყოელისა, ამ ადამიანების ჯიბე იძლეოდა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში „დროების“ კორესპონდენტს, როდესაც მიუთითებდა: ... „სომხებს ჰყავდათ ფასით დაჭერილი თავიანთი შვილების მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ქართულს და სომხურს კითხვას, წერასა და ანგარიშსა... აგრეთვე ურიების ხახმები სულყველა ურიების შვილებს ასწავლიან თავიანთ სჯულს, კითხვას და წერას, ქართულს მხედრულ კითხვას და წერას...¹

ცხადია ამგვარი „კეძო სწავლება“, როგორც სომხების, ისე ებრაელების ბავშვებს სასურველ განათლებას ვერ აძლევდა, მაგრამ ფაქტია, რომ მას ერთგვარი წვლილი შეჰქონდა ცხინვალის მკვიდრთა კულტურულ განვითარებაში.²

გაზეთი „დროება“ დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ცხინვალში სკოლის გახსნის საკითხს და პირველი იმედის მომცემი განცხადება 1880 წლის 24 თებერვალს გაკეთდა. დაიწყო ფულის შეგროვება ხალხში, მომავალი სკო-



¹ გაზ. „დროება“, 1867, № 42

² ტ. სარიშვილის დასახ. შრ. გვ. 97.

ლისათვის ცხინვალში.¹ ამ კეთილშობილური იდეის განხორციელებას უდიდესი ამაგი დასდო ქველმოქმედმა ეფემია მაჩაბელმა.

ეფემია მაჩაბელი (იხ. ფოტო) გახლდათ თავისი დროისათვის უაღრესად განათლებული, ქართული თეატრის მოყვარული და მოამაგე, ცხინვალის სასცენო ხელოვნების ერთ-ერთი აქტიური მესაძირკვე. დასტურად მოეხმობოთ მცირე ამონარიდს „დროებაში“ დაბეჭდილი რეცენზიიდან ცხინვალში გამართული წარმოდგენის გამო: „უშშვენიერესად უნაკლოდ და სწორედ არტისტულად აღასრულა თავისი როლი ეფემია მაჩაბლისამ“.²

მის სახელს უკავშირდება არა მარტო პირველი ორკლასიანი სკოლის³ დაარსება, არამედ ბიბლიოთეკის, ქალთათვის ე. წ. საოჯახო სკოლის⁴ გახსნა და მრ. სხე.

ანალოგიური ტიპის მისაბაძი საქმიანობით გამოირჩეოდა ქეთევან შურულიც, აქტიური საზოგადო მოღვაწე და ქართული თეატრის დიდი ქომაგი. ეწოდა უაღრესად ნაყოფიერ კულტურულ მოღვაწეობას, ყოველმხრივ მხარში უდგა ეფ. მაჩაბელს და მხნედ ინაწილებდა იმ ტვირთის სიმძიმეს, რაც ცხინვალში სკოლის გახსნას ახლდა თან.

ასე მზადდებოდა საფუძველი პირველი ცხინვალური სკოლის გახსნისათვის. როდესაც ვამბოთ პირველად სკოლის დაარსებას ცხინვალში, ვგულისხმობთ 1881 წელს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ 1875 წელს ანა ამილახვარმა ცხინვალში გახსნა სკოლა-პანსიონატი. აქ გარდა წერა-კითხვის ისწავლებოდა ღვთისმეტყველება, კულინარია

¹ იხ. გაზ. „დროება“, 1880, № 43

² რეცენზიის სრული ტექსტი იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1995, XII.

³ ე. მაჩაბლის და ქ. შურულის მიერ საქველმოქმედო წარმოდგენისა და შემოწირულობების გზით მოგროვილი თანხით სკოლისათვის ნაყიდი ეს შენობა ამ ჟამად აღარ არსებობს ცხინვალში. იგი აღებული იქნა სიძველის გამო

⁴ 1895 წელს ამ ტიპის ქალთა სკოლაში ძირითადად ისწავლებოდა ქსოვა, ქარგვა, კერვა და მისთ.

(ქალთათვის), სოფლის მეურნეობა (ვაჟთათვის) და ა. შ. შესაძლებელი იყო ცხინვალის პირველი საგანმანათლებლო კერის წიაღიც სწორედ აქ მოგვეძებნა, მაგრამ, ამ სკოლა-პანსიონატმა (იგი კერძო სასწავლებელი გახლდათ) ვერ შეძლო ღრმა კვალის დატოვება. სავარაუდოდ, გადასახადის სიძვირის გამო ბევრი ვერ ახერხებდა მასში ბავშვის მიბარებას. და აი, „დროება“ კვლავ აღტაცებით იუწყებოდა: „ცხინვალში სექტემბრიდან დაარსდა ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, რომლისთვისაც საკუთარ შენობას ამზადებდნენ“...¹ სამწუხაროდ, როგორც ჩანს, სკოლის გახსნა სექტემბერში ვერ მოხერხდა. მომდევნო წლის 22 იანვარს კი „დროებამ“ მართლაც მახარობლის როლი ითამაშა. 8 იანვარს გაიხსნა პირველი ორკლასიანი სასწავლებელი, რითაც სათავე დაედო აქტიურ სასკოლო ცხოვრებას ცხინვალსა და მის შემოგარენში.

აღმ. “კავკასიის მაცნე”, 2005, № 11, გვ.77;



¹ გაზ. „დროება“, 1880, I/VIII.

ზმალესი ბანათლების ზუსვაპი ცხინვალში

XX საუკუნის დამდეგიდან ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე თანდათანობით შესამჩნევი ხდება განათლების დონის ზრდა ისევე, როგორც მთლიანად ქვეყანაში, საქართველოს ამ კუთხეშიც დაუნდობელი ბრძოლა აქვს გამოცხადებული წერა-კითხვის უცოდინარობას. მოსახლეობაში აშკარად იგრძნობა წიგნისაკენ შემობრუნების ტენდენცია. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის გარემოება, რომ თუკი საუკუნის დამდეგს ცხინვალის რეგიონში თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობის სკოლებში ათამდე მოსწავლე ძლივს ირიცხება. ოციან წლებში სკოლათა რიცხვმა ერთ ასეულს გადააჭარბა, შესაბამისად გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობაც, ხოლო უკვე სამოცდაათიანი წლების მიწურულს ამ რეგიონის ყველა სახის 182 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ოცდაოთხი ათასზე მეტი მოსწავლეა. ბუნებრივია, სკოლათა ქსელის ასეთი ტემპით ზრდა მოითხოვდა კვალიფიციურ, ადგილობრივ პედაგოგთა კადრებს. მათი ნაკლებობა სულ უფრო და უფრო მწვავედ იგრძნობოდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ არსებობდა მოწვეულ პედაგოგთა ნაკადიც. მოწვეული მასწავლებლები ჩამოდიოდნენ ცხინვალის რეგიონის სკოლებში, ეწეოდნენ საკმარად აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას, მაგრამ, ჯერ ერთი, მათი რაოდენობა უკვე ოციანი წლების სკოლათა ქსელის პედაგოგებით უზრუნველსაყოფად ალარ იყო საკმარისი და მეორეც, მოწვეულთათვის ძალზე ჭირდა ელემენტარული საცხოვრებელი პირობების შექმნა, რაც თავისთავად, კიდევ ერთი სერიოზული პრობლემის სახეს იძენდა.

ამ სირთულეთა დაძლევისათვის ფიქრმა სულ მალე დღის წესრიგში დააყენა ისეთი დაწესებულების შექმნის აუცილებლობა, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი იქნებოდა ადგილზევე მომზადებულიყო სასურველი რაოდენობის პე-

დაგოგიური კადრი და ამასთან, ექნებოდა უზარმაზარი მნიშვნელობა რეგიონის კულტურული განვითარებისათვის.

ცხინვალის რეგიონის ინტელიგენციის მოწინავე ნაწილმა სერიოზულად დაიწყო ფიქრი პედაგოგიური ინსტიტუტის თაობაზე. სწორედ ამ საკითხს შეეხო ე. წ. სამხრეთ ოსეთის ობლონოს (საოლქო საბჭოს აღმასკომის განყოფილება) 1931 წლის 11 ოქტომბრის კოლეგიის სხდომა. სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება 1932 წლის 1 იანვრიდან ცხინვალში პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნის შესახებ. ინსტიტუტი დასაწყისში ორი განყოფილებით ივარაუდებოდა: ა) აგრო-ბიოლოგიური და ბ) ფიზიკა-მათემატიკური. იმავე კოლეგიის სხდომაზე შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი ა. თიბილოვის ხელმძღვანელობით. კომიტეტის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ: ა. ისაკოვა, ი. გასიევი და გ. გაზაევი.

ე. წ. სამხრეთ ოსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1931 წლის 28 ივლისს მიღებული დადგენილება მიზანშეწონილად თვლიდა პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნისა და მანვე ნებართვის მისაღებად აღძრა შუამდგომლობა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის წინაშე.

აღძრულ შუამდგომლობას დადებითი პასუხი მოჰყვა საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატისაგან.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომამ მოისმინა თავმჯდომარის ა. თიბილოვის მოხსენება „პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ“. გადაწყდა – პედაგოგიური პერსონალი მოეწვიათ თბილისის, მოსკოვის და სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლებიდან. იმავე სხდომაზე მიღებული შეთანხმების თანახმად მომავალი ინსტიტუტი იხსნებოდა ცხინვალში მანმადე არსებული მუშათა უნივერსიტეტის ბაზაზე. მუშათა უნივერსიტეტი ფუნქციონირებდა ორი კურსით: მოსამზადებელი და ძირითადი. ძირითადი კურსის მსმენელები

ავტორმატურად ჩაითვლებოდნენ ინსტიტუტის პირველკურსელებად და ა. შ.

საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატმა დააკმაყოფილა ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თხოვნა და 1932 წლის 13 იანვარს დაამტკიცა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის სტრუქტურა.

„На ходятайство Президиума ЦИК Фго-Осетин, Наркомпрос Грузии отреагировал положительно и на заседании коллегии от 14 января 1932 года утвердил структуру педагогического института Юго-Осетии с двумя отделениями: агро-биодогическим и физико-математическим. Открытие института преднолагалось осушетьвить 1 февраля, а если к тому времени не успеется, то 1 сентября 1932 года. Это историческое постановление, подписаннос Наркомом просвещения республики Марией Орахелашвили, ознаменовало рождение первого и единственного в историн Юго-Осетин высшего учебного заведения – педагогического института”

(Ю. Гаглойти Л. Чибиров).

1932 წლის 7 მაისს ოცდათორმეტი მსურველიდან ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის მოსამზადებელი კურსების პირველი ოცდაათი მსმენელი შეუდგა მეცადინეობას. ხუთი წლის მანძილზე იარსება ამ სამთვიანმა მოსამზადებელმა კურსმა, რომელთა მსმენელებისაგანაც ყველა სასწავლო წლის დასაწყისში კომპლექტდებიდა ძირითადად ინსტიტუტის პირველი კურსი. პირველი სასწავლო წელი ცხინვალის ინსტიტუტში დაიწყო 1932 წლის ოქტომბერში.

ცხინვალის ინსტიტუტის პირველი დირექტორი გახლდათ რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე ა. ხუბოვი, რომელმაც სულ ცოტა ხანი იმუშავა ამ თანამდებობაზე და 1932 წლის სექტემბერში იგი შეცვალა ი. გასიევმა, მაგრამ მაინც ინსტიტუტის მიერ წარმატებით გადადგმული ნაბიჯები მისი ერთ-ერთი დამაარსებლის, ცხინვალის რეგიონის ინტელიგენციის წრეში უაღრესად ავტორიტეტული და ნიჭიერი პედაგოგის ა. თიბილოვის სახელს უკავშირდება.

მას ეკუთვნის ისეთი საინტერესო სამეცნიერო შრომები, როგორებიც გახლავთ: „ოსური პუნქტუაციის შესახებ“, „ოსური ორთოგრაფიის საკითხები“, ცომაყ გადიევი“ და ა. შ. ა. თიბილოვის ინიციატივით პირველად დაიწყო ადგილებზე ფოლკლორული მასალების შეგროვება, მათი გადა-მუშავება და გამოცემა. მისი რედაქციით გამოვიდა „სამხრეთ ოსეთის ფოლკლორი“, კრებული ოსი ხალხის ზეპირ-სიტყვიერების შესახებ და სხვ.

სამწუხაროდ, ამ საინტერესო ადამიანის შინაარსინი ცხოვრება ნაადრევად შეწყდა 1937 წელს.

ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი განლაგდა კოსტა ხეთაგურის სახელობის ცხინვალის დრამატული თეატრის შენობის მეორე სართულზე, სადაც დაეთმო ორი ოთახი. ერთი მათგანი ასრულებდა აუდიტორიის ფუნქციას (მეცადინეობა მიმდინარეობდა ორ ცვლაში), ხოლო მეორე ოთახში მოთავსებული იყო ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, კანცელარია, აქვე იჯდა დირექტორი, მისი მოადგილე...

პედაგოგთა პირველი შემადგენლობა 1932 წლისათვის განისაზღვრა თოთხმეტი პედაგოგითა და ორი ასისტენტით.

1933 წლის დამდეგიდან ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა პროფ. გ. ძილიხოვი. იგი რამდენიმე წლის მანძილზე დირექტორობს ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტს, თუ არ ჩავთვლით დაახლოებით ოთხთვიან შუალედს 1935 წელს, როდესაც ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობას თბილისიდან მოწვეული ი. აბაევი ასრულებს, შემდეგ ამ თანამდებობაზე კვლავ პროფ. გ. ძილიხოვია.

1933-1934 სასწავლო წლებში ინსტიტუტში გაიხსნა ორი ახალი ფაკულტეტი – ფიზიკა-მათემატიკური (რუს. სექტორი) და ენა და ლიტერატურა (ოსურ და რუს. სექტორი) სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრა ოთხი წლით. რაც შეეხება სახელწოდებას, იგი იწოდებოდა ცხინვალის (სტალინირის) პედაგოგიურ ინსტიტუტად.

ცხინვალის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა ფაკულტეტზე სწავლის ოთხწლიანი ხანგრძლივობით სულ ოთხიოდე წე-

ლი იარსება. საქართველოს სახალხო კომისარიატის კოლეგიის გადაწყვეტილების თანახმად 1937 წლის 1 თებერვლიდან ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი გადაკეთდა ცხინვალის სამასწავლებლო ინსტიტუტად. სწავლების ხანგრძლივობა შეიზღუდა ორ წლამდე და ინსტიტუტეს დაევალა კადრების მომზადება არასრული საშუალო სკოლებისათვის.

როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოს მხოლოდ და მხოლოდ იმავე 1937-1938 სასწავლო წელს მოხერხდა გახსნილიყო ცხინვალის ინსტიტუტის ქართული სექტორი.

სამწუხაროდ, ამ პერიოდში მიმდინარე მასობრივი დაპატიმრებების შედეგად მძიმე დანაკლისი განიცადა პროფესორ-მასწავლებელთა ისედაც თხელმა ფენამ. ბევრი დისციპლინა დაწყებული და ბოლომდე წაუკითხავი დარჩა. რა თქმა უნდა ამ გარემოებამ საკუთარი ნეგატიური გავლენა იქონია სასწავლო პროცესის ხარისხზე.

როგორც აღვნიშნეთ ჩვენი ქვეყნისათვის იმ ავადსახსენებელ პერიოდში იხსნება ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული სექტორი, რომელმაც მომავალში საკმაოდ სერიოზული და შინაარსიანი გზა განვლო. მისმა მოღვაწეობამ წარუშლელი კვალი დატოვა რეგიონში ეროვნული ცნობიერების, ეროვნული ტრადიციების განმტკიცებისა და საერთოდ კულტურული დონის მკვეთრი ამაღლებისათვის ბრძოლაში. ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართულ სექტორში წლების მანძილზე ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ ქართული მეცნიერების კორიფენი, რომელთა ნაფეხურებს დღემდე სათუთად ინახავს ცხინვალის ინსტიტუტის ნაგევში კედლები.

სადღეისოდ ჩვენი მიზანი გახლდათ მოკლედ გვეჩვენებინა ის მოსამზადებელი სამუშაოები, რაც წინ უძღვოდა ჯერ ცხინვალის ინსტიტუტის, მოგვიანებით კი მისი ქართულ სექტორის დაარსებას. შემდგომ კი იმ ფესვების ჩვენება, რომელზედაც მოგვიანებით მყარად დაფუძნდება - ცხინვა-

ლის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, უფრო მოგვიანებით – ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

რაც შეეხება პედაგოგიური ინსტიტუტის ცხოვრებას 1937 წლიდან, უფრო კონკრეტულად ქართული სექტორის დაარსების დღიდან, ეს პრობლემა შემდგომი დეტალური მსჯელობის საგნად გვესახება.

გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 2005, №3 (111),



ცხინვალი – გალაკტიონის მასპინძელი

იღვა 1956 წლის ჩვეულებრივი აპრილის დილა. ქალაქ შიცი, მაგრამ განსაკუთრებით ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართულ სექტორში უჩვეულოდ ფუს-ფუსებდნენ. ხუმრობა ხომ არ იყო – გალაკტიონის ელოდნენ. გრანდიოზული შეხვედრის ორგანიზების, უამრავი სამადლობელი სიტყვის თქმის სურვილი ჰქონდათ და თავს მოვალედაც თვლიდნენ ჭეშმარიტად სახალხო პოეტის წინაშე.

როგორც დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთების „შიდა ქართლი“-სა და „ცხინვალი“-ს მთავარი რედაქტორი, ბატონი ვასილ საბანაძე იგონებს: „ქეთო ცერაძემ მე და ჩემს ამხანაგს ჯემალ რამიშვილს გვითხრა: ინიციატივა იკისრეთ და ორგანიზაცია გაუკეთეთ გალაკტიონ ტაბიძის შეხვედრას ჩვენს სკოლაშიო. ასეც გავაკეთეთ. დათქმულ დღეს მე და ჯემალი მივედით გალაკტიონის ბინაში. იგი დივანზე იყო წამოწოლილი, გველოდებოდა. წამოჯდა. ფეხსაცმლის შეკერა დაიწყო. წამოვედით და ხელგაყრილი ჩამოვიყვანეთ ქუჩაში, სადაც ჩვენი „პობედა“ იდგა“. („ცხინვალი და ცხინვალელები“. 1996 გვ.63.)

ეს იყო ბატონი ვასილის პირველი შეხვედრა საუკუნის პირველ პოეტთან, რომელიც ხელმეორედ შედგა 1956 წლის 20 აპრილს.

მართლაცდა იყო „ჭეშმარიტი პოეზიის, ჭეშმარიტი ქართული პოეზიის, ჭეშმარიტი ქართველი პოეტის დიდი შემოქმედებითი გამარჯვების საყოველთაო აღიარების ზეიმი, მაგრამ ამჯერად არა წმინდა ქართულ გარემოში, არამედ უაღრესად ინტერნაციონალურ ატმოსფეროში, რომლის განსახიერებას ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი წარმოადგენდა. ხალხით გაჭედნილ სააქტო დარბაზში მაინც, რასაკვირველია, ოსი ინტელიგენცია, ოსი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა სჭარბობდა, და, ამდენად, ეს იყო ქართველი და ოსი შემოქმედებითი ინტე-

ლიგენციის ისტორიული მეგობრობის თავისებური ჭეშმარიტი ზეიმიც". (ათოფურია . „ს.ო." 1999 №98).

გალაკტიონთან შეხვედრის მოწყობის ინიციატივა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას ეკუთვნოდა. კერძოდ, ამ საქმის ორგანიზაცია იკისრეს: მეცნიერმა და მკვლევარმა აკაკი თოფურიამ, პროფესორმა შოთა გაფრინდაშვილმა, ალექსანდრე ღლონტმა, იოსებ მეგრელიძემ, დოცენტმა ოთარ ქაჯაიამ და სხვ.

და, აი, ცხინვალელი სტუდენტის გივი თედევეის თანხლებით, ზუსტად 18 საათზე გალაკტიონი ცხინვალშია. ამ შეხვედრის თვითმხილველი და ერთ-ერთი უაშუალო ორგანიზატორი ბატონი ა. თოფურია წლების შმედევ დაწერს საინტერესო მოგონებას- „გ. ტაბიძის ერთი დღე ოსეთში". 20 აპრილის დაუვიწარი საღამოს უფრო სრულყოფილად წარმოდგენისათვის მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს ხსენებული მოგონებიდან:

„სააქტო დარბაზი ამ დროისათვის უკვე ხალხით იყო გადაჭედილი, პოეტის გამოჩენას დარბაზში უჩვეულო ტაშის გრიალით შეხვდნენ. შესავალი კარებიდან ტრიბუნისაკენ მიმავალი გალაკტიონი მოჩანდა არა მხოლოდ როგორც მხატვრული პეტური სიტყვის გოლიათი თავისი მაღალი, აზიდული შუბლით, შავი ბიბლიური წვერითა და არწივისებური, შორს მზირლი თვალებით, არამედ გოლიათი თავისი ფიზიკური აგებულებითაც, თავისი წარმოსადგევი, ლარივით გამართული მაღალი ტანით, გაშლილი მხარბეჭითა და გრძელი, ზომიერი მკლავებით. სცენის სიდრმიდან, სადაც ინსტიტუტის მაშინდელ დირექტორთან და სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად იმ წუთებში ყოფნა მომიხდა, ნათლად მოჩანდა, თუ როგორ მიუძღვოდა ძვირფას სტუმარს მკვირივი, დაბალი აღნაგობის გულითადი მასპინძელი ალექსანდრე ღლონტი, როგორ არღვევდა და ათავისუფლებდა იგი ვარდების თაიგულებით შეკრულ გზას და როგორ ამოყავდა გალაკტიონი სასოებით სცენაზე.

ტაშის ქარიშხალი დაცხრა, დარბაზი გაირინდა. პრეზიდენტის მაგიდას ორ მწკრივად მიუსხდნენ სტუმრები და მასპინძლები. მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ ინსტიტუტის დირექტორმა მოხსენებისათვის სიტყვა მისცა დიმიტრი ბენაშვილს, რომელიც გალაკტიონსა და ჩემს შუა იჯდა. მოხსენება დაახლოებით ორმოც წუთს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში მე გაფაციცებით ვადევნებდი თვალს გალაკტიონის ყოველ მანერას. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში პირველი შემთხვევა, როცა ასე ახლოს, თითქმის სულ გვერდით ვიმყოფებოდი მასთან და არ მინდოდა უსარგებლოდ ხელიდან გამეშვა ეს სანუკვარი შესაძლებლობა. იქნებ რაიმე ისეთი შტრიხი, ისეთი იდეალური მხერვა დამეჭირა, როლის აღბეჭვდა რაღაცათი მაინც ეგებ გამოდგომოდა შთამომავლობას. მაშინ ეს იყო ერთადერთი მიზანი” („ს.ო.” ა. თოფურია, 1969. №98).

ოფიციალური ნაწილის შემდეგ, შეხვედრამ საზეიმო ბანკეტის სახით გადაინაცვლა გ. კულიჯანოვის ოჯახში. გალაკტიონი მოხიბლა მასპინძელთა გულუხვობამ და წრფელმა სიყვარულმა. ნიშნად საპასუხო ღრმა პატივისცემისა პირველად გაუმხილა დამსწრეთ: „მე ასეთი გულუხვობა და ასეთი წრფელი სიყვარული არსად არ მიგრძენია. და, აი, თქვენ გაგანდობთ, ჩემო ძვირფასო ჭაბუკებო ქალიშვილებო, ჩემი დიდი ხნის დამალულ საიდუმლოს, „მე და დამის“ შექმნის საიდუმლოს”.

ეს ფაქტი ბატონმა ა.თოფურიამ დააფიქსირა „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდის“ მეორე წიგნის პირველ (გვ. 276-278), მეორე (გვ. 188-192) და მესამე (გვ.440-444) ერთობლივ გამოცემებში.

დასრულდა ბანკეტიც და, ბუნებრივია, შეხვედრა ცხინვალში იქცა ერთ საინტერესო შტრიხად დიდი გალაკტიონის პოეტური ბიოგრაფიის სრულყოფისათვის.

გაზეთი „ლიტერატურული ცხინვალი“, მაისი, 1999 წ.

ბაზეთი „შიდა ქართლი“ და ქართულ-ოსური შრთიერთობანი

მოკლე ხნის უკან, ამავე სათაურით გაზეთ „შიდა ქართლისა“ და ქართულ-ოსური ურთიერთობის შესახებ ჩვენ ეწერდით: საბჭოური ანექსიის შემდეგ, ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგს კიდევ ერთხელ შეეცადნენ სამაჩაბლოს მზიური ქართულის გადაჯიშებას. ამ პირობებში გაზეთმა „შიდა ქართლმა“ საკმაოდ ღრმა კვალი გაავლო. მისი მეშეუბით თანდათანობით გაცოცხლებას იწყებს ცხინვალის რეგიონის ისტორია. პირველი ბარიერი წარმატებით გადაილახა, გადაიდგა პირველი ურთულესი ნაბიჯები, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი ეტაპია. „შიდა ქართლი“ თანდათანობით იკრებს ძალებს და წინ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემების მთელი წყებაა გადასატრელი“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაზეთი „შიდა ქართლი“ დღემდე ერთგულად ემსახურება დაკისრებულ საპატიო მოვალეობას. შესაძლებლობის ფარგლებში დევნილი ჟურნალისტები არ ზოგავენ ძალას, იმ სანუკვარი მიზნის მისაღწევად, რომელიც შინ, მშობლიურ კერაზე დასაბრუნებლად ნიადაგის მომზადებას ითვალისწინებს.

დღეს ბევრს საუბრობენ უსაშველოდ გაგრძელებულ-გაჭიანურებულ ქართულ-ოსური მოლაპარაკებების შესახებ. იმ უშედეგო პოლიტიკური ინტრიგების შესახებ, რომლებიც ამ რეგიონის ხშირ სტუმრებად ქცეულან, რომელთა მსხვერპლიც იქიდან დევნილი ქართული მოსახლეობაა. ცხინვალის რეგიონში განვითარებული ეთნოკონფლიქტი დასაწყისიდან ათწლეულზე მეტს ითვლის და საკმაოდ ნული ტემპით, ხანგრძლივი შესვენებით მიმდინარეობს. გაზეთი „შიდა ქართლი“ ამ სფეროში მომხდარი ყოველი დადებითი და უარყოფითი ძერის შესახებ დაუყოვნებლივ რეაგირებს საკუთარ ფურცლებზე.

„შიდა ქართლი“ ძალებს არ იშურებს იმ ძველი, კეთილი ურთიერთობის აღსადგენად, რომელიც არსებობდა დღეს დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

იგი მთელი შემართებით ემსახურება ისეთი კულტურული ტრადიციების, ისეთი თბილი ურთიერთობის აღდგენას, როგორზედაც წერდა პროფესორი სიმონ არველაძე: „ნართებისა და დიდი კოსტა ხეთაგათის მშობელ ხალხთან ქართველთა ძმოება ისევე ნათელი და თავანკარაა, როგორც ღიახვი თავის სათავეში. ისტორიული განვითარების მდინარეც მუდამ აუმღვერეველ ნაკადად იტოტება ოსთა და ქართველთა ურთიერთობის დასაბამიდან“.

სხვათა შორის პროფ. ს. არველაძემ საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა გაზეთ „შიდა ქართლის“. მოვიხმობთ მიტრე ამონარიდს: „ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის რომ გაზეთი „შიდა ქართლი“ აქტიურად არის ჩართული ქართულოსური კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების პოზიტიურ პროცესებში, მოუწოდებს ორივე მხარეს შერიგებისაკენ და გამორიცხავს მათ შორის ურთიერთობის დაძაბულობის გამწვავების რაიმე შესაძლებლობას, ქართული მხარე ყოველთვის გამოირჩეოდა და ახლაც ესწრაფვის დიალოგის გზით მიაღწიოს ოსებთან ურთიერთგაგებას და სადაო პრობლემების გადაწყვეტას. „შიდა ქართლიც“ აქეთკენ წარმართავს თავის ძალისხმევას, ცდილობს დარაზმოს საზოგადოების ყველა წარმომადგენელი კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის საერთო გზების გამონახვისა და ძველი ურთიერთობის აღდგენისათვის“.

მიუხედავად იმისა, რომ „შიდა ქართლის“ შესახებ სხადასხვა დროს ბევრ კომპეტენტურ ავტორს გამოუთქვამს საკუთარი მოსაზრება, ჩვენ შემთხვევით არ შევანერეთ მკითხველის ყურადღება პროფ. სიმონ არველაძის პოზიციას. პროფესორის ის სიტყვები, რომლებიც ზემოთ გვქონდა მოხმობილი, წლების წინაა დაბეჭდილი, თუმცა, როგორც ჩანს, ბატონი სიმონი კვლავაც ძველებურად წუხს ცხინვალის რეგიონში შექმნილ ვითარებაზე. ძველებურად ადარ-

დებს ძნელადკურნებადი სენით დაავადებული ძველი ქართული მიწის გასაჭირი. ამ სიტყვის უტყუარი დასტურია ახლახანს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№39) გამოქვეყნებული იმავე ს. არველაძის საგაზეთო მასალის „ეთნოკონფლიქტების იდეოლოგიური ფონი“ ერთი ნაწილი, სადაც ავტორი მიუთითებს, რომ გაზ. „შიდა ქართლი“ „მიუდგომლად და შეუღამაზებლად გადმოგვცემს შიდა ქართლის რეგიონის მწვავე პრობლემებს, უპირატესად ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების გზებსა და ღონისძიებებს.

გულახდილად რომ ვთქვათ „შიდა ქართლი“ კრიტიკული პათოსით იმსჯელება ყოველივე იმის მიმართ, რაც აფერხებს დაძაბულობის შენელებასა და კონფლიქტის დროულად მოგვარებას“.

ვერ ვიტყვით, რომ გაზეთ „შიდა ქართლის“ ფურცლებიდან დანახული სამყარო ერთფეროვანია და მხოლოდ ცხინვალის რეგიონის ლოკალური ჩარჩოთია შეზღუდული, თუმცა აქ გამოქვეყნებული მასალების უმრავლესობის შინაარსი სწორედ ქართულ-ოსური გარდასული კეთილი ურთიერთობის გახსენება და ძველი თბილი ურთიერთობისაკენ ლტოლვა გახლავთ.

წლების მანძილზე სულ უფრო ინისლებოდა და გრძელდებოდა მშობლიური ქალაქისაკენ მიმავალი რამდენიმე კილომეტრიანი გზა დევნილებისათვის. მიუხედავად ამისა იმედი არასდროს დაუკარგავთ, მოთმინება შემოცვეთილი ადამიანები ახალი რწმენით ეგუებიან ყოველ ცისმარე დღეს. როგორც პროფ. ს. არველაძე ბრძანებს: „ამ რწმენით იმსჯელება „შიდა ქართლის“ ყოველი ნომერი და ამით იგი დიდ საქმეს აკეთებს. მის ფურცლებზე წარმოდგენილია პოზიტიური შინაარსის სტატიები, რომლებიც დადებით ემოციებს აღძრავენ და განაწყობენ ადამიანებს ერთმანეთისადმი პატივისცემისა და ურთიერთობის გრძნობით. მისასაღმებელია გამოქვეყნება ისეთი წერილებისა, რომლებიც გარდასული დროის მოვლენებს ეხება და განამტკიცებს სხვადასხვა ერის ადამიანთა შორის ურთიერთნდობას.“

გაზეთი „შიდა ქართლი“ დასაწყისიდანვე გახლავთ თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პრობლემური, ერისათვის მკტივენული თემატიკით გულდამძიმებული გაზეთი. დასაწყისიდანვე მისათითებელია, რომ პირველი ნომრიდანვე იგი იბადება არა მშობლიურ ქალაქში, არამედ ქართლის უმშვენიერეს შუაგულში, გორში, მაგრამ მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ შინდაბრუნების ღოდინით გაიღეოდა მთელი წყება უსაშველო და უმძიმესი წელიწადებისა.

ამრიგად, გაზეთი „შიდა ქართლი“ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ემსახურება ქართულ-ოსური კონფლიქტის მარეგულირებელი გზების ძიებას, ცდილობს შექმნას პოზიტიური ფონი დევნილთა შინდაბრუნების მნიშვნელოვანი პროცესის დაწყებისათვის. მას ერთობ საპასუხისმგებლო როლი არგუნა განგებამ. მისი არსებობა მნიშვნელოვან გარდამავალ ეტაპს დაემთხვა. საუკუნეთა გასაყარზე, ურთულეს პირობებში გაზეთმა „შიდა ქართლმა“ საკუთარი დამაჯერებელი სიტყვა თქვა.

გეჯერა, იგი განაგრძობს დასახული მიზნისაკენ სავალ გზას და კვლავ დაუდგება ქომავად ცხინვალურ ქართულ სიტყვას.

გაზეთი „შიდა ქართლი“, №486-487, ოქტომბერი, 2002წ.

ბიორგი ლეონიძე და ცხინვალე

გიორგი ლეონიძის ცხოვრება და შემოქმედება დღეისათვის სისხლსავსედ და სრულადაა წარმოდგენილი, ჩვენ



გვსურს ერთ ფაქტორზე გავამახვილოთ ყურადღება და დიდი პოეტი თავისი დროის ცხინვალზე შეყვარებული და ცხინვალის შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი ქომაგის ამპლუაში. წარმოგიდგინოთ

გიორგი ლეონიძის ხშირი ვიზიტები ცხინვალში სადღეისოდ უკვე კარგად ცნობილი ფაქტი გახლავთ. მას საკმაოდ ახლო

მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ოსი ეროვნების მწერლებთან. ნათქვამის დასტურად შეგვიძლია დავასახელოთ 1951 წლის 24 აპრილს საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა, სადაც გ. ლეონიძემ იკისრა შეფობა სამხრეთ ოსეთის მწერალთა განყოფილებაზე. ბუნებრივია, ამის შემდეგ არსებული მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება კიდევ უფრო გაღრმავდა.

მომდევნო 1952 წლის მაისის მიწურულს ცხინვალმა უმასპინძლა ქართული პოეზიის ორ ბუმბერაზს გალაკტიონსა და გიორგი ლეონიძეს. ამ შეხვედრის შესახებ აწ განსვენებული აკადემიკოსი ალექსანდრე ღლონტი წერდა: “ორმაცდაათიანი წლების დასაწყისში ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში ვმუშაობდი. ერთ დღეს პარტიის საოლქო კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა აკაკი იმნაძემ მთხოვა, შევხვედროდი ქართველ მწერალთა დიდ ჯგუფს, რომელიც ცხინვალს ესტუმრა ლიტერატურული სადამოს

გასამართავად. ოს მწერლებს რევაზ ასავეი მეთაურობდა, ის იყო ჩვენი მთავარი მასპინძელი. ქართველ მწერალთა ჯგუფს გალაკტიონიც ამშვენებდა. დილით გაიმართა დიდი მიტინგი კოსტა ხეთაგუროვის ძეგლთან. მახსოვს გალაკტიონი და გოგლა ძეგლს მარჯვნივ და მარცხნივ უდგნენ. იმავე დღეს ჩატარდა ლიტერატურული საღამო.”

ხსენებულმა საღამომ, როგორც ჩანს, დიდი წარმატებით ჩაიარა. მის შესახებ მასალები გამოქვეყნდა იმ პერიოდის რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესაში. ეს დღე ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობის ბრიწინვალე დადასტურებად იქცა. ქართველ ავტორიტეტულ მწერალთა ამხელა ჯგუფი ცხინვალს მანამდე არ ახსოვდა. საზეიმო ცერემონიალი საბჭოების სასახლის სხდომათა დარბაზში გაიმართა. საღამოს ესწრებოდნენ: გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე, სანდრო შანშიაშვილი, ალიო მირცხულაეა, ოთარ ჩხეიძე, დავით კასრაძე, აკაკი ბელიაშვილი, ალექსანდრე გომიაშვილი, სიკო ფაშალიშვილი, ბესარიონ უღენტი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, სიმონ წვერავა, ივანე ურჯუმელაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი და სხვ. მასპინძლის როლში მოიაზრებოდნენ ოსი მწერლები: რევაზ ასავეი, გაფეზი, გიორგი ძუგაევი, ილია ფილიევი, ივანე ცხოვრებოვი და ა. შ.

ცხინვალელი ჟურნალისტი გივი თედეევი, რომელიც განსაკუთრებული ახლო ურთიერთობით სარგებლობდა გალაკტიონთან და ორმოცდაათიან წლებში მისი ორივე ვიზიტის დროს ერთგვარი მასპინძლის როლს იზიარებდა, მომავალში საკუთარ წიგნში “ერთია გალაკტიონი” დაწერს:

“31 მაისს შუადღისას ქალაქის ქუჩებს გამოეფინენ ცხინვალელები. ბევრი ზღუდრის გვერდზე (ქალაქის შემოსასვლელში) შეეგება სტუმრებს. მოვიდნენ და მოიტანეს გულის დიდი სითბო.

ჭაბუკებს აგვისრულდა ოცნება.

ქართველ მწერალთა ასეთი დიდი ჯგუფი არც მანამდე და არც შემდგომ არ ყოფილა ცხინვალში.



ხალხი სიყვარულით შესცქეროდა, ეცნობოდა. მაგრამ განსაკუთრებით გარს ერტყმოდნენ და დიდ პატივში ჰყავდათ გალაკტიონი და ლეონიძე.

მოსაწვევი ბარათის შოვნა ძალზე გაჭირდა, მაგრამ ბიჭები მაინც შევიპარეთ. დარბაზი მორთულია ლოზუნგებით, პორტრეტებით, უამრავ ვარდ-ყვავილებს დაუფარავს გრძელი მაგიდა, რომელსაც უსხედან ქართველი და ოსი პოეტები...”

მოხსენებას ქართული მწერლობის განვითარების შესახებ კითხულობს სიმონ წვერავა.

იმავე საღამოს ახალგაზრდა პოეტმა, შემდგომში, “ვეფხისტყაოსნის” ოსურ ენაზე მთარგმნელმა გიორგი ბესთაუთიმ და მიხეილ ნართიხთიმ ლექსები უძღვნეს გიორგი ლეონიძეს და იოსებ გრიშაშვილს.

საგულისხმოა, რომ ხსენებული შეხვედრიდან ოთხიოდე წლის შემდეგ დიდი გალაკტიონი 1956 წლის 20 აპრილს პროფესორ დიმიტრი ბენაშვილთან ერთად კვლავ ესტუმრა ცხინვალს, სადაც ბატონმა დიმიტრიმ ღრმა შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა.

გიორგი ლეონიძის შემოქმედებით ყოველთვის დაინტერესებული იყო ოსი მკითხველი. მისი თხზულებების თარგმნა კი საპატიო მოვალეობა გახლდათ ოსი ეროვნების ყოველი მწერლისა და მკითხველისათვის. ეს ფაქტი სათანადოდ იქნა გაცნობიერებული ოსური ინტელიგენციის მხრიდან. აკი ამიტომაც დაულალავად თარგმნიდნენ პოეტები: გიორგი ბესთაუთი, რევაზ ასაევი, გაფეზი, ნაფი ჯუსოითი და სხვები გიორგი ლეონიძის ლექსებს, პოემებს. აღსანიშნავია კაკაზაგის მიერ თარგმნილი და ვლადიკავკაზში გამოქვეყნებული გ. ლეონიძის “სტალინი. ბავშობა და ყრმობა”

როდესაც გიორგი ლეონიძის ცხნივალთან ურთიერთობაზე გვიხდება საუბარი, ვფიქობთ, გაუმართლებელია ზოგადი შტრიხით მაინც არ შევეხოთ ჩვენი რეგიონის მკვიდრის, აწ განსვენებული დოცენტის ავთანდილ ცოტნიაშვილის შრომას ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთო-

ბის შესახებ, რომელშიც საკმაო ადგილი აქვს დათმობილი გიორგი ლეონიძისა და ოსი მწერლების ურთიერთკეთილგანწყობის დამადასტურებელ სათანადო მასალებს.

როგორც ცნობილია, 1959 წლის დეკემბერში, მადლიერმა შთამომავლობამ ართოდ აღნიშნა ღირსეული შეიღის, გიორგი ლეონიძის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღნილი იუბილე. მომდევნო თვეს (1960 წლის იანვარში) პოეტი ესტუმრა ცხინვალს. ცხინვალის სახელმწიფო თეატრში გამართული საიუბილეო საღამო ქართველი და ოსი ხალხების მეგობრული კეთილგანწყობის კიდევ ერთი სანიმუშო მაგალითი გახლდათ.

აკი ამიტომაც ამბობდა გიორგი: “უხსოვარი დროიდან ჩვენ და ოსები ერთად ვუმკლავდებოდით მონღოლთა ნიაღვარს, თურქთა და ირანელთა ლაშქრობებს, თვით შაჰ-აბასის წინააღმდეგ ერთად იბრძოდნენ ქართველი და ოსი მხედრები.”

რადღუნ დასანანია, რომ დღეს გიორგი ლეონიძის ნაფერები ცხინვალი ქართულ სიტყვას დანატრებულა. აღარც ის მეგობრობის ნაკოწიწები ხიდი მოჩანს ჰორიზონტზე, რომელსაც ასე უმღეროდა, ელოლიავებოდა ქართველი კაცი, ცივ ნიავს არ აკარებდა, საძირკველს უმაგრებდა, თუმცა...

ეფიქრობთ, დაპირისპირებულ მხარეებს ეყოფათ კეთილგონიერება და სულ მალე აღსდგება ძველი, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება.

ჟურნ. „ქართლი“, №1, გორი 1999წ.



მარაბლიანთ ღირსეული სტუმრები

ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე მიზნად ისახავდა კავკასიის ხალხებს შორის ახლო ურთიერთობის დამყარებას. ოსებთან მის დაახლოებაში გარკვეული როლი შეასრულა მისმა სტუმრობამ თამარაშენში. როგორც ჩვენი ხეობის მკვიდრი ელისო მაჩაბელი იგონებს: „ილია, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა იმდროინდელი ქართული კულტურის მოღვაწეებთან, საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული თეატრის აღდგენისა და განვითარების საქმეში...”

დიდი ოვაციებით შეხვდა თამარაშენის მოსახლეობა დიდი ილიას სტუმრობას. ხალხის გულწრფელი სიხარულითა და ბუნების უზადო სინატიფით მოჯადოებული ილია გადაეხვია ზაალ მაჩაბელს და აღმოხდა: ეს ბუნება უნიჭოს ნიჭს შესძენს და უხმოს აამღერებსო.

ამ მოგზაურობის პერიოდში ილია ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამოორჩენია ოსების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. სწორედ ამის დასტურია მის მიერვე გამოქვეყნებული ვრცელი პოლიტიკურ-ეკონომიკური ნარკვევი „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიკური მიზეზები“. სადაც იგი ეძებს მთის ოსი მოსახლეობის დუხჭირი, ჩამორჩენილი მდგომარეობის მიზეზებს.

ოსი მკითხველი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებისადმი. ოსი მწერლები თარგმნიდნენ დიდი შემოქმედის ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს. სოსლან გაზაევა („გლახის ნაამბობი“, მგზაურის წერილეები“), მიხ. ნართიკოევა („აჩრდილი“, ლექსები), გიორგი ბესთაუთიმ („დედა და შვილი“, „განდევილი“), ნაფი ჯუსოითიმ („კაკო ყაჩაღი“), დიმ. მამიევა („ნიკოლოზ გოსტასაბიშივილი“), გ. ძუგაევა („ოთარაანთ ქერივი“), რ. ფლიევა, გა-

ფეხმა და სხეებმა კიდევ მრავალი ნაწარმოები გააცნეს ოს ხალხს.

იჭავჭავაძის გენიალურ ქმნილებათა სცენაზე წარმოსახვის ტრადიცია ჩვენში შ. დადიანის პიესით „ჩატეხილი ხიდი“, ხოლო მოგვიანებით მ. ბერძენიშვილის „ოთარაანთ ქერივით“ დამკვიდრდა. სწორედ ამ უკანასკნელმა დააინტერესა ყოფილი სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ოსური დასი და ცნობილი რეჟისორის, გ. კაბისოვის ხელმძღვანელობით დაიდგა დიდებული სპექტაკლი.

აღსანიშნავია, რომ დასმა შეძლო (რა თქმა უნდა, ქართულ დასთან ერთად), სრულყოფილი სპექტაკლების შექმნა და ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელმწიფო თეატრი არც თუ ურიგოდ უძღვებოდა ამ საშვილიშვილო საქმეს.

როგორც ცნობილია, ქართული პერიოდიკა ყოველთვის დაინტერესებული იყო დიდი ილიას შემოქმედების უფრო ღრმად და ფართოდ გაშუქებით, ამჯერად ჩვენი ყურადღების ცენტრშია ცხინვალში გამომავალი ერთადერთი ქართული გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, რომლის 30-იანი წლების ნომრები ამ მხრივ საინტერესო სტატიათა სიუხვით გამოირჩევა.

1937 წელს შესრულდა 100 წელი დიდი ილიას დაბადებიდან და 30 წელი მისი ტრაგიკული დაღუპვიდან.

24 მაისის ნომერში ვკითხულობთ: „ებრაელთა სკოლა მომზადებული ხვდება ილიას იუბილეს. ვამზადებთ გამოსაშვებად სპეციალურ ჟურნალს, სადაც მოთავსებული იქნება ილიას პორტრეტები, ილიას ცხოვრება და მოღვაწეობა, მოსწავლეების მიერ მიძღვნილი ლექსები, გამოუშვებთ სპეციალურ კედლის გაზეთს. ძირითად მოხსენებასთან ერთად, მოსწავლეები ამზადებენ თემებს: „ილიას დამოკიდებულება გლეხობასთან“, „ილიას ახლად აღმოჩენილი ნაწერები“, „ილია და მეფის ცენზურა“, „ილიას დამოკიდებულება მწერლობასთან“.

გაზეთის ამავ ენომერში იბეჭდება კიდევ ერთი საყურადღებო მასალა: „ილია ჭავჭავაძე“ (ილიას ლიტერატურული მოღვაწეობა), წერილის ავტორის, ეკ. თედიაშვილის აზრით, მე-19 საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ი. ჭავჭავაძე ცენტრალური ფიგურაა. მისი მწერლობის მანერა მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და თვალწარმტაცია, რის შემდეგაც ილიას შეგვიძლია ვუწოდოთ პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი.

30 მაისის გაზეთის ფურცლებზე გამოჩნდა გიორგი ნატროშვილის წერილი სათაურით: „ილია ჭავჭავაძე-უკვდავი მწერალია“. სტატიაში ძირითადად ილიას ბიოგრაფიული ცნობებია მოცემული. აქვეა ავტორისეული მოკლე მიმოხილვა „კაცია ადამიანის“, „გლახის ნაამბობის“, „კაკო ყაჩაღის“. დასასრულ ავტორი მწუხარებით დასძენს, რომ 1907 წელს დატრიალებული ტრაგედია ქართველი ხალხის მოძულეთა ნახელავია.

მასალების უფროდ ღრმად გაცნობის შედეგად ფარდა ეხდება კიდევ ერთ საყურადღებო ცნობას დიდი ილიას საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით. ვნახოთ „საქართველოს მწერალთა ბრიგადა სამხრეთ ოსეთში“.

როგორც ჩანს, 1937 წლის 17 მაისს ყოფ.სამხრეთ ოსეთში ჩამოვიდა საქართველოს მწერალთა ბრიგადა მწერალ შალვა აფხაიძისა და ვარლამ ჟურულის შემადგენლობით. ამავ საღამოს შეიკრიბა ქ.სტალინირის (ცხინვალი) პარტკომკავშირული აქტივი, პედაგოგიური პერსონალი და მოსწავლე ახალგაზრდობა ქართველი ხალხის დიდი მწერლის დაბადებიდან 100 წლისათვის იუბილეს აღსანიშნავად. ილიას შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა პოეტი, ლიტერატურათმცოდნე, „ცისფერყანელთა“ ლიტერატურული ჯგუფის აქტიური წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის დირექტორი, საქ. მწერალთა კავშირის მთავარი კონსულტანტი შ. აფხაიძე, მის მოხსენებასთან დაკავშირებით აზრი გამოთქევს: თუთარაშვილმა, გოზალიშვილმა, ეკ. თედიაშვილმა

და გიორგაძემ. „ფუნტურისტ-ლეველთა“ ჯგუფის წევრმა, ხოლო შერდგომში პროლეტარულ მწერლობას დაახლოებულმა პოეტმა ვარლამ ჟურულმა წაიკითხა ილიას ლექსები.

18 მაისს (1937) ანალოგიური სადამო ჩატარდა სოფ.ერედეთში.

ილიაზე საუბარი ბრძენი აკაკის სიტყვებით გესურს დავასრულოთ: „თუ საქართველოს სიკედილი არ უწერია, მაშინ მასთან ერთად შენც უკვდავი იქნები...“

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს იმ ახლო მეგობრულ ურთიერთობაზე, რომელიც აკავშირებდა ერთმანეთთან თვით აკაკი წერეთელსა და ლიახვისპირელ ვანო მაჩაბელს. მათ შორის მეგობრობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა აკაკის თამარაშენში პირველი სტუმრობის შემდეგ.

„თამარაშენისაკენ მარტო აკაკი და ვანო გაემგზავრნენ. რაც უფრო ქართლის სიღრმეში შედიოდნენ, აკაკი მით უფრო მოხიბლული რჩებოდა: წარმოიდგინე, ჩვენს იმერეთს არაფრით ჩამოუვარდებაო, ამბობდა“ (გ. ჭელიძე)

აკაკი განსაკუთრებით თამარაშენის მიდამოებს მოუხიბლავს და ამის შემდეგ იგი ხშირად სტუმრობდა ხოლმე ივანე მაჩაბელს თამარაშენში.

გაზ. „საბჭოთა ოსეთში“ 1940 წელს დაბეჭდილია ლიტ. წერილი „აკაკი წერეთლის იუბილესათვის“, სადაც საუბარია თუ, როგორ ემზადება სტალინირის №1 საშუალო სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობა და პედაგოგ-სონალი ქართველი ხალხის დიდი მგოსნის აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილესათვის.

„სკოლაში, საიბუღიეო დღეებში გამოვა ლიტერატურული ჟურნალი, სადაც მოთავსებული იქნება, როგორც აკაკი წერეთლის ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, ასევე მოსწავლეების: შ. ყორანაშვილის, მ. კარაპეტოვისა და სხვათა ლექსები მიძღვნილი აკაკისადმი“.

„სტატიკაში მითითებულია, რომ იუბილესათვის მზად არის სკოლაში ჩამოყალიბებული დრამწრე, აკაკის ლექსებ-

ზე შექმნილი ხალხური სიმღერების საუკეთესო შემსრულე-ბელთა გუნდი და სხე.

საიუბილეო წინამოსამზადებელ სამუშაოებს ხელ-მძღვანელობს ამავე სკოლის დირექტორი ვახტანგ კასრაძე, რომელიც ყოველგვარ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევს წრეებს.

ამავე ნომერში მოთავსებულია სულიკო ბურნაძის მცირე მასალა, რომელიც აკაკის ეძღვნება: „ქართველი მგოსანი-აკაკი, წაიკითხავს ლექსს-მოგესმით, როგორც კი დატ-რიალდება ფირფიტა. არ შეიძლება ტანში ჟრუანტელმა არ დაგიაროთ, როდესაც გესმით მოხუცი მგოსნის ძაბუნი ხმა. უსმენთ და გგონიათ,- საფლავიდან გეხმაურებათ მისი გამ-შრალი ძელები. და აი, თუ გქონიათ ოდესმე ცნობისმოყვა-რეობის აღტკინება, თუ გიგრძენიათ ოდესმე ქართველთა გულის მესაიდუმლის სიყვარულის მოძალება და გინატრი-ათ, ნეტამც მოვსწრებოდით, -ერთგვარ აღფრთოვანებას და შემდეგ კმაყოფილებას იგრძნობთ, როდესაც ისმენთ მის მთრთოლვარე ხმას. ძნელია ამ გრძნობების გადმოცემა, რო-მელსაც განიცდის ქართული პოეზიისა და კერძოდ აკაკის თაყვანისმცემელი ამ დროს“.

დასასრულ, სბურნაძე დასძენს, რომ მიმდინარე (1940) წლის 22 ივნისს მესამედ იდღესასწაულებს ქართვე-ლი ხალხი საყვარელი მგოსნის იუბილეს, რომ აკაკის და-ბადებიდან 100 წლისთავი აღინიშნება უმაგალითო გრანდი-ოზულობით.

მასალებს ქართველი პოეტის შესახებ აგვირგვინებს ლექსები, რომლებიც აკაკის მიუძღვნეს დ. ბუგიანიშვილმა („აკაკის“) ა. მამისთვალაოვმა („მგოსნის სურათთან“) და ა.შ

გაზ. „საბჭოთა ოსეთს“ მხედველობიდან არ რჩება სხვა ხალხთა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხები, ამჯერად ჩვენი ყურადღების ცენტრშია დიდი უკრაინელი კობზარის ტარას შევჩენკოს დაბადებიდან 125-ე წლისთავი-სადმი მიძღვნილი წერილი. „ტარას შევჩენკო“. მასში ნათ-ქვამია, რომ საიუბილეო კომიტეტი უდიდეს მუშაობას აწარ-

მოებს ამ მეტად ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად. იქვე წერილის ავტორი პროფ. შ. გოზალიშვილი დასძენს, რომ პოეტის ლექსთა კრებული „კობზარი“, „გაიდამაკი“, „ჰამაიკა“, ცალკეული ლექსები, „ანდერძი“, „კაეკასიონი“ და სხვები წარმოადგენენ უძვირფასეს მხატვრულ საგანძურს.

სამწუხაროდ, ეს არის სულ, რისი ამოკითხვაც სტატიაში შეიძლება. ჩვენ კი ჩვენის მხრით დავძენთ, რომ ტარას შევჩენკოს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ამ პერიოდის საქართველოს პროგრესულ ინტელიგენციასთან. კერძოდ: „არც ერთი ქართველი და უკრაინელი პოეტის სახელი ისე მჭიდროდ არ დაკავშირებია ერთი-მეორეს, როგორც აკაკი წერეთლისა და ტარას შევჩენკოსი. მეცხრამეტე საუკუნის ეს ორი დიდი შემოქმედი, ერის „უგვირგვინო მეფენი“, როგორც მათ უწოდებენ, ცხორებამ გზაჯვარედინზე შეახვედრა.

ტარას შევჩენკოსა და აკაკი წერეთლის შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე ერის წარმომადგენელთათვის. ეს შეხვედრა არ იყო მომენტური ხასიათისა. აკაკი წერეთელს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა ცხოველი გრძნობა გენიალურ შემოქმედთან საუბრისა, ხოლო ტ. შევჩენკოსათვის ბევრ რამეს აეხადა ფარდა” (ოთ. ბაქანიძე).

ცხინვალის ერთადერთი ქართული გაზეთი, რომელიც ცნობილი მიზეზების გამო, სამწუხაროდ, აღარ არსებობს, ზემოთ მოხმობილ თემებს მომდევნო წლებშიც სათანადოდ აშუქებდა.

ეურნ. „ცისკარი“, №8, 1999წ.



გაზეთ „შიდა ქართლს“ ჩვენ არაერთხელ შევხებივართ. არაერთხელ დავინტერესებულვართ მისი წარსულით, გამოგვითქვამს მოსაზრება მისივე დაბინდული აწყმომ დროის გამო და ინტერესით გაგვიდევნებია თვალი დევნილი გაზეთის სამომავლო პერსპექტივებისათვის.

ამჯერად, გადავწყვიტეთ კვლავ გაზეთ „შიდა ქართლის“ შესახებ გავესაუბროთ მკითხველს, თუმცა, ვფიქრობთ დღევანდელი თემატიკა წინამორბედთაგან ერთობ განსხვავებულია. სადღეისოდ რამდენიმე ზოგადი შტრიხით შევეცდებით „შიდა ქართლი“ ქართულ-ოსური სულიერი ხიდის ერთ-ერთი აქტიური განმაახლებლისა და დაპირისპირებულ მხარეებს შორის ნდობის აღდგენის პროცესის სერიოზული სტიმულატორის ამპლუაში წარმოვადგინოთ.

აქვე დავძენთ, რომ შორს ვართ იმ მოსაზრებისგან, გაგვანდეს პრეტენზია აღებული საკითხის ამომწურავად განხილვისა, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტის ზოგადი კონტურების ჩვენებით შემოვიფარგლებით. უფრო პრობლემური, მნიშვნელოვანი დეტალების წინა პლანზე წამოწევით საზოგადოებას შეეახსენებთ გაზეთ „შიდა ქართლის“ საარსებო მნიშვნელობის იმ ძირითად მისიას ქართულ-ოსური დაძაბული ურთიერთობის აღდგენისათვის ხელშეწყობაში და დაკარგული ნდობის მარცვლის ხელახალ გადვივებაში რომ გამოიხატება.

უკანასკნელ ხანს ხელისუფლების მხრიდან თვალშისაცემია გააქტიურება ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტური კერების აღმოფხვრის მიმართულებით. ეს გააქტიურება ბუნებრივად აისახა გაზეთ „შიდა ქართლზეც“. ამის მიუხედავად, როგორც უკვე ვთქვით, სადღეისოდ მხოლოდ რამდენიმე ზოგად ფაქტს მოვიხმობთ, ძირითადად უკანასკნელი თვის მანძილზე გაზეთ „შიდა ქართლში“ გამოქვეყნებულ მასალებს დაეჯერდებით, რომელთა

სამზეოზე გამოტანა კიდევ ერთხელ ნათელს გახდის იმ გარემოებას, რომ „შიდა ქართლი“ ქართველ ოს ხალხებს შორის ურთიერთნდობის აღდგენის ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი გახლავთ. იგია სწორედ ერთ-ერთი სერიოზული დასაყრდენი ოს ხალხთან ძველი, კეთილი ურთიერთობების აღდგენის არაერთგზის მცდელობისა.

სათანადოდ გამომეხმაურა გაზეთი „შიდა ქართლი“ მიმდინარე წლის იულისის დამდეგს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართულ დენილთა თაყვრილობას, საგულისხმოა, რომ ფორუმს საქართველოს პრეზიდენტი და სხვა მაღალი რანგის ჩინოვნიკებიც დაესწრნენ. ჟურნალისტი ლ. ჭილაძე ამ ღონისძიების შესახებ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წერდა: „სწორედ ამ ისტორიული დღის აღსანიშნავად ფორუმზე შეიკრიბნენ ცხინვალის რეგიონის მცხოვრებნი, ბადრი ხატიძესთან ერთად პრეზიდენტის რწმუნებულმა ქართლოსური კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში ვახტანგ რჩელიშვილმა და საინიციატივო ჯგუფმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ყრილობა საქმიანად გამართულიყო. სპეციალურად განკუთვნილი ავტობუსებით ორგანიზებულად ჩამოიყვანეს ხალხი დიდი და პატარა ღიახვის ხეობებიდან, გორიდან, ხაშურდან, ქარელიდან, ახალგორიდან, მდინარე ფრონეს ხეობიდან-წულიდან, აენვეიდან... ჩამოვიდნენ ცხინვალელი ოსებიც...“ (გაზ. „შიდა ქართლი“, №525-526, გვ. 2)

მიუხედავად იმისა, რომ ნდობის აღდგენის წლად წლევეანდელი წელი გამოცხადდა „შიდა ქართლი“ დაარსების დღიდან ამ პრობლემის თუნდაც მცირე ნაწილის დაძლევას ცდილობს. ზოგიერთი მიმართულებით გარკვეული შედეგებიც მოიპოვა და საერთოდ ამდგვარი შინაარსის მასალათა სიუხვით გამოირჩევა. ბუნებრივია, გაზეთი აღებული კურსის ერთგულია, კვლავ და კვლავ ნდობის აღდგენის მუხტითაა გაჯერებული გაზეთ „შიდა ქართლის“ სხვადასხვა ნომრებში გაბნეული ისეთი საგაზეთო მასალები,

როგორებიცაა: „ნდობა და მშვიდობა იყოს“, „პრეზიდენტის რადიონტერვიუდან“, „ყველაზე რთული სულიერი ხიდების აშენებაა თურმე“... „მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი“, „ერთად გაეაგრძელოთ თანაარსებობა“, „მუზეუმის დირექტორი“, „ჩიტმა თავის ბუდე იცის“ და ა.შ.

ახლახანს ერთ-ერთ რადიონტერვიუში საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებდა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის უმწვავესი ფაზა დაძლევის სტადიაშია, მაგრამ, მიუხედავად ამისა ამ რეგიონში ძალზე მწვავეა ლტოლვილთა პრობლემა. კვლავ მოგვიწევს ალბათ საკუთარ თავში იმ დამატებითი რესურსების მოძიება, რომელთა დახმარების გზითაც მივაღწევთ ეთნობარიერის საბოლოო დაძლევამდე.

საინტერესოდ და სამართლიანად მსჯელობს ჟურნალისტი თამარ ფარეხელაშვილი: „ამ კუთხის ტრაგედიის სრული აღქმა ალბათ ძნელია მათთვის, ვისაც აქ არ უცხოვრია, ფეხი არასოდეს დაუდგავს, სამწუხაროდ ასეც ხდება, რომ სამაჩაბლოს პრობლემათა მოგეარების მართვის ბერკეტები სწორედ ასეთთა ხელში მოხვედრილა და, რა თქმა უნდა, ვერ გაუთავისებიათ მათი ტკივილი. დიახ, სამაჩაბლო დღეს შეეკლას ითხოვს, უმოწყალოდ ნადგურდება მისი უმშვენიერესი კულტურისა და ხელოვნების ძეგლები, ბევრ ქართულ ძეგლებს ქართულ წარწერებს უშლიან და სხვანი ითვისებენ...“

მიუხედავად იმ დუხჭირი ყოფის, რის გადატანაც ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას და მის კვალდაკვალ გაზეთ „შიდა ქართლს“ მოუხდა, არასოდეს მის ფურცლებზე ოსი ხალხის მოწინავე ნაწილის მისამართით აგრესიას, ზიზღსა და მტრობას არ დაუსადგურებია. პირიქით, იქ დღემდე უამრავი ამდაგვარი პოზიციის ამოკითხვა შეიძლება:

„ღმერთსა ეთხოვ მშვიდობა იყოს, მალე აღდგეს ნდობა და სიყვარული, სიყვარული ქართველებსა და ოსებს შორის“ („შ. ქ“. №525-526, გვ.6)

„აქტიური მონაწილეობის მიღება 2003 წლის ნდობის აღდგენის წლის აღსანიშნავად წარმართულ ღონისძიებაში.“ (იქვე გვ.1)

„მიუხედავად არეულობისა, მრავალი გაუგებრობისა, დრო გვინვენებს, რომ ქართველებსა და ოსებს უერთმანეთოდ არ შეგვიძლია ცხოვრება. გავანებოთ თავი სისულელეებს, უაზრო ფიქრებს და ერთად დავბეროთ ტკბილი სული ჩვენს მიწაწყალს“ („შ. ქ.“ №523-524, გვ.1).

„აღბათ მალე სრულიად მოწესრიგდება კონფლიქტი, მოხდება ურთიერთგაგება და ეს ორი ისტორიულად მონათესავე და მეგობარი ერი კვლავ მშვიდობიანად იცხოვრებს“ („შ. ქ.“ №521-522, გვ.1) და მრ.სხვ.

გაზეთის პოზიციაზე საუბარი ბუნებრივად მასში დასაქმებული ჟურნალისტების პოზიციას გულისხმობს. „შიდა ქართლის“ კოლექტივი კი მთ. რედაქტორის ვასილ საბანაძის ხელმძღვანელობით ზემოთ ნაჩვენები კურსის აქტიური მხარდამჭერი და გამტარებელი გახლავთ მშობლიური ქალაქის იძულებით დატოვების პირველი დღიდან. ასეთი კეთილშობილური ქმედება, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენილა და აკი ამიტომაც ბრძანებდა მწერალი გიორგი ხორგუაშვილი: „ძალიან მომწონს ვასილ საბანაძის მრწამსი, რომ არ გაუღო ბოროტებას კარი. მიუხედავად თავსდატეხილი უამრავი ტრაგედიებისა უარყო დევიზი „სისხლი სისხლისა წილ“ და აეკაცობას მშვიდობის, მიმტევებლობის, სიკეთის ხატებით დაუპირისპირდა... მე დღევანდელი პრესის ყველა სახეობას ვაველებ თვალს და გაზეთ „შიდა ქართლს“ თავის მრავალფეროვნებით და აქტუალობით ერთ-ერთი ღირსეული ადგილი უკავია ჩემს ცნობიერებაში. მინდა დიდი მადლობა მოგიძღვნათ თქვენ, ბატონ ვასილ საბანაძეს და გისურვოთ, რომ ყოველთვის, ყოველთვის გემუშაოთ ასეთი ღირსეული შემართებით. სამაჩაბლოს ქართულ მრევლს სიკეთე, კეთილშობილება და მიმტევებლობა გადაარჩენს“... („შ.ქ.“ №517-518, გვ. 7).

არ ვიცით რამდენად სჭირდება ცხინვალიდან დევნილ ქართულ ნაწილს კიდევ უფრო მეტი სიკეთე, კეთილშობილება და მიმტევებლობა, მაგრამ დანამდვილებით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ თითოეულ ამ კომპონენტთა მცირეოდენი წილი არც დაპირისპირებულ ბანაკს დაემადლეოდა. ის კი არა და დიდად შეუწყობდა ხელს ძველი, თბილი ურთიერთობების ხელახალ შენებას.

დღეს, როდესაც ქართულ-ოსური დაძაბული ურთიერთობის მოსაგვარებლად ათასგვარი ფორმალურად არსებული კომისია თუ საზოგადოება ირჯება, მუშაობენ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, სულ უფრო და უფრო ნაკლებია ინტერესი რატომ აღარ დაადგა საშველი ამ ორ ხალხს შორის ურთიერთობის მოგვარებას. პასუხი საგრძნობლად გამარტივდებოდა სულ ცოტა ხნით გვერდით რომ გადაგვედო კერძო ინტერესები, მოგვემარჯვებინა მაღალი ზნეობა, ადამიანურობა და საბოლოოდ მიგვეღწია მიზნამდე... საოცარი სიზუსტით გაგვცემდა პასუხს დიდი ილია: „ადამიანობა თუ აღარ იქნება, იქ აღარც ურთიერთობაა, აღარც ძმობა და სიყვარულია, აღარც გულმტკივნეულობაა, ერთი სიტყვით არაფერი იმისთანა, რითაც ადამიანი პირუტყვისაგან ასეთის თავმოწონებით ირჩევა. მაღლი და ადამიანობა... ხელთუქმნელი ბურჯია, რომელზედაც ყოველი ერი თავისას მეცნიერებისასა და მერმისის ციხესიმაგრეს აშენებს ხოლმე. გამოაცალეთ ეს ბურჯი და შენობას დარღვევისაგან არა დაიხსნის რა“.

იმედს ვიტოვებთ, რომ ადამიანურობის, მაღლის, ზნეობისა და სიკეთის ბურჯი აღარასოდეს გამოეცლება ქართულ-ოსურ ურთიერთობის, ნდობის და საერთოდ – მერმისის ახლად მშენებარე ციხესიმაგრეს.

გაზეთი „შიდა ქართლი“, №529-530, აგვისტო, 2003წ.

სატირული პუბლიცისტიკის ზოგიერთ მანრულ თავისებურებათა შესახებ.

სატირა და იუმორი საუკუნეების მანძილზე თანაარსებობდნენ. სიცილის ძალას უხსოვარი დროიდან იყენებს ადამიანი. დასაბამიდან და ვიდრე დღემდე იყო პერიოდები, როდესაც სატირისა და იუმორის მსახურთა წილი ტრაგიკული ხედრი იყო მხოლოდ. ძლიერნი ამა ქვეყნისანი ყოველთვის გაურბოდნენ სატირის მომწესხველ ძლიერებას. სატირას და იუმორს პირველყოვლისა დაცინვის დოზა განასხვავებს. მართებულად მიუთითებდა გ. კიკნაძე: „განმტკიცებული აზრის თანახმად დაცინვის სიმწვაეის ხარისხს შეეფერება ან სატირის, ან იუმორის სახელწოდება. მწვავე დაცინვა სატირას წარმოადგენს, ხოლო მისი შენელებული გამოსახულება იუმორის სახით გვეძლევა.“ (1,11)

პუბლიცისტურ ჟანრთა არსენალში გამოყოფენ სატირულ ჟანრთა (დაცინვის) ოჯახს. ეს ოჯახი აერთიანებს: ფელეტონს, პამფლეტს, პაროდias, ეპიგრამას, იგავს, ზოგიერთ მკელევართან ვხედებით შარჟსა და კარიკატურასაც. თითოეულ ამ ჟანრთაგანის აუდიტორიაზე ემოციური ზემოქმედების მექანიზმი თავისებურად ძლიერია. ისინი მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი სპეციფიური თავისებურებებით გამოირჩევიან და მიმართულნი არიან იმ ნეგატიურ ძალთა წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიან საზოგადოებრივ პროგრესს. „სატირის საგანი უარყოფითი მოვლენაა, უსათუოდ სოციალური ჯღერადობის, დასაგმობი, ხორცმეტი. დღევანდელი სატირისა და არისტოფანეს დროინდელი სატირის საგანი ერთია, ჩვენი სატირისა და წინაპართა სატირის საგანი პრინციპში ერთი და იგივეა, მაგრამ ათწლეულთა მანძილზე სატირამ ისწავლა უფრო და უფრო ღრმად შემეცნება, ზემოქმედება...“ (2,306)

ჯერ კიდევ არისტოტელესაგან მოყოლებული ბევრი მკელევარი ცდილობდა სატირისა და იუმორის გარკვეულ ჩარჩოში მოქცევას (მაგ. ჟან პოლი რიხტერი, ნ. პარტმანი და

სხვ.) „დაცინვის“ ოჯახის წევრთა შორის არ არსებობს მკაცრად დადგენილი საზღვრები, თანმიმდევრობა, უბრალოდ ისტორიული განვითარების გზაზე ზოგიერთი მათგანის შესაძლებლობანი გაცილებით ფართოდ გამოვლინდა. ზოგიერთმა მათგანმა მეტი უახლესი მეთოდი შეიძინა და უფრო ეფექტურ ბრძოლისუნარიან იარაღად იქცა საერთო მიზნის მისაღწევად წარმოებულ საინფორმაციო ბრძოლაში.

საინტერესო მოსაზრებას ავითარებს ამ მიმართულებით გ. ნიშნიანიძე:

სატირამ თავისი განვითარების, უაღრესად დიდი წინააღმდეგობებით აღსავსე გზაზე შექმნა ტიპიზაციის საკუთარი ხერხები, საშუალებები. მან ბევრი ჟანრი ჩააყენა თავის „შტატში“, ბევრ ჟანრს შეუცვალა სახე, მიანიჭა დამოუკიდებლობა მხატვრული სატირული სტრუქტურით. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება სატირული რომანი, მოთხრობა, პოემა, ნარკვევი; ახალი ჟანრები: პამფლეტი, ფელეტონი, უფრო მეტიც, სატირამ შეადწია არა მარტო ლიტერატურის, არამედ ხელოვნების სხვა სფეროებშიც: ფერწერაში, გრაფიკაში, სკულპტურაში, კინოში, მუსიკაში...” (3,22)

თავიდანვე უნდა განიმარტოს, რომ სატირასა და იუმორს შორის განსხვავება არა ნიშან-თვისებათა რადიკალურ სხვაობაშია, არამედ კონკრეტული ობიექტისაკენ მიმართული იუმორის და დაცინვის ხარისხსა და დოზების რაოდენობაშია საძიებელი.

სატირულ ჟანრთა ოჯახის თითოეული წევრის შიდა ინტერიერი, რა თქმა უნდა, საკუთარი სპეციფიკით, დამოუკიდებელი სტილური, ჟანრობრივი თავისებურებით გამოირჩევა. მაგრამ ჩამოთვლილთაგან უფრო ტყვედ, უმთავრეს ჟანრად ფელეტონს მივიჩნევთ და სწორედ ამ უკანასკნელს წარმოუდგენთ აუდიტორიას.

ზოგიერთი მკვლევარი (4,352) გამოყოფს ფელეტონის ორ სახეს. კერძოდ, პრობლემურ ფელეტონსა და დადებით ხასიათის ფელეტონს რაც გაუმართლებლად მიგვეჩინია. ზემოთაღნიშნულ ვამბობდით, ფელეტონის მიზანია უარყოფითის მხი-

ლების გზით შექმნას სასურველი საზოგადოებრივი აზრი, აღმოფხვრას მასში ნეგატიური ტენდენციები. მისი მიზანი არ არის ცალკეული პიროვნებების ნაკლოვანებათა მხილება. დაცივნის გზით ის საზოგადო ჭირს უჩვენებს. ძნელია გააგლო ზღვარი ე.წ. დადებით და უარყოფით დაცივნას შორის. იუმორის დოზის მკვეთრი სხვაობა, ზოგიერთ სპეციფიურ თავისებურებასთან ერთად პამფლეტის პუბლიცისტური ჩარჩოსათვის დამახასიათებელი ელემენტთაგანია.

პროფ. ტ. კვანჭილაშვილის მითითებით ფელეტონი დღევანდელი გაგებით “ამხელს და აკრიტიკებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ნაკლოვანებებს; ემყარება კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას; ბრძოლის იარაღად იყენებს პუბლიცისტურ შემართებას და სატირისა და იუმორის ძალას, ხატოვანი აზროვნების ხერხებსა და საშუალებებს.” (5,156)

ჩვენი აზრით, თითოეული ფელეტონისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემის არსებობა, რომლის დროულად გადაუჭრელობა აფერხებს საზოგადოებრივ პროგრესს ამა თუ იმ მიმართულებით. რაც შეეხება ფელეტონის ე.წ. “დადებით” ან “უარყოფით” ხასიათს ზემოთაც ვამბობდით და კვლავაც ვიმეორებთ, რომ მისი სახეებად დაყოფის მცდელობა ხელოვნურია და არანაირი აუცილებლობა ამგვარი ქვესახეობრივი დიფერენცირებისა არ არსებობს.

ასევე ვერ გავიზიარებთ პროფ. ტ. კვანჭილაშვილის მოსაზრებას პუბლიცისტურ ჟანრთა ჯგუფებად დაყოფის და შემდგომ ფელეტონის ე.წ. მხატვრულ-პუბლიცისტურ ჟანრთა ჯგუფში გაწევრიანების შესახებ.

ამ მიმართულებით მართებულ მოსაზრებას ავითარებს პროფ. ი. ნატროშვილი, რომლის მიხედვითაც ეს სერიოზული გაუგებრობაა და დეზორიენტაცია შეაქვს ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის, პუბლიცისტიკის პრობლემატიკის შემსწავლელთა შორის (2,15)

ბუნებრივია გვესმის, რომ პუბლიცისტიკის თეორიაში ჟანრთა კლასიფიკაციის საკითხი ერთ-ერთი უაღრესად პრობლემური და მნიშვნელოვანია. “თუ დასავლურ ჟურნალისტიკათმცოდნეობაში პუბლიცისტიკის ორ ჯგუფს გამოყოფენ ინფორმაციულსა და აზრის გამომხატველს (ანალიტიკურს), ე.წ. საბჭოურ სკოლაში ოთხ ჯგუფს განიხილავდნენ: ინფორმაციულს, ანალიტიკურს, მხატვრულ-პუბლიცისტიკურსა და მეორადი ასახვის. ეს უკანასკნელი საბოლოოდ ხელოვნურად მიიჩნიეს და დარჩა სამი. ათეული წლების განმავლობაში ეს სქემა ბატონობდა.” (6,27)

რაც შეეხება დარჩენილი სამი ჯგუფიდან მესამეს – მხატვრულ-პუბლიცისტური ჯგუფიც არანაკლებ ხელოვნურად და საფუძველსმოკლებული გამოიყურება. ინფორმაციულსა და ანალიტიკურზე საუბრისას კი მიგვაჩნია, რომ ნებისმიერ პუბლიცისტურ ჟანრში გადაწყვეტილ თხზულებას უნდა გააჩნდეს ინფორმაციული საბაზი, ინფორმაციული მუხტი. საკითხავია, რამდენად დააკმაყოფილებს ჟანრის ჩარჩოს მოთხოვნებს პუბლიცისტური თხზულება თუკი ის არ იქნება რაიმე აზრის გამომხატველი. მიგვაჩნია, რომ ეს თითოეული ჟანრთაგანის სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორეც – ანალიტიკურობა, თითოეული ჟანრის თხზულება თავის მხირვ შეიცავს პუბლიცისტურ კომენტარს, ჟურნალისტურ ხედვას, ფაქტის დახასიათებას. ბუნებრივია, არის ჟანრები, სადაც ფაქტი ან მოვლენაა მთავარი, ხოლო პრობლემის ყოველმხრივი ანალიზი უკანა პლანზეა გადაწეული, მაგრამ საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელის სრული იგნორირება მაინც არ ხდება (მაგ. გაფართოებული ინფორმაციული შენიშვნა, კომენტირებული ანგარიში და ა.შ) რაც მთლიანობაში მათ ანალიტიკურ ბუნებაზეც მიუთითებს.

“საკითხის სირთულეს ჟანრთა კლასიფიკაციის ერთიანი სისტემის არარსებობა განაპირობებს. ლოგიკის კანონებით ხომ ყოველგვარი დაყოფა 4 მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს:

1. დაყოფა მხოლოდ ერთ საფუძველზე უნდა ხდებოდეს;
2. დაყოფა თანაზომიერი უნდა იყოს;
3. დაყოფის წევრები ერთმანეთს უნდა გამორიცხავდნენ;
4. დაყოფა უწყვეტი უნდა იყოს." (6,27)

ამრიგად, ეფიქრობთ პუბლიცისტურ ჟანრთა არსენალი ორი ძირითადი ჯგუფისგან შედგება და სხვა მხრივ, დამატებით გვარებად, ჯგუფებად და ა.შ. მათი დაყოფის აუცილებლობას ვერ ვხედავთ. რაც შეეხება ფელეტონის, იგაეის, პაროდისა და ეპიგრამის მხატვრულ-პუბლიცისტურ ჟანრთა გვარში გაერთიანებას პროფ. ი. ნატროშვილი სამართლიანად შენიშნავდა: "უთუოდ უმართებულთა ნარკვევისა და მისი სახეების აგრეთვე ფელეტონის, პამფლეტის, იგაეის, პაროდისა და ეპიგრამის მხატვრულ-პუბლიცისტურ ჟანრების რკლაში მოქცევა. ნარკვევის ნახევრად ლიტერატურად და ნახევრად პუბლიცისტიკად მიჩნევა ახალი არ არის, ამას უმთავრესად ლიტერატურის თეორიის დარგში მომუშავე მეცნიერები აკეთებენ. მაგრამ მას შემდეგ რაც ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის, პუბლიცისტიკის თეორიისა და პრობლემატიკის საკითხების შესწავლა მყარ ნიადაგზე დადგა, კვლავ ძველი თეზისის წინ წამოწევა და იმის მტკიცება, რომ ნარკვევი სანახევროდ ლიტერატურას განეკუთვნება და სანახევროდ პუბლიცისტიკასო, ნიშნავს ზერელედ მოვეკიდოთ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ჟანრის შესწავლას. არ დავინახოთ და არ გავიგოთ მისი პუბლიცისტური არსი, მიზანსწრაფულობა, ანალიტიკურ-კრიტიკული აქცენტი, რაც მან განსაკუთრებით სამოცდაათიან წლებში შეიძინა. ნარკვევის პუბლიცისტიკის უმნიშვნელოვანეს ჟანრად დამკვიდრება აღარავეისთვის სადავო და საჭოჭმანო საქმედ აღარ უნდა რჩებოდეს.

რაც შეეხება პუბლიცისტიკის სატირული ჟანრების: ფელეტონის, პამფლეტის, იგაეის, პაროდისა და ეპიგრამის მხატვრულ-პუბლიცისტურ ჟანრებად აღიარების საკითხს,

იგი სერიოზული მსჯელობის საგნად არ შეიძლება მივიჩნიოთ. ამ სახის ნაწარმოებები ყოველთვის პუბლიცისტის მებრძოლი ჟანრების ფუნქციას ასრულებდნენ და რატომ უნდა გამხდარიყო იგი სადავოდ, გაუგებარია”. (2,17)

უდიდესი სიფრთხილვა საჭირო ფელეტონისტის შესარჩევად. იუმორის გრძნობა – ეს გახლავთ ერთ-ერთი პირველთაგანი იმ აუცილებელ კომპონენტთა შორის ფელეტონის შემქმნელ ჟურნალისტს უხვად რომ უნდა ჰქონდეს მიმადლებული. სწორედ იუმორის ჭარბი გრძნობა, ფართო ინტელექტუალურ პორიზონტთან ერთად, ხდება მყარი საფუძველი ფელეტონის მძლავრი შენობის ასაგებად. ფელეტონისტი იმგვარად ქმნის კომიკურ სიტუაციას, რომ ერთის მხრივ მთელი სისრულით წარმოჩინდეს მოქმედ გმირთა მანკიერი მხარეები, ხოლო მეორეს მხრივ, საკუთარ თავში ჩაახედოს მკითხველი და გააღვიძოს საკუთარ თავზე კონტროლის მიძინებული მექანიზმი.

ყოველგვარი კომიკური სიტუაცია შექმნილი ფელეტონისტის მიერ არსებული მიძიმე რეალობიდან უნდა მომდინარეობდეს, დასცინოდეს მას და იმავდროულად ეძებდეს გამოსავალს. სხვა ნებისმიერ სიტუაციაში, კერძოდ, თუ ჟურნალისტს არა აქვს იუმორის გრძნობა, ხელოვნურად ქმნის კომიკურ მომენტებს, ყველაფერს აკეთებს აუდიტორიის ასახარხარებლად და ა.შ. ფელეტონი ვერასოდეს შეიძენს სრულყოფილ სახეს.

აუდიტორიაში ყოველთვის გაჩნდება დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და ეს იქნება პირდაპირი მესიჯი, მიმართული პროფესიონალიზმის დეფიციტისაკენ.

ფელეტონს ღირსებას მატებს მსჯელობის სიღრმე, ანალიზისა და განზოგადების უნარი, ავტორის მტკიცედ ჩამოყალიბებული პოზიცია. უამრავი ნეგატიური პრობლემა შესაძლოა ფელეტონის თემად იქცეს. საფელეტონო თემატიკა ყოველდღიური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში შეიძლება აღმოჩნდეს, მთავარია პუბლიცისტის პროფესიული აღლო და ჟურნალისტური ხედვის სიღრმე.

„მოველენის არსი განსაზღვრავს მისდამი მიდგომის ხარისხს... ზოგ შემთხვევაში, იმდენად სუსტია არასასურველი პიროვნების მსჯელობა, იმდენად პრიმიტიულია მისი მოქმედება, რომ სერიოზული კამათი საფუძველშივე გამოირიცხება. ამიტომაც მიმართავენ აბუნად ამგდებ ტონს. ამ შემთხვევაში რელიეფურად ვლინდება მოწინააღმდეგის ხასიათი და მისწრაფებები, მისი უსუსურობა.” (7,260)

მართებულად შენიშნავს პროფ. ნ. ტაბიძე: „პუბლიცისტური ოსტატობა, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ხედვის ოსტატობას, ფაქტებისა და მოველენების ორიგინალურ გააზრებას. მეორე მხრივ, პუბლიცისტური ოსტატობა ნიშნავს ნანახ-განცდილისა და გააზრებულისადმი შესაბამისი სიტყვიერი ფორმის გამოძებნას, სხვადასხვა კონკრეტული ხერხის მოშველიებით აზრსა და ნაწერს შორის მანძილის უკიდურესად შემცირებას.” (7,189)

რაც შეეხება ფელეტონის სახეებად დაყოფას არსებობს რამდენიმე მოსაზრება. ზოგიერთი მკვლევარი გამოყოფს საერთაშორისო, საშინაო ცხოვრების საკითხებზე შექმნილ ფელეტონებს. გვხვდება სოფლის მეურნეობის, მორალის თუ სხვა საკითხებზე მისი დაყოფის მცდელობანი. ასევე სტილურ-კონსტრუქციული პრინციპის მიხედვით (პროზაული, ლექსად, პიესის და იშვიათად კინოსცენარის ფორმითაც). ფელეტონის თემატური პრიციპით დაყოფის მეთოდია შემოთავაზებული ე. სიხარულიძის ნაშრომში „ქართული საბჭოთა ფელეტონი.” (თბილისი 1969) და ა.შ.

თუკი მაინცდამაინც ფელეტონის სახეებად დაყოფა გახდება საჭირო, რის აუცილებლობასაც ჩვენ ვერ ვხედავთ, შედარებით სრულყოფილად პროფ. ი. ნატროშვილის შეხედულება გვეჩვენება, რომლის მიხედვითაც ფელეტონი შესაძლოა იყოს ნაბეჭდი (საგაზეთო, საჟურნალო), სატელევიზიო და რადიო ფელეტონი. ცალცალკე ამ სახეებს არ განვიხილავთ იმ მიზეზით, რომ ჩვენის აზრით, ფელეტონის დიფერენცირება ცალკეულ სახეებად არანაირ საჭიროებას

არ წარმოადგენს და ეს საკითხი შესაძლოა მომავალი მსჯელობის საგნად იქცეს.

დასასრულ ერთი გავრცელებული რუბრიკის შესახებ, რომელიც პრესაში ხშირად ჩნდება ფელეტონთან ერთად – „ფელეტონის მაგიერ.“

„როცა ფელეტონი არ ვარგა, მაშინ რედაქტორი მას ასეთ დამამცირებელ რუბრიკას უკეთებს – ფელეტონის მაგიერ“. (2,333) რა თქმა უნდა ავტორები უვარგისობის გამო არ აქცევენ საკუთარ თხზულებას ამგვარი რუბრიკის ქვეშ. ისინი უნებლიედ შედიან შეცდომაში და კარგი იქნება თუკი ჟურნალისტები გააცნობიერებენ, რომ მსგავსი ტიპის რუბრიკა მხოლოდ აკნინებს მათ მიერ აუდიტორიისათვის შეთავაზებულ პუბლიცისტურ თხზულებას. „ჩვენი გაზეთების ფურცლებზე ხშირად ასეთ რუბრიკებსაც ვხვდებით: „ლიტერატურული ფელეტონი“, „საერთაშორისო ფელეტონი“, „პატარა ფელეტონი“ და სხვ. ყველა ეს, დარგობრივი ფელეტონი რედაქტორებისა და პასუხისმგებელი მდივნების ახირებაა!... აბა ვის მოუვა ფიქრად დაწეროს „საკვირაო მოთხრობა“ ან “ფიზიკურ ტექნიკური ნოველა”... რაც შეეხება რუბრიკებს „პატარა ფელეტონი“ და „ფელეტონის მაგიერ“ ისინი საგაზეთო საქმიანობაში შემორჩენილი რეციდივებია.“ (2,333)

აქვე დავსძენთ, რომ პუბლიცისტის სატირულ ჟანრთა ოჯახში შარჟი და კარიკატურა ჩვენ პირობითად, მათი სატირული ბუნების გამო ვახსენეთ. ისინი ძირითადად გრაფიკის სფეროს განეკუთვნებიან და ილუსტრაციის ჟანრთა კუთვნილებას წარმოადგენენ.

ამდენად, ჩვენ ვცადეთ ზოგადი შტრიხებით წარმოგვედგინა პუბლიცისტის სატირულ ჟანრთა არსენალის ძირითადი ტენდენციები. გვეჩვენებინა ის შესაძლებლობანი, რომლებსაც „დაცინვის ოჯახი“ ფლობს მასობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, რაოდენ ფართოა მათი შემოქმედების დიაპაზონი, რამდენად მასობრივად არის შესაძლებელი სატირულ ჟანრთა გამოყენებით სასურველი

საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და მისი სასურველ კალაპოტში მოქცევა.

ლიტერატურა:

1. გ. კიკნაძე, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, თბილისი, 1953;
2. საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა, თბილისი
3. გ. ნიშნიანიძე, სიცილის არქივიდან, თბილისი 1971;
4. ა. ცანავა, სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, თბილისი 1960;
5. ა. ლაისტი, საქართველოს გული, თბილისი 1963;
6. ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი 1952;
7. ნ. ბოგდანოვი, ბ. ვიაზემსკი, ჟურნალისტიკის ცნობარი, თბილისი 1975;
8. ტ. კვანჭილაშვილი, საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორიის საკითხები, თბილისი 1970;
9. დ.ოსეფაშვილი, ინტერვიუს სახეთა კლასიფიკაციის შესახებ, ჟურნალისტური ძიებანი (პროფ. ნ. ტაბიძის რედ.) თბილისი 2001;
10. ნ. ტაბიძე, ილია ჭავჭავაძის “ივერია”, თბილისი 1977;

კრებ. გორის უნივერსიტეტის პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გორი, 2008წ.

ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ერთი საბულისხმო მომხმანის შესახებ

ქართველ და ოს ხალხთა დაახლოებასა და კულტურულ ფასეულობათა განვითარებაში საყურადღებო წვლილი აქვს შეტანილი დავით კასრაძეს. მის თქმულებათა შორის საყურადღებოა რომანი „ჩემი სამაჩაბლო“, რომელიც 1915 წელს შეუქმნია. სამწუხაროდ ნაწარმოები დაუსრულებელია თუმცა მასში წამოჭრილი ბევრი პრობლემა სადღეისოდ მეტად აქტუალურია. უფრო მეტიც, ჩვენს მოუშუშებელ იარაღ ქცეულა.

რომანში ქართული სოფლის ცხოვრების ფონზე ნაჩვენებია ახალი ეპოქის ის ძლიერი სოციალური და პოლიტიკური ძვრები, რომლებმაც „ჩემი სამაჩაბლოს“ გამოქვეყნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მთლიანად მოიცვა სრულიად საქართველო. შეიძლება ითქვას მწერალმა ზუსტად იწინასწარმეტყველა ის გაუგონარი სიძნელები, რომლებიც მოკლე ხანში რეალობად იქცა საქართველოსათვის. „რუსეთი უკვე დააეადდა სოციალიზმის სენით. წარმოდგენილი გაქვთ რა იქნება რუსმა რომ მმართველობის სადავე ხელთ იგდოს? პარიზის კომუნის დღეები აჩრდილი იქნება მასთან შედარებით. წითელი აჩრდილი ამიერკავკასიასაც ეპოტინება, ბაქოს მუშების დემონსტრაციები, თბილისისა, ბათუმისა... არა ჩვენ არ გვაქვს გამოზომილი. რა საშინელების წინაშე ვდგევართ...სახელმწიფოს კრახი გარდაუვალია, რაწამს სოციალისტები კერძო საკუთრებას წითელ თათს დაადებენ“ 2

ხსენებულ რომანში საუცხოოდ იგრძნობა ავტორისეული ეპოქის სურნელი. დ. კასრაძე წარმოგვიდგება როგორც პერსონაჟთა და პრობლემურ სიტუაციათა რელიეფურად ხატვის უბადლო ოსტატი. საგანგებოდაა ყურადღება გამახვილებული ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე, რომლებსაც, სამწუხაროდ, დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

„ჩემი სამაჩაბლოს“ ერთ-ერთი პერსონაჟი -თავადი ზაალი ოსთა შესახებ ამბობს: „ეს ჩრდილოეთიდან გადმოხვეწილი ხალხია და არა ადგილობრივი მკვიდრი. ზოგი ჩემს მამა-პაპას დაუსახლებია, ზოგი ციციანთ... მაგრამ უფრო ჩემიანები არიან ოსების აქ დასახლების მოთავენი... ეგენი გადამთიელი მომთაბარე ხალხი იყვნენ. მე უფლება მაქვს როცა მოვისურვებ ავეყარო და აქედან განვდევნო.“

ჩვენი ტოლერანტული ბუნების გამოისობით, სამწუხაროდ გვიან გავაცნობიერებთ ხოლმე „რა ბოროტების მოტანა შეუძლია უანგარიშო, უთაებოლო სიკეთესა და ხელგაშლილობას“ (ო.ჭილაძე). სწორედ უთაებოლო და უანგარიშო ხელგაშლილობამ მიგვიყვანა ცხინვალის ტრაგედიაში, აფხაზეთის ტრაგედიაში...როგორც ჩანს ეს პრობლემა ახალი სულაც არ გახლავთ და მისი ფესვები ათწლეულების მიღმაა საძებარი. დავით კასრაძე „ჩემი სამაჩაბლოს“ ფურცლებიდან ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამდეგს მიანიშნებდა ამ საფრთხეზე.

მიუხედავად ხიზნობისა, ოსი მოსახლეობა მიიღო და დაასახლა თავადმა ზაალმა, ზოგიერთი მათგანი დაიახლოვა, დაინათესავა კიდევ. ყოველმხრივ უწყობდა ხელს, მაგრამ მოგვიანებით წელგამართულმა და კარგად ფეხმოკიდებულმა ხიზანმა აქეთ შეუტია ზაალს. ჯერ ტყე დაისაკუთრა, ხოლო ოცნებით ცას მიებჯინა მისი ფანტაზია: „იგი ფიქრობს, რომ მალე, სულ მალე დიდი მემამულე შეიქმნება და შეიძლება ისეთი დროც დადგეს, რომ მთელი სამაჩაბლოს ბატონ -პატრონი შეიქმნეს“3...

ამავე საფრთხეზე თავის დროზე მიხეილ ჯავახიშვილიც მიუთითებდა. იგი ხომ ერთი პირველთაგანი გახლდათ, ვინც გზა გაუკაფა მეოცე საუკუნის რომანს, ერთი პირველთაგანი, ვინც წინა პლანზე წამოსწია ჯაყობის პრობლემა და საზოგადოებას დაფიქრებისაკენ მოუწოდა.

როგორც ცნობილია მ. ჯავახიშვილის არც ერთ მხატვრულ ნაწარმოებს აზრთა ისეთი შეხლა-შემოხლა, დისკუსიები და პრესაში გამოხმაურება არ ჰქონია, როგორც „ჯა-

ყოს ხიზნებს”. როგორც მ. ჯავახიშვილი მიუთითებდა -ამ რომანმა გამოსვლისთანავე ქართულ საზოგადოებაში არნახული მღელვარება და ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი გამოიწვია.

უამრავი რეცენზია დაიწერა ერთიმეორეზე გამანადგურებელი. საზოგადოების ერთმა ნაწილმა პირად შეურაცხყოფადაც კი მიიღო ნაწარმოები. ვინ მოსთვლის, რას არ აბრალებდნენ მწერალს! გამონაკლისს წარმოადგენდნენ მცირერიცხოვანი რეცენზენტები, რომლებიც ნაწარმოებს ობიექტურად აფასებდნენ 4.

ილია ჭავჭავაძის „ოთარანთ ქერივის” შემდეგ არ გვეპოვება მეორე მხატვრული ნაწარმოები, რომელსაც ისეთი ცხოველი დისკუსია, აზრთა სხვადასხვაობა გამოეწვიოს, ისეთი ღრმა სოციალური და ფილოსოფიური კონცეფცია წამოეყენებინოს, როგორც მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებს” 5.

ბუნებრივია, მ. ჯავახიშვილის მხრიდან ჯაყოს ტიპის და საერთოდ ჯაყობის პრობლემის გამოკვეთა შემთხვევითი არ გახლდათ. მწერლის სიტყვით, ამ პერიოდში ცხინვალის რეგიონი ჯაყოებით იყო სავსე...

„ჯაყო ოსია. ცოცხალი ვნახე და ავწერე...30 წლის წინათ ჯავის ხეობაში უცნაური ვინმე შემხვდა - ბრგე, ბანჯგვლიანი, ცბიერი, ხარბი. ამავე დროს მარდი და მოხერხებული”. 6

საერთოდ მ. ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნებში” ასახავს იმ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც XX საუკუნის პირველი ათწლეულებისათვის გახლდათ დამახასიათებელი. მწერალი ცდილობს ოპერატიულად გამოეხმაუროს იმ აქტუალურ, საჭირობოროტო პრობლემურ საკითხებს, რომლებიც მისი ქვეყნის უპირველესი საწუხარი გამხდარა.

ამდენად, როგორც მ. ჯავახიშვილის, ისე დ. კასრაძის შესანიშნავმა თხზულებებმა სამართლიანად მიიბყრო მკითხველის ყურადღება 7. ასეთი მაღალიდგური მხატვრული ნაწარმოების დაბადება ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების

თვალსაჩინო მოვლენაა. დიდ ეროვნულ მოღვაწეთათვის დამახასიათებელი მხატვრული ოსტატობით მოცემულ თხზულებებში გამოკვეთილია ქართულ-ოსური ურთიერთობანი, რომლებიც დღემდე არ კარგავს მნიშვნელობას.

ლიტერატურა:

1. იხ. ა. მრებრიშვილი XX საუკუნის ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ისტორიისათვის ნაწ. I, თსუ, თბილისი 2003
2. დ. კასრაძე „ჩემი სამაჩაბლო“ ჟ. „თანამედროვე რომანი“, 1992 N4,5,6,
3. დ. კასრაძის დასახ. თხზ.
4. ქ. ჯაგახიშვილი, მ. ჯაგახიშვილი, თბ. 1989
5. დ. ბენაშვილი, მ. ჯაგახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ. 1959
6. ქ. ჯაგახიშვილის დასახ. შრ.
7. იხ. ჟ. „კლდე“ 1914, N3

კრებ. „ჟურნალისტური ძიებანი“, IX, თბილისი 2006წ.



მსოფლმხედველობის თავისებურებანი ძართულ-ოსურ ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობათა კვლევისას

ჯერ კიდევ დიდი ილია ბრძანებდა ოსთა შესახებ: „დისციპლინა ოსისათვის უჩვეულო ამბავია, ამიტომ იგი უფრო მარტო თარეშობს და ძნელად თუ ამხანაგად გაიხდის ვისმე, და თუ გაიხდის იმისთანას, რომელიც ძალიან გამოცდილი ჰყავს ერთგულებაში და ამასთან იმისთანა დანაშაული ჩაუდენია, რომ მთავრობას შემწნეული ჰყავს და მთავრობისგან დევნილია. გაცემა და ღალატი ამხანაგისა ოსს ძალიან ეადვილება, თუ მოხერხებული კაცი შეუჩინეს, პატიობა აღუთქვებს, ან ფულით დაახარბეს თუნდ ესეც არ იყოს ადვილად იცის ამხანაგთან ჩხუბის ატეხა დაკლა და ნაძარცვის გაყოფაში, ჩხუბს წყენა მოსდევს და ზოგჯერ წყენას გაცემა და ღალატი...“¹

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისის ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებაზე საუბრისას ოსურ ლიტერატურასა და კულტურაზე საუბარი ერთგვარად ნაადრევია. ამის მიზეზი ისაა, რომ XIX საუკუნის დამდეგს ოსი მოსახლეობა ჯერ კიდევ შიდა ქართლის მთიან ზონაში მკვიდრობს და მხოლოდ იმავე ასწლეულის მეორე ნახევარში იწყება მათი თანდათანობით ჩამოსახლება ბარის სოფლებში 1900-წლის „Кавказский Календарь“-ის მიხედვით ამ დროს ცხინვალში ცხოვრობდნენ მხოლოდ ქართველები, ოსები და ებრაელები.²

ახალი საუკუნის პირველი ათწლეულებიდან მოყოლებული იწყება ინტენსიური დამკვიდრება ოსი ეროვნების მოსახლეობისა ცხინვალსა და მის შემოგარენში. მიუხედავად წარმოდგენილი სურათისა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდ-

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VI, თბილისი 1956, გვ. 205

² ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1991, გვ. 13.

ში ჯერ-ჯერობით არ არსებობს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ცალკე ადმინისტრაციული ერთეული, ჩვეულებრივ საუბრებსა თუ ოფიციალურ დოკუმენტებში ოსი ეროვნების მოსახლეობით დასახლებულ შიდა ქართლის ისტორიულ ტერიტორიას რატომღაც დაუმკვიდრედა სახელწოდება - „სამხრეთ ოსეთი“. ბუნებრივია, საქართველოს შემადგენლობაში შეიძლება არსებობდეს ოსი ეროვნების ადამიანებით დასახლებული ტერიტორია, მაგრამ ქვეყნის ამ ნაწილის ოსეთად მოხსენება სავსებით არაკანონზომიერად მიგვაჩნია.

„საქართველოში ჩასახლებული ოსები საუკუნეების მანძილზე საერთო ქართული ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ემორჩილებოდნენ საქართველოში მოქმედ კანონს, საქართველოს ღზინი თუ გასაჭირი, მათი ღზინი და გასაჭირიც იყო. ყოფითს საკითხებზე ყველა დროისა და ხალხისათვის დამახასიათებელ ცალკეულ უთანხმოებებს (უნდა ვიგულისხმოთ, ვერც ოსები და ქართველები ასცდებოდნენ), იშვიათად თუ მიუღიათ ეროვნული შეფერილობა...

ოსებს შესაძლებლობა ჰქონდათ საუკუნეების მანძილზე ზიარებოდნენ მდიდარ ქართულ კულტურას, განუწყვეტლივ ეზრუნათ მშობლიური ენის, კულტურის განვითარებისათვის, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, არსად დედამიწის ზურგზე ოსებს მსგავსი შესაძლებლობანი სხვათაგან არ ჰქონიათ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათ საკუთარი წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის საერთო განვითარებაში.”¹

ქართულ-ოსური მეგობრული ურთიერთობის ჯაჭვი საკმაოდ შეიღახა 1918-1920 წლების ტრაგიკული მოვლენების პერიოდში, თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი კაცი უმიზეზოდ, პირველი არასოდეს გამოსულა ბრძოლის ველზე და განსაკუთრებით, მეგობარი ოსი ერის მწაგვრელისა და მოძალადის როლში.

¹ ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, „მაცნეს“ ისტორიის სერია, თბილისი 1991, გვ. 8.

საბედნიეროდ, ოს ხალხს ყოველთვის ჰყავდა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც ყოველმხრივ უფრო ხილდებოდნენ ორ ხალხს შორის არსებულ თანამეგობრობას.

„ჩვენ დავსახლდით ქართველ დემოკრატიასთან ახლოს, ბევრ ადგილებში განსხვავებასაც ვეღარ ამჩნევს კაცი, ბევრ სოფლებში სანახევროდ ოსებია დასახლებული

ოსების გალობა გაიგო ქართველმა გლეხმაც. მან გაიგო, რომ ოსებს შიათ, მან არ დაუწყო კითხვა ვინ ხარ, საიდან ჩამოფრენილხარ, რა ენაზე გალობ, და დღემდის ძმურად იცხოვრეს. არცერთხელ არ უთქვამთ ერთმანეთისთვის, შენ ჩემი მტერი ხარ, მე მშინან, შენ მაძლარი ხარ, მე ქართველი ვარ, შენ ოსი ხარ, მე ნასწავლი ვარ, შენ უსწავლელი.

შარშან ამიერკავკასიის ოსების წარმომადგენლების პირველ კრებაზე 5 ივნისს სოფელ ჯავაში გ. ნ. ჯიოევმა გაუბედავად, გაუგებრად აღძრა ოსების ცალკე გამოყოფის, დამოუკიდებლობის საკითხი, კრებამ უარი უთხრა. იგივე ჯიოევმა შარშან ვლადიკავკაზში ამიერკავკასიის და ჩრდილოეთ კავკასიის ოსების წარმომადგენლების პირველ კრებაზე 17 ივნისს აღძრა ოსების გამოყოფის და დამოუკიდებლობის საკითხი, კრებამ არც, მაშინ მიიღო...

ქართველი დემოკრატია არასოდეს არ უზღუდავდა უფლებებს ოსის დემოკრატიას. ქართველ დემოკრატიათა არასოდეს არ დაუტანებია ძალა ოსის დემოკრატიათათვის სამშობლო ენაზე ხელი აეღო... მე ვფიქრობ, ისინი, ვინც ოსების დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობენ, მათ არაფერი გაეგებათ ქვეყნიერების ავ-კარგისა, ანდა განგებ სურთ, შეატაკონ ქართველი და ოსის დემოკრატია ერთმანეთს და დაღუპონ ის, რაც მოიპოვა ხალხმა¹; – წერდა გაზეთ „ერთობაში“ (1918) ოსი ეროვნების მოქალაქე ა. ფარნიევი.

¹ ე. საბანაძე, ცხინვალი და ცხინვალები, გორი 1996, გვ. 13-14

XX საუკუნის ათიანი წლების მიწურულის მოვლენებს საბჭოთა პერიოდში ტენდენციურად, მხოლოდ კლასობრივი პოზიციებიდან განიხილავდნენ, სინამდვილეში კი მაშინდელმა ანტიქართულმა აქციებმა ოსი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მხრიდან, ტრაგედიამდე მიიყვანა ორივე ვარი.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ოსთა ზნე-ჩვეულებების, რელიგიის, ენის და რაც მთავარია, კულტურის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი.¹ დიდი გზა განვლო მას შემდეგ ოსმა კაცმა, საკუთარი კულტურის განვითარებას და წინსვლას კი მაინც, ქართულ მიწაზე დასახლებით ჩაეყარა საფუძველი.

„რამდენადაც ჩრდილოეთის ანუ მთის იქით ოსეთი მისდევდა რუსობას, იმდენად მთის აქეთ სამხრეთ ოსეთი მოსდევს ქართველობას ესახელებათ თავი იმათ, ვინც ქართული ლაპარაკი იცის და უფრო ქართული წერა-კითხვა“,² მიუთითებდა სოფრომ მგალობლიშვილი, რომელმაც 1884 წელს იმოგზაურა სამაჩაბლოში და თავისი შთაბეჭდილებები გამოაქვეყნა გაზეთ „დროებაში“ რამდენიმე გარკვეულობით.³

ზაქ. ჭიჭინაძის აზრით, საუკუნეების მანძილზე ქართველი და ოსი ხალხები ისე დაახლოვდნენ, რომ ერთმანეთისათვის არ უღალატიათ, ერთად იბრძოდნენ საერთო მტერების წინააღმდეგ⁴... ასე ხდებოდა ასწლეულების მიღმა. კეთილად მიიღო ქართველობამ მეზობელი, გასაჭირში ჩავარდნილი ხალხი. ასე გრძელდებოდა ვიდრე სტუმრები წელს მოიმაგრებდნენ. მართალია, ჯერ კიდევ მაჩაბლების წინააღმდეგ, მანამდეც გამოუხატავთ უკმაყოფილება უმა-

¹ გ. თოგოშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბილისი, 1977, გვ. 30-44

² ა. კარბელაშვილი, მწერლის მოგზაურობა, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1990, №175

³ იხ. გაზ. „დროება“, 1884, № 166, № 217; № 218, № 219

⁴ ზ. ჭიჭინაძე, ოსების ჩამოსახლება ქართლში (და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათხედ) თბილისი 1990, გვ. 12

ბუნებრივია, ეს არ იყო იოლი გზა, დავით ბააზოვს უწევდა მრავალ დაბრკოლებათა გადალახვა. მას უპირისპირდებოდნენ სხვა, მაღალი სასულიერო პირები და დღევანდელი გადასახედიდან საკმაოდ ღიმილისმომგვრელ ბრალდებებსაც უყენებდნენ. საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთ მაგალითს. რაბინ დ. ბააზოვს იმ მოტივით, რომ იგი სიონისტია და სურს ქართველი ებრაელები ქართველებს ჩამოაშოროსო, დაუპირისპირდა ქუთაისის ებრაელობის რაბინი ელუაშვილი. ელუაშვილმა ბააზოვისაგან საკმაოდ მკაფიო პასუხი მიიღო. „რაც შეეხება სიონისტურ იდეას, უნდა მოვახსენოთ ქუთაისის რაბინს, რომ სიონიზმი არ არის შო-

ვინიზმი და სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ერთი ვერი ჩამოშორდეს მეორე ვერს სრულიად და მასთან არაფერი დამოკიდებულება არ ჰქონდეს. ქართველ ებრაელს შეუძლია სიონისტი იყოს, მაგრამ ამასთანვე ძმურად ცხოვრობდეს ქართველებთან ერთად, მათ ჭირსა და ლხინს იზიარებდეს და უანგაროდ იღვწოდეს თავის კეთილ თავშესაფარ საქართველოს საკეთილდღეოდ” (გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915).

გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ დ. ბააზოვი ორთოდოქსი სიონისტი იყო. საკუთარ ნაწერებში იგი არაერთგზის მიუთითებს: „მე გადაჭრით უარვეყოფ თქვენი და თქვენი ამხანაგების მოსაზრებებს, თითქოს ჩემი წერილები მარტო სიონისტების სააგიტაციო იყოს. გარდა ორის ან სამის წერილისა, ვერ შეხედებით ჩემს ამდენ წერილებში სიონისტობის აგიტაციის შესახებ ვერაფერს და, იმასაც სხვათა შორის ნათქვამს. მართალია მე ეწვერი ებრაელობის ცხოვრებიდან და მომყავდა სხვადასხვა მაგალითები მათ შესახებ, მაგრამ არასოდეს მიმიკუთვნებია რაიმე უპირატესობა სიონისტობისათვის, პირიქით, ბევრჯერ ვადიდებდი ისეთ პირებს, რომლებიც სრულიად წინააღმდეგები არიან სიონისტებისა...“ (გაზ. „სამშობლო“, 1916).

დავით ბააზოვი მთელი შემართებით იბრძოდა ქართველ ებრაელთა კულტურული დონის ამაღლებისათვის. თავის საგაზეთო რეცენზიაში წიგნისა - „ოქროს საწმისის ქვეყანაში“ (წიგნი „ოქროს საწმისის ქვეყანაში“ ქართულ ენაზე დაიბეჭდა ისრაელში/ავტორი - ლილი მაგალი/ელიშაკოვა-მაღალაშვილი) - კ. წერეთელი საინტერესოდ მსჯელობს ებრაელთა განათლების პრობლემის ირგვლივ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1997). თუ მანამდე არსებობდა მხოლოდ ხედვები/ებრაული რელიგიური სასწავლებელი/, ახლა უკვე ყალიბდება მთელი ჯგუფები ებრაელი განათლების გასაძლიერებლად. აქ ავტორი წარმოაჩენს კონკრეტულ ჩამოსული რაბი აერაჰამ ჰალევი ხოლსონის მოღვაწეობას. სხვათა შორის, ქართველ ებრაელთა მაღალი

სასულიერო პირებისგან, ხოლსონმა თავიდანვე რეალურად შეაფასა ქართველ ებრაელთა ეროვნული განსხვავების მნიშვნელობა და მხარი დაუჭირა რაბინ დ. ბააზოვს. ხოლსონი 1906 წელს ცხინვალში აარსებს „თალმუდ-თორას“ /ებრაული რელიგიური სკოლა/ და როგორც სასწავლებელში, ასევე სინაგოგაში ფართოდ იყენებს ებრაულ ენას. ამჟამად ენაზე ესაუბრებოდა იგი თავის მოსწავლეებს, მათ შორის – მოზრდილებს და ქალებს, ხოლო ნიჭიერ მოსწავლეებს აგზავნიდა ვილნიუსსა და ბრისკში.

მიუხედავად მრაველი მცდელობისა, მიუხედავად შეუპოვარი ბრძოლისა, დავით ბააზოვმა ვერ შეძლო ადგილობრივ სასულიერო პირთა მედგარი წინააღმდეგობის დაძლევა. მან ვერ შეძლო ამ ბრძოლაში გამარჯვება (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1998) „ეს ორი წელიწადია გულნატკენი ვლაპარაკობ თქვენს წინაშე, ძმებო, მაგრამ თქვენ არ ისმინეთ სიმართლე, არ დაინახეთ ჭეშმარიტება. მიუხედავად ამისა, თქვენ მე არ გამტყუნებთ, რადგან თქვენ იმყოფებით ისეთი პირების გავლენის ქვეშ, რომელნიც ცხოვრობენ ხალხის უვიცობით, დათარეშობენ და ბატონობენ თვალუბახვეულ ხალხზე. ასეთი პირების წყალობით მთქმელი ადამიანი ყოველთვის იჩაგრება“ (გაზ. „სამშობლო“, 1915)

დ. ბააზოვმა გაზეთში „სამშობლო“, „სახალხო ფურცელი“ და ა. შ. გამოაქვეყნა სერია წერილებისა, რომლებშიც მსჯელობს თავისი თანამედროვე ებრაელი საზოგადოების პრობლემურ საკითხზე. მოვიყვანთ რამოდენიმე მათგანს.

1915 წელს გაზ. „სახალხო ფურცელში“ დ. ბააზოვი წერს: „ქართველი ებრაელები იმდენად ვართ შეერთებული ქართველებთან და ისე შეთვისებულნი მათ მიერ, რომ ჩვენი დაშორება ქართველებისაგან მხოლოდ თავის მკვლევლობა იქნებოდა“ (გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915) შორს მკვრეტელი მოაზროვნის გულის წიაღიდან ამოსული სტრიქონები დღესაც არ ჰკარგავს მნიშვნელობას. ებრაელ ერს დღესაც სურს ერთგულება დაადასტუროს და სიკეთის წილ სიკეთე

გადაიხადოს იმ სიყვარულისათვის, რომელსაც საუკუნეების მანძილზე გრძნობდა ქართველებისაგან.

იმავე გაზეთის ფურცლებზე რაბი ბააზოვის ერთ-ერთ წერილში ნათქვამია: კაი ებრაელი კაი ქართველის ძმად და კაი მაჩულის შვილიც იქნება საქართველოში და არასოდეს ნაკლებად არ შესწირავს თავს საქართველოს ინტერესებს, ვიდრე ქართველი. ქართველი ხალხის კეთილი დღე ჩვენს კეთილდღეობას ნიშნავს და ამას სრულად არ უშლის ხელს ჩემი ებრაელობა და არც ქართველობა შემიშლის ხელს, რომ დავრჩე ძველებურად ის, რაც ვარ... (გაზ. „სახალხო ფუცკელი“, 1916).

სულ მალე საბჭოთა რეჟიმმა საქართველოში მეტიმეტად შეზღუდა ეროვნული და რელიგიური განათლება. იგი განსაკუთრებული სიმკაცრით ებრძოდა ყველა ერის ეროვნულ მოღვაწეთ. ტრაგიკული აღმოჩნდა ხანში შესული რაბი დავით ბააზოვის ბედიც. მისი მოღვაწეობა მიმართული ქართველ ებრაელთა ინტელექტუალური დონის მკვეთრი ამაღლებისაკენ, მათი რელიგიურობის გაძლიერებისაკენ, მკვეთრად უპირისპირდებოდა წითელი რუსეთის ჩვეულ პოლიტიკას. სწორედ ამიტომ დ. ბააზოვისა და მისნაირ მოღვაწეთა საქმიანობა სასტიკად იქნა ჩახშობილი ახალი რაჟიმის მიერ, თუმცა, მათი ოცნება, მიმართული მშობელი ერის კეთილდღეობისაკენ არასოდეს გახუნებულა (აღ. მღებრიშვილი, 1998).

ყოველგვარი ეროვნულ-კულტურული საქმიანობის აღდგენის ტენდენცია ყოველდღიურად უფრო და უფრო თვალსაჩინოდ იგრძნობოდა და მიუხედავად ამ გარემოებისა, რას უნდა მიეწეროს, თუ არა დაუღალავ შრომას, თუ მშობელი ერის უსაზღვრო სიყვარულს ის დიდი წარმატება, რაც იმ პერიოდში მიღწეულ იქნა დ. ბააზოვის მიერ – ვგულისხმობთ, „1925 წელს ხელისუფალთაგან საქართველოს რამდენიმე ათეული ოჯახისათვის პალესტინაში ემიგრაციის უფლების მიღებას, აღნიშნულ წელსავე /მისი/ მოგზაურობა

ერეც-ისრაელში საქართველოს ებრაელთა ეროვნულ-სიონისტური მისიით“ (გ. გვერდწითელი, გ. ბათიაშვილი, 1990).

„როცა საქართველოდან აიყრება ებრაელობა და მარადიულ იერუსალიმს მიაშურებს, როცა შენივთდება წარსული და აწმყო, შეიკვრება ისტორია და, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გამთლიანდება დროთა კავშირი“, საქართველოდან დაძრული ებრაელებიც მიჭა-მუჭა გაიტანენ ქართულ მიწას, როგორც მათ ლტოლვილ წინაპრებს მოჰქონდათ ნაბუქოდონოსორისაგან დარბეული იერუსალიმიდან. ორივე შემთხვევაში მშობლიური მიწის ყივილი ისმის, ორივე შემთხვევაში – სამშობლოს გაუცნობიერებელი ტკივილია“ (ჯ. აჯიაშვილი, 1993)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სამშობლოდან სამშობლოში, /შემდგ. გ. გვერდწითელი, გ. ბათიაშვილი, რედ. გ. ფანჯიკიძე/, თბილისი, 1990, გვ. 121;
2. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, №51;
3. გ. ბათიაშვილი, პორტრეტი თანამედროვე ინტერიერში, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1998წ. №36, გვ. 6;
4. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1990, №163;
5. გაზ. „სამშობლო“, 1915 წ. №126;
6. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ. №33;
7. მიხ. შაფთოშვილის, ღმერთი მალლიდან იყურებოდა, გორი, 1997;
8. გაზ. „სამშობლო“, 1915წ. №240;
9. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ. №449;
10. გაზ. „სამშობლო“, 1916 წ. №423, 431;
11. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1997, №10;
12. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1998, №36;
13. გაზ. „სამშობლო“, 1915, №355;
14. იხ. თამაზ ჩხენკელი, ქართული პრესისა და ებრაელთა საკითხი, ჟურნ. „ცისკარი“, 1990, №4;
15. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ. №458;

16. გაზ. „სახალხო ფუცკელი“, 1916 წ. №663;
17. ალ. მღებრიშვილი, დიდი ცხინვალელი რაბინი. გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1998, №7;
18. სამშობლოდან სამშობლოში, /შემდეგ. გ. გვერდწითელი, გ. ბათიაშვილი; რედაქტ. გ. ფანჯიკიძე/, თბილისი, 1990, გვ. 124;
19. ჯ. აჯიაშვილი, გამოიღვიძე ქნარო, „ივერია“ (ქართულ-ევროპულ ინსტიტუტის ჟურნალი), თბილისი-ბრიუსელი, 1993, № 2, გვ. 76;
20. ალ. მღებრიშვილი, საუკუნეებით ნაწრთობი მეგობრობა, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1998, №9;

RESUME

Thus, the present work includes one of the important moment of Georgian-Jewish relations. There is much written and said about Georgian – Jewish multilateral cultural or literary relationship, counting tens of centuries.

The attention is paid to the Georgian- Jewish friendship in Tskinali.

There is highlighted the exemplary friendship between these nations. There are obtained and analyzed the materials of famous public figure and rabin Davit Baazov who was born in Tskinali.

Academician N. Berdzenishvili said (Georgian history issues vol.3, 1996 p.252) that the study of Georgian Jewish life is very important for Georgian history. We think it is no less important for Georgian culture, Georgian peoples relations with other nations and for literary-cultural and educational co-existence as well. Proceeding from this consideration we have tried to say a few words about the Georgian Jewish people who live in Tskinali.

We would like to complete the resume by the words of Ms. Manana Gigineishvili: In the analogy of “Georgian Jews” we have in there “ Russian Jews”, “German Jews”. The Georgian nation has released its attitude towards the Jews sheltered to other countries. No one except us knows what do these words mean – “Russian Jews”, “German Jews”. What is in here Russian or German? There is only Georgian Jewish in the world, who is both Georgian and Jewish as well

კრებ. გორის სასწავლო უნივერსიტეტის მესამე საერთაშორისო
სამეცნიერო კონფერენცია, გორი, 2010წ.



ოსური ჟურნალისტიკა და ძართულ-ოსური ურთიერთობანი

ქართულ-ოსურ ურთიერთობათა კვლევისას საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქართულ-ოსური ეთნოდაპირისპირების პერიოდის ცხინვალში ოსური ჟურნალისტიკის მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი გაზ. «Южная Осетия»-ზე მოდიოდა. სწორედ იგი გახლდათ ძირითადი იდეოლოგი, იქ მცხოვრები არაქართული მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებელი და სასურველი (სამწუხაროდ, უსამართლოდ აგრესიული და არაკეთილმოსურნე) მიმართულების მიმცემი.

ჩვენ სხვადასხვა დროს გვითქვამს თუ რამდენად ძნელი წასაკითხია 90-იანი წლების კონფლიქტური რეგიონის ქართულენოვანი პრესა, რომელიც ქართულ-ოსური ძნელბედობის ჟამს უშუალო თვითმხილველი გახლდათ და გამონაკლის შემთხვევებში ალბათ ზედმეტი ემოციურობაც არ დაეუკუდრებოდა. გამონაკლის შემთხვევებში არც ცხინვალის რეგიონის გაგულისებულ არაქართულ პერიოდიკას დავაყუდრიდით ზედმეტ ემოციურობას, მისი მოღვაწეობის ძირითად პათოსსაც მშვიდობის, ნდობის და თანხმობის აღდგენის გზების ძიება რომ წარმოადგენდეს. აქ კი, ისევ და ისევ ვაწყდებით რეგიონში (ეგულისხმობთ ცხინვალის რეგიონს) დღემდე დაძაბული ვითარების გამღვივებელ იმავე მიზეზს – ცალმხრივობას... თუმცა ჯობს ჩვენს ნათქვამს კონკრეტულ არგუმენტებზე დაყრდნობით მივადევნოთ თვალნი.

ქართულ-ოსურ ეთნოკონფლიქტს ცხინვალის რეგიონის რუსულენოვანი პრესა დღემდე ქართულ აგრესიად მოიხსენიებს დაახლოებით ამადაგვარ კონტექსტში: “После грузинской агрессии 90-их годов все изменилось. Спокойная,

почти что райская жизнь в Южной Осетии была нарушена.» (გაზ. «Южная Осетия», 2001);

მაშინ, როდესაც ქართული მხარე ეძებს კონფლიქტის საბოლოოდ მშვიდობით დარეგულირების გზებსა და საშუალებებს, ცდილობს გადმოიღოს, პრაქტიკულად გამოიყენოს საერთაშორისო ცივილიზებული საზოგადოების გამოცდილება, მოქმედებს ჰუმანიზმის, დემოკრატიზმის, კაცთმოყვარეობისა თუ ერთა შემწყნარებლობის საქვეყნოდ აღიარებულ პრინციპებზე დაყრდნობით, მოუწოდებს ოს ხალხს გონიერებისაკენ, ასეთ ვითარებაში ოსური პრესა ქართული მხარის ილუზიებზე საუბრობს: “Сегодня грузинская сторона хранит молчание в отношении Южной Осетии и живет иллюзией, что все в порядке...” (გაზ. «Правда» («Рæстдзинад»), 2001);

ზემოთაც ვახსენეთ, რომ მიმდინარე მოვლენების ჩვენებისას, ოსი ჟურნალისტების მხრიდან ყოველთვის ჩნდება ერთგვარი ცალმხრივობის შეგრძნება. ქვემოთ საილუსტრაციოდ მოტანილი საგაზეთო პუბლიკაციებით ავტორები სცილდებიან რეალური ვითარების სურათის შექმნის ფუნქციას და გადამეტებული ემოციურობის კვალს ატარებენ.

“В городе (საუბარია ქ. ცხინვალზე და მის მიმდებარე სოფლებზე) и селах начались бесчинства. Захватчики расположились в театре, в обкоме, в других административных зданиях и во многих жилых домах. Начались погромы, избиения безоружных людей...”

Горожане ответили созданием отрядов самообороны... И так, идет война. Одна сторона защищает свои дома, свою власть, отстаивает свои убеждения, другая - прибыла, что-бы огнем и мечом наслаждаться своей демократией.» (გაზ. «Советская Осетия», 1991);

გასული საუკუნის 90-იანი წლების ცხინვალის რეგიონში უკიდურესად გამწვავებულმა ვითარებამ ბუნებრივად

დაბადა ეჭვი ჩვენი ტოლერანტული ეროვნული პოლიტიკის სისწორის მისამართით.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას აყალიბებს თ. ფანჯიკიძე: “ეს ეჭვები და კითხვები განსაკუთრებით გაძლიერდა უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების შედეგად. საქართველოს ტერიტორიაზე დაიდგარა ქართული სისხლი. ყოველივე ამან, ცხადია, სამართლიანად დაბადა ეჭვი იმის მიმართ, თუ რამდენად სწორი იყო ჩვენი მრავალსაუკუნოვანი რჯულთშემოქმედებლობა და ტოლერანტობა. მესამე ძალის ჩარევისთანავე სხვადასხვა ხალხისგან შემდგარი რუსულენოვანი ეთნიკური ჯგუფები იქცნენ დასაყრდენად ანტიქართულ საქმიანობაში. მესამე ძალა ამ ბრძოლაში გამოდის ამ ეთნიკური ჯგუფების დაცვის ღონისძიებით ქართველთა “იმპერიული” ზრახვებისაგან. რასაკვირველია, სინამდვილეში მას ამ ხალხების ბედი სრულებითაც არ აინტერესებს, მაგრამ ვითომდა “მცირე ხალხების” ინტერესების დაცვის საბაბით ცდილობს თავისი შოვინისტური მიზნების მიღწევას.

აქედან გამომდინარე, კონკრეტდება ამოცანა, დაძლეულ იქნას მესამე ძალის მავნე გავლენა. მაშინ ტოლერანტობა აღარ აღმოჩნდება დრომოჭმულ და წამგებიან საშუალებად ქართველთა პოლიტიკურ არსენალში. პირიქით, იგი დიდსულოვან, ჰუმანურ, ჭეშმარიტად ინტერნაციონალურ, ნამდვილ ქართულ პოლიტიკად იქცევა, რომლის დროსაც იგი არამარტო ქართველთა კარგ ზნეზე, მშვიდ, გონიერ, კეთილ თვისებებზე და ხასიათზე კი არ მიუთითებს, არამედ იგი პრაქტიკულად სასარგებლო იქნება ეროვნებათშორისი ურთიერთობებისათვის მრავალეროვან საქართველოში.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მრავალეროვანობის პირობებში ტოლერანტობა და რჯულთშემოქმედებლობა იყო და მომავალშიც დარჩება ქართველი ერის გადარჩენის და

სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად”. (თ. ფანჯიკიძე, 1990);

ჩვენ უკვე გვითქვამს, რომ უმადურობის სინდრომით, ბუნებრივია, მთელი ოსი ერი არ გახლავთ დაავადებული. თუმცა ამ ვირუსის ნიშნები აშკარად შეინიშნება შემდეგ სტრიქონებში: “Уму непостижимо, что еще более ужасного и преступного, чем то, что творят здесь грузинские террористы и оккупанты...” (გაზ. «Советская Осетия», 1991); მოხმობილი მასალის ავტორის (კ. ბარისათი) აშკარა არაორდინალური, არასტანდარტული აზროვნების ფორმა არ გვაძლევს საშუალებას სერიოზულად აღვიქვათ დაფიქსირებული პოზიცია, მიდგომა დასმული პრობლემისადმი. სამწუხაროდ, მსგავსი შინაარსის საგაზეთო პუბლიკაციები მრავლადაა. ალბათ, ავტორებს მეტი დაფიქრება მართებთ მასალის შერჩევისა და მის შინაარსზე მუშაობისას.

აქვე გვსურს მოვიხმოთ ოსი ხალხის იმ ნაწილის პოზიციაც, რომელთაც შეძლევს რეალური სურათის აღქმა და ნორმალურად გააცნობიერეს შექმნილი ურთულესი ვითარება: “მე მტკიცედ მწამდა, რომ დღეს ჩემი ამაყი ოსი ხალხი უფრო მაგრად ჩასჭიდებდა ხელს თავის ქართველ ძმებს და ფარად მოეფლინებოდა საქართველოს სიყვარულს. საუბედუროდ, ასე არ მოხდა, გამიცრუვდა ყოველგვარი იმედი. ვის აქვს უფლება, გადახერხოს ის ხიდი, რომელიც გადებულია უხსოვარი დროიდან ქართველ და ოს ხალხებს შორის, ვის აქვს უფლება, მოხნას ის მინდორ-ველი, სადაც ოსი და ქართველი წინაპრების ძვლები ასვენია... (გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 1989);

საგულისხმოა, რომ XX საუკუნის პირველ ნახევარში ოსური ეთნოელემენტი საკმაოდ სწრაფი ტემპით მატულობს ცხინვალში (Г. Н. Гехтман, 1924); თანაც ისე სწრაფად, რომ სულ ცოტა ხანში სტუმრებს “აეიწყდებათ” საკუთარი ვინაობა. ცხინვალის რეგიონის რუსულენოვანი პრესა არ თაკი-

ლობს დეზინფორმაციულ საინფორმაციო საქმიანობას, რითაც ეჭვქვეშ აყენებს უურნალისტური ეთიკის მოთხოვნებს და (აღლბათ) შეგნებულად ივიწყებს, რომ სინამდვილის რეპროდუცირების, მასობრივი აუდიტორიის ყურადღების სტიმულირების და თითოეული ნათქვამი სიტყვის მადასტურებელი სათანადო არგუმენტაციის ბაზისის შექმნის გარეშე წარმოდგენელია ჭეშმარიტი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, ანუ ეფექტური ზემოქმედების გზით მაქსიმალური შედეგიანობის მიღწევა.

ვერ ვიტყვით, რომ რუსულენოვანი პრესა ზემოქმედებას არ ახდენდა ადგილობრივ აუდიტორიაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს აგიტაცია რადიკალურად განსხვავდებოდა იმ პოლიტიკისაგან, რასაც იმავე პერიოდში ატარებდა ქართული მხარე. კერძოდ, მაშინ, როდესაც ჩვენ ვწერდით: “ღიახ, ჩვენც ყველაფერს ვუძღვებით... მაგრამ ვინ იფიქრებდა, თუ ოდესღაც ეროვნებათშორისი დეფიციტის წინაშე აღმოჩნდებოდით, გამოგველეოდა კეთილი სურვილები, მიწაზე დაიდგრებოდა... დასალოცად აწეული სირჩა, მოიშლებოდა ნათელ-მირონის მადლი... და თანაც ვის შორის?! საუკუნეების წინათ ფეხადგმული, სიყვარულითა და სიბრძნით დღემდე მოწეული და მოღწეული ოსთა და ქართველთა ძმობის.” (გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 1989);

ან კიდევ, “მიუხედავად ეროვნებისა, პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური რწმენისა, ამ საპასუხისმგებლო მომენტში გამოიჩინოს შეგნებულობა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების მეგობრობის და ძმობის ისტორიული ტრადიციების, საერთო ჰუმანური იდეებისადმი ერთგულება” (გაზ. “ახალგაზრდა ივერიელი”, 1990); და სხვ.

ასეთი ვითარების ფონზე ცხინვალური (რუსულენოვანი) გაზეთები წერდნენ: “Дорогие братья и сестры! Наша родина (?) сегодня находится в опаснейшем положении. Она призывает

своих сыновей встать на ее защиту. И на севере и на Юге формируется национальная гвардия, создаются отряды самообороны, вокруг Цхинвали население строит оборонительные сооружения... Мы должны быть готовы.” (Л. Чибиров, 1992);

ალბათ გასაკვირიც აღარაფერია თუკი ერთ მომენტსაც გავითვალისწინებთ. 1990 წლის გაზ. “საბჭოთა ოსეთი” (ე.ხოცუაშვილი, 1990) რწმენის დაბრუნებაზე საუბრობს, ეკლესიისკენ შემობრუნებას ახარებს საზოგადოებას, რომ ადამიანები “ეკლესიას მიეძაღნენ”, ერთმანეთს სითბოსა და სიყვარულს უზიარებენ, ძმობისაკენ, მეგობრობისაკენ მოუწოდებენ... გაზ. “Вестник Южной Осетии” კი იმავე პერიოდში ბრძანებს: “Мы всегда считаем себя обязанными идти впереди всех. Разумеется, быть первым – качество хорошее и к этому мы должны стремиться... в 20-х годах кто был активнее нас в кампании по сносу и разрушению до основания церквей “... (გაზ. “Вестник Южной Осетии“, 1992);

საგულისხმოა, რომ ოსი ჟურნალისტების (და არა მარტო მათ) ფანტაზიას საზღვრები არ უჩანს. საუბრობენ ე. წ. სამხრეთ ოსეთის სუვერენული რესპუბლიკის შესახებ, წყენას გამოთქვამენ საერთაშორისო ორგანიზაციების მისამართით, რომ აქამდე არ ცნობენ “ახალგაზრდა დამოუკიდებელ რესპუბლიკას”, თუმცა ეს არ ახალია და ოსთა საქართველოში მიგრაციის პროცესს არაერთმა მეკლევარმა მიაქცია ყურადღება (მაგ. ზ. ვანევეი, დ. ლავროვი, გ. კოკოევი, ე. პჩელინა, ბ. კალოევი, გ. თოგოშვილი და ა. შ.). ოსი ავტორები მაქსიმალურად ცდილობენ არ იხმარონ სიტყვა “საქართველო”. ისინი საუბრობენ ოსთა განსახლების შესახებ მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე, ამიერკავკასიაში. მათი ლოგიკით ეს ტერიტორიები ხომ საქართველო არ იყო. ის ოდითგანვე “სამხრეთ ოსეთი” გახლდათ, რომელიც მიტაცებული პქონდათ ქართველ ფეოდალებს” (რ. თოფჩიშვილი, 1997);

ოს მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა არარსებულ მასალებზე დაყრდნობით ცდილობს აბსურდული სქემების წარმოდგენას, რომლებიც გულუბრყვილო მასების მიზანმიმართულად შეცდომაში შესაყვანადაა განსაზღვრული.

რაც შეეხება 90-იანი წლების ცხინვალის რეგიონის რუსულენოვანი პრესის საქმიანობას, კიდევ ერთხელ ვამბობთ, რომ ნაცვლად იმისა, პრესას ეთამაშა პოზიტიური როლი ქართულ-ოსური ეთნოდაპირისპირების პერიოდში, მოეწოდებინა ოსური მოსახლეობისათვის სიმშვიდის, მეგობრობის აღდგენისაკენ და ამდაგვარად მიედწია მაქსიმალურად ეფექტური შედეგიანობისათვის, უფრო მეტად ქმედითი გაეხადა (ამ მიმართულებით) საზოგადოებრივი აზრი, კეთდებოდა სრულიად საპირისპირო. ამ მასალების გაცნობისას შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს ჟურნალისტური შრომის ე. წ. დისფუნქციონალურ ტიპთან.

გარდა ორიგინალური ხასიათის საგაზეთო პუბლიკაციებისა, რომლებსაც ცხინვალის რუსულენოვანი გაზეთები არ ჯერდებიან, პერიოდულად მათ ფურცლებზე ჩნდება ცენტრალური რუსული პრესიდან გადმობეჭდილი მასალები, რომლებიც ისეთივე პროვოკაციული ხასიათით გამოირჩევიან, როგორზედაც ჩვენ ზემოთ მიუთითებდით. ნიმუშისათვის მოვიხმობთ ერთ-ერთ მათგანს, რომელიც ტ. შუტოვას გაზ. "Литературная Россия"-ში დაუბეჭდავს (17/VI, 92): "Первый геноцид осетинского народа был осуществлен правительством меньшевистской Грузии в 1920 году. Тогда на территории Южной Осетии было убито 5 тысяч осетин, 50 тысяч были изгнаны в Северную Осетию, 13 тысяч умерли от голода, холода и болезней во время изгнания. В Южной Осетии были разорены и сожжены все села. История повторяется. С 1989 по 1992 год осетины были изгнаны с территории Грузии из 74 сел и 10 городов, на территории самой Южной Осетии сожжены 108 сел. Столица Южной Осетии Цхинвал почти полностью разрушен... Налицо неслыханный в практике международных

отношений парадокс: легитимное, всенародно избранное правительство Южной Осетии игнорируется, суверенитет Республики Южная Осетия никем в международном сообществе не признан...“ (Т. Шутова, 1992);

რეგიონში დასადგურებული დრამატული ყოფიერების ამსახველი რეალური დინამიკური სურათის ნაცვლად მოხმობილი მასალები აბსურდული სტატისტიკური დახასიათების მატარებელია. ჩანს, ავტორს უჭირს ლოგიკური წყობით შეხედოს ობიექტური ჭეშმარიტების ნიუანსებს.

აღიარებული შეხედულების თანახმად მედიის დანიშნულება “ადამიანთა სრული ინფორმირებაა, მათ აქვთ ბუნებრივი უფლება, იცოდნენ რა ხდება საზოგადოებასა და მთლიანად მსოფლიოში. ამ ფუნდამენტური უფლებით სარგებლობა ნიშნავს, რომ ჟურნალისტებმა მიაწოდონ მათ ისეთი მიუკერძოებელი ფაქტები, რომლებშიც არ იქნება შერეული მადიამეპატრონეთა, თვით ჟურნალისტთა ან სხვა დაინტერესებული სოციალური ჯგუფების შეხედულებები. ამიტომ ინფორმაცია აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს მსჯელობისაგან. მასალათა ავტორების მიერ გამოთქმული შეხედულებები არ უნდა ამახინჯებდეს რეალურ სურათს, მათი პოზიცია პატიოსანი და დასაბუთებული უნდა იყოს.”(რ.სურგულაძე, ე.იბერი, 2003);

სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ ცხინვალის რეგიონის რუსულენოვანი გამოცემები ზედმიწევნით ასრულებენ ჟურნალისტის პროფესიული ეთიკის ზემოთ მოტანილი ზოგადი ფორმულირების ძირითად მოთხოვნებს. პატიოსანი პოზიციებიდან დასაბუთებული ინფორმაციის გავრცელებაზე რა მოგახსენოთ და ელემენტარული ლოგიკაც სანთლით გახლავთ მოსაძებნი ქვემოთ მოხმობილ სტრიქონებში: “Грузинский национализм полным ходом шел к этнократии и этого не видели только слепые и те, кто ничего не хотел видеть“. (ОРТЭУ, 1991);

აბ კიდე: “Наша республика утвердилась, выдержав все испытания и является историческим завоеванием нашего народа, отнять которое можно только с нашими жизнями” (გაზ. “Время выбора“, 2001);

არც შემდეგი სტრიქონები გამოირჩევიან ორიგინალობით: “Как же тогда назвать действия национальной гвардии Грузии по отношению к населению Южной Осетии?.. Поистине, нет предела человеческой наглости” (გაზ. “Вестник Южной Осетии“, 1992);

რამდენიმე ნიმუშის მოხმობით ჩვენ შევეცადეთ ზოგადი სურათის წარმოდგენას. ჯერ ერთი, იმ განწყობის საინსტრუქციოდ, როგორცაა გახლდათ განმსჭვალული ცხინვალის რუსულენოვანი პრესა ქართული მხარის მიმართ, რამდენად ობიექტური იყო იგი მოვლენების გაშუქებისას და რა მიმართულებით უწყობდა ხელს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ადგილობრივ აუდიტორიაში. ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე და გრძელდება დღესაც.

რა თქმა უნდა, არა გვაქვს ილუზია, რომ ზემოთ მრავალგზის ხსენებული ეთნოდაპირისპირება, ცალსახად ქართულ-ოსური დაპირისპირების ხასიათს ატარებს. ბუნებრივია, ხსენებული კონფლიქტი უდიდეს წილად რუსული ინტერესების სფერო გახლავთ. რაც შეეხება ოს ხალხს, მას არაფერი აქვს გასაყოფი ქართველ ხალხთან. ერთად თანაცხოვრების საკმაოდ გრძელმა ისტორიულმა გზამ მჭიდროდ დააკავშირა ქართველი და ოსი ხალხების ბედი ერთმანეთთან. ამ ორი ერის გარკვეული პერიოდის ლიტერატურულ-კულტურული თანაცხოვრების სანიმუშო სურათებს ჩვენ ადრეც შევხებივართ (ალ. მღებრიშვილი, 2003); და გვითქვამს-ეს შესაშური ურთიერთობა კვლავაც საუკუნეებს გადააწვდენს ხმას. რაც შეეხება ცხინვალის რეგიონის არაქართულენოვან პრესას, ზემოთ მსჯელობისას ჩვენ შეგნებულად ავარიდეთ თავი მათ ცალ-ცალკე დიფერენცირებას

და ამ ფორმით განხილვას ერთმანეთის იდენტური ნეგატიური პოზიციების გამო. მეტიც, ზოგიერთი მათგანის დასახელებისგანაც შევიკავეთ თავი, რადგან გვგონია, რომ ამ რანგის ბეჭდვით ერთეულებს არ გააჩნიათ არსებობისათვის აუცილებელი ჩამოყალიბებული სტრუქტურა და პროგრამა, მოკლებულნი არიან ორიგინალური, დამოუკიდებელი პუბლიცისტური სიტყვის თქმის უნარს. მათი ფურცლებიდან მკვეთრად შეიგრძნობა სეპარატისტულად განწყობილი ძალების რეაქციული პოლიტიკური თამაშების მძლავრი ვიბრაცია.

მსგავსი ბეჭდვითი პროდუქციის მასალათა შინაარსობრივი მხარე რეალობიდან შორს, ხელოვნურად შექმნილ ერთ ნეგატიურ სიბრტყეში აღიქმება. ეს მასალები არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენენ და მათი გამომზეურებისაგან ჩვენც ამიტომ შევიკავეთ თავი.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაზ. «Южная Осетия», 2001, №17(772), გვ. 2.

გაზ. «Правда» («Рæстдзинад»), 2001, №(10), გვ. 8.

გაზ. «Советская Осетия», 1991, 21/III.

თ. ფანჯიკიძე, შემწყნარებლობა – ჩვენი საუკუნოვანი თანამგზავრი, გაზ. “კომუნისტი”, 1990, 22/IV, გვ. 4.

გაზ. «Советская Осетия», 1991, №10(15515), გვ. 2.

გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 1989, 8/ХII, გვ. 13.

საილუსტრაციოდ იხ. Г. Н. Гехтман, Экономическая география Грузии, Тифлис, 1924, გვ. 42.

გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 1989, 8/ХII, გვ. 5.

გაზ. “ახალგაზრდა ივერიელი”, 1990, №142(11628), გვ. 3.

Л. Чибиров, В единстве – наше спасение, გაზ. «Вестник Южной Осетии», 1992, №2(19), გვ. 5.

ე. ხოცუაშვილი, რწმენა მაპოენინე ღმერთო, გაზ. "საბჭოთა ოსეთი", 1990, №67, გვ. 2.

გაზ. "Вестник Южной Осетии", 1992, №2, გვ. 5.

რ. თოფნიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, 1997, გვ. 79.

Т. Шутова, Прости осетия, გაზ. «Вестник Южной Осетии», 1992, №9(26), გვ. 4.

რ.სურგულაძე, ეიბერი, მასობრივი კომუნიკაცია, თბილისი, 2003, გვ.43.

Осетино-русская тема этноперестроечных уроков (ОПТЭУ), пичиджэн, 1991, გვ. 14.

გაზ. "Время выбора", 2001, №3, გვ. 1.

გაზ. "Вестник Южной Осетии", 1992, №8(25), გვ. 3.

იხ. ალ. მღებრიშვილი, "XX საუკუნის ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ისტორიისათვის", (ნაწილი I), თბილისი, 2003.

RESUME

Thus, the productivity and effectiveness of press always remains one of the significant research issues of the journalism theory and the vision of this problem into the regional section is some kin of innovatory approach.

In the work, the position of non Georgian press of Tskhinvali region is emphasized, which was the main ideologist, the creator of social opinion and the indicator of the direction (unfortunately unfairly aggressive and not very kind) of the non Georgian population inhabited there.

According to several given examples we tried to give complete picture for illustration the attitude of Russian Press towards Georgian side. How objective he was in describing the facts and how it contributed the formation of the social opinion in the local audience.

The method of objectivity is absolutely unknown for Russian media of Tskhinvali. It has the unilateral approach of the occurrences.

Certainly, we have no illusion, that the ethno conflict mentioned above is characterized as a pure Georgian-Ossetian conflict. Naturally, mentioned conflict is the sphere of Russian interests. As for the Ossetian population, they have nothing to share with Georgians. The long historical way and many years of living and relationship made the fate of Georgian and Ossetian people get into closer contact with each other. We have already touched the literal-cultural pictures of the particular period of these two nations and we have said that this great relationship will last for many centuries.

As for the non Georgian Press of Tskhinvali we consciously avoided differentiating them and discussing them separately for the identical negative positions towards each other. Furthermore, we hesitated to name some of them, because we consider that, these types of printing units have no necessary structure for existence. These kinds of materials have no value and that's why we hesitated to name them.

კრებ. გორის უნივერსიტეტის მეორე საერთაშორისო
სამეცნიერო კონფერენცია, გორი, 2009წ.

ბაკო მემკვიდრე

მ ს ბ ო ზ მ ბ ო



კვლავაც ერთად იცხოვრებენ ძარტყელებიც, ოსებიც

გაუსაძლისი ცხოვრების პირობების გამო საკუთარი ქვეყნის დატოვება და უცხო ცის ქვეშ განძის მაძიებლობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, განსაკუთრებით, გასული მიძიმე წლების მანძილზე. რაოდენ სასიხარულოა ჩვენთვის ის ფაქტი, რომ არსებობს კატეგორია იმ ადამიანებისა, რომლებიც სწორედ ამ ძნელბედობის ჟამს, პირიქით, წლების მანძილზე უცხოეთში ცხოვრების შემდეგ უბრუნდებიან სამშობლოს. განსაკუთრებით სასიამოვნოა ამ ადამიანებში ჩვენი მხარის, ცხინვალის ღვიძლი შვილის აღმოჩენა.

ლევან მჭედლიძე ბავშვობიდან მხატვრობის მუზათა ქურუმის მოხარკეა. ქართული ენის მადლს ცხინვალში, ვახტანგ კასრაძის ნაამაგარ პირველ საშუალო სკოლაში ეზიარა. შემდეგ თულანოვის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. მიღებული განათლება არ აკმაყოფილებს ნიჭიერ ახალგაზრდას. ცოდნის დონის ასამაღლებლად გაემგზავრა ხარკოვის სამხატვრო-სამრეწველო ინსტიტუტში (1983-1987წწ). მალე სამსახურიც გამონახა. ოდესის საპროექტო ორგანიზაციაში წლების მანძილზე რუდუნებით ემსახურა საყვარელ საქმეს. 1995 წელს კი სრულიად საქართველოსი და განსაკუთრებით ჩვენი კუთხის ავჟამიანობის დროს დაბრუნდა, მხარში ამოუდგა ცხინვალს, გატანჯულ მოსახლეობას, მისი ბედი და უბედობა გაიზიარა.

ახლახანს ბატონი ლევანი რედაქციაში გვესტუმრა. თან საკუთარი ნამუშევრები მოიყოლა. გადახედავ ოსტატის ხელით შექმნილ სურათებს და თვალებში ცხინვალური სევდა შემოგანათებს, თუმცა უღონო, მოღლილი, მაგრამ მაინც იმედიანი თვალებით.

ცხინვალის ტერიტორიაზე მიმობნეულ ტაძრებს ფაქიზი ხელით სული შთაბერა და გააცოცხლა შემოქმედმა. მნახველს საოცარი სინამდვილის, ამაღლებული განცდა

ეუფლება. მამაზეციერისადმი კრძალვას გაგრძნობინებს, იგრძნობ იმასც, რომ ცოტაც და სულ სხვა სამყაროს ეზიარები.

მხატვარ ლ. მჭედლიძის ნამუშევართა ჩვენება მოეწყო ჯერ კიდევ ხარკოვის სამხატვრო-სამრეწველო ინსტიტუტში სწავლის დროს ქ. პლოდიეში გამართულ საერთაშორისო სტუდენტურ გამოფენაზე.

ისევე, როგორც უამრავი თანაქალაქელი, ლ. მჭედლიძეც დევნილია. მშობლებთან ერთად შეფარებია ოსი ეროვნების ოჯახის ბინას სოფ. კეხეში. უელის, ინახავს და უცხოეთში სამუშაოდ გამგზავრებულ მასპინძელთ ელოდება.

ჯერჯერობით უსაშველოდ შორია ცხინვალამდე. მერე რა, რომ ცხინვალი-კეხვის გზის მონაკვეთი სულ რამოდენიმე კილომეტრს ითვლის. ყოველდღე დაადგები გზას, რომელიც ხეობის წიაღიდან გამოგიყვანს, სამოსშემოხეული მშობლიური ქალაქის ქუჩებს მოგატარებს, შენი, საკუთარი ბინის ფანჯარაში უცხო მოდგმის სილუეტს დაგალანდინებს, კიდევ ერთ სიმს ჩაგწყვეტს გულში და შუა ქართლს შეერწყმის. დამერწმუნებით ამის გაფიქრებაც კი საკმაოდ რთულია, არა თუ ყოველივეს საკუთარ თავზე გადატანა. მაინც, ადამიანში იბადება სასოწარკვეთილი, მაგრამ მაინც – იმედი, იმედი უკეთესი მომავლის რწმენისა, ასე ჯიუტად რომ ვებლაუჭებით მთელი ცხოვრების მანძილზე.

ლ. მჭედლიძის ნახატებში ჩამოღვენთილ-ჩამონაცრული კედლების ნაღვლიანი მოტივი სჭარბობს და ეს სავსებით ბუნებრივია. ის ხომ ნაღდი, გულიანი ცხინვალია – თავისი ქალაქის მოჭირნახულე და მოყვარული. ერთი ეპიზოდი ჩამრჩა მეხსიერებაში მისი ნამუშევრებიდან. საცოდავად მომზირალი კედელშემოფლეთილი, ჩამოჟამებული, იავარქმნილი სახლი. წლები იკეცება. გოდებს ადგილის დედა, მოელის პატრონს, იმედიანი თვალით უმზერს მისკენ მიმავალ, უკვე აბალახებულ ბილიკს...

ოსტატის საოცარი გადაწყვეტაა სწორედ ამ სახლის წინ ჩაყრილი ვაზი. შემოხვევია ხეივნის ბოძებს, ზემოთ მიი-

წევს. გაზაფხულდება და ამწევანდება კიდევც, ახალ ყლორტებსაც ამოიყრის. იგია დასაბამი სამაჩაბლოს ძირძველ მკერდზე შემორჩენილი ვანო მამაბლის გენისა, ქართული ბუნების საწყისისა, ქართული სისხლისა, რომელიც ძალას იკრებს და ერთიანად ახმთანდება.

ლ. მჭედლიძე დღესაც სოფ. კეხვის ბინადარია. მის ნახატებში ზამთრის სუსხი შეიგრძნობა. მკაფიოდ ჩანს დუხჭირი დღევანდულობის სუნთქვა. მოთმინებით იცდის, უკეთესი მერმისის იმედით სულდგმულობს. ოცნებობს ცხინვალზე, ოცნებობს წინაპართა კერა გამოაცოცხლოს, სადაც კვლავ ერთად იცხოვრებენ ქართველებიც, ოსებიც. კვლავ აღდგება ძველებური ურთიერთდამოკიდებულება. საუკუნო სიმშვიდე, ურთიერთდამოკიდებულება და სიყვარული დაისადგურებს ნაიარევი ცხინვალის უძველეს მიწაზე. ღმერთმა აუსრულოს ჩანაფიქრი კეთილ ადამიანს.

გაზ. „ცხინვალი“, 1998, №48;

მიხეილ ცოტნიაშვილი ცხინვალის შუსახეზ

ძნელია რამე თქვა იმ პიროვნების მშობლიურ კუთხეს-
თან ურთიერთობაზე, რომელიც მთელი თავისი შეგნებული

ცხოვრებითა და შემოქ-
მედებით ორგანულად
დაკავშირებული იყო
მასთან. იცხოვრა, იღვა-
წა ცხინვალის ისტორი-
ის წარსულის კვლევით,
გაადრებული ნაცრემ-
ლი აწმყოთი, საუკეთე-
სო მომავლის იმედით
ისულდგმელა და ჭემ-
მარიტი მამულიშვილის
სახელი დაიკვიდრა სა-



უკუნოდ. დიახ, ჩვენი მხარის ღირსეული შეილისა და ცხინ-
ვალის ისტორიის აღიარებული მკვლევარის, ბატონი მიხე-
ილ ცოტნიაშვილის სახელი კარგად არის ცნობილი ფარ-
თო საზოგადოებისთვის.

ცხინვალის კოლორიტს, ქართული მენტალიტეტისათ-
ვის დამახასიათებელი ხიბლის თანდაყოლილი საოცარი
უნარით – ასეთად იგონებენ თანამედროვენი ბატონ მიხე-
ილს. შიდა ქართლის ტრაგედიამ უზარმაზარი ტკივილი ჩა-
უყენა სულში, ოცნებად უქცია სამაჩაბლოს დალოცვილ
ქართულ მიწაზე ქართველის ქართველობას შესწრებოდა.

მიხეილ შალვას ძე ცოტნიაშვილი დაიბადა 1935 წელს
ცხინვალში. წარმატებით დაასრულა გორის ნ. ბარათაშვი-
ლის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.
1960-1962 წლებში მუშაობდა გაზ. „საბჭოთა ოსეთის“ ლი-
ტერატურულ მუშაკად. მომდევნო შეიდი წლის მანძილზე
მოღვაწეობს სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის სახელ-

მწიფო მუზეუმის ისტორიის თანამედროვე პერიოდის განყოფილების გამგის თანამდებობაზე.

1965 წლიდან მ. ცოტნიაშვილი ცხინვალის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კათედრის მასწავლებელი, შემდეგ უფროსი მასწავლებელია.

1990 წელს არჩეულ იქნა ისტორიის კათედრის დოცენტად. 1992 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე იმავე ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანია.

მისი ინტელექტის ჰორიზონტი და ფართო გონებრივი თვალსაწიერი შესაძლებლობას იძლეოდა საუკეთესოდ აღეზარდა და დაეფრთიანებინა უამრავი თაობა სტუდენტი ახალგაზრდობისა.

ბატონი მიხეილი, პრესაში გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი პუბლიკაციების გარდა, ავტორია რამდენიმე ვრცელი მონოგრაფიისა „ცხინვალის ისტორია“ (ცხინვალის ფეოდალიზმის ხანაში (1986), რომლისთვისაც მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. მასვე ეკუთვნის: „ცხინვალის ისტორიისთვის“ (1996), „გმირი ერედვიდან“ (1972).

სამწუხაროა, რომ ღვაწლმოსილი ცხინვალელი მეცნიერის ბოლო, ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტის მეცნიერული ანალიზის მხრივ მნისვენელოვანი ნაშრომი „ცხინვალის ცრემლები“ დაუსრულებელი დარჩა.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალისტთა ფედერაციისა და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს მ. ცოტნიაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის მწერალთა კავშირის რეგიონალური ორგანიზაციის დაარსების საქმეში.

ჩვენი მიზანია, ნაშრომში „ცხინვალის ისტორია“ წინა პლანზე წამოვწიოთ ქართულ-ოსური ურთიერთობის საკითხები, რომლებიც დღევანდელი გადასახედიდან უაღრესად მნიშვნელოვანია.

მ. ცოტნიაშვილის ხსენებული ნაშრომი საყურადღებო ცნობებს აერთიანებს ცხინვალის ისტორიის ირგვლივ. უძველესი პერიოდიდან მეცხრამეტე საუკუნის მიწურულამდე.

გეოგრაფიული სახელის „ცხინვალის“ წარმოშობის საკითხზე მსჯელობისას ავტორი მიუთითებს, რომ ცხინვალის უნდა მომდინარეობდეს მცენარის სახელი რცხილა-დან და მისგან ნაწარმოებ „რცხილნარიდან“ (იხმარება რცხილის ტყის აღსანიშნავად).

ცხინვალის მიმდებარე ტერიტორია უძველესი დროიდან იყო დასახლებული „პლატონ იოსელიანი, რომელმაც გასული საუკუნის ორმოციან წლებში საქართველოს ქალაქების წარმოშობის საკითხებს სპეციალური ნაშრომი უძღვნა, ცხინვალის დაარსებას მიაკუთვნებს მეფე ასფაგურს: „ცხინვალი აშენებულია III საუკუნის მეორე ნახევარში, ქრისტიანული ერთ, შუა ქართლში, მდინარე ლიახვის სანაპიროზე მეფე ასფაგურის მიერ. ქართველი მეფეები ალამაზებდნენ და ამაგრებდნენ მას.

ზოგიერთი ხელმისაწვდომი მასალის ფონზე ნაშრომზე გაკეთებულია საინტერესო დასკვნები, რის საფუძველზეც შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ III-IV საუკუნეებში ცხინვალის ძირითადი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი დიდი ლიახვის ხეობაში და ამავე დროს ვაჭარ-ხელოსანთა თავშეყრის ადგილია. მოხერხებული მდებარეობა ცხინვალს უქმნიდა პირობებს ყოფილიყო ძირითადი ტერიტორია, სადაც მოხდებოდა დიდი და პატარა ლიახვის ხეობების შთისა და ბარის მოსახლეობის მეურნეობათა ურთიერთ დაახლოება. სავარაუდოა, რომ მომდევნო, რკინის ეპოქაში ცხინვალში განსაკუთრებით დაწინაურდა ხელოსნობა.

არქეოლოგიური გათხრები და ცხინვალში არსებულ უძველეს ისტორიულ ძეგლებზე დაკვირვება ბატონ მიხეილს აკეთებინებს დასკვნებს: ცხინვალი იმთაგანვე უნდა ყოფილიყო თავდაცვითი და ადმინისტრაციული ცენტრი „მაშასადამე, ჩვენს მიერ ზემოთ განხილული მასალა და

არქეოლოგიური აღმოჩენები გვარწმუნებენ, რომ ჯერ კიდევ ფეოდალიზმამდე პერიოდში ცხინვალში უნდა არსებულიყო პირობები მისი ქალაქად გარდაქმნისათვის”.

ეს პროცესი საგრძნობლად შეფერხდა VI-IX (I-ნახ.) საუკუნეებში, საქართველოს რთული პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობის გამო, სავარაუდოა, რომ ცხინვალმაც ამ დროს დაჰკარგა ქალაქის სახე და სოფლის იერი მიიღო. თუმცა უნდა აღინიშნოს – ამ სფეროს გამოცოცხლება, აღმავლობა დაეტყო IX-X საუკუნეებში. სამოქალაქო ცხოვრების დონე კიდევ უფრო მაღლდება მომდევნო საუკუნეებში. აქედან მომდინარეობს, რამოდენიმე დოკუმენტში დაფიქსირებული ვერსია ცხინვალის ისტორიის X ს-დან დაწყების თაობაზე.

მ. ცოტნიაშვილი წერს:

ვახუშტი ბაგრატიონმა მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს ქალაქების შესახებ. ეერძოდ, ცხინვალს იგი მცირე ქალაქად წარმოგვიდგენს: „ნიქოზის ჩრდილოეთ დიდი ღიახვის კიდეზე არის მცირე ქალაქი ქრცხინვალი, კეთილ-ჰაოვანი” და იქვე დასძენს, რომ ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, – ცხინვალი უძველესი დროიდან წარმოადგენდა სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრს მდინარე დიდი ღიახვის ხეობაში. შემდგომ პერიოდში ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, იგი კიდევ უფრო განმტკიცდა და განვითარდა. ეს კი მე-17 ს-ის დასაწყისიდანვე გახდა საფუძველი ცხინვალის დაწინაურებისათვის. ამიტომაც, რომ იგი ამ დროისათვის საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქების – თბილისისა და გორის გვერდით იხსენიება.

საინტერესოა, რომ ცხინვალის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მე-18 ს-ის მეორე ნახევარზე აღრინდელი ცნობები არ მოგვეპოვება.

ამ ფაქტთან დაკავშირებითა და დეტალების დასაზუსტებლად ისტორიკოსი მოუხმობს საარქივო დოკუმენტურ მ-

სალას. მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთ-ერთ მათგანს. 1770 წლის 10 აპრილის ნუსხაში ნათქვამია: არის ქალაქი ცხინვალი, ხიზნით 700 კომლი...”

ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობა საუკუნის მიღმა რომ იღებს სათავეს, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მათ მეგობრულ ურთიერთობაში ერთერთ დამაკავშირებელ ხაზს ცხინვალი და მისი შემოგარენი წარმოადგენდნენ. ამჟამად, შევჩერდებით მხოლოდ მშობლიური ქალაქის ისტორიის მკვლევარის მ. ცოტნიაშვილის შეხედულებაზე. ლეონტი მროველის ცნობების მოშველებით ავტორი, ნახსენები ორი ხალხის ურთიერთთანამშრომლობისა და მეგობრობის ჩანასახს მეფე ასფაგურის პერიოდში იძიებს: ქართველ და ოს ხალხს შორის ასეთი მტკიცე კავშირი სულ უფრო მეტად იზრდებოდა და მტკიცდებოდა. ეს შემთხვევითი არ იყო, ვინაიდან „საქართველო საჭიროებდა სამხედრო ძალას, ოსეთს სჭირდებოდა საქართველოსთან კავშირი თავისი ეკონომიკური და კულტურული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. დაწინაურებული საქართველო ჩრდილო კავკასიის მოსახლეობისათვის ძლიერ მიმზიდველი კერა იყო”.

ამ სტრიქონების დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მეფეების თეიმურაზისა და ერეკლეს დროშის ქვეშ ერთიანდებოდნენ, როგორც სამხრეთელი, აგრეთვე ჩრდილო ოსები, მაგრამ ეს უკანასკნელნი საქართველოს სამხედრო ოპერაციებში ქირის საფუძველზე მონაწილეობდნენ.

ქართველთა და ოსთა შეხმატებილებული ცხოვრება გრძელდებოდა დიდხანს. ვიდრე შორს გამიზნული ბინძური სპექტაკლის როლის შემსრულებლობა დაეკისრებოდა მავანთა და მავანთ. ვიდრე შეეცდებოდნენ ძმათა მკვლელი ომის ინსცენირებას, ვიდრე შებიღწულ-დამძიმებული მეგობრობის ხიდი დაიწვედა და გაიბზარებოდა.

სამწუხაროდ, ბატონი მიხეილიც ისე შეიფარა ზესთასოფლიურმა სამკვიდრომ, რომ საამსოფლოდან წაეყოლა შექმნილი რთული ვითარებით გამოწვეული სევდა-ნალღელი.

ბუნებრივია, პოლოტიკური დღევანდელობა პროგრესული ძვრებით ხასიათდება. მიმდინარე წლების ტრაგიკულ მოვლენათა გადაფასების საფუძველზე დაისახა ქართულოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების რეალური პერსპექტივა. გვსურს ვირწმუნოთ – ურთიერთდაპირისპირებული მხარეები გამოიჩინენ გონიერებას და მალე აღდგება ძველი კეთილმეგობრული დამოკიდებულება.

გაზ. "ცხინვალის სამრეკლო", 1998, №5.



არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მატრიანეში, შინაარსიანი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობით გაღებული თითქმის ორი ათწლეულის ფონზე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ქაჯაია ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს. წლების მანძილზე ცხინვალის პედ. ინსტიტუტში პროფ. ო. ქაჯაია კითხულობდა ლექციებს თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაში, ენათმეცნიერების შესავალში, მიყავდა ზოგიერთი სპეციალური კურსი და ა.შ.

ბატონი ოთარის მოღვაწეობა დაემთხვა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის არსებობის ისტორიაში იმ ბრწყინვალე პერიოდს, როდესაც იქ მოღვაწეობდნენ: ა. ლლონტი, ი. მეგრელიძე, შ. გაფრინდაშვილი, რ. შამელაშვილი, კ. დონაძე, კ. გაჩეჩილაძე, პ. ვადაჭკორია, ს. ენუქიშვილი და სხვ. მხოლოდ ამ გვარ-სახელების ჩამოთვლაც იკმარებდა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის იმდროინდელი მეცნიერული სიტყვის ჭეშმარიტი ზეობის წარმოსადგენად.

ქართული ენის კათედრას ცხინვალში ო. ქაჯაია პირველად 1952 წლის სექტემბერში ეწვია. თბილად მიიღო ახალგაზრდა სპეციალისტი რექტორმა ზ. ჯიოვემა და კათედრის გამგემ, პროფ. შ. გაფრინდაშვილმა. სწორედ აქედან იღებს სათავეს ის საოცარი სიყვარული ცხინვალისადმი, რომელიც მომდევნო წლებში აღარ განელეზულა.

ბრწყინვალე ლექციებითა და აქტიური მეცნიერული მოღვაწეობით მალე ისახელა თავი აკადემიკოსების: ა. შანიძის და ვ. თოფურიას მიერ ნაწრთობმა ნიჭიერმა შეგირდმა და მალე პროფ. შ. გაფრინდაშვილმა ქართული ენის კათედრა ღირსეულ კადრს ჩააბარა ხელში. პროფ. ო. ქაჯაიამ ხსენებულ კათედრას უხელმძღვანელა 1959-1971 წლებ-

ში. ბუნებრივია, დაკისრებული მოვალეობა უმძიმესი გახლდათ, მაგრამ ერუდირებულმა მეცნიერმა ღირსეულად გართვა თავი დაკისრებულ საპატიო მისიას. ამ პერიოდში განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა ინსტიტუტში არსებული ძვირფასი ტრადიციები, საფუძველი ჩაეყარა ზოგიერთ საინტერესო მოსაზრებას და ა.შ.

საინტერესო შეფასებას აძლევს ოთარ ქაჯაიას ცხინვალში მოღვაწეობის პერიოდს პროფ. გენადი ბურჭულაძე: “ბ-ნი ოთარი სამაჩაბლოზე შეყვარებული კაცი გახლდათ და მის სამსახურში გახარჯა თავისი მოღვაწეობის ოციოდე წელი. ვისაც იქ უმუშავია, კარგად იცის, თუ რა წყაღქეშა რიფები ახლავს ცხინვალში მუშაობას... პედაგოგიურ ინსტიტუტში მაშინ ერთი კათედრა იყო ქართული-ქართული ენის და ლიტერატურის. ეს კათედრა ფაქტობრივ იქაური უმაღლესი განათლების ოაზისს წარმოადგენდა, და არა მარტო ამისა, ყველა იქ მოღვაწე ქართველი ინტელიგენტის, თუ უბრალოდ ქართველის თვალში ეს კათედრა ასოციაციას ბადებდა ყოველივე ქართულთან. ამიტომაც იყო, რომ ამ კათედრის გამგე შინაგანად განაგებდა ინსტიტუტში ყოველივე ქართულს, აგებდა მასზე პასუხს. ძნელი, ძალზე ძნელი იყო იქ მუშაობა.

...მკაცრი დისციპლინა შეხამებული მაღალ ზნეობასა და დიდ კაცთმოყვარეობასთან ძალზე გამოარჩევდა ჩვენს კათედრას სხვათაგან (სხვათა შორის ამ კათედრის დამაარსებელი ბ-ნი ალ. ღლონტი გახლდათ). ის წლები ბ-ნმა ოთარმა ცხინვალში რომ განელო გამორჩეული იყო კათედრის ცხოვრებაშიც.”

მართლაც, უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა ბატონი ოთარისთვის ცხინვალში მოღვაწეობის პერიოდი. ცხინვალთანაა დაკავშირებული მისი ისეთი მნიშვნელოვანი გამოკვლევების დაბადება, როგორებიცაა “მოხეური დიალექტის ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურებები, დასკენითი დებულებანი”(1952); “მწკრივთა წარმოების ზოგიერთი თავისებურებისათვის მოხეურში”(1954); “თხოვნითი კილოს წარმოები-

სათვის მოხეურში”(1960); “მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის”(1967წ. ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, გვ. 375-451)...

გარდა იმისა, რომ ო. ქაჯაიამ უამრავი ახალგაზრდის პედაგოგიურ დახელოვნებაში მიიღო აქტიური მონაწილეობა, გარდა იმისა, რომ მისი ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით ბევრი მომავალი მეცნიერმუშაკი მომზადდა. ბატონი ოთარის სახელს უკავშირდება (როგორც ერთ-ერთი მოთავისა და ორგანიზატორის) დიდი გალაკტიონის სტუმრობა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ასევე, ცხინვალის პედ. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და ცხინვალის საზოგადოების შეხვედრა 80 წლის აკადემიკოს აკაკი შანიძესთან.

რაც შეეხება გალაკტიონის ცხინვალში ჩამობრძანების ფაქტს უფრო ვრცლად ჩვენ სხვა დროს შევეხებით. ამჯერად, მეორე მნიშვნელოვანი მომენტისაკენ გვსურს მივმართოთ მკითხველის მხერა.

1967 წლის მაისში ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატის და ფილოლოგიის ფაკულტეტის მოწვევით ცხინვალში ქალიშვილთან, მზექალა შანიძესთან ერთად ჩამობრძანდა 80 წლის მხცოვანი აკადემიკოსი აკაკი შანიძე. ამ შეხვედრის ორგანიზებაში, როგორც მიუეთითეთ, ლომის წილი სწორედ ო. ქაჯაიაზე მოდიოდა. მირთლაც უმნიშვნელოვანესი მომენტი იდგა ინსტიტუტის ცხოვრებაში. ამასთან დაკავშირებით თვითმხილველის, ხსენებულ შეხვედრაში მონაწილის, მაშინდელი ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტის (შემდგომში ცხინვალის ერთადერთი ქართულენოვანი გაზეთის ერთ-ერთი პასუხისმგებელი თანამშრომელი, ჟურნალისტი) ქალბატონი ციალა თინიკაშვილის მოგონება გვსურს დავიმოწმოთ:

“საოლქო აღმასკომის სხდომათა დარბაზი ხალხით გაიჭედა. იქ შეიკრიბა ცხინვალის ქართველი და ოსი ინტელიგენცია, ვისთვისაც ძვირფასი იყო ქართული ენა, ქართული კულტურა. ეს იყო დიდი ზემი. ერთი მომენტი ჩამრჩა

დარბაზიდან მეხსიერებაში. სხდომა რომ დამთავრდა ბატონი ოთარი ხელჩაკიდებული მიაცილებდა თავის დიდ მასწავლებელს და ისე მოწიწებით, სიყვარულით იყო მისი ვაჟკაცური, შავგვრემანი სახე გაციხკროვნებული, რომ ეს ნათელი დღემდე მომყვება და აღარ მავიწყდება.

ინსტიტუტის თანამშრომლის ვენერა ჭაიას ბინაში გაიშალა სუფრა სტუმრების საპატივსაცემოდ. დიდ, ლამაზ დარბაზში გაშლილ სუფრაზე ყველა წერილმანი გათვალისწინებული იყო.

სუფრასთან მზექალა შანიძის სადღეგრძელო რომ შეისვა, მან ბრძანა: “ღმერთმა იმდენი შემადლებინოს, რომ მარტო მამაჩემის სახელით კი არ მიცნობდნენ, რომ მე აკაკი შანიძის ქალიშვილი ვარ, არამედ ჩემი სახელით და გვართი მახსენებდნენო”.

ეს საღამო იყო ჩემთვის და იქ მყოფი ყველა სტუდენტისათვის მეტად საინტერესო და დაუვიწყარი. სტუმრები რომ გავისტუმრეთ რამდენიმე გოგონა ქალბატონი ვენერა ჭაიას თხოვნით დავრჩით მისახმარებლად. ბატონი ოთარ ქაჯაია შოთა ელიშაყოთან ერთად უკან მობრუნდა, დაღლილი სავარძელში ჩაეშვა. ვიგრძენით რამხელა ტვირთი იკისრა და როგორ კარგად დამთავრდა ყველაფერი. ჩვენ გვესაუბრებოდა და განიტვირთებოდა. მე ვუყურებდი მის დაღლილ, მაგრამ კმაყოფილ სახეს და დღესაც თვალწინ მიდგას ის ბედნიერი წუთები.”


ეს საღამო ჭეშმარიტად ეროვნული სულის ზეიმად იქცა. სასხვათაშორისოდ უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ ზეიმზე დასწრების მსურველთა უზარმაზარი ტალღის დაახლოებით ნახევარი ოსი ეროვნების ადამიანი გახლდათ.

წარმოუდგენელი ტკივილი მიაყენა ოთარ ქაჯაიას ცხინვალში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა. (მხედველობაში გვაქვს გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის ეთნოკონფლიქტი ცხინვალში) ტკივილი ასწილ უფრო მძიმე ასატანი იყო ალბათ იმიტომაც, რომ, როგორც თვითონ ბატონი ოთარი ბრძანებდა: “მძიმე იყო ჩემი სული-

რი განცდა. იქ ხომ 19 წელი ვიმუშავე და არა მარტო ადამიანები, არამედ თითქმის ყოველი ხე, ქვა ნაცნობი და ახლობელია.”

წლების წინ მოუწოდებდა ო. ქაჯაია ოსი ეროვნების მოსახლეობას გონს მოგებოდნენ, არ აყოლოდნენ გადამთიელთა წაქეზებას, მოაგონებდა მათ, მხოლოდ ქართველებთან ერთად შეძლებდნენ თავიანთი ეროვნების, ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის გადარჩენას და შენარჩუნებას. მოაგონებდა ოსი ეროვნების ე.წ. “შეამბოხე” ნაწილს—ურთიერთდაპირისპირების შემთხვევაში განწირულნი იქნებოდნენ, თუნდაც იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ქართველი კაცი პირნათელი იდგა ერის და ღვთის წინაშე, ქართველ კაცს ძირძველ მშობლიურ მიწას ედავებოდნენ, მამა-პაპის საფლავს უგინებდნენ... მსგავსი რამ კი ქართულ გენს, არსებობის მანძილზე, არასოდეს მოუთმენია.

გაზ. “ლიტერატურული ცხინვალი”,
2000, №6-7(50).



ოსმეთან მიგობრულ ურთიერთობაში

სამძიმოა საუბრის დაწყება ადამიანზე, რომელმაც ცხოვრების საუკეთესო წლები შეაღწია ქართულ-ოსური კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობების კვლევას. ძალიან კი დაუფასეს... სულ მალე რამდენიმე აღზევებულმა მარადიულ ლტოლვილად ქცეულმა ობივატელმა მოსყიდულ-მოთაფლული ჩლუნგი ვიქტიმარიების დახმარებით პირდაპირ სისხლის კალო მოუწყო ცხინვალის მკვიდრ მოსახლეობას. კარგად ბრძანებს მამა ელიოზი (მ. ელიოზიშვილი): „ახლა იქ, ცხინვალში, მხოლოდ ჩენი წინაპრების საფლავებილაა, აჩეხილი, უპატრონო ვაზის ცრემლით დატირებული“.

შორს გაგვექცა კალამი. ჩვენ მხოლოდ რამოდენიმე სიტყვის თქმას ვაპირებთ ქართული მეცნიერების ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელზე, რომელმაც საკუთარი სულიერი თუ ინტელექტუალური პოტენცია არ დაიშურა და წლების მაძილზე არა ერთი ახალგაზრდა თაობის აღზრდას, დაკვალიანებას თუ ცხოვრების რთულ გზაზე დაყენებას აქტიურად შეუწყო ხელი.

ტიტე სარიშვილი დაიბადა ოზურგეთთან ახლოს, სოფელ გულიაში 1908 წელს. სკოლის დამთავრებისთანავე სწავლას აგრძელებს ლანჩხუთის პედაგოგიურ სასწავლებელში. აღნიშნული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ნიჭიერი ახალგაზრდა სოფელ ჯაპანის დაწყებით სკოლას უდგა სათავეში. სულ მალე ტ. სარიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტიცაა. რაც შეეხება პედაგოგიურ მოღვაწეობას ამ მხრივ ბატონმა ტიტემ ჯერ სულ ახალგაზრდამ შესაშური გამოცდილება დააგროვა ჯერ, როგორც აღვნიშნეთ სოფ. ჯაპანის დაწყებითი სკოლის გამგემ, შემდეგ თბილისის 26-ე, 29-ე და 30-ე სკოლებში, რო-

გორც რიგითმა პედაგოგმა, სასწავლო ნაწილის გამგემ, მოგვიანებით კი დირექტორმა.

როგორც ჩანს, ახალგაზრდა, პერსპექტიულ კაცს არ აკმაყოფილებს დალაშქრული სიმაღლე და მეცნიერული მწვერვალებისკენ მიუწევს გული. მართლაც დაასრულებს ასპირანტურის სრულ კურსს და უკვე ოცდაათიანი წლების მეორე დეკადაში, უფრო ზუსტად 1936 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს ახლანდელ სულხან-საბა ორბელიანის (მაშინდელი პუშკინის) სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში. ტ. სარიშვილი კითხულობს ლექციების კურსს პედაგოგიაში. სამიოდე წლის შემდეგ გადაწყავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სექტორის დაუსწრებელი განყოფილების გამგის მოადგილედ (სამეცნიერო დარგში).

ტ. სარიშვილი ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩამოვიდა 1946 წელს. ამ პერიოდში ცხინვალის ინსტიტუტის პედაგოგია-ფსიქოლოგიის კათედრას სათავეში უდგა დოცენტი პ. გაღიევი, როგორც ბატონი ტიტე იგონებდა ძალიან ენერგიული, კულტურული, ღრმად განათლებული ადამიანი. ტ. სარიშვილს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ოს ინტელიგენციასთან.

ამ პერიოდის პედაგოგია-ფსიქოლოგიის კათედრა ერთ-ერთი მოწინავე გახლდათ ცხინვალის ინსტიტუტში, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ შესანიშნავი კადრები, ხოლო იქ მიმდნარე სამეცნიერო, სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა მხოლოდ მისაბაძი იყო ინსტიტუტის თითოეული თანამშრომლისათვის. პედაგოგიკის სფეროში მომუშავე მეცნიერები იმ დროისთვის უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ პედაგოგიური აზროვნებისა და პედაგოგიური სკოლის პრობლემების კვლევას როგორც ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ასევე სრულიად საქართველოში. ერთხანს ხსენებულ კათედრას პროფ. ტიტე სარიშვილი უდგა სათავეში.

მან საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა რევოლუციური ოსეთის სახალხო განათლების ისტორიის შესწავლის საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ტიტეს სადოქტორო დისერტაციაც ქართულ-ოსური პედაგოგიურ-კულტურული ურთიერთობის საკითხებს ეხება.

უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდა საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ტიტე სარიშვილის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. მან მონოგრაფიულად შეისწავლა ისეთი ორი მოაზროვნის ცხოვრება და შემოქმედება, როგორებიც იყვნენ: იოანე იაღლეუზიძე და კოსტა ხეთაგუროვი. აქვე დაიწერა ძირითადი ნაწილი ისეთი შესანიშნავი გამოკვლევებისა, როგორებიცაა: „იაკობ გოგებაშვილის ეროვნული პროგრამა და საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათა აღზრდა-განათლების საკითხები.“ (ამ შრომის მეხუთე თავი „ფურცლები ქართველთა, აფხაზთა და ოსთა კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობის ისტორიიდან“ მთლიანად ეძღვნება საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობას ქართველ ერთან); „სკოლა და პედაგოგიური აზროვნება რევოლუციამდელ საქართველოში“, (თბილისი 1956); „ოსურ-ქართული კულტურულ პედაგოგიური ურთიერთობანი“ (თბილისი 1965); „ოსეთის მოწინავე წარმომადგენელთა პედაგოგიური შეხედულებანი“ (ცხინვალი 1968, ორ ტომად); „კოსტა ხეთაგუროვის პედაგოგიური შეხედულებანი“ (თბილისი 1959) და ა. შ.

საკუთარ მოგონებაში პროფ. ტიტე სარიშვილი წერდა: „ოსებთან მე ყოველთვის ახლო მეგობრულ ურთიერთობაში ვიყავი და ვცდილობდი საჭიროებისამებრ დაეხმარებოდი მათ რაც კი შემეძლო.

დიდი სამამულო ომის წლებში, როგორც ცხინვალის ინსტიტუტში, ისე თბილისის პუშკინის სახელობის პედაგო-

გიურ ინსტიტუტშიც ვუკითხავდი სტუდენტებს პედაგოგიის სალექციო კურსს. ამ პერიოდში სამუშაოდ გადამიყვანეს საქართველოს დაწყობითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის კულტურულ-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგედ, რომელსაც მასწავლებლთა სახლების მუშაობის მართვა, მასწავლებლთა მეცნიერული, მხატვრული და იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლება, სკოლების მუშაკთათვის ლექცია მოხსენებების გამართვა და სხვა მსგავს დონისძიებათა ჩატარება ევალებოდა”.

სწორედ ბატონი ტ. სარიშვილის, იმ პერიოდის ე. წ. სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვალოდია ცხოვრებაშიველის და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდენტი თაემჯდომარის, ყოფ. სსსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ალექსანდრე მაისურაძის სახელებთანაა დაკავშირებული ცხინვალში პირველი მასწავლებლთა სახლის გახსნა. შემდგომში აქ ხშირად იმართებოდა მასწავლებლთა საქალაქო თუ საოლქო კონფერენციები. აგრეთვე სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დონისძიებები, ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობდა ე. წ. ოლქის მოსახლეობის ინტელექტუალურ დახვეწას...

ჩვენ ზემოთ დავასახელებთ პროფ. ტიტე სარიშვილის რამდენიმე გამოკვლევა, რომლებიც სხვადასხვა გამომცემლობის მიერაა დასტამბული, მაგრამ გარდა ჩამოთვლილისა ბატონ ტიტეს ეკუთვნის სამ ათეულზე მეტი მონოგრაფია, სახელმძღვანელო და გამოკვლევა. (მაგ. სახელმძღვანელოში „უმაღლესი სკოლის პედაგოგიის საკითხები“ მეორე, მეთერთმეტე და მეთორმეტე თავების ავტორი ბატონი ტიტე სარიშვილი გახლავთ), აგრეთვე ასობით სამეცნიერო სტატია.

ცხინვალის ინსტიტუტის გარდა სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა იგი ქუთაისის, ბათუმის, გორის სახელმწიფო ინსტიტუტებში.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ტიტე სარიშიელს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო იაკობ გოგებაშვილის მედლით და მისივე სახელობის პრემიით. მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო.

ბატონი ტიტეს ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცულია ათობით საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია.


უნდა ღინიშნოს, რომ პროფ. ტიტე სარიშიელი თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა პედაგოგიკა-სიქოლოგიის კათედრას, ხელმძღვანელობდა ინსტიტუტს, აგრეთვე თელავის რაიონის განათლების განყოფილებას და სხვ. მხოლოდ სამოცდაათიანი წლების დამდეგიდან უბრუნდება თბილისს, სადაც ცხოვრების უკანასკნელ დღემდე მუხლჩაუხრელად ემსახურა მშობლიური მეცნიერების წინსვლას.

ბატონ ტ. სარიშიელს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ღრმად სწამდა, რომ კ. ხეთაგუროვის, გადიევისა და სხვათა მიერ გაკვალულ მშვიდობიანობის, ურთიერთკეთილგანწყობის, სინათლისა და სიყვარულისაკენ მიმავალ გზას გაფრთხილება სჭირდებოდა. ღრმად სწამდა, ხალხი გონს მოეგებოდა და აღდგებოდა ძველი ურთიერთობა. აკი ამას გულისხმობდა იგი როდესაც წერდა: „არ გვეჭკება, რომ ოსებში მოქიშპეობის, მტრობის და შუღლის მთესველთა წინააღმდეგ უახლოეს მომავალში საღი აზრი, გონების სინათლე, ჭეშმარიტი ძმობა, მოყვრობა-ნათესაობა, ერთმანეთის ავ-კარგის დაფასება და ურთიერთპატივისცემის გრძნობა დაისადგურებს. ისიც მტკიცედ გეჯერა, რომ აფხაზებსა და ოსებში გაიზარდა სახელოვან წინაპართა საუკეთესო ტრადიციების პატივისცემა, საგრძნობი გახდა პროვინცია-

ლიზმისა და ეგოიზმის გრძნობებზე ამაღლება და საერთო ინტერესისადმი ერთგულება”.

ჩვენც გვსურს გავიზიაროთ პროფ. ტიტე სარიშვილის ოპტიმიზმი, თუმცა უკვე ქართულ-ოსური ტრაგედიის ათი წლისთავეზე...

გაზ. “ლიტერატურული ცხინვალი”,
2000, № 5(48).



მხატვრული სიტყვის დიდოსტატი ცხინვალში

საქართველოს ლიტერატურულ, სამწერლო ტრადიციებზე საუბარი წარმოუდგენლად მიგვაჩნია 50-იანი წლებიდან სამწერლო შემოქმედებით სარბიელზე გამოსული უნიჭიერესი მწერლის მერაბ ელიოზიშვილის გარეშე.

მერაბ ელიოზიშვილი დაიბადა ცხინვალში 1934 წელს. 1957 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. „არაბულ ენას ვეუფლებოდი. აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ფრიადს მიწერდა. ის აკადემიკოსი არაბისტებმა ქედი რომ მოიხარეს მის წინაშე და კრაჩოვსკიმ – პეტერბურგის დიდი აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლა თბილისში გადავიდაო, რომ თქვა, აი ის კაცი მიწერდა ფრიადს“... – წერდა მერაბ ელიოზიშვილი თავისი განვლილი ცხოვრების ამ მონაკვეთზე.

პირველი მოთხრობები 1958 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკრის“ (№12) ფურცლებზე და მას შემდეგ ამ გზისათვის აღარასოდეს უღალატია. პირველმა კრებულმა „მოლოდინი“ 1961 წელს იხილა მზის სინათლე, მათ მოჰყვა „დიდებები და შეილიშვილები“ (1964), „ბებერი მეზურნეები“ (1968), „ძმანო კახელნო“ (1975) და სხვა.

საინტერესოდ მოგვითხრობს მწერალი საკუთარი წარსულის შესახებ: „ოცდაერთი წლიდან სამი ვენახი ჩამოგვართვეს. ვენახი ის კი არა გურული რომ ეიახის ერთ ხეზე აცოცებულ ვაზსა, რომ გახედავდი ბოლო არ უჩანდა, ხოლო კვლები იყო, ოთხი კაცი ხელს ვერ უწვდენდა. ახლაც რომ იტყვიან „თურაშაულის პატრონი ტყეში დავეძებ პანტასო“, წავიდა ის ვენახები, ჩვენ დაერჩით ხელებში შემყურე, რას გადმოგვიგდებდა საოლქო კომიტეტი, მამაჩემი მთავარი ზოოტექნიკოსი იყო ოლქისა და, რაღაც ორი-სამი გროში ჩამოჰქონდა, მერე მეცხვარეებში დადიოდა. „თეთრი ქარაყანი“ მაგან დამაწერინა. პატარა ნაფლეთი მიწა მქონდა, თორმეტი მეასედი საჩრდილობელი. მანდ ვწერდი მოთ-

ხრობებს, ვისვენებდი. ჩემი სამივე ბავშვი მანდ დაიბადა და კედელზე ჩემი ბავშვის, რუსუდანის, ხუთი თითის ნახელური ემჩნეოდა. ეგ მახარებდა, პატარა რაღაცეებით ვცხოვრობდით ხალხი და აღარც ეგ მაქვს.”

1952წ. მ. ელიოზიშვილმა დაამთავრა ცხინვალის პირველი საშუალო სკოლა. ცხინვალივე გახდა მისი მუსიკალური განათლების პირველი აკვნის გადამრწვევი. აქ იგი იღებს არასრულ მუსიკალურ განათლებას, მოგვიანებით, უკვე სტუდენტობის პერიოდში ამ მიმართულებით ცოდნას იღრმავებს უნივერსიტეტის სიმფონიურ ორკესტრში.

უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანია მ. ელიოზიშვილის შემოქმედებითი პალიტრა. პერსონაჟთა მეტყველება – ლაღი, მოქნილი, ცხინვალური ძარღვიანი სიტყვით მარგალიტებად ასხმულლი ტკბილ-ქართული.. მწერალი საკუთარი გმირების ხასიათის გახსნისას არჩევს მათი ბუნების განსაკუთრებულ თავისებურებას, განსაკუთრებულ შტრიხს, რომელიც ხაზს უსვამს გმირის ორიგინალობას, წარმოაჩენს მას, როგორც დამოუკიდებელ, თავისთავად ინდივიდს და ამით უკიდურესად შთამბეჭდავს ხდის მკითხველთათვის.

კარგად ბრძანდება პროფ. ნოდარ ტაბიძე – თავისთავადი ისაა, რომ სემანტიკა – ბგერწერიდან გამომდინარე ასოციაციები წარმოსახვას აღიზიანებს და გმირის სახელი ალლოიან მკითხველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. იგი ნამდვილად გვიშველის პერსონაჟის უკეთ შეცნობასა და საერთო განწყობილებაში განზავეებისათვის.

მერაბ ელიოზიშვილისათვის, როგორც მხატვრისათვის, დამახასიათებელია შორი და ახლო პლანების გადაჯაჭვა, პირდაპირი და ირიბი კვალიფიკაციის მიჯრით მონაცველობა, უმნიშვნელოვანეს დეტალთა წარმოჩენა, ლაკონური განსაზღვრებების შერჩევა და ნიუანსებით არსის გათვალსაჩინობა.

აი, როგორ შეფასებას აძლევს აკაკი ბაქრაძე მერაბ ელიოზიშვილის თხზულებების ენას: „ჩვენ ერთად გვივლია

ქართლ-კახეთის ველ-მინდვრებზე... მეთევზეებისა და მწყემსების პურ-მარილი მიგვიღია. იგი ყველგან შინაური, ახლობელი, მეგობარი კაცი იყო. მათთან საუბარში მკაფიოდ ჩანდა, საიდან მოდის მერაბ ელიოზიშვილის მოთხრობების, სცენარებისა და პიესების ენა-მღიდარი, მსუყე, მოქნილი, ძარღიანი და მადლიანი. ეს შიდა ქართლის ქართველობის ანაა, ერთდროულად ასე ღინჯად, დარბაისულად, ნაზად და ვაჟკაცურად რომ ჟღერს. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა დღეს, ქართული ენის ეგზოტ და მჭკლევებისა, დასახიჩრებისა და გაღატაკების ეპოქაში.”

სევედითა და მონატრებით სავსე იხსენებს მწერალი ბავშვობის დროინდელ ცხინვალს. სამართლიანად მიანიშნებს, რომ XX საუკუნის დამდეგისათვის ცხინვალში ოთხი-ოდე ოსი ეროვნების ოჯახი თუ ცხოვრობდა, სამაგიეროდ ეს სურათი საკმაოდ სწრაფი ტემპით, სრულიად რადიკალური მიმართულებით იცვლის სახეს. თუმცა, აჯობებს კვლავ მ. ელიოზიშვილის ძარღვიან სიტყვას მოუესმინოთ: „დღესაც არსებობს ძველი კოშკის სამი კედელი, რომლის კარებთან ჩემი პაპა და დიდედა მარხია. მათი ხელით აშენებული ქვევრ-მარანი, უძველესი და წმინდათ-წმინდა ადგილი, დღეს წაბილწულია. მაჩაბლები ჩვენი ნათლიები იყვნენ. იქვე შორიახლოს განლაგებული იყო ხერხეულიძეანთ მამული, მარაბდელთა ერთი შტოს ბაღ-ვენახები... ახლა იქ ცხინვალში მხოლოდ ჩვენი წინაპრების სასაფლაოებიღაა, აჩხილი, უპატრონო ვაზის ცრემლით დატირებული.”

წლების მანძილზე თბილისის, ცხინვალის თუ ერევნის თეატრებში უდიდესი წარმატებებით იღვმებოდა მ. ელიოზიშვილის პიესები. მისი კინო-სცენარების გასაცოცხლებლად დაუდალავად შრომობდნენ კინორეჟისორები: ე. შენგულაია, თ. მელიავა, ნ. მჭედლიძე, ვ. კვაჭაძე, რ. ჩხეიძე, მ. კოკონაშვილი.

საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა მ. ელიოზიშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობას კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ. იგი აღტაცებული მიუთითებდა იმ ხაკერდოვან-ხატო-

ვან მეტყველებაზე „ბებერი მეზურნეების“ ავტორისათვის რომაა დამახასიათებელი არა მარტო ლიტერატურაში, არამედ საერთოდ ცხოვრებაშიც.

და საერთოდ, ლიახვისპირელმა შემოქმედმა თავისი ბრწყინვალე მხატვრული მემკვიდრეობით უდიდესი როლი შეასრულა, როგორც მშობლიური ლიტერატურის წინსვლა-განვითარების, ასევე ცხინვალის რეგიონის უძველესი სამწერლო ტრადიციების კიდევ უფრო გაღრმავების მნიშვნელოვან საქმეში.

მძიმედ განიცადა მ. ელიოზიშვილმა საუკუნის მიწურულს მის მშორლიურ კუთხეში დატრიალებული ტრაგედია.

„ძარღვებში გაყინული სისხლი!...

თვალეებში გაყინული ცრემლი!...

ფილტვებში გაციებული ჰაერი!...

სასულეში გაჩხერილი სიტყვა!...

ხსენებაც არ მინდა, „შიდა ქართლო“, რაც გერქვა, გაფიქრებაცა მზარავს!...

არადა მანამდეც „ეს რამდენი მძინებიაო!“ – ფასკუნჯის გადასმული ფრთით გაცოცხლებული, ქართული ხალხური ზღაპრის გამირისა არ იყოს, ისეთი გახლდათ ჩვენი ცხოვრება მამა-პაპეულ ჩვენს მამულში, გაზეთისაც, გლეხკაცისაც, თეატრისც, ქართველი ხურო-ხელოსნისაც. თითქოს ვიცოდით, ცოცხლები რომ ვიყავით, მაგრამ სიცოცხლის ნიშანს არ ვიშინევდით, ტყვიისა გვეშინოდა, ჩვენი ვინაობისათვის ბრძოლისა გვეშინოდა; შუადღის თაკარა გვეგონა მკედრის მზე, მის გაცრეცილ სხივქვეშ ოთხად წახრილნი, ძოვა-ძოვით შევდიოდით საფლაკების ქვიშიან ფარეხში და გულხელდაკრეფილნი, მოგონებად ვიცოხნიდით მონის ცხოვრების ომბალოს სურნელს“... ამჟამად ბატონი მერაბი თბილისში ცხოვრობს, დევნილია საკუთარ სამშობლოში და შინდაბრუნებაზე ოცნებობს, ამ ოცნებამ აპოენინა ღვთის გზა და გუშინდელი მერაბ ელიოზიშვილი დღეს უკვე სასულიერო პირი, მამა ელიოზი, გახლავთ. მამა ელი-

ოზი ისეთივე მონდომებით დაადგა ზეციურ, ღვთიურ საიდუმლოებათა შემეცნების გზას, როგორც ამას მწერლობაში აკეთებდა. ბუნებრივია, კალამი მამა ელიოზის ერთგული მეგზური და მეგობარია კელავაც, ოღონდ ამჯერად ღვთის სიტყვის ერთგული დარაჯის პოზიციებიდან გვესაუბრება და გემოდღვრავს.

დასასრულ, კელავ მამა ელიოზისეული ბრძნელი შეგონება გვსურს დავიხმაროთ: „ნუ გავიდებთ ყავარზე ქუდს გვირაბების იმედით. ჩაეხედოთ ერთმანეთს თვალებში: სამხედრო პოლიგონის, აყროლებული თოფის სუნს, მგონი რომ არ ჯობია იმ ღვინის სურნელს, ქართველს რომ მოჰყავდა „თამარაშნეული“, რითაც იმარხებოდა ჩვენებური ოსიც და ქართველიც!..“

ჟურნ. „ახალგაზრდა ჟურნალისტი“, 2002, №1.



„გიორგი ბესთაუთი თხემით ტერფამდე ოსი იყო და გამორჩეული მეგობარი. მიუკერძოებლად ესმოდა სხვათა გასაკირი, თესდა და თესდა სინდისის მშვენიერებას და მომკის უამს გარდაიცვალა. გიორგი ბესთაუთს ისე ეყვარდა თავისი ჭირნახული სამშობლო, თავისი ხალხი, რომ არ შეიძლებოდა ჩემი სამშობლოც არ ეყვარებოდა. გიორგი ბესთაუთი იყო ნორმა და ნიმუში კაცური კაცობისა.“



ჯანსუღ ჩარკვიანი

ქართველი და ოსი ხალხის კულტურული დაახლოებისათვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა ოსმა მწერალმა, შესანიშნავმა მთარგმნელმა გიორგი ბესთაუთიმ. მის მიერ ოსურ ენაზე შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი დღემდე უნაკლოდ, უკონკურენტოდ ითვლება.

თარგმნის დასაწყისისას, ბუნებრივია, პოეტი გრძნობდა ეს იოლი არ იქნებოდა, მაგრამ ამ დღისათვის გულმოდგინედ ემზადებოდა წლების მანძილზე. ძირფესვიანად შეისწავლა ქართული ლიტერატურა, ქართული კულტურის ძირითადი, მნიშვნელოვანი ეტაპები, ჩაუღრმავდა, საფუძვლიანად ეზიარა ქართული ენის თავანკარა წყაროს და შეუდგა უკედავი „ვეფხისტყაოსნის“ ოსურ ენაზე ამეტიყველებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ოსურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ სრულიად ღირსეული თარგმანი გ. ბესთაუთამდე ფაქტობრივად არ არსებობდა, თუმცა ადრე იყო მცდელობანი ოსი პოეტების – ი.ხოზათის, ხ. ფლითის, ი. კაჩმაზოვის (კაკეაზაგი) და მ. შავლოხოვის მხრიდან, მაგრამ როგორც პროფ.

ნაფი ჯუსოითი შენიშნავს – „ანგარიშგასაწვევი იყო ისიც, რომ ოსური კულტურის იმდროინდელი დონე რუსთაველის ხელოვნების ოსურ ენაზე მთელი სისრულით გადატანის შესაძლებლობას არ იძლეოდა“.

წლები შეაღია გ. ბესთაუთიმ „ვეფხისტყაოსნის“ ოსურად ამეტიყველებას. თავდაუზოგავმა შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. ჩვენი ნათქვამის დასტურად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: გ. ბესთაუთს სწერდნენ, სტიმულს აძლევდნენ და მხარში უდგნენ: აკადემიკოსი გ. ახვლედიანი: „მშვენიერადაა თარგმნილი და დედანთან უფრო ახლისაა, ვიდრე სხვა...“

აკადემიკოსი ალ. ბარამიძე: „თქვენ დიდი კეთილშობილური საქმე გასწიეთ „ვეფხისტყაოსნის“ ოსური თარგმანის პუბლიკაციით. მე კარგად ვიცი, რომ დიდ პოეტურ ნიჭთან ერთად თქვენ ამ საქმეს ჩააქსოვეთ ქართული ენის წინებული ცოდნა“.

პროფ. ლ. მენაბდე: „დიდი საქმისათვის მოგიკიდიათ ხელი და უთუოდ დალოცვის ღირსი ხართ...“

პროფ. ტ. კვანჭილაშვილი: „ვერ წარმოიდგენ, როგორ მასიამოვნე, შენი ხელით გაკეთებული წარწერა რომ წავიკითხე, თვალწინ დამიდექი მომღიმარი, ცოცხალი, ჭკვიანი თვალებით რომ შემომყურებდი. მინდოდა მართლა აქ ყოფილიყავი, რათა გადაგხვეოდი და მაგრად, მამაკაცურად დამეკოცნე.“

ოსი მწერალი მიხეილ ბულკათი აღფრთოვანებით წერდა: „ღმერთო, ნუთუ შეიძლება ორი ენის მუსიკათა შორის ზღვარის წაშლა და ერთი და იმავე აზრის, ორ ენაზე გამოთქმული ერთი აზრის, ორი ფორმის ასე ზუსტად დამსგავსება!“

დასასრულ, ორიოდ სიტყვით გვსურს გავიხსენოთ გ. ბესთაუთის გოგლა ლეონიძესთან ურთიერთობის ერთი საინტერესო მომენტი. 1960 წლის იანვარში დიდი გიორგი ლეონიძე ცხინვალს ეწვია. ცხინვალის სახელმწიფო თეატრმა გულთბილად უმასპინძლა სამოცი წლის იუბილარ მგოსანს.

მასპინძელთა შორის გულითადობითა და სტუმრისადმი მოკრძალებით გამოირჩეოდა გიორგი ბესთაუთი, რომლის მიერ წაკითხული მისალმების შემდეგ გიორგი ლეონიძეს უთქვამს: „ასეთი ადამიანები ამტკიცებენ ჩვენი ხალხის ძმობას.“

სამწუხაროდ, ადრე შეწყდა სახელოვანი ოსი პოეტის, მთარგმნელის, ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატის გ. ბესთაუთის შინაარსიანი სიცოცხლე, მაგრამ მან ქართველ და ოს ხალხთა შორის ძმობის და ურთიერთმეგობრობის მძლავრ ნიშანსევეტად აღმართა, ბრწყინვალედ შესრულებული ოსური თარგმანი გენიალური შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“.

გიორგი ბესთაუთმა უსაზღვროდ გაიხარა ი. მაჩაბლის სახელობის პრემიის მინიჭებისას. უზომოდ ნასიამოვნები, სიკედილამდე სულ ცოტა ხნით ადრე, მეუღლის ხელით საქართველოს მწერალთა კავშირის სახელზე დაწერილ ბართში იტყვის: „ჩემთვის ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის ლაურეატობის მონიჭება ახალი, გულუხვი გამოხატულებაა რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მწერალთა ზრუნვისა ოსურ ეროვნულ ლიტერატურაზე, ჩვენი ხალხების ისტორიული ძმობა – მეგობრობის განმტკიცებაზე, რომლის ერთგულ რაინდად მიგულეთ კვლავაც.“

ასეთ ერთგულ რაინდად დარჩა გიორგი ბესთაუთი სიცოცხლის ბოლომდე.

გაზ. “მშვიდობა”, 2004, №4.



მზობლიური ენის სწავლების მეთოდობური ცოდნის მატრი ცხინვალში

თავის დროზე ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი არაერთი საინტერესო კულტურული ღონისძიების ინიციატორი გახლდათ. ხსენებული ინსტიტუტის ლიტერატურული თუ სამეცნიერო მაჯისცემის მარეგულირებელ-მორგანიზებელი ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მოღვაწეობას ლაიტმოტივად გასდევდა სისტემატური ზრუნვა საერთო კულტურული ღონის ამალღებისათვის.

არაერთხელ თქმულა და დაწერილა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის, აწ უკვე ცხინვალის სახელმწიფო

უნივერსიტეტის წარსული ცხოვრების საინტერესო ღონისძიებებსა და საქმიანობაზე. პირადად ჩვენც არაერთხელ შევხებივართ ამ თემას, თუმცა რა გამოლევს დაუეიწყარ მოსაგონარს...

ფიქრობთ, ამჯერადაც ერთ კეთილ მოგონებას გაავაცოცხლებთ.

იღვა 1987 წელი ცხინვალის მშვიდობიანი საწუთროს ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი... სულ მალე ცხინვალს შეხიზნული შვილობილები მზეს დაუბნელებენ მასპინძელთა უკიდვანო სიკეთეს. მანამდე კი, იქაური პედაგოგიური ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მეცნიერის, პროფესორ შოთა ქურდაძის ინიციატივით ცხინვალს ესტუმრა ქართული ენის



წინა პლანზე (მარცხნიდან) პროფესორები რ. კახიანი, შ. ქურდაძე, ვ. რამიშვილი, ძ. ჩინჩალაძე

სწავლების მეთოდური ცოდნის მეტრი, პროფესორი ვალერია რამიშვილი.

აღბათ, აჯობებს ყოველივეს ლოგიკური თანმიმდევრობა მიეცეთ.

ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდის მეკლავარი და საქართველოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. შოთა ქურდაძე ჯერ კიდევ ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტიდან დღემდე, უკვე ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობისას, გვევლინება არაერთი საინტერესო, კულტურული ღირებულების თვალსაზრისით მეტად საჭირო და დროული ღონისძიებების მოთავედ. სწორედ ბატონ შოთას, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეს, ცხინვალური ქართული სიტყვის ერთ-ერთ ქომაგსა და რაფინირებულ ინტელიგენტს, მიუძღვის უდიდესი წვლილი ცხინვალის რეგიონის მაღალი სამცხნიერო კულტურული დონის შენარჩუნებაში.

დღემდე პროფ. ვ. რამიშვილის ღვაწლს ქართული ენის სწავლების მეთოდის განვითარებაში, მის სახელმძღვანელოებს დაწყებითი კლასებისათვის, კარგად ვიცნობდით პროფ. შ. ქურდაძის ლექციებიდან. ჩვენ ინტერესს საპატიო სტუმართან შეხვედრის შესახებ ბუნებრივად აძლიერებდა ბატონი შოთას სიტყვები: „ბატონმა ვალერიანმა შეხვედრისთანავე თავისი მდიდარი შინაგანი ბუნებით, მოქალაქეობით, ამ სიტყვის მაღალი გაგებით, შესასწავლი კურსის აკადემიურობით, სულ მალე დაიმსახურა მომავალ მასწავლებელთა სიყვარული და პატივისცემა” (ესარგებლობთ პროფ. შ. ქურდაძის საგაზეთო წერილიდან „მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე” გაზ. „შიდა ქართლი”. №345, გვ2-3)

ხუთი ათეული წლის განმავლობაში პროფ. ვ. რამიშვილი ნაყოფიერად იკვლევდა მშობლიური ენის სწავლების მეთოდის რიგ პრობლემატურ საკითხებს, რაც, ბუნებრივია, აისახა კიდევ მის მიერ მაღალ მეცნიერულ დონეზე

დამუშავებულ შრომებში: „რთული შეკავშირებული წინადადების სწავლება“, „დედაენა მოსამზადებელი კლასებისათვის“, „პუნქტუაციის სწავლების მეთოდთა“, „სტილისტიკის სწავლებისა და მეტყველების სტილზე მუშაობის საკითხები“, „ქართული ენის სწავლების მეთოდთა“, „ქართული ენის სწავლების მეთოდთა საკითხები დაწყებით კლასებში“ და ა.შ.

პროფ. ვ. რამიშვილის ლინგვისტურ-მეთოდური ხასიათის სახელმძღვანელოები დღესაც ერთ-ერთ ძირითად ორიენტირს წარმოადგენენ ამ დარგის სპეციალისტებისათვის. მისი, როგორც მოქალაქის და მეცნიერის პორტრეტის საჩვენებლად კვლავ პროფ. შ. ქურდაძის სტრიქონებს დავიხმარებთ: „ბატონი ვალერიანი, რამდენადაც დიდი ქომაგი იყო ყველა კეთილსინდისიერი დამწყები და ჩამოყალიბებული მეცნიერისადმი, იმდენადვე შეურიგებელი და დამგმობი იყო მედროვეთა და მეცნიერებაში მოსული შემთხვევითი ადამიანებისადმი. ამ თვალსაზრისით, მას განსაკუთრებით ბევრი ბრძოლა და უსიამოვნება გადახდა თავის თანამოაზრეებთან ერთად იაკობ გოგებაშვილის უკვდავი „დედაენის“ დასაცავად...“

ბატონი ვალერიანი ბრძენი, ტაქტიანი მკვლევარი ბრძანდებოდა. მას გენეტიკურად მოსდგამდა გონივრული დიპლომატია და რჩევა-დარიგება, რის საფუძველზეც ყოველთვის ახერხებდა საერთო ენის გამონახვას თავის დიდ მასწავლებლებთან და მერე სწორედ მათივე (ე.ი არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას) მხარდაჭერით აღწევდა სასურველ მიზანს“.

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფ. ვ. რამიშვილი სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის პედ. სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ახლანდელი ს. ს. ორბე-

ლიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდის კათედრის გამგედ. 1978 წლიდან ი. გოგებაშვილის სახელობის პირველი ხარისხის პრემიის ლაურიატია და მრ. მისთ.

სწორედ ასეთი ნაყოფიერი შემოქმედებითი-სამეცნიერო გზის ღირსეულად გავლისა და უხვი მოსაველის მოწვევის ქაშს, მისი დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ბატონი ვალერიანი 1987 წელს მიწვეულ იქნა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ბუნებრივია, ამ ღონისძიების ერთ-ერთი ძირითადი ორგანიზატორიც პროფ. შ. ქურდაძე გახლდათ.

სტუმრებს, პროფ. ვ. რამიშვილსა და პროფ. მ. ჩინჩალაძეს გულთბილი შეხვედრა მოუწვევს ცხინვალის უმაღლესი სასწავლებლის სხეულის ნაწილმა პედაგოგებმა. სწორედ ამ საიუბილეო საღამოს პროფ. გენადი ბურჭულაძე ბრძანებდა: „ბატონო ვალერიან, მიიღეთ ყველა ჩვენთაგანის გულწრფელი მადლობა ქართველთათვის ერთი ყველაზე დიდი საფიცარის, „დედაენის“ ასეთი წმინდა და უმწიკველო სამსახურისათვის.

აგერ უკვე 15 წელია, ჩვენი მომავალი თაობა ხომ თქვენეული „დედაენით“ ეცნობა გარესამყაროს. ი. გოგებაშვილის „დედა ენასაც“ მიაგო სათანადო პატივი ბატონმა ვალერიანმა. 1979 წ. მიუძღვნა მას მონოგრაფიული სახის გამოკვლევა „ი. გოგებაშვილის „დედა ენა“...

არ ჩამოვთვლით, უკვე ითქვა, პირველხარისხოვანი მეთოდური სახის ლიტერატურაზე, რითაც ბატონმა ვალერიანმა გაამდიდრა ჩვენი თვალსაწიერი ქართული ენის სწავლების სფეროში.

ქართული ენა კულტია, ალბათ, ბატონი ვალერიანის ოჯახში... ერთი სიტყვით, ამ ოჯახში დილა იწყება ენაზე ზრუნვით და ასევე მთავრდება დღეც.

დიდხანს არ გამოლოდეს ეს დღეები ჩვენს ქვეყანას, ბატონო ვალერიან, ქართული ენის დიდო მოჭირნახულე, უერთგულესო მსახურო“.

შეხვედრაზე პროფ. ვ. რამიშვილის დამსახურების შესახებ მოკლედ და საგულისხმოდ ისაუბრეს ბატონი ვალერიანის ერთგულმა მეგობრებმა: პროფ. მ. ჩინჩალაძემ და დოც. ტ. სულაბერიძემ.

კეთილ მასპინძლობაში ერთმანეთს ეცილებოდნენ: პროფ. ვიანორ ახალაია, პროფ. ვენერა სომხიშვილი, დოც. ნოდარ მესხრიკაძე, იმჟამინდელი რექტორი, პროფ. რუთენ კაბისოვი და სხვ.

მაშ ასე, 1987 წლის 5 დეკემბრის საღამომ ურთიერთპატივისცემითა და დიდი, თბილი გულების გამონაშუქი ურთიერთსიყვარულით გაჯერებულ ატმოსფეროში ჩაიარა იქცა ერთ კეთილ მოგონებად, ერთ კეთილ წამად მომდევნო ტრაგიკული წლების ავდარში.

გაზეთი „ლიტერატურული ცხინვალი“, №13 (82), დეკემბერი,
2002წ.



ცხინვალის ბაზეთის რედაქტორი

„საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორებად თავდაპირველად ავტომატურად ინიშნებოდნენ საოლქო კომიტეტის მდივნები, უფრო ზუსტად, ისინი შეთავსებით ხელმძღვანელობდნენ ამ საქმეს.

სხვადასხვა დროს გაზეთს რედაქტორობდნენ: რ. ლაზარაშვილი ბ. გეარაძია, ს. ყულაევი, მ. გიორგაძე, პ. ქერქაძე, ვ. სარალიძე, მ. ბინიაშვილი, კ. ტრაპაიძე, შ. მაჭავარიანი, ვ. გელაშვილი, ა. მამისაშვილი, ვ. მაისურაძე, შ. ლარცულიანი, ვ. კასრაძე, ვ. საბანაძე მ. შერაზადიშვილი.

ამჟერად ვისაუბრებთ ზოგიერთ მათგანზე, რომლებმაც განსაკუთრებით დაამჩნიეს კვალი ცხინვალში გამოშავალ ერთადერთ ქართულ გამოცემას.

სამწუხაროდ თავიდანვე უარყოფით ნოტაზე გვიწევს საუბრის დაწყება, მაგრამ ეს აუცილებლობითაა გამოწვეული.

გაზეთის პირველი რედაქტორი იყო ისაკი ჟვანია. ამ პიროვნების მოღვაწეობაში საგრძნობზე საგრძნობია ჩრდილოვანი მხარეები. მხედველობაში გვაქვს ის საქმიანობა, რომელსაც იგი ეწეოდა ცხინვალში ჩამოსვლამდე - ენრგიული ბრძოლა ე.წ. ადგილობრივი ენის გამოყენება - დამკვიდრებისათვის სამეგრელოში ქართულის ნაცვლად.

ამ პრობლემას საფუძვლიანად შეეხო ზვიად გამსახურდია „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ საინტერესო წერილში „სამეგრელოს საკითი“. კერძოდ იგი წერს: „სამეგრელოს საკითხი“, რომელიც თავდაპირველად შავრაზმელებმა ვოსტორგოვმა, იანოვსკიმ და სხვებმა წამოაყენეს ახლებურად განავითარა 20-იან და 30-იან წლებში ზუგდიდის სამაზრო პარტიული კომიტეტის (იშვამად რაიკომები ჯერ არ არსებობდა) პირველმა მდივანმა ისაკი ჟვანიამ, რომელმაც ბევრი იბრძოლა ამ მიმართულებით და ბოლოს თავისი გამოცდილება შეაჯამა რუსულ ენაზე და-

წერილ სპეციალურ წიგნში, რომელიც დღეს ვრცელდება სამეგრელოში (ხელნაწერის სახით).

ამ წიგნის მიზანია საზოგადოების დარწმუნება იმაში, თითქოს სამეგრელო ისეთივე ცალკე ეროვნული ერთეულია, როგორც ოსეთი, აფხაზეთი, აჭარა (!) და ა. შ და რომ მეგრელები იმსახურებენ ავტონომიას ისევე, როგორც ზემოთჩამოთვლილი პატარა ხალხები” 1.

1930 წლის პირველი მარტიდან ი. ჟვანიას დიდი აქტიურობის შედეგად ზუგდიდში გამოიცა პირველი მეგრული გაზეთი. მართალია იგი ჩვიდმეტე ათასიანი ტირაჟით დაისტამბა, მაგრამ სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობამ ჟვანიასი და მის თანამოაზრეთა მცირე გუნდის სეპარატისტული ზრახვები არ გაიზიარა.

„ი. ჟვანიას წინააგმდეგ იბრძოდნენ: კ. გამსახურდია, ალ. აბაშელი და სამეგრელოდან გამოსული სხვა მოღვაწეები. ალბათ ისინი რომ არა დღეს „სამეგრელოს ავტონომიური რესპუბლიკაც“ გვექნებოდა” 2.

მოითხოვდა რა სამეგრელოს ავტონომიას ი. ჟვანია მიუთითებდა: „ამხ. სტალინი სამეგრელოს აღიარებდა დამოუკიდებელ ეროვნებად” 3 .

არა და, ცნობილია, ი. სტალინის სიტყვები: „ამ ჟვანიამ გადამკიდა სამეგრელოდან გამოსული ინტელიგენცია: გამსახურდია, აბაშელი, სახოკია და სხვა. მათი აზრი მე უფრო სანდოდ მიმაჩნია ვიდრე ჟვანიასი, მომავლორეთ თავიდან ეს კაცია” 4. ვფიქრობთ დიდი როლი ამ სიტყვებმაც შეასრულა ისაკი ჟვანიას ბედის გადაწყვეტისას (1937წ).

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ი. ჟვანიას ოფიციალური რედაქტორობის პერიოდში ხელმძღვანელის ძირითად ფუნქციებს ასრულებდა რედაქტორის მოადგილე ჟურნალისტი მამანტი კვირტიანა.

გაზეთმა „საბჭოთა ოსეთმა“ ბევრი საუკეთესო პიროვნების და ნიჭიერი ჟურნალისტის სახელის სამზოვზე გამოტანას შეუწყო ხელი. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ არჩილ მამისაშვილი.

ა. მამისაშვილმა განუზომელი ამაგი დასდო გაზეთს, როგორც ბრწყინვალე კალმოსანმა, თავისი დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მოქართველმა, ჟურნალისტური ტაქტიკითა და აღლოთი დაჯილდოებულმა პიროვნებამ.

ა. მამისაშვილი დაიბადა და გაიზარდა ცხინვალზე მიდგმულ პატარა სოფელ მამისაანთ უბანში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა გააგრძელა სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის სრული კურსის გასრულება ვერ მოასწრო მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო. მალევე გაიწვიეს ფრონტზე და სწორედ იქ განაგრძობდა ინსტიტუტში დაწყებული თეორიული საქმიანობის პრაქტიკულ სრულყოფას. თვითონაც რამდენჯერმე დაჭრილს არაერთი დაჭრილ-დასახიჩრებული მეომარი გამოუყვანია ფრონტის წინა ხაზიდან, აღმოუჩენია პირველადი სამედიცინო დახმარება. დაჯილდოვებული იყო ორდენებითა და მედლებით. ფრონტული შთაბეჭდილებანი და მოგონებანი ა. მამისაშვილმა მკითხველს გააცნო წიგნში „ტყვეები აღმოსავლეთისაკენ მიდიან“.

ომიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე, კერძოდ პარტიის ცხინვალის საოლქო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგედ, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, ცხინვალის რაისაბჭოს თავმჯდომარედ და ა.შ. მაგრამ რაც მთავარია თავისი ცხოვრებისა და საქმიანობის საუკეთესო სამი ათეული წელი „საბჭოთა ოსეთს“ შესწირა.

გაზეთს ამშვენებდა ა. მამისაშვილის მეთაური სტატიები ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილები, კორესპონდენციები და ა.შ. გარდა ლიტერატურისა იგი მშვენივრად ერკვეოდა სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის საკითხებში.

ა. მამისაშვილის პუბლიცისტურ ოსტატობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ფელეტონი, რომელიც 1977 წლის 15 აპრილის ნომერშია გამოქვეყნებული. ბუნებრივია, რომ „მოვლენის არსი განსაზღვრავს მისდამი მიდგომის ხა-

რისხს...ზოგ შემთხვევაში იმდენად სუსტია არასასურველი პიროვნის მსჯელობა, იმდენად პრიმიტიულია მისი მოქმედება, რომ სერიოზული კამათი საფუძველშივე გამოირიცხება. ამიტომაც მიმართავენ აბუნადამგდებ ტონს. ამ შემთხვევაში რელიეფურად ვლინდება მოწინააღმდეგის ხასიათი და მისწრაფებები, მისი უსუსურობა”6.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ა. მამისაშვილს სწორედ მსგავსი შემთხვევა ჩაეარდნია ხელთ. ფელეტონში „მეშიდე გაზომვამდე” -ირონიული პასაჟები მძლავრობს. ერთი შეხედვით ავტორი თითქოს მოწინააღმდეგის პოზიციას იცავს, სინამდვილეში კი აბსოლიტურად განსხვავებულ აზრს გამოთქვამს, რომლის სწორად აღქმაც მის ლოგიკურ გააზრებას ეფუძნება. კერძოდ „და რაკი წელიწადის დრონი ძალზე ხანმოკლენი არიან, ერთი წლის გაზაფხულ-შემოდგომა ისე ჰგავს მეორესას, როგორც ორი წვეთი წყალი, რას იზამენ სად გაექცევიან ბუნების კანონებს. ერთი რჩევა კი უნდა მიეცეთ: იქნებ საჭიროა რაიონული რგოლის ხელმძღვანელ ორგანოთა კიდევ ერთი დადგენილება...მზის გარშემო დედამიწის ბრუნვის შენელების შესახებ. თუკი ვერ ასწრებენ მაშ რა ქნან?!” 7

ჟურნალისტური ტაქტიკა და საინტერესო ხედვით გამოირჩევა ა. მამისაშვილის მოწინავე წერილები: „აქტიური მხარდაჭერით“, „ერთსულოვნად” და ა. შ.

მართებულად შენიშნავს პროფ. ნ. ტაბიძე: „პუბლიცისტური ოსტატობა, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ხედვის ოსტატობას ფაქტებისა და მოვლენების ორიგინალურ გააზრებას. მეორე მხრივ პუბლიცისტური ოსტატობა ნიშნავს ნანახ-განცდილისა და გააზრებულისადმი შესაბამისი სიტყვიერი ფორმის გამოძებნას, სხვადასხვა კონკრეტული ხერხის მოშველიებით აზრსა და ნაწერს შორის მანძილის უკიდურესად შემცირებას”8.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ა. მამისაშვილმა ახალ საფეხურზე აიყვანა გაზ. „საბჭოთა ოსეთი”. როგორც თვითონ წერდა: „მასებთან კავშირის განმტკიცების შედეგად გაი-

ზარდა „საბჭოთა ოსეთის“ მკითხველთა რაოდენობა. ამჟამად (1973) ჩვენი გაზეთის ყოველდღიური ტირაჟი შეიდი ათას ეგზემპლარს აღემატება, ნაცვლად სამი ათას სამასი ეგზემპლარისა 1958 წელს, როდესაც აღინიშნა „საბჭოთა ოსეთის“ დაარსების 25 წლისთავი. ამჟამად მას ხელმომწერები ჰყავს არამარტო ოლქის, არამედ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

მკითხველთა რაოდენობის ზრდამ თავისთავად გამოიწვია მუშეკორების, სოფლის კორესპონდენტთა წრის გაფართოება, რამაც ბუნებრივია თავისი კეთილი გაელენა იქონია გაზეთის შინაარსის გაუმჯობესებაზე. მუშათა და სოფლის კორესპონდენტთა რიცხვი ამჟამად ხუთას კაცს აღემატება. მათგან სისტემატურად თანამშრომლობს გაზეთში ოთხას ოცამდე კორესპონდენტი. ესენი არიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები, წარმოების რიგითი ადამიანები” 9.

რასაკვირველია ტირაჟის მომატებამ ხელი შეუწყო გაზეთის პოპულარობის ზრდას. კორესპონდენტთა შესამჩნევმა გააქტიურებამ განაპირობა სარედაქციო ფოსტის არა მხოლოდ შინაარსობრივი არამედ ხარისხობრივი ზრდა. ფაქტები მეტყველებს, რომ თუ 1958 წლისთვის რედაქციაში შევიდა დაახლოებით ორიათას ხუთასი სტატია, კორესპონდენცია თუ შენიშვნა 1973 წლისათვის ამ რიცხვმა სამიათას ხუთასს გადააჭარბა.1

ა. მამისაშვილის რედაქტორობის პერიოდში ფართო გაქანება მიეცა საზოგადოებრივ საწყისებზე თანამშრომელთა მოწვევას, ყველა განყოფილებას შერჩეული ჰყავდა და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდენ კონსულტანტები სახალხო მეურნეობის და კულტურის სხვადასხვა დარგიდან.

ა. მამისაშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით მრავალი სასარგებლო საქმე გაკეთდა ყოფილ სამხრეთ ოსე-

თის ავტონომიურ ოლქში. თუმცა მიღწეულით არასოდეს დაკმაყოფილებულა. ჩვენს ნათქვამს ადასტურებს მისივე სტრიქონები: „იგრძნობა, რომ ყოველივე ეს საკმარისი არ არის. გადაწყვეტილი გვაქვს გავახშიროთ შეხვედრები მრგვალ მაგიდასთან, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის მუშაკები. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო მჭიდრო კავშირი დავამყაროთ მკითხველთან, უფრო კონკრეტულად გავერკვეთ მათს მოთხოვნებში, სწრაფად აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი მეტი სისრულით განვსაზღვროთ გაზეთის მორიგი ამოცანები დროის ყველა გარკვეულ მონაკვეთში. ყოველივე ეს შესაძლებლობას მისცემს გაზეთს უფრო კვალიფიციურად, საქმის ცოდნით გააშუქოს ოლქის ცხოვრება...”²

გაზეთ „საბჭოთა ოსეთის” რედაქტორობიდან ხანდაზმულობის გამო წასულ ა. მამისაშვილს სხვაგან აღარ უმუშავია...

დასასრულს დავკენთ, რომ ა. მამისაშვილის სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა ცხინვალის ქართული გაზეთის ისტორიას და ამ უკანასკნელზე საუბარი წარმოუდგენელია მისი შემოქმედების სიღრმისეულად გააზრების გარეშე. იგი დარჩება ერთერთ თვალსაჩინო ფიგურად არა მხოლოდ ოლქის, არამედ სრულიად საქართველოს მასშტაბითაც.

ა. მამისაშვილის გვერდით შეგვიძლია დავასახელოთ ასევე ღირსეული რედაქტორი ნაყოფიერი ჟურნალისტი ვ. გელაშვილი. ყურადღებას იმსახურებს ვ. საბანაძე. მისი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა „საბჭოთა ოსეთის” სამართალმემკვიდრის „შიდა ქართლის” გამოცემა და სარედაქციო საქმიანობის მაღალ დონეზე წარმართვა. ეს გაზეთი დროებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით კი გორში თავშეფარებული, ცხინვალიდან დევნილი მოსახლეობის პირუთვნელი მესიტყვე და ერთგული თანამებრძოლია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. გამსახურდია, სამეგრელოს საკითხი, (ნაწ.I), გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, N44
2. ზ. გამსახურდია, სამეგრელოს საკითხი, (ნაწ.II), გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1989, N51
3. „საბჭოთა ოსეთი-50“, (რედ. ი. ტოლიაშვილი), ცხინვალი 1983
4. ვ. საბანაძე, ცხინვალის გაზეთის პირველი რედაქტორები, გაზ. „შიდა ქართლი“, 2000, N347
5. გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, 1819-1945წ.წ, თბილისი 1947
6. ა. მამისაშვილი, (მოხსენება წაკითხული გაზ. „საბჭოთა ოსეთის“ პირველი ნომრის გამოსვლიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე), ცხინვალი 1973
7. გაზ. „Копхозин пард“, 1980, N113
8. ნ. ტაბიძე, ილია ჭავჭავაძის „ივერია“, თბილისი 1977
9. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1977, N74

კრებ. „ჟურნალისტური ძიებანი“, VI, თბილისი, 2004წ.



რუსეთის ცარიზმის მიერ საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარებისა და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შედეგია მე-19 საუკუნის 30-იანი წლების მოძრაობა, რომელმაც საფუძვლიანი ადგილი დაიკავა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. თანდათანობით იკვეთებოდა ცარიზმის მესვეურთა შავბნელი ზრახვანი, რაც პირველ რიგში ქვეყნის, რუსეთის ერთ-ერთ გარე პროვინციად გარდაქმნას ითვალისწინებდა.

მაღე სამეფო სახლის წევრთა შორის გაიფანტა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით შექმნილი ილუზიები და გაჩნდა დაუოკებელი წყურვილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა. სწორედ ამის შედეგია გასული საუკუნის 20-იანი წლებში პეტერბურგში ჩასახული ქართული საიდუმლო საზოგადოება. მოგვიანებით, 1828 წელს, ანალოგიური ფარული, მაგრამ უფრო ძლიერი საზოგადოებაა ჩამოყალიბებული თბილისში, და თვით 1832 წლის შეთქმულება, რომელმაც დიდი გამოძახილი ჰპოვა იმ დროის ქართულ ლიტერატურაში და საზოგადოებრივ აზროვნებაში.

ქართული ეროვნული მოძრაობა იკვებებოდა იმ იდეებით, რაც გამომდინარეობდა ადგილობრივად შექმნილი ვითარებით, აგრეთვე რუსეთიდან და ევროპიდან მომდინარე შეხედულებებით. ამ დროს რუსეთიდან უკვე დაბრუნებულები იყვნენ: სოლომონ დოდაშვილი, ელიზბარ ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, დიმიტრი ჯორჯაძე, ზაქარია ჩოლოყაშვილი და სხვა. მაშინდელი მოწინავე ადამიანები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ თავად-აზნაურთა ერთ ნაწილს უკვე გაჰქრობოდა და პირადი დაწინაურების მიზნით დაევიწყებინა ფართო ინტერესები.

შეთქმულნი, რომელთა შორის რამდენიმე აზრი არსებობდა საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი წყობილების თაობაზე, გასცეს. დიდი ხნის გამოძიების შემდეგ

დაპატიმრებულნი სხვადასხვა ვადით გადაასახლეს რუსეთის შორეულ გუბერნიებში. ბევრი მათგანი გადასახლებაში დაიღუპა სამშობლოს უნახავად.

ჩვენი მიზანია გავაშუქოთ ხსენებულ შეთქმულებასთან დაკავშირებული ჩვენი მხარის ისეთი თვალსაჩინო ლიტერატურული ფიგურა, როგორც იყო დავით ბარძიშის ძე მაჩაბელი.

დ. მაჩაბელი დაიბადა 1814 წელს სოფელ თამარაშენში. ოჯახში მიღებული დაწყებითი განათლების შემდეგ მიაბარეს თბილისის გიმნაზიაში. სწორედ აქ გაეცნო იგი ნ.ბარათაშვილსა და მიხ. თუმანიშვილს. ეს ნაცნობობა მალე გულითად მეგობრობაში გადაიზარდა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1834) დ. მაჩაბელმა სამხედრო სამსახურში შესვლა სცადა, მაგრამ 1839 წელს შამის გარდაცვალების გამო იძულებული გახდა მშობლიურ სოფელში დაბრუნებულიყო. მეუღლე-ელისაბედ წერეთელი (სვიმონ წერეთლის ასული) ვაჟიშვილ აბესალომთან ერთად უმეტესად იმერეთში იმყოფებოდა. დავითი კი წუთისოფლის სტუმრის ხვედრს თითქმის მარტოდმარტო იზიარებდა.

შემოქმედებითი უნარით უხვად შემკული პიროვნება-დავით მაჩაბელი, როგორც აღ. კალანდაძე წერს: “პირველად ქართულ პრესას შემოყვა პოეზიაში. ის აღმოაჩინა და გზა დაულოცა ჟურნალმა “სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანმა” და მისმა რედაქტორმა. შეთქმულების მზადების დროს, თავის ოჯახში გამართულ ვახშამზე ს. დოდაშვილმა ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს, ელიზბარ და გიორგი ერისთაუებს, ანტონ აფხაზს და სხვ. წაუკითხა თბილისის გიმნაზიის მოწაფის დავით მაჩაბლის ლექსი “თოვლი”, რომელიც იმავე წელს დაიბეჭდა თავისი ჟურნალის ნომერში ხელმოწერით: “თბილისის ღიმნაზიის მოწაფე დ. მა... გამამხნევებელი შესაველი”.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალმა სათანადოდ წარმოაჩინა ეპოქის მიერ წამოყენებული ეროვნული

პრობლემა. უფრო მეტიც, იგი ფაქტიურად სათავედ იქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა.

ბუნებრივია, დ. მაჩაბელი, როგორც აზროვნების ცნობილი კორიფეს სოლომონ დოდაშვილის შეგირდი, გულგრილი ვერ დარჩებოდა თანამედროვე ცხოვრებაში მიმდინარე ეროვნულ-პოლიტიკური ძვრების მიმართ. ის შეთქმულებასთან კავშირში ძირითადად თავისი ლიტერატურულ-პოეტური პოზიციებიდან მოსჩანს.

ს. დოდაშვილი ერთ-ერთი დაკითხვის ოქმში აცხადებს: “ვახშამი ჩემს ბინაზე გაიმართა. ჩვენ აქ წავეიკითხეთ მოსწავლე მაჩაბელოვის თხზულება, ემსჯელობდით, ვამბობდით შეგვედგინა საზოგადოება, გამოგველო ფული, აჩ თანხით შეგვეძინა ბიბლიოთეკა და სტამბა, ვამბობდით აგრეთვე ნიჭიერი მოწაფეები გაგვეგზავნა უნივერსიტეტში და დაგვენიშნა მათთვის სტიპენდია”.

დ. მაჩაბლის ურთიერთობა შეთქმულებთან, გარდა, არალეგარლურ შეკრებებზე ლექსების კითხვისა, ამოიწურებოდა მარტივი ხასიათის დავალებებით.

უფრომ ალექსიშვილი წერს: “1832 წლის ვგონებ სექტემბერში მოსულიყო უფალი დოდაევი ჩემთან მაშინ, როდესაც მე არ ვიყავი შინ და დაეგდო ქართული პროპისები და ეთქვა თბილისის ღიმნაზიის მოწაფეთა დავით მაჩაბლისა და ჩემის შვილის ალექსისათვის, უთხარით მოძღვარსა ღირექტორსა სთხოვოს ეს დედნები გარდასწეროს კარგს ხელზე, უნდა დავაბეჭდინოთ ღიმნაზიის მოწაფეთათვის, მე მოველ შინ და მითხრეს ხსენებულთა მოწაფეთა ესე ამბავი.”

ღმიტრი ყიფიანი თავის მემუარებში (გვ.138) იხსენებს ერთი ვახშამის ისტორიას, რომელიც გაუმართავეთ შეთქმულთ და ყიფიანიც მიუწვევიათ: “ღეკემბრის მარხვის პირველ კვირაში, აეთანდილოვი მართავეს ვახშამს, რომელზედაც მიწვეულნი იყვენენ: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელია-

ნები, გიორგი ერისთავი, მე, სიძე აეთანდღილოვისა გამაზოვი და ვილაც გიმნაზიის მოწაფე თავადი მაჩაბელი”.

არსებული მასალების მიხედვით დ. მაჩაბელი 1832 წლის შეთქმულებასთან ახლოს მდგომი ერთ-ერთი მოწინავე ახალგაზრდა გიმნაზიელია. მართალია ამის გამო კონკრეტული სასჯელი არ მიუღია, მაგრამ ამ მოძრაობის ისტორიაში იგი თავის კვალს უდავოდ ტოვებს.

პირველი ლექსი “თოვლი”, რომელიც დ. მაჩაბელმა გამოაქვეყნა ჟურნალ „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათაში (№4) შეთქმულთა მისწრაფებების ანარეკლია. ლექსის სერიოზულ ღირსებას წარმოადგენს ავტორის სულიერი სიწმინდე, ხმა ხალხის პოეტური საგანძურიდან, ეს იყო ხალხის წიაღიდან მოსული ახალგაზრდა შემოქმედის პირველი შეძახილი, რომელიც დიდხანს აღარ გაჰყოლია. დროის სულიერ კულტურას ნაზიარები შორდება ამ პროგრესულ გზას და ითვისებს გავრცელებულ პოეტურ გემოვნებას.

მის პოეზიას თანდათან ეუფლება ფორმის პედანტურობა, არაემოციურობა, სიმშრალე, რაციონალური განმსჯელობა, კანონიზირებული აღწერითობა, პასიური აღეგორია. ასეთებია: “პირველი მაისი”, “ჩემი ღოცვა”, “ქართლოს ძუელად”, “ჩემს მინერვას”, “ვარდი”, “მილონისადმი” და სხვა.

მისი ნაწარმოებები მოკლებულია ძლიერ ვნებებს, ფანტაზიას, ორიგინალურ, ინდივიდუალურ მსოფლგანცდას, რომანტიკულ სევდასა და უშუალობას. – ასე ახასიათებს ცნობილი მკვლევარი აღ. კალანდაძე დ. მაჩაბლის პოეტური მემკვიდრეობის დიდ ნაწილს. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ შემოქმედების ანალიზის თვალსაზრისით იგი კლასიციზმის მოძველებული სტილის გაელენის ქვეშ დარჩენილია და ნაკლებად შეიძლება მიეკუთვნოს რომანტიკოსის სახელი.

დიდია ღვაწლი დ. მაჩაბლისა ხალხური შემოქმედების შესწავლის საქმეში. ამ საკითხს ეხმაურება წერილი “ქართველთა ზნეობანი, გალობა”.

ამდენად, ზემოთ მოხმობილი მასალები მიგვანიშნებს დ. შაჩაბლის ფართო სამეცნიერო დიაპაზონზე, რომელიც მან სრული შემართებით მიმართა სამშობლოს ეროვნულ თუ სოციალურ სფეროში მიმდინარე ცვლილებების სასიკეთოდ წარმართვისაკენ.

გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1998, №4(23);



1811 წელს ქართული ეკლესიის თვითმმართველობის გაუქმებით ქვეყანას დააჩინდა კიდევ ერთი მძიმე და მწველი ნაიარვეი, ჯერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების, ხოლო შემდეგ ქართული ენის მასიური იგნორირების კამპანიის აქტიური ფრთაგაშლის შემდეგ. ქართველი კაცის ცნობიერებაში გაჩნდა შესამჩნევი ბიკარი, ხოლო მის სეკულიერ სიმტკიცეს რეალური საფრთხე დაემუქრა. განვითარების ამ ეტაპზე, როდესაც ქვეყანა სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, ერთობ სასიამოვნოა გახსენება დიდებული ადამიანებისა, საკუთარი სიცოცხლის სამსხვერპლოზე მიტანილ უანგაროდ რომ იფერფლებოდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ. სასიამოვნოა მითუმეტეს, თუ ეს სახელები ჩვენ მხარეს, ცხინვალის რეგიონს უკავშირდებიან.



ამჯერად, ყურადღება გვსურს მივაბყროთ დიდბუნებოვან მოღვაწეს, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცნობილ მკვლევარს, საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისათვის დაუცხრომელ მებრძოლს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს კირიონ მეორეს. იგი ერთგულ დარაჯად დაუდგა ეკლესია-მონასტრებში დაცულ ქართულ ხელნაწერებს, დიდი ამაგი დას-

დო მათი მოვლა-პატრონობისა და შთამომავლობისათვის შენახვის მნიშვნელოვან საქმეს.

გიორგი საძაგლიშვილი (კირიონი) დაიბადა 1855 წლის 10 ნოემბერს ცხინვალთან იქვე მდებარე სოფელ ნიქოზში. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს კიევის სასულიერო აკადემიაში. ამ უკანასკნელის წარმატებით დასრულების შემდეგ ბრუნდება სამშობლოში და მსახურობს ჯერ რუსული ენის მასწავლებლად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო მოგვიანებით თბილისის სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლად.

კირიონ II მოღვაწეობის პერიოდში მრავალ სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი. კერძოდ, მისი უდიდესი ძალისხმევით და შრომის შედეგად 1897 წელს შესაძლებელი გახდა ქვ. ნიქოზში დაწყებითი სასწავლებლის გახსნა. საგულისხმოა, რომ ამ სასწავლებლის გახსნისათვის საჭირო სახსრები მან თავის ჯიბიდან გაიღო. ეინმე დადანაშეილისაგან სკოლისათვის შეიძინა შენობა, ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთი და ა. შ. მისივე თაოსნობით მოხერხდა ნიქოზში ბიბლიოთეკის გახსნა. გ. საძაგლიშვილი ბიბლიოთეკარს უხდიდა ხელფასს, საბიბლიოთეკო ფონდისათვის შეიძინა ხუთი ათასამდე წიგნი, გამოუწერა იმ დროისათვის არსებული თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთი... ყველაფერ ამას იგი საკუთარი ხარჯებით, უანგაროდ აკეთებს თავისი მშობლიური სოფლის მოსახლეობისათვის. გარდა ჩამოთვლილისა გ. საძაგლიშვილისაგან ყოველთვიურ დახმარებას იღებს ათობით განსაკუთრებით გაჭირვებული ოჯახი, რომელთა სახელების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

რუსეთის ხელისუფლება აშკარად ხედავდა, რომ კირიონის მოღვაწეობა საფუძველს ურყევდა მათი შავბნელი ზრახვების განხორციელებას, სწორედ ამიტომ 1920 წლიდან იგი ექსორიაში იმყოფებოდა და რუსეთის სხვადასხვა შორეული ეპარქიებიდან სამშობლოში დაბრუნებას მხოლოდ 1917 წლისათვის ახერხებს.

გიორგი საძაგლიშვილი მთელი შემართებით წინ აღუდგა ცარიზმის მცდელობას დაევიწყებინათ, გაეყალბებინათ ქართველი ერისათვის ისტორია, განედევნათ ქართული ენა ეკლესიიდანაც კი. ქართული ეკლესიის სუვერენიტეტის აღდგენას იგი განსაკუთრებით პრობლემურ საკითხად აღიქვამს. დასტურად მოუუხმობთ სტრიქონებს მისივე პირადი წერილიდან (მიწერილი ცნობილი პედაგოგისა და პუბლიცისტის ს. ცომაიასადმი 1909 წელს - ა. მ.): „პირადი ინტერესები დიდი ხანია უარეყავ; ბედნიერი მაშინ ვიქნები, როდესაც ჩვენი ავტოკეფალიის საქმე სასურველად დაგვირგეინდება.“

ბ. საძაგლიშვილის მამა-იორენიმე საძაგლიშვილი გახლდათ დუშეთის რაიონის სოფ. ანანურის ეკლესიის დეკანოზი, აქტიური წევრი ქრისტიანობის აღმდგენელ-გამაგრცულებელი საზოგადოებისა, უაღრესად ნიჭიერი და განსწავლული პიროვნება.

დედა-სათნო დიასახლისი, საუკეთესო აღმზრდელი, გორელი ქალბატონი სალომე თუთბერიძე - შესაძლებლობის ფარგლებში ყველა ღონეს ხმარობს, რათა შეიღებს გიორგისა და კოლას სათანადო განათლება მისცეს და ცხოვრების კეთილ გზა-სავალზე დააყენოს. სამწუხაროდ კ. საძაგლიშვილს, რომელიც განჯაში მსახურობდა სულ ახალგაზრდას გარდაეცვალა ორი წლის ვაჟი, შემდეგ მეუღლე. ასეთი უეცარი და მძიმე დარტყმის შემდეგ დიდხანს თვითონაც აღარ უცოცხლია. დაკრძალულია განჯაშივე.

როგორც ზემოთ მიუთითეთ, სამშობლოში დაბრუნება კირიონ მეორემ მხოლოდ 1917 წლისათვის მოახერხა. დიდი იმედითა და რწმენით შეეგება იგი საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად გამოცხადების ფაქტს. თუმცა მალევე მიხვდა, რომ იმედები გაუცრუვდა. იმედები გაუცრუვდა იმდენად, რამდენადაც ათეისტური მსოფლმხედველობის ახალი, მენშევიკური მთავრობა ნაკლებ ყურადღებას, გარკვეულწილად კი სრულ უყურადღებობასაც ამჟღავნებდა ეკლესიის მისამართით. რასაკვირველია, ახალი მთავრობის მხრიდან

მსგავსი ნიჰილისტური დამოკიდებულება სასულიერო ფრთისადმი სერიოზული შეცდომა იყო.

ასეთი გულგრილობა ფაქტიურად გაგრძელება გახლდათ იმ უმძიმესი პერიოდისა გ. საძაგლიშვილისათვის, როდესაც „ბოლო არ უნანდა ეპარქიიდან ეპარქიაში მის უთაებოლო გადაყვან-გადმოყვანას, იფანტებოდა და იკარგებოდა ნაშრომები, რომელთა აღდგენაც ხშირად ჭირდა.

ამავე მიზეზით, კირიონი იძულებული გახდა საქართველოში გაეგზავნა მეტად საჭირო პირადი ბიბლიოთეკა, რადგან – მისი გადატანა ძვირი უჯდებოდა. ამას ერთვოდა მკაცრი კლიმატური პირობები და ჯანმრთელობის გაუარესება: „სისუსტე და გულის ფრიალი დამჩემდა. ამას დავძლევე, მაგრამ უწიგნოდ ვრჩები. ეს მეტად მიწამლამს გულს... “სწორედ ეს „უწიგნოდ დარჩენა“ იყო ყველაზე დიდი გასაჭირი, ვინაიდან მან კარგად იცოდა - „ძალზე ძნელია თხზულების წერა, როცა საჭირო მასალა ხელთ არა აქვს კაცს. ამ ნაკლს სურვილი და ენერგია ვერ შეავსებს.“ ამ დრამატიზმს კიდევ უფრო ამძაფრებდა ის, რომ კირიონმა იციდა სად, რომელ წყაროში იყო საჭირო დოკუმენტები, მაგრამ ხელი არ მიუწვდებოდა, ვინაიდან აკრძალული ჰქონდა საცხოვრებლად განწესებული ადგილიდან გასვლა, მას კი ხშირად სჭირდებოდა სხვადასხვა ლიტერატურა, ბიბლიოთეკებსა და სიძველეთსაცავებში არსებული რუსულ-ქართული მასალა, ამიტომაც მიმოწერა ჰქონდა მეცნიერებთან, სტუდენტებთან, სხვადასხვა სანდო პირებთან. სთხოვდა მათ, გამოეგზავნათ ესა თუ ის წიგნი, ამოეჭრა საჭირო მასალა: (მ. შელეგია)

გორში მოღვაწეობისას გიორგი საძაგლიშვილი გორელ ანეტა თაბენიშვილთან ერთად ქმნის სანიმუშო ქართულ ოჯახს, მაგრამ გ. საძაგლიშვილის მყუდრო ოჯახური ცხოვრება მეტისმეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. პატარა იორამის დაბადებით გამოწვეული დიდი სიხარული ორი წლის შემდეგ მისი უდროოდ გარდაცვალების უსაზომო ტანჯვანადგელმა შეცვალა. შეილმკედარმა დედამ, ანატა თაბენაშ-

ვიღმა თავისი პატარის სამუდამო სამყოფელში დამკვიდრების დღიდან მხოლოდ ერთი წელი გაძლო და სულ მალე შვილის გვერდით, ქვ. ნიქოზის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის შესასვლელი კარის წინ ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

გ. საძაგლიშვილის ოჯახის თავს დატეხილი ტრაგედიაც გახდა ერთ-ერთი ძლიერი ბიძგი მისთვის საერო ცხოვრებაზე სამუდამოდ ხელის აღებისაკენ. როგორც, ცნობილია, მომავალმა კათოლიკოს-პატრიარქმა თავისი უძრავ მოძრავი ქონება უსასყიდლოდ გადასცა თავის ბიძაშვილს ანირკა საძაგლიშვილს. თვითონ სამუდამოდ აიღო ხელი ამ ქვეყნიურ ყოფაზე, ანაფორა ჩაიცვა და აკი საკუთარი ხალხის სულიერ მოძღვრად მოგვევლინა კიდევ.

სწორედ ამქვეყნიურობიდან განდგომისა და ანაფორის ჩაცმის შემდეგ იწყება ის მშფოთვარე, შინაარსიანი და ქვეყნისათვის უაღრესად სასარგებლო ცხოვრება, რომელიც მხცოვანი მოღვაწისა და მოაზროვნის კირიონ II უკანასკნელ ამოსუნთქვამდე აღარც შეწყვეტილა. უაღრესად მნიშვნელოვანი მისია შეასრულა კირიონმა ქართული ეკლესიის განვითარების საშვილიშვილო საქმეში. ამ თვალსაზრისით გვინდა გამოვეყოთ შრომა „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში.“ ბევრ სამამულო თუ უცხოურ შრომებზე დაყრდნობით ავტორი საინტერესოდ მსჯელობს ქართული კულტურის როლზე რუსეთის ისტორიაში, ასევე საყურადღებოა მისი შრომა „ღირსი სტეფანე და მის მიერ დაარსებული ხირსის მონასტერი“ და ა. შ.

უკანასკნელად 1917 წელს, თბილისში დაბრუნების შემდეგ, მოინახულა მშობლიური სოფელი. მადლიერმა მოსახლეობამ უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით მიიღო მხცოვანი მამულიშვილი, მაგრამ არსებულმა, ქვეყნისადმი მტრულად განწყობილმა მმართველმა ძალამ არ აპატია გიროგი საძაგლიშვილს მშობელი ერისადმი უანგარო სამსახური, სამშობლოსადმი თავდადება, არ აპატია ქართული ეკლესიის უდრეკ ქომაგად დგომა და 1918 წლის 27 ივ-

ნისს მარტყოფის საპატრიარქოს რეზიდენციაში არაკაცების ხელით სიცოცხლეს გამოასალმა ჯანმრთელობაშერყეული 68 წლის მოხუცი.

ასე მოწამეობრივად აღესრულა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება თავისი ქვეყნისა და ერის სამსახურს შეაღია, ამასთან, ერთ-ერთი საპატიო ადგილიც საუკუნოდ დაიმკვიდრა სამშობლოს მოჭირნახულე, გულმხურვალე მამულიშვილთა შორის.

გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 2000, №1(44);



ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-ДАГЕСТАНСКИХ ЛИНГВИСТИЧЕСКИХ ОТНОШЕНИЙ

(исследователь лакско-даргинских языков
дагестанской подгруппы иберийско-кавказских
языков профессор Геннадий Бурчуладзе)

Кавказовед и языковед, профессор Геннадий Бурчуладзе был известен как неутомимый и плодотворный исследователь лакского – значимого сегмента группы дагестанских языков.

Лакский – один из интереснейших языков нашего братского дагестанского народа, исследованию которого Г.Бурчуладзе посвятил более четырех десятилетий. Результаты более чем солидные – более ста опубликованных трудов на грузинском и иностранном языках, среди них цикл работ: «Из общей лексики иберийско-кавказских языков», «Лингвистические парадоксы в лакском языке» и многое др.

Г.Бурчуладзе известен читателю не только как выдающийся исследователь иберийско-кавказского языкознания, но и как популяризатор этих исследований. С этой точки зрения известен цикл его радиопередач об иберийско-кавказских языках, которые мы слушали вместе с писателем Т.Хмаладзе и становились свидетелями весьма интересной истории этих языков.

Профессор Г.Бурчуладзе был живым мостом между народами, говорящими на дагестанском и грузинском языках, основу чему создавали учителя господина Геннадия: академики Арнольд Чикобава и Варлам Топуриа.

На сегодняшний день, думаем знаменательно представить читателю такой примечательный труд профессора Геннадия Бурчуладзе, каким является «Происхождение окончаний лица в лакском». Этот труд можно считать еще одним результативным шагом на научном поприще при жизни автора. Профессор Геннадий Бурчуладзе достаточно известная фигура в грузинском языкознании и не нуждается в особом представлении перед

читателем. Мы только несколькими словами подтвердим, что труды ученого в основном касаются вопросов фонетики, морфологии и лексики лакско-даргинского и хундзуйско-андийско-дидойского языков дагестанской подгруппы иберийско-кавказских языков. Особо исследовал он и общую лексику иберийско-кавказских языков.

Кроме того Г.Бурчуладзе более 50-ти трудов посвятил вопросам морфологии и синтаксиса грузинского языка, диалектической лексике грузинского языка. Его труды публиковались как в республиканских журналах (в «Моамбе» и «Мацне» Академии Наук Грузии, в «Иберийско-кавказском языкознании», в трудах Тбилисского государственного университета им. И.Джавахишвили «Грузинский язык и литература» и т.д.), так и на страницах всесоюзных изданий («Вопросы языкознания», «Ежегодник иберийско-кавказского языкознания»). Работа Г.Бурчуладзе о вопросах склонения в лакском языке в 1971 году был опубликован в трудах Иенского университета Германии, а исследование «Лакский язык» (соавтор – английский языковед С.Крипс) готовился к печати в «Кавказских местных языках» (четырёхтомник). Сборник предполагалось издать в США, в частности, в Кливлендском университете.

Примечательно одно обстоятельство, на протяжении многолетней деятельности в Цхинвальском государственном педагогическом институте даргинский язык группы дагестанских языков исследовал профессор Ш.Гаприндашвили, дидойский язык группы дидойских языков Дагестана – профессор И.Мегрелидзе и лакский – профессор Г.Бурчуладзе. Таким образом, Цхинвальский государственный педагогический институт того периода фактически представлял собой очаг языковедческого исследования дагестанских языков группы горских иберийско-кавказских языков. Так было до последних дней жизни Г.Бурчуладзе. Исследование дагестанского языка продолжается и по-прежнему. Особо надо отметить тот факт, что в нашем университете профессор Г.Бурчуладзе вел спецкурс «Введение в общую лексику картвельских языков», в котором разговор фактически идет об

общих лексиках иберийско-кавказских языков. В 1994-1995 г.г. мы тоже слушали этот курс.

В свое время, когда мы хотели найти в Цхинвальском государственном педагогическом институте материал об исследовании горских иберийско-кавказских языков, обратились к профессору Г.Бурчуладзе, он, помимо указания на соответствующие источники, передал нам текст заявления, с которым еще в Цхинвали проф. Г.Бурчуладзе обращался к заведующему кафедрой грузинского языка и литературы профессору Ш.Курдадзе о введении вышеуказанного спецкурса.

Приведем отрывок из текста заявления, который, по нашему мнению, достоин внимания:

«Для каждой цивилизованной нации весьма почетна миссия искать и изучать происхождение, историю собственного народа. Этому, наряду с другими смежными науками (такими, как, например, история, археология, этнография...) служит и языковедение. Здесь происходит поиск общего лексического материала, их взаимонаправленности... Включено и этимологическое исследование соответствующего материала.

Поиск связи грузинского языка с близко-родственными языками (мегрельско-чанским, сванским) и с более дальними стоит на устойчивой научной основе с общим заголовком «Из общей лексики иберийско-кавказских языков» (опубликовано семь писем из этой серии, восьмое передано в печать). Понятно, накопился определенный опыт как теоретического, так и практического характера, поэтому, думаю, было бы хорошо ввести на историко-филологическом факультете нашего института спецкурс «Введение в общую лексику картвельских языков». Отметим и то, что аналогичный курс пока еще, насколько мне известно, в других наших педагогических институтах не преподается. Тем не менее, это необходимо, особенно в педагогических институтах, чтобы воспитанные у нас студенты, будущие учителя смогли бы научно обосновать и объяснить своим ученикам в школе то, почему и мегрел-чан и сван такие же грузины, как и мы, мы ведь все грузины по национальности,

подать им элементарные сведения и о том, кто мы были, кто с нами в родстве и почему. На это лучше всего ответит язык, лексический состав языка. («Существует более живой свидетель народов, чем кости, оружие и могилы, это их язык» - И.Гримм). А это будет способствовать самоутверждению будущего поколения.

Одним словом, думаем изучение этого курса желательно.

Если кафедра сочтет целесообразным уже с будущего учебного года ввести этот курс и доверит нам его ведение, мы своевременно предьявим кафедре детальный план-конспект».

Естественно, кафедра грузинского языка и литературы сочла целесообразным весьма интересное, новаторского характера предложение проф.Г.Бурчуладзе и ведение нового спецкурса было возложено на него с первого семестра того же, 1989 года.

Следует отметить, что этот курс в более расширенном виде проф.Г.Бурчуладзе преподавал и слушателям магистратуры Тбилисского государственного университета им.И.Джавахишвили. Вернемся к труду-монографии проф.Г.Бурчуладзе «Происхождение окончаний лица в лакском». Это четвертая, окончательная часть автором ранее изданных трудов: а) «Основные вопросы состава склонений и процессов склонения имен существительных в лакском языке»; б) «Глагол в лакском языке»; в) «Словообразование глаголов в лакском языке», изданием которого был окончен процесс гармонизации всех перечисленных четырех работ.

Представленная монография – заключительное аналитическое исследование тех основоукрепляющих языковедческих парадигмов, во главе которого стоят такие корифеи национального языкознания, какими являются проф. Арн.Чикобава, проф.В.Топуриа, проф.С.Джанашиа и др. Для иллюстрации сказанного позаимствуемся у проф. Г.Бурчуладзе:

«В 1933 году в нашем университете Арн.Чикобава основал кафедру кавказских языков (тогда именовалась кафедрой кавказских и восточных языков), целью которой, помимо воспитания соответствующих научных кадров, было изучение горских иберийско-кавказских языков. Естественно, что лакский

язык был одним из университетских курсов вновь основанного отдела горских иберийско-кавказских языков. Этот курс был вверен В.Топуриа, он же в 1939 году создал и литографически издал первую программу лакского языка. Лакский язык, помимо отдельных кавказских языков, изучался и в отделе картвельских языковю

Естественно, что В.Топуриа, первый из грузинских лингвистов разработал ряд кардинальных вопросов фонетики-морфологии лакского языка. Так что создание вышеуказанного цикла монографий в определенном смысле явилось продолжением пути, проложенном проф. В.Топуриа).

Широкий интеллектуальный кругозор автора, основанные им логические предположения охватывают много таких значимых вопросов, какими являются время глагола лакского языка – основные вопросы системы наклонений, средства выражения лица и числа в глаголе, наклонения глагола, время – производная основа наклонений, рассмотрение переходности-непереходности и многое др. А все это начиналось следующим образом:

10 октября 1985 года, тогда старший научный сотрудник Геннадий Бурчуладзе, обратился с просьбой к заведующему отделом горских иберийско-кавказских языков профессору Арнольду Чикобава с просьбой включить в издательский (подготовительный) план его труд «Глагол в лакском языке», на что, естественно, реакция была положительной. Фактически ходатайство мэтра национального языкознания положило основу постепенному выходу в свет теперь уже завершеного труда проф.Геннадия Бурчуладзе. Однако, ходатайство Арнольда Чикобава, датированное концом 1985 года, оказалось одним из последних для великого лингвиста...

И наконец, хотим опять обратить внимание на последний отрывок монографии, задуманной в четыре книги – «Происхождение окончаний лица в лакском». Он предназначен для специалистов иберийского-кавказского языкознания, также пригодится и послужит специалистам общего языкознания. Редактором труда является член-корреспондент Академии Наук

Грузии В.Топуриа, а рецензентами – доктор филологических наук, профессор О.Кахадзе и доктор филологических наук Т.Сихарулидзе.

За тонким языком труда явно чувствуется, что глубокий научный менталитет автора создает впечатление завершенности исследования взятого вопроса.

В монографии «Происхождение окончаний лица в лакском» проф. Г.Бурчуладзе указывает: «В 1993 году было издано «Словообразование глаголов в лакском», которое было непосредственным продолжением изданной в 1987 году книги «Глагол в лакском языке» (система времени наклонений). В введении этой книги писали: «Предполагали представить «Происхождение окончаний лица в лакском», но по независящим от нас причинам это не получилось. Заинтересованные могут найти материал в кратком изложении в нашем же исследовании «Вопросы формирования спряжения лица в лакском» (ИКЯЗ, VI, Тбилиси, 1979, стр. 223-240).

Настоящая книга дополняет этот пробел – это четвертое исследование монографического характера на грузинском языке, касающееся узловых вопросов лакского языка. А лакский справедливо заслуживает такого чрезвычайного внимания, ибо «... по своей природе он уникален среди горских иберийско-кавказских языков».



ათწლეულები იფერცლება მიყოლებით. საუკუნის მძიმე საფარველი მოსავს შემოქმედის ცხოვრებას, მაგრამ ფართო საზოგადოებრიობისათვის კვლავ კარგად არის ცნობილი ბუნებისაგან უბადლო ნიჭიერებით დაჯილდოებული მწერლის მემკვიდრეობა. მწერლისა, რომელსაც არასდროს უძებნია დიდება. მთელი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე დრმად სწამდა, რომ ყველაზე დიდი ღირსება ერისათვის სულიერი საზრდოს მიწოდება და მისი კეთილგონიერებისათვის ზრუნვაა. თავისი მოღვაწეობის უაღრესად რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ფონზე შეძლო ნამდვილი ქართული მენტალიტეტის შენარჩუნება, განსაკუთრებით ეროვნული ლიტერატურის წინსვლა-განვითარების თვალსაზრისით.



ქართველი ერის საყვარელი მწერალი, მთარგმნელი და მომავალი თაობების ეროვნული სულისკვეთებით აღზრდისათვის მებრძოლი დავით კასრაძე დაიბადა 1885 წელს (27/12) ფრონეს ხეობის სოფელ ანეგეში. მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ცხინვალის რეგიონის მოაზროვნე მამულიშიფილთა შორის. გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრებისთანავე სწავლას განაგრძობს თბილისის სამხატვრო სასწავლებელში. მიღებული ცოდნა-განათლება არ აკმაყოფილებს მომავალ მწერალს და სწორედ ამის გამოა, რომ ახალი საუკუნის პირველი ათწლეულის დასაწყისში ფილოსოფიასა და ლიტერატურას ეწაფება პარიზის უნი-

ვერსიტეტის ფილოსოფიისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

დ. კასრაძემ შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო ჟურნალებში: „ჯეჯილი“, „ნაკადული“. სუფთა ქართულის მოტრფიალე მწერალი თანამედროვეებსაც მოუწოდებდა მამა-პაპური ენის წიაღისკენ.

1923 წელს სათავეში უდგას ბათუმის გაზეთს „მწვერვალი“. ის, როგორც ევროპულ ცივილიზაციას ნაზიარები შემოქმედი, წინა პლანზე აყენებს სოციალურ პრობლემატიკას. ეს აზრია გატარებული 1912 წელს გამოქვეყნებულ რომანში „როსკიპი“ („გურანდა“), „კეთრი“.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა რომანი „ჩემი სამაჩაბლო“ (1915). მასში მთელი სისრულით მოსჩანს მწერლის ეროვნული თვალსაწიერი. მოუშუშებელ იარაღ ქცეული ტკივილი, რომელიც დღესაც მნიშვნელოვანია.

თხზულებაში ვხვდებით უსაზღვრო მშვენიერებითა და სინატიფით აღკაზმული შიდა ქართლის ვრცელ სურათს.

„თავადმა... თვალი სიამით გააჯირითა ღიახვის მარჯვენა ფრთაზე და უნებურად შეჩერდა მთელი ლანდშაფტის დიად ძეგლზე, ნიქოზის ღომფეროვანი ჩაფხუტით გაბრწყინებულ ტაძარზე, რომელიც გულდაგულ გაჰყურებს ორ მეტოქეს-ფრონეს ხეობის სამკაულს-თიღვის ეკლესიას და წუნარის წოპწოპა გუმბათოვან ტაძარს, რომლის ჩუქურთმებ ქვეშ სკები გაუმართავთ ველურ ფუტკრებს და ციცხენარიდან ეზიდებიან იშვიათ, სურნელოვან თაფლს“.

მამულის სიყვარულითა და მისი სრულყოფილების წყურვილით არის შეჯერებული ლოგიკური დასკვნა ზემოთ მოთხრობილი სტრიქონებისა: „რაღა თქმა უნდა-შიდა ქართლი ნამდვილი სამოთხეა!“

ასეთ მაღალ შეფასებას აძლევს დ. კასრაძე ქართველი კაცის ბუნებას, ქებას ასხავს მის მშვენიერ აღნაგობას და ჯანმრთელ სულს. ამ დახასიათებისას აქცენტი გადატანილია თავად ზაალ მაჩაბელზე, რომელიც „იყო გოლიათური მოყვანილობის ადამიანი, ტანად თითქმის ორი ადლი, თავის

ქარ-მიდამოს მამა-პაპეული კოშკით ამაყად აღმართული და მისებრ დამრგვალებული, ფართოდ გაშლილი მხარბუჭით, რომლისთვისაც თვით სამეფო მუზარადი და უმძიმესი ჯაჭვის პერანგიც ბუმბულზე უმსუბუქესი უნდა ყოფილიყო. მთასავით მართული მკერდი, ლომის თავი, მჭექარე ხმა, რომელსაც ათი დაფდაფის განგაში შეექლო დაეფარა. აი, ის ადამიანი, რომლის მსგავსნი ძველად ჩვენს მამა-პაპათ საბაბს აძლევდნენ შეექმნათ გენიალური თქმულებები ამირანზე, ბადრისა და უსუპზე, ზეზვასა და ყარამანზე, ქოროღლისა და არსენაზე“.

ქართული სოფლის ფონზე მოთხრობილია ახალი ეპოქის სოციალურ-პოლოტიკურ ძვრებზე, რომლებიც, რომანის „ჩემი სამაჩაბლოს“ გამოქვეყნებიდან, რამოდენიმე წლის შემდეგ სრულიად თავის საბურველში გაახვევს, აატივტივებს და თავის დინებას გაუყენებს სრულიად საქართველოს. გამოხატავს რა საკუთარ უარყოფით დამოკიდებულებას ხსენებული სიახლეებისადმი, მწერალი აცხადებს: „რუსეთი უკვე დაავადდა სოციალიზმის სენით... წარმოდგენილი გაქვთ რა იქნება, რუსის მუჟიკმა რომ მმართველობის სადავე ხელთ იგდოს? პარიზის კომუნის დღეები აჩრდილი იქნება მასთან შედარებით. წითელი აჩრდილი ახლა ამიერკავკასიასაც ეპოტინება, ბაქოს მუშების დემონსტრაციები, ტფილისისა, ბათუმისა... არა, ჩვენ არა გვაქვს გამოზომილი, რა საშინელების წინაშე ვდგევართ... სახელმწიფოს კრახი გარდაუვალია, რაწამს სოციალისტები კერძო საკუთრებას წითელ თათს დაადებენ“.

იმავე რომანში გაანალიზებულია ქართულ-ოსური ურთიერთობის პრობლემური საკითხები, მწვავედ მდგომნი შემოქმედის თანამედროვე ეპოქაში. მათ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.

როგორც რ. გოცირიძე მიუთითებდა, საერთოდ ნაწარმოები ხასიათდება ლაკონური და მკაფიო სტილით, პერსონაჟთა და სიტუაციათა რელიეფური ხატვით. დ. კასრაძის შემოქმედებითი სტილისათვის დამახასიათებელია სისადავე

და უბრალოება. რომანის ენა სადა, ხალხის სასაუბრო ენაა.

ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ცნობილია დავით კასრაძის მრავალი თხზულება: „სპარტაკი“, „გიშრის კარაი“, „უილქონი“, „ერეკლეს ხმალი“, „გორის ციხე“... პიესები: „რია“, „რუსთაველი“, „თეთრი ორბი“, „მეფე არღუკინი“, „იუდა“... მონოგრაფიები: „იაკობ გოგებაშვილი“, „ლადლო აღნიაშვილი“, „ეასილ ბარნოვი“, „გალაკტიონი“ და სხვ.

მასვე ეკუთვნის თარგმანები: ანა კრეონტის „ოდები“, ზოლას „ბატონ ბაბრის ლოკოკინები“, გოგოლის „მკედარი სულები“ და სხვ.

რომანებსა თუ მოთხრობებთან ერთად, როგორც 20-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილე, დ. კასრაძე ბეჭდავდა პუბლიცისტურ წერილებსაც. მისი წერილები იბეჭდებოდა ფსევდონიმებით: „ქართლელი“, „კენტი“, „ალიაზიზი“, „ელ“, „დიოგენი“, „კანდიდი“, „ბარონ დე კა“ და ა. შ. სხვა უამრავ სტატიათა შორის გამოირჩევა „ოქტავ მირაბო“, „პასუხად პროფესორ გრედესკულს“, „პარტიული თუთიყუშები“. დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა წერილში „ჩვენ და ცხოვრება“ დასმულ პრობლემას (იგი ავტორს ბრიუსელიდან გამუგზავნიან).

სამწუხაროდ, უადრესად მოკრძალებული ბუნების გამოისობით მწერალს არ გამოუქვეყნებია არცერთი კრებული და არც საიუბილეო-ლიტერატურული სადამო გამართულა მის საპატივსაცემოდ. დ. კასრაძის თხზულებანი ცალ-ცალკე გამოცემებადაა გაფანტული, მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ ამცირებს მწერლის შემოქმედებით ღირსებას.

ყველაზე დიდ სიკეთედ დ. კასრაძეს ამქვეყნად მაინც ადამიანის მომავალზე, ბედზე, სიცოცხლეზე ზრუნვა მიაჩნდა. ეს იყო მისი კაცთმოყვარე გულის ცხოვრებისეული კრედო და ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი ლაიტმოტივად გასდევს მთელს შემოქმედებას. ამ თვალსაზრისით, დღევანდელი რთული, კატაკლიზმებით აღსავსე ეპოქის პირობებში, გაუფასურებულ ადამიანურ ღირებულებათა და გაღატაკე

ბული სულიერების ფონზე დიდი მწერლის მოსაზრებანი კვლავაც აქტუალურია და ეხმიანება თანამედროვეობის ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს.

შესანიშნავი მოქართულეობითა და მადლიანი, ხალასი სიტყვით თავისი მემკვიდრეობა უკვდავებას აზიარა. ვალმოსდილმა დატოვა საწუთრო. გარდაცვალებით ერს კიდევ ერთი სიმი ჩასწყვიტა გულში. მისი სულის საოხად დ. კასრაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ იცოცხლებს ქართველი ერის შეგნებაში, ერის, რომელმაც გულწრფელი ცრემლით დაიტირა და დიდუბის პანთეონის წმინდა მიწას მიაბარა ღირსეული მამულიშვილი.

გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1998, №3(22)



1998 წელს შესრულდა 15 წელი ჩვენი მხარის ღირსეული შვილის, აკადემიკოს ქრისტეფორე არეშიძის გარდაცვალებიდან. ყოველი დიდი ადამიანის ცხოვრებაში ფიქსირდება პერიოდები, რომლებიც მისი ნიჭის აღზევების კულმინაციურ მომენტებად აღიქმება. ქრისტეფორე არეშიძის სახელი სამეცნიერო სარბიელზე 40-იან წლებში გამოჩნდა და სიცოცხლის ბოლომდე მუხლჩაუხრელად ემსახურა საყვარელ საქმეს. ბატონი ქრისტეფორეს ვარსკელავი სწრაფი სვლით მიიწედა ზენიტისაკენ, გაფართოვდა მეცნიერის ხედვის ჰორიზონტი, გამოიკვეთა ახალი, ორიგინალური სამეცნიერო-კვლევითი ღრანდშაფტები.



სწორედ მის შესახებ დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ, თბილისში გამართულ საიუბილეო საღამოზე აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი მთელის გულწრფელობით და სავსებით სამართლიანად იტყვის, რომ სხვა უამრავ დადებით, ადამიანურ თვისებებთან ერთად ბატონ ქრისტეფორეს „ჭკონდა საკუთარი, მრავალჯერ შემოწმებული აზრი, შეხედულება ყოველ საკითხზე, მოვლენაზე, ადამიანზე. მიუხედავად მოკრძალებული ხასიათისა, იგი იყო ფრიად პრინციპული, მტკიცედ იცავდა იმ აზრს, იმ გეზს, იმ შეხედულებას, რომელსაც საკუთარი ობიექტური აზროვნების შედეგად გამოიმუშავებდა. იგი ცდილობდა თავის გარშემო მყოფთათვის არა მარტო მეცნიერული ცოდნა და გამოცდილება, არამედ მისთვის დამახასიათებელი კეთილი თვისებებიც ჩაენერგა, რათა მის ახლოს მყოფი ადამიანებიც ყოფილიყვნენ კეთილნი, სამართლიანნი, მეგობრულნი...“

ქრისტეფოროე არეშიძე დაიბადა 1906 წლის 12 თებერვალს. უდიდესმა სიხარულმა დაისადგურა იოსებ არეშიძის ფუძეზე დგერისში. ხუთი ქალიშვილის შემდეგ ნანატრი ვაჟი მოუვლინა ოჯახს ეკატერინე მეშვილდიშვილმა. აქვე ორი სიტყვით უნდა მოენიშნოს, რომ ქალბატონი ეკატერინე იმ დროისათვის ერთობ განათლებული ქალი ყოფილა. დედის წყალობით მიიღო მომავალმა მეცნიერმა და მოაზროვნემ პირველდაწყებითი განათლება. მიუხედავად სულ მალე დაქვრივებისა, ქალბატონმა ეკატერინემ შესძლო საუკეთესოდ აღეზარდა, სანიმუშოდ წარემართა შვილების სწავლა-განათლების საქმე, ჩამოაყალიბა მათში დაუოკებელი მოთხოვნები შრომისა და შემდგომში მეცნიერული კვლევებიებისა.

არსებული ერთულესი პირობების ფონზე მარტოხელა ქალის მიერ ოჯახის, შვილების მსგავს გზაზე დაყენება, უმძიმესი სოციალური, ეკონომიური თუ სხვა გლობალური პრობლემების მიუხედავად არსებული სიძნელეების გადალახვა, დასახული მიზნის სრული ტრიუმფით მიღწევა იმ პერიოდისათვის, ვფიქრობთ, სანიმუშო გმირობა გახლდათ.

1913 წელს პატარა ქრისტეფოროე ცხინვალის ორკლასიან სასწავლებელშია, შემგომ ცხინვალის უმაღლეს დაწყებით სკოლაში. მათი დასრულებისთანავე დედის თხოვნით სწავლას აგრძელებს გორის პედაგოგიურ სასწავლებელში, ხოლო 1927 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ერთ-ერთი მოწინავე სტუდენტის ამპლუაში გვევლინება.

ნიჭიერი ახალგაზრდის მიდრეკილება კვლევითი მუშაობისაკენ შეუმჩნეველი არ დარჩენიათ აკადემიკოსებს: დ. უზნაძეს, ალ. ჯავახიშვილს, ალ. დიდებულიძეს და სხვებს, რომელთა დაჟინებული თხოვნით საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სრული კურსის გავლის შემდგომ ქრ. არეშიძე დატოვებული იქნა ორგანული ქიმიის კათედრაზე სამუშაოდ.

არსებული მდგომარეობა ცხადია არ აკმაყოფილებდა ბატონ ქრისტეფორეს და 1936 წელს მიმგზავრება მოსკოვში, ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ასპირანტურაში სასწავლებლად. ოთხი წლის შემდეგ აკადემიკოსების ნიკ. ზელინსკისა და ბორის კაზანსკის ყოფილი შეგირდი წარმატებით იცავს დისერტაციას მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე ქრ. არეშიძე იწყებს ზრუნვას მომავალი თაობების აღზრდისა და განვითარებისთვის. რამდენიმე წლის მანძილზე ემსახურა ამ საშვილიშვილო საქმეს პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტსა და რაღა თქმა უნდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1958 წლიდან მეცნიერებათა დოქტორია. ოთხი წლის შემდეგ მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, ხოლო 1969 წელს არსებულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრი ქრისტეფორე არეშიძე მრავალი წლის მანძილზე სათავეში ედგა პ. მელიქიშვილის სახელობის ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ორგანული კატალიზის ლაბორატორიას და საკმაოდ შინაარსიანად წარმართავდა მის საქმიანობას.

აკადემიკოსი ქრ. არეშიძე რამდენიმე მონოგრაფიისა და ასობით სამეცნიერო შრომის ავტორია. მისი შრომები პერიოდულად ქვეყნდებოდა უცხოეთის მრავალ ქვეყანაში, გარდა ამისა, იგი ავტორია ათობით საავტორო მოწმობისა, გამოგონების თუ პატენტის.

საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და კონგრესების, რესპუბლიკური თუ საკავშირო კონფერენციების მრავალგზის მონაწილის ქრ. არეშიძის ხელმძღვანელობით მომზადდა არაერთი ახალგაზრდა მეცნიერი. გვსურს მოკლედ შევეხოთ მის ურთიერთდამოკიდებულებას თავის მშობლიურ ქალაქთან: ორმოციანი წლებიდან, მოსკოვიდან დაბრუნებული

ახალგაზრდა მეცნიერებათა კანდიდატი ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა ორგანული ქიმიის კურსს. მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე აკადემიური მშობლიურ ქალაქთან არ გაუწყვეტია.

ერთ-ერთი საინტერესო ფურცელი ცხინვალელი აკადემიკოსის უაღრესად შინაარსიანი ბიოგრაფიიდან გახლავთ ცნობილი მოაზროვნისა და ცხინვალის ისტორიის მკვლევარის ვახტანგ კასრაძის თაოსნობით ლიახვისპირა ქალაქის №1 საშუალო სკოლაში გამართული საიუბილეო საღამო. იგი ეძღვნებოდა ბატონი ქრ. არეშიძის დაბადებიდან 65 წლისთავის შესრულებას და აქვე კიდევ ერთი საინტერესო ფაქტიც, საღამოს ღირსებას მატებდა ის გარემოებაც, რომ ქრ. არეშიძის საიუბილეო საღამო ემთხვეოდა მისი აღმზრდელი პირველი საშუალო სკოლის დაარსების 90 წლისთავს.

მადლიერმა მშობლიურმა მხარემ შეძლო ღირსეული პატივი მიეგო ღირსეული შეილისათვის. როგორც ჩანს ღონისძიებამ მიზანს მიაღწია. ბატონი ქრისტეფორე ამ დღის შესახებ მოგვიანებით დაწერს: „ამისთანა ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში ბევრი არ ყოფილა“.

ქრისტეფორე არეშიძე-საერთაშორისო რანგის მეცნიერი და მკვლევარი, ასეთივე საუკეთესო მეოჯახეც გახლდათ, რაშიც, ბუნებრივია, პირველყოფლისა ხელს უწყობდა მეუღლე, ქალბატონი ოლღა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი.

ბრწყინვალე დიასახლისი, სანიმუშო მეუღლე, ქალბატონი ოლღა საუკეთესოდ შეიღების აღმზრდელი დედაცაა. ორი ვაჟიაცი აღიზარდა არეშიძეების ფუძეზე და ორივე მეცნიერების მსახურთა რიგებში ჩადგა უწყობანოდ. უფროსი, გიორგი არეშიძე-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური ქიმიის კათედრის დოცენტი, ხოლო თამაზი-მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია.

ორგანული ქიმიისა და ტექნოლოგიის სექციის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი

ქრისტეფორე არეშიძე გარდაიცვალა 1982 წლის დამლევს. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებითა და მედლებით.

ცხინვალელი აკადემიკოსის სახელმა, როგორც სამაგალითო მოღვაწემ და მსოფლიო სამეცნიერო ოჯახის ღირსეულმა წევრმა, სამუდამოდ დაივანა ქართველი და არამარტო ქართველი ერის მეხსიერებაში. მის სახელს ყოველთვის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი მიეჩინება ცხინვალის ქართული ინტელიგენციის ავანგარდზე საუბრისას.

გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 2000, №2(45)



ანასტასია ამილახერის მიერ 1875 წელს გახსნილ სკოლა-პანსიონატის შემდეგ პირველი ცნობა ცხინვალში სკოლის ამოქმედების თაობაზე დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ (1880წ. 1.8.). „სექტემბრიდან დაარსდება ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, რომლისთვისაც საკუთარ შენობას ამზადებენ, რომელიც იჯარით უნდა გაკეთდეს 700 თუმნად“.

1895 წლის 18 აგვისტოდან სასწავლებელთან გაიხსნა სამეურნეო განყოფილება. სხვადასხვა დროს სკოლას დირექტრობდნენ: სიმონ ჯაფარიძე (დაარსების პირველი დღიდან), იასონ ხიმშიაშვილი (1885), ალექსანდრე მელქოევი (1921), რამან ლაზარაშვილი (1928), შალვა გოზალიშვილი (1937), ეკატერინე თედიაშვილი (1939), ამის შემდგომ, დირექტორთა ჩამონათვალში, ქრონოლოგიურად ადგილი უკავია საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს, „სახალხო განათლების წარჩინებული“ - მედლის კავალერს ვახტანგ კასრაძეს.

ვ. კასრაძემ მთელი შეგნებული ცხოვრება მოზარდთა ინტელექტუალურ განვითარებას, მათ მორალურ, ეთიკურ აღზრდას და ზნეობრივ სრულყოფას მოახმარა.

იგი დაიბადა ცხინვალში 1910 წელს. იქვე შეიღწა სკოლის სრული კურსის გასრულებისთანავე სწავლას განაგრძობს თბილისის სამრეწველო-ეკონომიურ ტექნიკუმში. ამასთან, იგი სარეწაო კავშირთან არსებული მცირემცოდნე-



ობის სალიკვიდაციო სკოლის მასწავლებელია. 1929 წელს, 21 წლის ასაკში, სწავლა განაგრძო თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე. მოგვიანებით წარმატებით დაასრულა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის მუსიკალური ტექნიკუმი.

გარდა პედაგოგიური საქმიანობისა, ვ. კასრაძე აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, განსაკუთრებით აქტიურად იბეჭდება ცხინვალის ერთადერთ ქართულ პერიოდულ გამოცემაში. ხსენებული ფაქტის სიზუსტეზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ვახტანგ კასრაძე 1963 წლიდან ცხინვალის ქართულენოვანი გაზეთის რედაქტორის მოადგილედ გვევლინება.

შესანიშნავე თეატრმცოდნე და ცხინვალის ისტორიის მკვლევარი ვ. კასრაძე „რომელიც ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე აწარმოებს წრეობრივ მუშაობას სიმღერა-მუსიკაში“, გაზეთის დაარსებისთანავე უაღრესად ნაყოფიერ ჟურნალისტურ მოღვაწეობასაც პკიდებს ხელს. ამის თაობაზე ცხინვალის ქართული გაზეთის ერთ-ერთი ღირსეული რედაქტორი არჩილ მამისაშვილი გაზეთის დაარსებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილ მოხსენებაში (1973) იტყვის:

„რედაქციის მუშაკთა კოლექტივს, ატორთა და მკითხველთა აქტივს შეუძლიათ იამაყონ გაზეთის ნამდვილი ექტრანებით, რომლებიც ათეული წლების მანძილზე თავიანთი კალმით უანგაროდ ემსახურებიან პრესას, კერძოდ, ჩვენს გაზეთს და საკუთარი წვლილი შეაქვთ მის მუშაობაში. მათ შორის უნდა დავასახელოთ გაზეთის ერთ-ერთი პირველი პასუხისმგებელი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ვახტანგ კასრაძე, რომელიც ჩვენი გაზეთის დაარსების დღიდან მოკიდებული უაღრესად ნაყოფიერ მონაწილეობას ღებულობს სარედაქციო ცხოვრებაში, როგორც ავტორი და დაკვირვებული მრჩეველი; ცოდნის ფართო დიაპაზონი, საზოგადოებრივი მუშაობის დიდი სიყვარული, დაუშრობელი ენერჯია და რაც მთავარია, მადლიანი ქართული ენა და მახვილი კალამი, აი ჩვენი №1 ვეტე-

რანის დამახასიათებელი თვისებები, რაც მას საშუალებას აძლევს თავისი სიტყვა თქვას პრესაში განათლებისა და კულტურის მრავალფეროვან საჭიროებებზე“.

ვ. კასრაძე 1940 წელს ჩაუდგა სათავეში ცხინვალის №1 საშუალო სკოლას და პირველი დღეებიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებს სკოლის ლტერატურულ ცხოვრებაში. იგი საკმაოდ ხანგრძლივი დროის, 33 წლის მანძილზე დირექტორობდა სკოლას და სწორედ იმ პერიოდში მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად შესაძლებელი გახდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საგრძნობი გაფართოება. მისი ხელმძღვანელობის დროს სკოლაში სწავლების დონე არნახულ სიმაღლეებს ეზიარა.

ერთნაირი გატაცებით ასრულებს ვახტანგ კასრაძე ფიზიკის მასწავლებლის თუ გაზეთის რედაქტორის მოადგილის მოვალეობას. არანაკლები ენთუზიზმით ეკიდება სასკოლო წრეობრივ მუშაობას და ყველა დონეს ხმარობს ამ თვალსაზრისით მოსწავლეთა დასახმარებლად. მისივე ხელმძღვანელობით მოსწავლეთა შორის ჩამოყალიბდა დრამატული წრე, რომლის მიერ არაერთი სპექტაკლი დაიდგა ცხინვალის სახელმწიფო თეატრის სცენაზე. მისივე აქტიური მხარდაჭერით მოქმედებდა მომღერალთა გუნდი და ა.შ.

ბატონ ვახტანგს არასოდეს აკმაყოფილებდა მიღწეული. სისტემატური ხასიათი ჰქონდა სკოლაში სხვადასხვა ავტორიტეტულ ადამიანთა მიწვევებს ლექციების წასაკითხად. მაღალ დონეზე ტარდებოდა ჩვენი კლასიკოსებისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები. ნათქვამის დასტურად ორმოციანი წლების ცხინვალის ქართული გაზეთის ისტორიის წიაღიდან ერთი ფაქტის დამოწმება გვსურს: 1940 წელს (18.6) გაზ. „საბჭოთა ოსეთში“ დაიბეჭდა ლიტერატურული მასალა „აკაკი წერეთლის იუბილესათვის“, სადაც საუბარია, თუ როგორ ემზადება ცხინვალის №1 საშუალო სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობა და პედაგოგთა კართეული ხალხის დიდი მგოსნის-აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლითავის იუბილესათვის.

„სკოლაში საიუბილეო დღეებში გამოვა ლიტერატურული ჟურნალი, სადაც მოთავსებული იქნება, როგორც აკაკი წერეთლის ღირშესანიშნავი ნაწარმოებები, ისე მოსწავლეების ლექსები მიძღვნილი აკაკისადმი.“

სტატიაში მითითებულია, რომ იუბილესათვის მზად არის სკოლაში ჩამოყალიბებული დრამწრე, მასში გაერთიანებულნი არიან ფრიადოსანი მოსწავლეები: ა. არჩვაძე, გ. ხაჩატუროვი, მ. მაისურაძე, მ. მებურნუთოვი, აგრეთვე აკაკის ლექსებზე შექმნილი ხალხური სიმღერების საუკეთესო შემსრულებელი გუნდი და სხვ.

საიუბილეო წინამოსამზადებელ სამუშაოებს ხელმძღვანელობს ამავე სკოლის დირექტორი ვ. კასრაძე, რომელიც ყოველგვარ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევს წრეებს თავიანთ მუშაობაში.“

ცალკე აღნიშნავს იმსახურებს ნიჭიერი პუბლიცისტის ხელით შესრულებული ლიტერატურული თუ პუბლიცისტური წერილები, რომლებიც პერიოდულად ქვეყნდება ცხინვალის ქართულენოვანი გაზეთის ფურცლებზე და სულიერ, ეროვნულ ფასეულობათა გადასარჩენად, სამშობლოს საკეთილდღეოდ აღმართულ სადარაჯოზე უყოყმანოდ დგომისაკენ მოწოდებას ისახავს მიზნად.

საყურადღებოა ვ. კასრაძის წერილები მიძღვნილი ცხინვალის ქართული სკოლის ერთ-ერთი პირველი დირექტორისა და ცნობილი პედაგოგის სიმონ ჯაფარიძის, აკადემიკოს ქრისტეფორე არეშიძისადმი და ა.შ.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპად ვახტანგ კასრაძის ცხოვრებაში მაინც მისი ცხინვალის პირველ საშუალო სკოლაში მოღვაწეობის პერიოდი მოიაზრება. თუმცა, რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს ეს უდიდესი ტრადიციების მქონე განათლებისა და კულტურის კერა, რომელიც დაარსებიდან 120 წელს ითვლის, რომლის კედლებშიც აღიზარდნენ: აკადემიკოსი ქრისტეფორე არეშიძე, პროფესორები: ტარიელ სართანია, გარსევან კრიხელი, დოცენტი მიხეილ ცოტნიაშვილი, „ვეფ-

ხისტყაოსნის“ ოსურ ენაზე მთარგმნელი გიორგი ბესთაუთი და მრავალი სხვა, სკოლა, რომელსაც მაჩაბელთა ძირძველ სამკვიდროში ფესვი ღრმად გაუდგამს, მაგრამ რაღაცა მანქანებით მისი იუბილე 1999 წელს ცხინვალიდან დეენილებმა გორში, კეთილ ადამიანთა დახმარებით, იღღესასწაულეს. სკოლა, რომელიც საკმაოდ მაღალ დონეზე აღნიშნავდა შოთას, ილიას, აკაკის, კ. ხეთაგუროვის და სხვათა საიუბილეო თარიღებს-დღეს ქართუელი და ოსი ხალხების უმეცარი მტრების ხელით დანაცრული, ქართულ სიტყვას დანატრებული დგას უმწეოდ და აღორძინებას ითხოვს.

გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 2000, №4(47)



ერის სამსახურში დაღლილი ბული

შალვა ხიდაშელის სახელი კარგად არის ცნობილი ფართო საზოგადოებრიობისათვის. განსაკუთრებით იგი ძვირფასია ცხინვალელთათვის. ბავშვობა აკადემიკოსმა შალვა ხიდაშელმა ცხინვალში გაატარა. აქი თბილისში გადასახლების შემდეგაც ვერ ელეოდა ბავშვობის ქალაქს. საკმარისი იყო თვალი მოეხუჭა და დაუსრულებლად შეეძლო ეელო ცხინვალის სანახებში, რომლებიც ავსებულყო „ბოჩოლებით, ახალშობილებს რომ ფეხები ეხლართებოდათ და მიწაზე ვერ დგებიან. გაზაფხულზე აბიბინებულ ეზოს ყვითლად აბუმბლული წიწილები ეფინებიან, მუქი, ბაცი და ყვითელი ფერებით შეფერადებულნი. ბაღში ყვავილობაა, ხეხილი იღვიძებს, მცენარეები თეთრი, ყვითელი, წითელი ყვავილებით იმოსებიან, სათონედან ახლად გამომცხვარი პურის სურნელება გამოდის, სადღეებელიდან-კარაქისა და დოს სურნელება“.

ასეთად წარმედგინა ბატონ შალვას ცხინვალი, რომელზედაც წერდა: „დავიბადე და ბავშვობა გავატარე ქართლის ერთ დაბაში, ცხინვალში. ჩვენს სახლს იქით, ბაღის პირას მთის მდინარე ხმაურობს და ღამ-ღამობით, სანამ შეეჩვევი, ძილს მიფრთხობს. მდინარე ზამთრობით ზოგჯერ ყინულით იფარება, გაზაფხულზე ადიდებულა და გაავებული, ზაფხულობით დაწყნარდება...“

უმადლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შ. ხიდაშელი ცხოვრების თანამგზავრად საკუთარ თანაკურსელს ელენე ვირსალაძეს ირჩევს. იმავე წელს (1932) ორივე, ასპირანტურაში სწავლის გაგრძელების მიზნით, მიემგზავრება ლენინგრადში. საგულისხმოა, რომ მათ მიაღწიეს დასახულ მიზანს და ჩაირიცხნენ კიდევ, ბატონი შალვა-ფილოსოფიის ისტორიის, ხოლო ქალბატონი ელენე-ფოლკლორისტიკის ხაზით.

ლენინგრადში უმძიმეს პირობებში უხდებოდა არსებობა. უსიტყვოდ უძლებენ გაჭირვებას, თუმცა, როგორც ბატონი შალვა წერდა: „მეცნიერმუშაკები და ასპირანტები შედარებით უკეთეს მდგომარეობაში ვართ. მე და ელენე ვახერხებთ ორ-სამ დღეში იმდენი პური მოვაგროვოთ, რომ რძით მოვაჭრე გლეხებს რძეში გავეუცვალოთ“.

ქალბატონმა ელენემ მალე ახალი სიხარული შეიტანა ოჯახში და ხიდაშელთა გვარს ახალი სიცოცხლე მოუვლინა. 1935 წელს, ჯერ კიდევ ლენინგრადში დაიბადა პატარა თვალხატულა გოგონა, რომელსაც მშობლებმა მანანა დაარქვეს.

1936 წელს დაასრულეს ასპირანტურის სრული კურსი და დაბრუნდნენ სამშობლოში. მომდევნო წელს ელენე ვირსალაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ეს გახლდათ პირველი ეტაპი ბატონი შ. ხიდაშელის ცხოვრებისა. მივინვარებდა ავადმოსაგონარი 1937 წელი. პერიოდი, როდესაც ჩატარდა ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში, მიმდინარეობს გაცხოველებული მზადება შოთა რუსთაველის 750 წლის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად. ამ მოახლოებულ საზეიმო ვითარებას გულწრფელი სიხარულის ხმას უერთებს ქართული ინტელიგენციაც, თითქოს ყველაფერი რიგზეა, ცხოვრება თავის სადინარს მიუყვება, მაგრამ სცენაზე წარმოდგენილი პომპეზური სურათების მიღმა საშინელი დაბნეულობა და ქაოსია. არაერთაა დარწმუნებული, რომ ხვალ საკუთარ ჭერქვეშ გაიღვიძებს. აქმა დრომ საკუთარი დადი დაასვა ხიდაშელების ოჯახსაც. პატარა მანანა ორისაც არ შესრულებულიყო, როდესაც სახლში ჩექმების ხმაური გაისმა და „ელენე იმავე ტალღაში ჩაიძირა, ათასები, ათიათასები, ასიათასები და საბოლოოდ მილიონები რომ წაღეკა“. სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე გრძელი წელიწადის შემოხარჯვის შემდეგ მოხერხდა ქალბატონი ელენეს საკუთარ სახლში დაბრუნება.

„ჩემთვის ცხინვალი არის ადგილი, სადაც დავიბადე, ფეხი ავიდგი, შესანიშნავი ქართული მეტყველება გავიგონე. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, მაგრამ ისე, როგორც ქართლის ამ კუთხეშია ქართული ენა დაცული, იშვიათად შეხვედები ქვეყნის სხვა მხარეში.

ამ კუთხესთანაა დაკავშირებული ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი, სიხარული და მწუხარება: ჯერ ბავშვური, შემდეგ ჭაბუკური და ბოლოს ხანში შესული ადამიანის განცდები“-ასე იგონებდა შ. ხიდაშელი ცხინვალს.

დოც. მიხეილ ცოტნიაშვილის „ცხინვალის ისტორიის“ დამოწმებით ბატონი შალვა საინტერესოდ მსჯელობს უძველეს ქართულ საისტორიო წყაროებში დაცულ ცნობებზე ცხინვალის შესახებ. მონასტრების, ციხეების და სხვა მატერიალური ძეგლების რიცხვი აქ 835-ს აღწევს. საკმაოდ ძველია ცნობები ცხინვალის და მის მიდამოებში განლაგებული სოფლების შესახებ და ა.შ. საინტერესოაა მიმოხილული მაჩაბელთა გვარის დამსახურება, ხოლო ბატონი შალვას მიხედვით თვით სიტყვა „მაჩაბელი“ ეტიმოლოგიურად „აჩაბეთიდან“ მომდინარეობს და ცხინვალთან და ამ კუთხესთან არის მჭიდროდ დაკავშირებული.

აკადემიკოსი შალვა ხიდაშელი მართებულად შენიშნავს: „ცხინვალს ჰქონდა სხვა თავისებურებაც, მხოლოდ მისებური, ცხინვალური. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავდა, იქ ქართველები, სომხები და ებრაელები ცხოვრობდნენ. ცხინვალმა ეს თავისებურება XX საუკუნის 20-იან წლებამდე მოიტანა. იგი წარმოადგენდა ქართულ მიწა-წყალზე ისტორიულად წარმოქმნილ სოციალურ უჯრედს, სადაც საში ერის შვილები საუკუნეების მანძილზე თანაარსებობდნენ“.

ზემოთ მოხმობილი სტრიქონები კიდევ ერთხელ თვალნათლივ ადასტურებენ, რომ ცხინვალში საუკუნეების მანძილზე სრული კეთილგანწყობით ცხოვრობდნენ სხვადასხვა ერის ადამიანები. კერძოდ, ებრაელები, რომლებიც საკმაოდ

აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მაგალითად, ცხინვალთან არის დაკავშირებული შემდეგი სახელები: დავით ბაზოვი, გარსევან კრიხელი, ტობა კრიხელი, აბრამ და თამარ მამისტვალოვები, გერშონ წიწუაშვილი და სხვ.

მრავალრიცხოვანი იყო სომხური მოსახლეობაც, მაგრამ ყველაზე დიდი ნაწილი ცხინვალის მოსახლეობისა ქართული გახლდათ და სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ ვახუშტი ბაგრატიონი ცხინვალში მხოლოდ ქართველებზე, სომხებზე და ებრაელებზე ლაპარაკობს და ოსებს არ ახსენებს. ბატონი შ. ხიდაშელის თქმით-მის ბავშვობაში აქ ოსი ეროვნების მხოლოდ რამოდენიმე ოჯახი სახლობდა.

სრულიად სხვაგვარად ვითარდება ცხოვრება 1921 წლის მოვლენების შემდეგ. უდიდესი საფრთხე დაემუქრება ისეთ მგრძობიარე ფენომენს, როგორიც ეროვნული ცნობიერება გახლავთ და ბატონი შალვა ხიდაშელის სიტყვებიც: „ებრაელებიც, სომხებიც, ოსებიც კარგ ქართულს ლაპარაკობენ. ოსების მეტყველება კილოთი თუ განსხვავდებოდა, მაგრამ სრულის გარკვეულობით უნდა ითქვას-არ ყოფილა შემთხვევა, რომ ოსს ქართველისათვის დემონსტრაციულად ქართულ ენაზე არ გაეცა პასუხი“-დარჩა ქარს გაყოლილ კეთილ მოგონებად.

გულისტკივილით იწერება შ. ხიდაშელის შემდეგი სტრიქონები: „საყურადღებოა, რომ სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო არა პროლეტარიატის (აქ პროლეტარიატის ნასახიც არ ყოფილა), არამედ ფუნქციონერთა მცირე ჯგუფის დიქტატურის ფორმა და თანდათან შეიქმნა ვითარება, როდესაც ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობა აღმოჩნდა უმცირესობაში და დისკრიმინაციულ მდგომარეობაში. ქართველებისა და ოსების ხვედრითი წონის ერთ შემთხვევაში შემცირება და მეორე შემთხვევაში საგრძობი ზრდა გამოწვეულია არა იმდენად ბუნებრივი ფაქტორებით, რამდენადაც მიგრაციული პროცესებით. ამის შედეგია, რომ დღეს რთული მოვლენებისა და ამოცანების წინაშე აღმოე-

ჩნდით. მაგრამ, როგორც პრესაში გამოქვეყნებული წერილებიდან ჩანს, ოლქის ოსი მოსახლეობის ზნეობრივი და პოლიტიკური განწყობილება ერთგვაროვანი არაა. იმათ გვერდით, ვინც ხალხის გათიშვას ცდილობს, არის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რომელშიც ღრმადაა გამჯდარი ქართველთა და ოსთა შორის საუკუნეობით განმტკიცებული მეგობრული ურთიერთობის ტრადიციები“.

ცხინვალში, დასახელებული პერიოდიდან, ყოველთვის არსებობდნენ აღვირახსნილი ინსტიქტებით, შეუგნებლობით და რეაქციული ინტერესებით გაჯერებული ძალები, რომლებიც მთელი შემართებით ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს ერთიანი, ცენტრალიზებული ხელისუფლების არსებობას. მათ არასოდეს წარმოდგენა არ ჰქონიათ ისტორიულ ფაქტებზე და ყოველთვის ბრმად უარყოფდნენ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის საქართველოს ფარგლებში არსებობას.

სწორედ მსგავსი ძალების თარეშის ლოგიკური შედეგი გახლავთ საქართველოს ამ ნაწილში დღეს არსებული რთული მდგომარეობა.

„ცხინვალში უნდა შეიქმნას ცენტრი, რომელიც ქართველ და ოს მოსახლეობას მისცემს სწორ წარმოდგენას ოლქის, როგორც ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაზე, ისე ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობათა წარსულზე“. არ შეიძლება მკითხველმა არ გაიზიაროს ბატონი შალვას ზემოთ გამოხმობილ სტრიქონებში გაცხადებული მოსაზრების სიჯანსაღე და აუცილებლობა. ვფიქრობთ, მისი შემოქმედება ამ თვალსაზრისითაც უაღრესად აქტუალურია.

აკადემიკოსი შალვა ხიდაშელის მამა ყოფილა მღვდელი, ჰყავდა უფროსი ძმა და უფროსი და, რომელიც პეტერბურგში ცხოვრობდა. განსაკუთრებით თბილად კი იგი მამის დედაზე საუბრობს. „ზაფხულობით ყველანი ერთად ვართ, ზამთრის მოსაწყენ დღეებს და დიდ ღამეებს მე და დედა ვატარებთ ერთად, ზამთრის ცივ დღეებში, დიდი ყინვების დროს მე და დედა ერთ ოთახში ვართ, ცივა და მოე-

ლი სახლის გასათობობად შეშა არა გეყოფნის.ზოგჯერ დედა თავის ფართო საწოლზე გადამიყვანს, გვერდზე მომიწვენს და მე ეთბები დედის ალერსით.

ზამთრის გრძელ ღამეებს დედა კითხვაში ატარებს. გამეღვიძება-დედას ლამპა ჯერ არ ჩაუქრია, „ქართლის ცხოვრება“ აქვს გადაშლილი და ცხარე ცრემლად იღვრება“...

სწორედ აქ, ამ ატმოსფეროში გაიძვალრბილა ბატონმა შალვამ სამშობლოს სიყვარულის უნაზესი განცდა. სწორედ აქ შეიცნო მობლიური ენის დაუშრეტელი სულიერი, ინტელექტუალური პოტენციალი. სწორედ აქედან დაიწყო მისი თვალსაწიერის უსაზომო გაფართოება-გადრმაგება. აქ მოიხიბლა და სამუდამო ტყვედ ექცა ღიახვის ხეობის განუმეორებელ მომხიბვლევობას. როგორც აღვნიშნეთ, ეს უჩვეულო ძახილი მშობლიური სამოსახლოს ადგილის დედისა თბილისში საცხოვრებლად გადასვლის შემდგომაც არასოდეს მოსცილებია.

მხოლოდ შ. ხიდაშელის გულის კაცს შეეძლო ეთქვა: „აქ ვიხილე საქართველოს მთები და ბორცვები, მზის ამოსვლა გარიჟრაჟზე, კავკასიონის მწვერვალი, ბრუტ-საბჰელა, რომელიც გათენებიდან დაღამებამდე მოჩანდა ჩვენი სახლის აივნიდან, ღიახვი, მთის მდინარე, ჩვენი სახლისა და ბაღის გვერდით რომ ჩამოდირდა, მისი შეუწყვეტელი ჩხრიალი“.

ცხინვალის ყოველი მონახულებისას ბატონ შალვას უყვარდა ღიახვის ნაპირზე გასვლა. რომელიმე მოზრდილ ქვაზე ჩამომჯდარი დიდხანს, ძალიან დიდხანს ყურს უგდებდა ღიახვის ხმაურს, გაფაციცებით დაჰყურებდა მშფოთვარე წყალს, გაირინდებოდა და... კვლავ და კვლავ დატრიალდებოდა ცხინვალური ბავშვობის მოგონებათა კრიალოსანი...

გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1999, №12(43)

მეათე ათწლეული იკინძება ცნობილი მკვლევარისა



და მოაზროვნის იოსებ მეგრელიძის დაბადებიდან. ნაყოფიერი ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე იოსებ მეგრელიძე დაიბადა 1909 წლის 9 აპრილს ჩოხატაურში (სოფ. ხიდისთავი), პედაგოგის ოჯახში. ადგილობრივი დაწყებითი განათლების შემდეგ საშუალო განათ-

ლებას იღებს ფოთში. ათწლეულის გასრულებისთანავე სწავლას აგრძელებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საფუძვლიანად ეუფლება მშობლიურ ლიტერატურას, აგრეთვე წარმატებით ითვისებს ენათმეცნიერების კურსს.

1931 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, იმჟამინდელი სახალხო განათლების კომისარიატის ხელშეწყობით ი. მეგრელიძე ყოფილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის ასპირანტია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომავალი მეცნიერის ასპირანტურაში მიღებისას უდიდესი როლი შეასრულა აკადემიკოს ნიკო მარის რეკომენდაციამ.

ასპირანტურის სრული კურსი დახურა 1935 წელს და იმავე ინსტიტუტში მუშაობს უმცროს, მოგვიანებით კი უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

ოცდაათიანი წლების მიწურულს ი. მეგრელიძე უბრუნდება სამშობლოს და საკუთარ ინტელექტუალურ პოტენციალს სრულად ახმარს ეროვნული კულტურის შემდგომ სრულყოფას, შემდგომ განვითარებას.

1939 წლიდან სამიოდე წლის მანძილზე მუშაობს სულხან-საბა ორბელიანის (ყოფ. პუშკინი) სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის დოცენტად. ხელმძღვანელობს ქართული, სომხური, აზერბაიჯანული ენების კათედრას.

ყაზახეთის მწველი მზის ქვეშ გატარებული რამდენიმე მტანჯველი წელი იოსებისათვის ალბათ ერთ-ერთი უმძიმესთაგანი იყო. უსამართლოდ დასჯილი, გადასახლებული მეცნიერი მოთმინებით იტანს ყოველგვარ გასაჭირს და ამაცი, სულგაუტეხელი უბრუნდება სამშობლოს 1947 წელს. პედაგოგიურ მოღვაწეობას ახალი შემართებით განაახლებს ცხინვალის, გორის, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. მოზღვავებული, დაგუბებული ენერჯის განსამუხტად ეს საკმარისი არ აღმოჩნდება და იშვიათი ტალანტის დამფასებელთა, თაყვანისმცემელთა უზარმაზარ რიგებს შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებიც შეემატებიან.

ი. მეგრელიძე ადრეული ასაკიდან ამჟღავნებს სიყვარულს, მოკრძალებას ეროვნული კულტურის მიმართ.

მის კალამს ეკუთვნის ისეთი მნიშვნელოვანი შრომები, როგორიცაა: 1970 წელს გამოცემული „რუსთაველოლოგები“, ნაშრომში წარმოდგენილია დახასიათება ყველა იმ ქართველი თუ უცხოელი მეცნიერისა, რომლებსაც გარკვეული წვლილი მიუძღვით შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული შესწავლის საქმეში. საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნა გალაკტიონს, გიორგი ლეონიძეს, მიხეილ ჯავახიშვილს, ჭოლა ლომთათიძეს, ვა-

ჯა-ფ შაველას, ეგნატე ნინოშვილს, დავით აღმაშენებელს, თამარს, საიათნოვას და ა. შ. სათანადო ადგილი დაუთმო სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებასაც... თითოეული მათგანი დიდი სიყვარულის, მოწიწების, მოკრძალების, მშობლიური კულტურისადმი უსაზღვრო პატივისცემის უზარმაზარი განცდითაა ნახაზრდოები თითოეული მათგანიდან ნატიფი მსჯელობა, ღრმა პროფესიონალიზმი და საქმის ზედმიწევნით ცოდნა იმზირება.

აღნიშნულ გარემოებათა დამსახურებაა, რომ ეს შრომები დაუღალავად ითარგმნებოდა ფრანგულ, უკრაინულ, რუსულ, სომხურ, ადიღურ, აფხაზურ და ოსურ ენებზე.

ცალკე შეიძლება გამოიყოს ნარკვევები, რომლებიც პროფ. ი. მეგრელიძემ მიუძღვნა თავის უფროს მასწავლებლებს: აკადემიკოს ნიკო მარს, ივანე ჯავახიშვილს, სანდრო ახმეტელს და ა.შ. აგრეთვე აღსანიშნავია ისეთი რანგის გამოკვლევები, როგორცაა „იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა“, „მცირე თეატრალური ლექსიკონი“, „ლაზური სასიმღერო ლექსები“, „აფხაზთმცოდნეობის სათავეებთან“, იური მარის თანაავტორობით შესრულებული „სახელმძღვანელო ავტორებისა და აღმოსავლური შრიფტების ასოთამწყობათათვის“ (ეს უკანასკნელი თბილისს გარდა გამოსცა მოსკოვისა და ლენინგრადის გამომცემლობებმა) და სხვა.

1938 წელს ნაშრომისათვის „ლაზური და მეგრული ფენები გურულში“ ი. მეგრელიძეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1959 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების უფროსი თანამშრომელია. ერთობ ნაყოფიერია მეცნიერი რუსთველოლოგიის საკითხთა კვლევისას. 1960 წელს ქართულ და რუსულ ენებზე დაისტამბა შრომა „რუსთავე-

ლი და ფოლკლორი“, რისთვისაც ი. მეგრელიძეს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ამ მნიშვნელოვან გამოკვლევაში შეკრებილი და განხილული მასალები ერთი წინგადადგმული ნაბიჯია რუსთველოლოგიაში არსებული რიგი პრობლემური საკითხების მეცნიერული კვლევისას.

1987 წლის მიწურულს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ი. მეგრელიძე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი კონსულტანტი, სამეცნიერო საბჭოსა და საკვალიფიკაციო საბჭოს წევრია.

აღსანიშნავია, რომ პროფ. ი. მეგრელიძე დაჯილდოებული იყო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით, იაკობ გოგებაშვილის, აგრეთვე ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიებით.

დიდი მეცნიერი და მოღვაწე იოსებ მეგრელიძე გარდაიცვალა 1996 წლის 23 იანვარს.

პროფ. ი. მეგრელიძე თავისი შემოქმედებით გარკვეულწილად დაკავშირებული იყო გენიალური ივანე მაჩაბლის სამკვიდროსთან, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გატარებული საუკეთესო წლები უხვად იძლეოდა იმ დიდი სიყვარულის საბაბს, რომელიც შემდეგ თვალნათლივ გამომჟღავნდა საინტერესო გამოკვლევაში „სიძველეები ღიახვის ხეობაში“.

მეცნიერის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი გახლავთ წლების მანძილზე შეგროვილი მასალების ერთობლიობა ქართლში. დიდი და პატარა ღიახვის, აგრეთვე ფრონეს, ფაწისა და ჯეჯორის ხეობებში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ. იქვე მოძიებულია ცნობები ქართულ-ოსური ისტორიულ-კულტურული ურთიერთობებიდან, მათი ზნე-ჩვეულებებიდან და სხვა.

ზემოთ, პროფ. ი. მეგრელიძის ნაშრომთა დასახელები-სას ჩვენ განგებ შეეკავით თავი დაგვესახელებინა „სიძველეები ღიახვის ხეობაში“. იგი უშუალოდ ჩვენს მხარეს

უკავშირდება და გესურდა საგანგებოდ შეეჩერებულეყავით მასზე. ნაშრომმა ორ ნაწილად იხილა სამზეო. პირველი ნაწილი დიდი ღიახვის ხეობას მოიცავდა, ხოლო მეორე - პატარა ღიახვს, ფრონეს, ფაწისა და ჯეჯორის ხეობებს. გესურს სწორედ ამ უკანასკნელს მივაპყროთ ყურადღება, რომლის რედაქტორია აწ განსვენებული, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ღაურეატი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ღლონტი. აი, როგორ შეფასებას აძლევს იგი ნაშრომს: „მარი ბროსესა და ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ იოსებ მეგრელიძემ, პირველად მოინახულა ეს ქართული მიწა-წყალი და დაწერილებით აღნუსხა იქ დაცული ძეგლები და მათი ნანგრევები... მან აღწერა დიდძალი დასახლებული პუნქტი, სოფელი, უბანი, ხეობა, დაადგინა მათი საზღვრები და კოორდინატები. ასევე აღნუსხა ხევები, მდინარეები, წყაროები, მთები, ქედები, სავარგულეები. ეს რეგიონი ასე დაწერილებით აქამდე არავის შეუსწავლია, ამიტომ ავტორის ჩანაწერებს, ეპიგრაფიკულ ცნობებს, ციხე-კოშკების, ეკლესია-მონასტრებისა თუ სოფლები-სა და ნასოფლარების ტოპონიმების, აგიონიმების, ორონიმების, ჰიდრონიმების აღწერილობებს უნიკალური მნიშვნელობა აქვთ. ბევრ რამეზე ჩააფიქრებს მეცნიერებს, უეჭველია, ბევრი ახალი დასკვნების საფუძველი გახდება“.

სამწუხაროდ, ი. მეგრელიძის ოცდაშვიდი წლის ტიტანური შრომის შედეგმა მხოლოდ მისი გარდაცვალების (საუბარია შრომის „სიძველეები ღიახვის ხეობაში“ მეორე ნაწილზე) შემდეგ, შვილის, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის გუბაზ მეგრელიძის აქტიურობის შედეგად იხილა მზის სინათლე.

რა უშლიდა ხელს ნაშრომის გამომზეურებას წლების მანძილზე, რა გაუხდა რესპუბლიკას ერთი წიგნის გამოცემა, რომელიც ცხინვალის რეგიონის ერთ-ერთ შეუსწავლელ, აქტუალურ პრობლემას სათანადოდ ჰფენდა ნათელს. ამას ერთვოდა ის დადებითი, საკმაოდ მაღალი შეფასებები, რომლებიც ხსენებულმა ნაშრომმა უხეად დაიმსახურა ისეთი

რანგის მეცნიერთაგან, როგორებიც იყვნენ გ. ჩუბინაშვილი, ალ. კალანდაძე, ს. კაკაბაძე და სხვები.

პროფ. ი. მეგრელიძის ვაჟი მამის წიგნის გამოცემისას წინასიტყვაობაში „ნაშრომის გამოცემის ისტორია“ გულისტკივილით წერდა პარტიის მანდატს ამოფარებულ ჩინოვნიკებზე, რომლებიც სრულიად უსაფუძვლოდ, მხოლოდ იმის გამო, რომ ნაშრომში ეროვნული ხასიათი იგრძნობოდა, აფერხებდნენ გამოცემის ორგანიზებას. თუმცა, როგორც ჩანს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოფიციალურ თავის დროზე შეუთავაზებია ნაშრომის დაბეჭდვა თუკი ავტორი სათაურს „სიძველენი ღიახვის ხეობაში“ შეცვლიდა სათაურით „სამხრეთ ოსეთის მხარის სიძველეები“. ამ წინადადებაზე ი. მეგრელიძე, რა თქმა უნდა, არ დათანხმდა იმ მოსაზრებით, რომ მოძიებული მასალები ღიახვის ხეობის ქართული მიწის საკუთრება იყო და არა ე.წ. სამხრეთ ოსეთისა. სამწუხაროდ, ეს ბოლო შანსი აღმოჩნდა და წიგნი აღარ დაიბეჭდა. სადღეისოდ, ეს გარემოება კი არ ზღუდავს, პირიქით, ღირსებას მატებს პროფ. ი. მეგრელიძის ნაშრომს „სიძველეები ღიახვის ხეობაში“ (ნაწ. II) და კვლავაც აქტუალურია. აქტუალურია თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მასში კიდევ ერთხელ ხაზგასმულია ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლთა ქართული წარმომავლობა ანუ, როგორც წიგნის რედაქტორი პროფ. ალ. ლლონტი წერდა: „იგი ნათელს ჰფენს ზოგიერთ ბურუსით მოცულ საკითხს და წარსულის ირგვლივ თანამედროვეობას სწორ წარმოდგენას უქმნის“.

ასეთივე ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევა პროფ. ი. მეგრელიძე ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც მუშაობს 1940 წლიდან. ხანმოკლე შესვენებების ჩათვლელად ეს პედაგოგიური მოღვაწეობა შეიძლება ითქვას 1977 წლამდე გრძელდებოდა (უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე, როგორც სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე). ი. მეგრელიძე წლების მანძილზე კითხულობდა თანამედროვე ქართული ენის, ძველი ქართულის,

რუსთველოლოგიის, დიალექტოლოგიის, ენათმეცნიერების და სხვა დისციპლინების კურსს.

საამაყო, რომ ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის „შრომების“ კრებულის დაარსება პროფ. ი. მეგრელიძისა და პროფ. ალ. ღლონტის სახელებს უკავშირდება. პირველი ტომი „შრომების“ კრებულისა შეადგინა და დასაბეჭდად ი. მეგრელიძემ მოამზადა. ხოლო შემდგომი ამ საქმეს უფრო ალ. ღლონტი კურირებდა. სოგიერთი ნაწილი ნაშრომისა „სიძველევები ღიახვის ხეობაში“ მეცნიერმა სწორედ ამ კრებულში გამოაქვეყნა პირველად.

პროფ. ი. მეგრელიძე სისტემატურად აწყობდა ლექცია-შეხვედრებს ცხინვალის რეგიონის მოსახლეობასთან, პედაგოგიურ კოლექტივებთან, სახელმწიფო თეატრის მსახიობებთან (იგულისხმება ორივე, ქართული და ოსური დასი), სისტემატურად იბეჭდებოდა ცხინვალის ქართულენოვანი გაზეთის ფურცლებზე და ა. შ. ასევე საინტერესოა 1940 წელს ი. მეგრელიძის თაოსნობით მოწყობილი ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ლაშქრობა. დაილაშქრა ბრეტსაბძელას მწვერვალი, ყელის ტბა, როკის უღელტეხილი.

ცხინვალთან არის დაკავშირებული პროფ. ი. მეგრელიძის მიერ აკადემიკოს ნიკო მარის სამეცნიერო წრეებში გახმაურებული ნაშრომის „ქართული ენა“ გამოცემა და სხვა.

ზემოთ მოხმობილი ფაქტები ცხადყოფს, რომ იოსებ მეგრელიძე მთელი გულით შეეთვისა ცხინვალს, მისი სახელი შეისისხლხორცა ცხინვალის სამეცნიერო-ლიტერატურულმა გარემომ და მის შემოქმედებაზე საუბარი ცხინვალთან ურთიერთობის დროინდელი საინტერესო ფაქტების გარეშე, ვფიქრობთ, წარმოუდგენელია.

გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 2000, №10(53)

სამშობლოს შეწირული შვილი

„მე მინდა ვიყო ღირსეული შვილი საქართველოსი...



არც ცოლი, არც შვილი, არცთუ სხვა რომელიმე გულშემატკივარი არ დამრჩება, მე ვისურვებ დამრჩენოდეს საქართველოს პირველი გულშემატკივრის სახელი, ამას კი იოლად არ დავთმობ, არავის დავანებებ...“ – ამ სიტყვებს წარმოთქვამდა სანდრო ყაზბეგი ერთ-ერთ სუფრასთან, მეგობართა წრეში. ეს აზრი გაიხადა თავისი ცხოვრების უმაღლეს მიზნად და აკი ამ მიზნის მისაღწევად უკომპრომისო ბრძოლას შეაღია თავისი საოცარი სათნოებითა და ღრმა ტრაგიზმით აღსაყვ

ცხოვრება. სამშობლოს კეთილდღეობისაკენ მიმავალი ნარეკლიანი გზიდან არ გადაუხევეია ზესთასოფელში დასახლებამდე.

თავიდანვე უცნაურად წარიმართა ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა. ფუფუნებაში გაზრდილი „მთის მეფის“ შვილი თავისი ნებით მწყემსებთან დაიდებს ბინას. მათი ცხოვრებით ცხოვრობს. თუმცა, როგორც თვითონ ამბობდა, ეს შვიდი წელი იყო ყველაზე ნაყოფიერი. იგი დაუახლოვდა და დაწერილებით გაიცნო უბრალო ხალხის ცხოვრება. მათი ტკივილი და სიხარული გაიზიარა, შეძლო უამრავი მასალის შეკრება შემდგომი მოღვაწეობისათვის.

თბილისში ჩამოსვლისა და საზოგადო მოღვაწის მძიმე უღლის დადგმისთანავე გამოუჩნდა ალექსანდრეს თაყვანის-

მცემელთა უზარმაზარი გუნდი, რომელიც მისი გმირების ცხოვრებით ცხოვრობდა, აღმერთებდა მწერალს და ყოველმხრივ ცდილობდა თავისი დიდი სიყვარული გაემჟღავნებინა. მაგრამ იყო მეორე გულშავი ფრთაც. ისინი ვერ ხელაფდნენ და არ უნდოდათ დაენახათ სანდროს ღირსება, მისი დამსახურება და თუ სჭირდებოდათ სხვადასხვა ნაკლოვანებათა სახელდახელოდ გამოგონებასაც არ თაკილობდნენ. მათგან მიყენებული ტრამის დაძლევაში ალექსანდრეს დიდ დახმარებას უწევდა გრ. ორბელიანის, ილიას, აკაკის, ვაჟას, შიო მღვიმელის, დ. კლდიაშვილის და სხვა ცნობილ მოღვაწე მამულიშვილთა უდიდესი თანადგომა, რომელიც მათს ნებისმიერ გამოსვლაში იგრძნობოდა.

ალ. ყაზბეგის სათუთი ბუნება მოფერებას ითხოვდა. საშინლად აღიზიანებდა ყოველგვარი უმართებულო შენიშვნა. განსაკუთრებით ვერ იტანდა სახელის მოსახვეჭად ლიტერატურას მიკედლებულთ. არ ინდობდა და არ ინდობდნენ. მათ მიერ ნასროლი ისრები მოუშუშებელ იარაღ აჩნდებოდნენ ყაზბეგის სამშობლოსათვის მყეთქავ გულს, უმძიმეს ბრალდებებს უყენებდნენ და ისიც ბავშვივით განიცდიდა, ღამეებს თეთრად ათენებდა...

ასე ხდებოდა მწერლობაში. ასეთივე მდგომარეობა გახლდათ დრამატურგიაშიც. კარგად ბრძანებდა ბატონი ალ. კალანდაძე: „მსახიობები ხშირად საბენეფისოდ ირჩევენ მის პიესებს და აქაც ლანძღვა-გინება არ წყდებოდა: აქებ-ადიდებდნენ შემსრულებლებს, დასცინოდნენ პიესის შემოქმედს. ყაზბეგი წაუკითხავად არაფერს ტოვებდა. წაკითხული ნერვებს უშლიდა, ბავშვივით ტიროდა, ისტერიკამდე მიდიოდა“.

ალ. ყაზბეგს შესწევს საოცარი უნარი დაიცვას თავისი ესთეტიკური პოზიცია. თავისი აზრი გააჩნია მწელობაზე, რომელსაც საკმაოდ საინტერესოდ აყალიბებს. ერთ-ერთი კრიტიკოსის რჩევით – „ელგუჯას“ დამთავრების შემდეგ მოჩხუბარიძეს ნება აქვს, რამდენიმე წელი კალამი ხელში აღარ აიღოსო, შეურაცხყოფილი ალექსანდრე წერს:

„ღმერთო, სადამდე მიდის იდიოტობა! კაცი ვითომ ლიტერატურაზე, თეატრზე წერს და წარმოდგენა არა აქვს, რომ შემომქმედი შთაგონების მონაა და შთაგონება არ ეკითხება: დაწეროს თუ შეისვენოს! საბრალო, ალბათ, ეჭვი არ ეპარება, რომ მწერლები სახელისა და ფულისათვის წერენ! წარმოდგენა არ შეუძლია, რომ დასაწერის თავისთავში ტარება ყველაზე დიდი სატანჯვეელია, ხოლო შექმნა, დაწერა, ამ სატანჯვეელისაგან განთავისუფლებაა, შეებაა! „ელგუჯა“ ხომ დაამთავრე, ეხლა შევბულება აიღე, რამდენიმე წელს ხელში კალამი აღარ აიღო! საცოდაო ჭიადუავ, რომელსაც ასოების გამოყვანა კი გისწავლია, მაგრამ ვერასოდეს მწერლობის საიდუმლოებას ვერ ჩასწვდები“.

დიდი ამაგი დასდო ალ. ყაზბეგმა მაშინდელ ქართულ პრესას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო ერთ-ერთი სათავეთაგანი იმ დაუშრეტელი ანკარა წყაროსი, რომელმაც შეუნარჩუნა სიცოცხლე ეროვნულ ჟურნალისტიკას. განსაკუთრებით ეს სიტყვები ითქმის გაზ. „დროების“ მისამართით, რომელის რედაქციის შენობაში, ერთ პაწაწინა ოთახში ცხოვრობდა და იქ, ყველას თაველწინ იქმნებოდა ისეთი შედეგები ქართული მხატვრული ლიტერატურისა, როგორც იყო: „ელგუჯა“, „მამის მკვლეელი“, „ელისო“ და მრავალი სხვა. მუშაობის დროს ყაზბეგი ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა, საერთოდ ვთიშებოდა სააქაო ცხოვრებას. ეშინოდა, არც ერთი წუთის უქმად დაკარგვა არ სურდა. მემატინანთა ცნობით – რედაქციიდან იშვიათად გადიოდა. იქ წერდა, ჭამდა და ეძინა. ხშირად უძილო და უჭმელ-უსმელი ბურბუშელასავით აწეწილ ქალაქებში შრიალებდა და ფათურობდა. ჩაცმა-დახურვაზე, ოთახის მილაგებაზე, თავისთავის მოვლაზე წუთის დაკარგვაც ვერ წარმოედგინა... ფარდით გადატიხრული იმის საწოლი დათვის ბუნაგივით გამოიყურებოდა. მუშაობდა პაპანაქებასა და ყინვაში, უმეტესად ჩინსა და პურზე, რომელსაც ზედაც არ უყურებდა, ისე მიჰქონდა პირთან...

„დროების“ პუბლიცისტიკის მთელი სიმძიმეც მას აწვა

კისერზე და მისი შესწორებისა და ნებაართვის გარეშე სტამბა არც ერთ დასაბეჭდ მასალას არ იღებდა.

ასეთ არაბუნებრივ, არაადამიანურ შრომას მოითხოვდა მისგან მკითხველი, მისი გმირების გულშემატკივართა უზარმაზარი არმიები მოუთმენლად ელოდნენ ყოველი ახალი ნომრის დაბადებას. ყოველი ახალშობილი „დროების“ ეგზემპლარი ხელიდან ხელში გადადიოდა, ხშირად ორმაგ და სამმაგ ფასშიც იოლად ჰქრებოდა დახლებიდან...

საინტერესოა ალ. ყაზბეგის ახლო მეგობრული ურთიერთობა ჩვენი მხარის ბუმბერაზ შეილთან ივანე მაჩაბელთან. მათ ურთიერთობას ჩრდილი არასოდეს დასცემია. ვანო გრძნობდა მის ღირსებას, მის შემოქმედებით ძალას და ისიც კარგად უწყოდა რას დაემსგავსებოდა გაზეთი ყაზბეგის თხზულებანი რომ მოჰკლებოდა. იგი ყოველთვის გამოხატავდა უკმაყოფილებას ალ. ყაზბეგის მოწინააღმდეგეთა მისამართით.

თვითონ სანდროც სიყვარულით იხსენებს ლიახვისპირელ გენიოსს: „ჩამოველ ქუთაისიდან, მაგრამ ვაი ამ ჩამოსვლას და ნამეტნავად ვაი იმ ხალხში მოსვლას, რომელთათვისაც უნდა მეცქირა პირში და მათაც თვალი გაესწორებინათ ჩემთვის, რადგანაც დამშეიდებული იყვნენ სულით. ერთადერთი ისევ ის კაცი (ივ. მაჩაბელი) შემხვდა, როგორც დამშორდა და გულმა აღელვებით გამიწია მისკენ. უბედურისათვის თანამგრძნობლის ფასი არა არის რა. ჩემმა სულმაც იგრძნო, შეთბა და იტკბუნა“.

ასეთი სითბოთი იხსენებს ყაზბეგი და მაჩაბელიც გრძნობდა მთის შეილის მისკენ ლტოლვას, თანაგრძნობის ხელს უწვდიდა, იცნობდა მის უიღბლობასაც და დიდად გულშემატკივრობდა. იმავდროულად, იგი აღექსანდრეს ნიჭის ობიექტური შემფასებელი და მისი შემოქმედების თაყვანისმცემელიც გახლდათ. ხედებოდა, რომ მის გვერდით ბობოქრობდა ქართული, ეროვნული შემოქმედების ერთ-ერთი დიდებული მწვერვალი, ხედებოდა და არაეის არაფერს უთმობდა, არაეის ანებებდა.

აღ. ყაზბეგი არასოდეს შეპყვდლებია მაჩაბლისა და ჭავჭავაძის ურთიერთდაპირისპირების გამო გაყოფილი ინტელიგენციის არც ერთ ბანაკს. ისე კი ყოველთვის მაჩაბელს თანაუგრძობდა ფარულად.

თავის მშობლიურ კუთხეზე უნაპიროდ იყო შეყვარებული ალ. ყაზბეგი და მაინც უთბილისოდ გაძლება უჭირდა. მკვლევარ ალ. კალანდაძის თქმით – ყიზლარის საძოვრებიდან გამოქცეულა სულის მოსაბრუნებლად. ძმაკაცებში გარეოდა, დედაქალაქის ეშხით ფილტვებს გაივსებდა, ცხოვრების ვნებიან ზღვაში გადაეშეებოდა. უჯამაგირო ლუქმას მონატრებულ სცენის ფანატიკოსებს საუკეთესო რესტორნებში გულუხვად უმასპინძლებდა და კოხტა, ვეროპული ჩაცმულობით, დიდკაცურის მანერებით, ხელგაშლილი მხარჯველობით ქვეყანას აალაპარაკებდა. არისტოკრატიულ სალონებს სიზმრად რჩებოდათ ხან თეთრ ჩოხაში, ხანაც უკანასკნელი მოდის კოსტიუმში გამოწყობილი, ელგებანტური, თითით საჩვენებელი კაეალერი.

ალექსანდრეს პორტრეტის ზოგადი მონახაზის მიუხედავად აუცილებლად მიგვაჩნია შეეეხოთ მის იშვიათ ტალანტს, რომლის საუკეთესო გამოვლინება სხვა მრავალთა შორის ცეკვის ხელოვნების საიდუმლოებათა ჯადოქრული წვდომის უნარიც გახლავთ.

„სცენაზე წრეს კრავენ. ისმის დიპლიპიტოს, ჭიანურის, დაირის მხიარული ხმები. შემოიჭრება ყაზბეგი. სამი გაღესილი ხანჯალი უჭირავს; ორი კბილებში უკავია, მესამეს მალლა ისერის და ცეკვავს, თან შეუწერებლად, ჰაერშივე ტარით იჭერს ასროლილ ხანჯალს... ხალხი გაოგნებულია, სუნთქვაშეგუბული უყურებს. მოცეკვავე ჩერდება ნელა, ცერებზე შემდგარი, ამაყად თავაწეული ჩამოუვლის წრეს, შეკაეებული ვნება დაძაბულ გამოხედვაში შენივთებულა, ცხვირის ნესტოები დაბერვია, ზამბარასავით დაჭიმულა. იქუხებს და მუსიკის ტაქტს მისდევს ტაში. ჰაერში გაელეებულ ხანჯალს მოცეკვავე ერთბაშად წამოატრიალებს, თვალებთან მიიბჯენს და შევარდენივით გადაეველება სცენას...

მოცეკვავე თითქოს მოიქანცა, უკანასკნელ იღეთს აკეთებს: წვერით მადლა ასროლილ ხანჯალს იატაკზე ასობს, იროქებს და ისე იხრება უკან, რომ ზურგით ხანჯალს ეხება. ერთი უზუსტო მოძრაობა, და ბასრი ფოლადი მიკერდს გაუპობს. მაგრამ მაყურებელი მშვიდად შეჰყურებს – სჯერა, რომ ამგვარი შეცდომა არ მოხდება იქ, სადაც გველის მოქნილობა ვეფხვის ძალას შეერთებია“ („ცეკვა ხანჯლებით“).

გადიოდა დრო. უმისამართოდ, უბან-უბან დაეხეტებოდა სანდრო ყაზბეგი. ერთ დროს მგრგეინავი „მთის მეფის“ მემკვიდრე, ნატანჯი, დაბეჩავებული, წვერმოშეებული, დანაოჭებული, დაძონძილი ტანისამოსით. მისი სიცოცხლის მზე შუბისტარზეც არ შემდგარიყო, ორმოცს ძლივს ითვლიდა, საკუთარი წილი წუთისოფელიც ხელში შემოსძარცვოდა და ჩამოღვენთილი სანთელივითლა ბუუტავდა.

საინტერესო იყო, რომ ალ. ყაზბეგის სიცოცხლის ბოლო პერიოდში გულის ამაჩუყებელ წერილებს აქვეყნებენ ის ადამიანები, რომლებმაც სიცოცხლე მოუწამლეს და ახალგაზრდა კაცს ამქვეყნიური ყოფის ხალისი დააკარგინეს.

ალბათ იგრძნეს...

ჭეშმარიტად ბრძანებდა აკაკი: „ენა მებმება! და ამის მიზეზი უფრო სიცოცხლეა განსვენებულისა, ვიდრე სიკვდილი, ის სიცოცხლე, რომელიც სიკვდილზე ბევრად უფრო მწარე იყო... ჩვენ სხვა წესს მივღეთ, სიცოცხლეში კაცს ქვას და ლოდს ვესვრით“.

შეფასებათა შეფასების უფლება კი მაინც დიდმა ილიამ დაიტოვა: „გარდაიცვალა, მაგრამ ვინ მოიგონა ეს სიტყვა! ორჯერ დაბადებულს, ღვთიურის მადლით ცხებულს, ერთი სიკვდილი ვერსა უზამს, ყაზბეგი კი – მეორედ მაშინ დაიბადა, როდესაც თავისი ნიჭიერი კალამი უძღვნა ქვეყანას, დაიბადა ისე, რომ მისი აკვანი ყოველთვის ქართველის გულში ირწოვოდა. ასეთ აკვანში გამოზრდილს ადამიანს კი სიკვდილი ხელს ვერ შეახებს. ზეცას დაიბადა, ქვეყნად ცხოვრობდა, დამარხულია ჩვენს გულში!“

ქუჩები ვერ იტევდა ხალხს. ხელით მიასვენებდნენ საგ-
ვარეულო სამარხში დასაკრძალად.
გლოვობდა სრულიად საქართველო.

გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, 1998, №10(29)



მშობლიური ლიტერატურის მესაიდუმლე

მომავალ წელს 90 წელი შესრულდება ცნობილი კრიტიკოსისა და ლიტერატურის მკვლევარის ბატონი დიმიტრი ბენაშვილის დაბადებიდან.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. ბენაშვილი წლების მანძილზე დარაჯად უდგა მშობლიურ ლიტერატურას. თავისი ვაჟკაცური ბუნებით, საოცარი ორატორული ნიჭით, მომავალი თაობისადმი მსრუნველობით იგი ყოველთვის იმ მოწინავეთა შორის იდგა, სადაც ამ თვალსაზრისით აუცილებლობა იგრძნობოდა.



საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ბატონი დიმიტრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ერთხანს ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქტორის ამპლუაში გვევლინება, ხოლო მოგვიანებით, 1947 წლიდან იგი საქარ-

თველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უახლესი ქართული ლიტერატურის განყოფილების გამგე, ხოლო შემდგომ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის კათედრის გამგეა.

ბატონი დიმიტრი ბენაშვილის, როგორც მეცნიერის, ფართო ინტელექტუალური თვალსაწიერის მქონე მოღვაწის სახე ადეკვატურია მისი შემოქმედებითი ხედვის ფართო პორიზონტისა, რაც ბუნებრივად ქმნიდა საფუძველს სისტემატური, მყარი სადინარი კქონოდა მის ესთეტიკურ, მაღალ-ზნეობრივი მსოფლმხედველობის იმანენტურ განვითარებას. მის ძვირფას შემოქმედებით მემკვიდრეობას მიეკუთვნება უამრავი მნიშვნელოვანი გამოკვლევა თუ კრიტიკული ნაშრომი, რომლებიც თანამედროვე ლიტერატურაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესებისა და ჩვენი დროის მოღვაწეთა შემოქმედების ანალიზს ისახავს მიზნად.

ამ ფონზე გვსურს ცალკე გამოვეყთ პროფესორ დ. ბენაშვილის ისეთი ფუნდამენტური შრომები, როგორებიც გახლათ: „ლექსანდრე ყაზბეგი“, „ვაჟა-ფშაველა – შემოქმედი და მოაზროვნე“, „სახისა და ხასიათის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“, „კრიტიკული ნარკვევები XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“, „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“ და ა.შ.

ამჯერად, სწორედ ამ უკანასკნელზე გვსურს გავამახვილოთ ყურადღება. მნიშვნელოვან ნაშრომში „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“ ბატონი დიმიტრი ბენაშვილი ნათლად აყალიბებს საკუთარ ეროვნულ პოზიციას. ჩვენი ქვეყნის ისტორიულ კუთხეში, დიდი ივანე მახაბლის გენიის შემქმნელ კუთხეში, დღეს მიმდინარე რთული პროცესების ფონზე ხსნებული შრომა, ვფიქრობთ, კიდევ უფრო აქტუალურია.

მხედველობაში გვაქვს იმ შეხლა-შემოხლის მომენტი, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის მიერ „ჯაყოს ხიზნების“ გამოქვეყნებამ გამოიწვია. ოპონენტები ეჭვის ქვეშ აყენებ-

დნენ მ. ჯავახიშვილის ეროვნულ პათოსს, თხზულების მხატვრულ ღირსებას, ავტორს ადანაშაულებდნენ ქართველი კაცის დაბეჭადებაში და ენერგიულად უკიჟინებდნენ მკითხველს, რომ ნაწარმოები საფუძველს მოკლებულ პოეტურ აბსტრაქციად წარმოედგინათ.

ეს ყველაფერი ბრალად ედებოდა ისეთი რანგის მოღვაწეს, ისეთი რანგის მამულიშვილს, როგორც მიხეილ ჯავახიშვილი გახლდათ. კაცს, რომელსაც უბის წიგნაკში ასეთი ჩანაწერი ჰქონდა: „მე სუფთა ქართულის ფანატიკოსი ვარ“.

მიხეილ ჯავახიშვილი ქართული ენის მადლს სწორედ სამაჩაბლოში ეზიარება და შემდგომ, მოგონებებში დააფიქსირებს აქ განცდილ სასიამოვნო შთაბეჭდილებებს.

რაოდენ დასანანია, რომ ნახსენები ლიახვის ხეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც მოკლე ხნის უკან ზეობდა ქართული, დღეს მშობლიურ სიტყვას დანატრებული შვებას და აღორძინებას ითხოვს.

ჭეშმარიტი ეროვნული მენტალიტეტითა და ძარღვიანი ქართული სიტყვით ბატონი დიმიტრი ბენაშვილი შრომაში „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“ მკაფიოდ ასაბუთებს ზოგიერთი მაშინდელი მკვლევარის „ჯაყოს ხიზნების“ ავტორისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების სრულ უსაფუძვლოებას და აცხადებს: „მწერალი აფრთხილებს ერს, რომ თეიმურაზ ერისთავის უმოქმედობა, უპერსპექტივობა, მოღუნება, ეროვნული სხეულის დაშლას იწვევს და რაც უფრო ადრე განიკურნება ეროვნული სხეული ამ წყლულისაგან, მით უფრო ბედნიერი, სიცოცხლისუნარიანი და პერსპექტიული იქნება ერი“ (დასახელებული ნაშრომი, თბ., 1959 წ. გვ. 81).

ბატონი დიმიტრის ლოგიკური დასკვნა რადიკალურად ეწინააღმდეგება იმ ურაპატრიოტიზმს, რომლის მიხედვითაც ეროვნულ ხასიათში ნაკლის მხილება ბოროტებაა: „მხოლოდ ერის დიდ შვილებს აქვთ მორალური უფლება პირდაპირ მიუთითონ საკუთარ ხალხს ნაკლოვანებებზე“.

ერთობ სასიამოვნოა იმის გახსენება, რომ პროფ. დიმიტრი ბენაშვილი ორმოცდაათიანი წლების II დეკადაში, კონკრეტულად კი 1956 წლის 20 აპრილს, დიდ გალაკტიონთან ერთად ესტუმრა ცხინვალს. ამასთან დაკავშირებით განსვენებული პროფ. ალექსანდრე ღლონტი ივონებს: „1956 წელს გალაკტიონი ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში მივიპატიუეთ (ეს იყო გალაკტიონის მეორე სტუმრობა ცხინვალში. პირველი შედგა 1952 წლის მაისში – ა. მ.). ჩინებული საღამო გაიმართა, მე შესავალი სიტყვა და მისაღმება წარმოეთქვი. მოხსენება დიმიტრი ბენაშვილმა წაიკითხა, გამოვიდნენ სტუდენტები... გალაკტიონს ძალიან მოეწონა ჩვენი სტუდენტები. თავად ჯერ რამდენიმე ცნობილი ლექსი წაიკითხა, შემდეგ ექსპრომტად წარმოთქვა ახალი ლექსი, რომელიც პაპიროსის კოლოფზე ჰქონდა დაწერილი.“

დიმიტრი ბენაშვილის ღირსეული მემკვიდრე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გურამ ბენაშვილი ჩვენი მხარის ახალგაზრდა თაობის ნიჭიერ წარმომადგენელთან პროფ. ზაზა ცოტნიაშვილთან ინტერვიუში აცხადებდა: „გალაკტიონს თან ახლდა მამაჩემი, დიმიტრი ბენაშვილი. მახსოვს, გალაკტიონმა შემდეგ დაწერა, რომ ის სითბო და სიყვარული, რაც მან ხალხისაგან იგრძნო აქ, არსად სხვაგან არ განმიცდიაო. მამის მოგონებებში წამიკითხავს ცხინვალში გატარებული დღეების სასიამოვნო შთაბეჭდილებები. ალბათ, ჩვენს დიდ წინაპართა მაგალითი ყოველთვის კეთილშობილური განწყობით განგვმსჭვალავს ქართულ-ოსური მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის მიმართ და გვავალებს, რომ ქართველებსა და ოსებს სითბო და სიყვარული უნდა გექონდეს.“

გაზ. „ცხინვალი“, 1999, №63;



უცნაური დროება გვისახსოვრა უეცრად თავსდატეხილმა თავისუფლების ტალღამ. ყმის მასამ რეჟიმის უღელის სიმძიმისაგან თავდახსნისთანავე იოლად გადალახა მორალურ-ეთიკური თუ რელიგიური ზომიერების ზღვარი და მძლავრი წრე მოხაზა ზნეობრივი დეველვაციის ვრცელ სივრცეში. ჩვენი დღევანდელი საუბრის თემა ლოკალურ ხასიათს ატარებს და ერთ კონკრეტულ პრობლემას ეხება. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს დიდი ნაწილი ხალხისა, რომლის წინაპრებიც საუკუნეების მანძილზე გაბედულად იდგნენ რწმენის მცველთა, რწმენისათვის წამებულთა სამსხვერპლოზე, დღეს ურცხვად მოკალათებულან ამა თუ იმ რელიგიური სექტის საგუშაგო კოშკზე და სულის მომაკვდინებელი მოძღვრის როლსაც არად დაგიდევენ.



ჯერ კიდევ ციცერონმა ბრძანა: არ არსებობს სისულელე, რომელსაც მიმდევრები არ გამოუწინდებიანო და ისინიც ქუჩა-ქუჩა წანწალით, ჭრელა-ჭრულა მდარე ლიტერატურით, ენის მოუღლეელი ქაველითა და ლამაზი დაპირებებით ყოველდღიურად ავისებენ მსხვერპლით სადღაც გუშინ შეთითხნილი იდეოლოგიის ბინძურ ბადეს. მსხვერპლის ხვედრს კი ძირითადად დღევანდელი დუხჭირი ცხოვრებით ილაჯგაწყვეტილი, ოცნებასა და წერას ერთდროულად აყოლილი ჩვენი რიგითი თანამემამულეები იზიარებენ.

არ გვინდა ისე გამოგვივიდეს, თითქოს საშველი არ არსებობდეს და სრული უიმედობის ვაკუუმში ვიმყოფებოდეთ. არა ძვირფასო მკითხველო, განგება მძიმე უამს ყოველთვის ზრუნავს მის მიერვე საკუთარ ხატად და მსგავსად შექ

მნილ არსებაზე. იგი ყოველთვის გადაარჩენს ხოლმე მკურნალს, სულის პურის მთესველს, უმძიმესი მისიით, ერი შემობრუნოს ღვთისკენ. დღეს ასეთი ადამიანებიც მრავლად მოიპოვებიან. ისინი საკუთარ მრევლთან ერთად მიდიან გზით, რომელიც ვიწროა და რომელსაც მარადიული სიცოცხლისაკენ მიჰყავს. მიდიან ძალდატანებისა და ანგარების გარეშე, საკუთარი შინაგანი „მე“-ს კარნახით, საკუთარი სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

დღეს გვინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ერთ ასეთ უანგარო სულის პურის მთესველ მოძღვარზე, რომლის ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნების ურთულეს ხვეულებში ზედმიწევნით წვდომა, ზნეობრივი სიმაღლე და სულიერი სისპეტაკე ამ სიტყვების ავტორმა საკუთარ თავზე გამოსცადა.

მამა იოანე (ზაზა კალატოზიშვილი) დაიბადა კასპში 1965 წლის 19 აგვისტოს. კასპის პირველი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე (1982) ჩააბარა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის წარმატებით დასრულების შემდეგ საერო ცხოვრებაში მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. 1993 წლიდან იწყება მისი აქტიური რელიგიური ცხოვრება. დასაწყისში ჯერ კასპში, მოგვიანებით გორის ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში მსახურობს სტიქაროსნად (კვართოსანი). 2000 წლის 19 ნოემბერს აკურთხეს დიაკვნად. ახალგაზრდა დიაკვნის ენერგიულობა და პატიოსნება შეუმჩნეველი არ დარჩენილა და 2001 წლის 7 აპრილს შედგა მისი მღვდლად კურთხევის ცერემონიალი.

ამჟამად მამა იოანე მსახურობს კასპის წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის ეკლესიის მოძღვრად. ამავე რანგში პარალელურად მოღვაწეობს ქვახერელისა და უფლისციხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში.

სასულიერო იერარქიაში დღეს უკვე მღვდელი, მამა იოანე მუხლჩაუხრელად შრომობს ყოველ ცისმარე დღეს. დაუზარებლად სთესს სიკეთეს და მრევლისათვის საუკეთე-

სო ნიმუშის მიმცემია. მამა იოანესთან ჩვენი შეხვედრა სრულიად შემთხვევით შედგა. ხანმოკლე საუბრის შემდეგ რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს არ იყო უცხო ადამიანთან პირველი გასაუბრება. თითქოს ორი დიდი ხნის მეგობარი აზრს უზიარებდა ერთმანეთს.

საერთოდ ურწმუნო არასდროს გახლდით, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს და აქვე უნდა ითქვას, რომ მეტიმეტი ღვთის მოშიშობითაც არასოდეს გამოვიჩნეოდი. ისეთი ორთოდოქსი მორწმუნეც არასოდეს ვყოფილვარ, ერთი მარხვა არ დამრჩენოდეს შეუნახავი, ერთი წირვა არ გამეცდონოს... და აი, მამა იოანესთან რამდენჯერმე შეხვედრამ თითქოს რაღაც ყინული დასძრა შიგნით. უფრო მეტად მიმახედა ზეციური სინათლით განათებული გზისკენ. ყოფილივე ამას კი ახალგაზრდა მოძღვარი ახერხებს იმ საოცარი სითბოთი, სიყვარულით, გულწრფელობითა და სისადავით, რაც უხვად ჩაუტვირთავს მის არსებაში არსთა გამრიგეს.

საგულისხმოა, რომ მამა იოანე მიძიმედ განიცდის ქვეყანაში დღეს შექმნილ ურთულეს ვითარებას. მასაც სტკივა ქუჩაში სამათხოვროდ გამოსული თითოეული ბავშვის დამწვარი ბედი, სტკივა ნახევრად შიშველ-მშიერი მოსახლეობის ხვალინდელი კარგი ცხოვრების მომლოდინე თვალებში შეხედვა, სტკივა მისი ათასობით თანამემამულის მიერ გაზიარებული დევნილობის უმიძიმესი ხვედრი.

და დგას ახალგაზრდა მღვდელი საკურთხეველთან, უშურველად გასცემს სიკეთეს, შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს დახმარების ხელი გაუწოდოს ყველას, ვისაც ამის საჭიროებას შენიშნავს. ყველას მოუწოდებს და არწმუნებს, რომ კეთილი საქმის კეთება ბედნიერებაა, ბედნიერების მოპოვება კი სამზეოზე არც ისე იოლია.


არ გვინდა სამადლობელი სიტყვა გაგვიგრძელდეს. ჩვენ სულ ორიოდ სიტყვის თქმა გვინდოდა კასპის წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის ტაძრის მოძღვრის, ზნემაღალი მღვდლის, მამა იოანეს შესახებ. ნათქვამი თითოეუ-

ლი სიტყვა გამოძახილი გახლავთ იმ განცდისა, იმ შთაბეჭ-
დილებისა, რაც დაგერჩა მოძღვართან ორიოდე შეხვედრის
შემდეგ.

დასასრულ, მადლობა გვინდა ვუთხრათ მამა იოანეს
იმ სიტბოსათვის და იმ კეთილი ზეგავლენისათვის, რაც
მასთან შეხვედრამ მოახდინა ჩვენზე. დაე, ჭეშმარიტი სუ-
ლის პურით კვალაც გეკვებოთ თქვენი მრევლი, რომლის
სიყვარული და პატივისცემა უკვე სამუდამოდ მოგიპოვები-
ათ.

გაზ. „შიდა ქართლი“, 2001, № 420-421;





ბარო მესაშვილი

კრიტიკა და პიუბლიცისტიკა



„უკლში გენით ატენილი რეკავს ლერყაში...“

დიდი გალაკტიონის შემოქმედებით სიღრმეებში წლების მანძილზე არაერთი გამოცდილი მკვლევარი ნაყოფიერად ეძიებს ჯერაც უცნობ, დაუწინებულ მარგალიტებს. მსგავსი საგანძურის მოძიებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებრიობის წინაშე გამოტანის ჭეშმარიტად უმნიშვნელოვანეს მომენტად გვესახება ახლახანს პროფ. ნოდარ ტაბიძის მიერ გამოცემული ვრცელი ნაშრომი „გალაკტიონი“. ნაშრომი უდავოდ მრავალმხრივია საყურადღებო, პირველ ყოვლისა, დიდი მგოსნის პირად არქივში მოკვლეული ჯერაც უცნობი მასალების მკითხველის სამსჯავროზე გამოტანის და მეორეც, ამ მასალათა ღრმა მეცნიერული კვლევის გათვალისწინების თვალსაზრისით.

ვიდრე აღნიშნული ნაშრომის კვლადაკვალ გალაკტიონის შინაგან სამყაროს მოვავლებდეთ თვალს, ავტორისეულ „ზღურბლზე სათქმელს“ დავესესხებით: „გალაკტიონი გენიოსი იყო და მისი ცხოვრება შეფერადებას კი არ საჭიროებს, არამედ ახსნას. გალაკტიონოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ფაქტთა კონსტატაცია. არ უნდა დაიკარგოს არც ერთი მნიშვნელოვანი დეტალი და არც იმან უნდა შეგვაშფოთოს, რომ გარკვეულ ეტაპზე შეიძლება მოვლენათა განსხვავებული ინტერპრეტაცია. სწორედ ეს აპირობებს მავანთათვის მიუღებელი ზოგიერთი ფაქტის გამომზეურებას (გვ3).

წიგნში „გალაკტიონი“ გაშუქებულია გ. ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ადრეული პერიოდი. მკითხველის გონებაში ბუნებრივად იზადება კითხვა, თუ კონკრეტულად რა საკითხებზე ამახვილებს ავტორი ყურადღებას. აი ისინიც: რა როლი შეასრულა სოფელმა, ოჯახმა, სანათესაო წრემ, სასწავლებელმა და სხვა ყოფითმა გარემოებათა გამამ გალაკტიონის, როგორც მხატვრისა და მოაზროვნის ჩამოყალიბებაში. „იყო თუ არა გალაკტიონის ხასიათში,

ეთქვათ ეჭვიანობის, მარტოსულობის, სამყაროს გამორჩეულად ხილვის მძლავრი იმპულსები? და თუ იყო რამდენად ტრანსფორმირდებოდნენ ისინი სინამდვილესთან მიმართებაში, რამ განსაზღვრა გალაკტიონის ინტელექტუალური ზრდა და პოეტური ნერვის გამახვილება, როგორ შეფასებას იმსახურებს პირველი ნაბიჯები... და საერთოდ, როგორი იყო გალაკტიონის, როგორც ქართული ლექსის ახალი მესიის მოვლინება." და ა.შ.

გამომდინარე ზემოთთქმულიდან, ზოგადი შტრიხებით შევეხებით საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ადრეულ პერიოდს, მისი გენიის უღრმეს ლიტერატურულ შემოქმედებით შრეებს, რომელთა მკაფიოდ წარმოსაჩენად ტიტანური შრომა გასწია ბატონმა ნოდარ ტაბიძემ და ამით კიდევ ერთი ხელთუქმნელი ხატი შექმნა XX საუკუნის ქართული ლექსის მეტრის, უსაყვარლესი ბიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

მკითხველი დაგვეთანხმება, გაკეთდა ერთობ საშური, კეთილშობილური საქმე. თუმცა, ჯობს თვით ნაშრომს გადავხედოთ, რომლისთვისაც ავტორს „გალაკტიონი“ უწოდებია.

პროფესორ ნოდარ ტაბიძეს წარდგენა არ სჭირდება მკითხველის წინაშე. მისი ფუნდამენტური შრომები უკვე ათწლეულების მანძილზე ერთგულად ემსახურება თაობათა აღზრდას, მათ ჩამოყალიბებას მორალურად, ზნეობრივად, ეთიკურად სრულყოფილ მოქალაქეებად. ვერცერთი ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს ბატონი ნოდარის უმნიშვნელოვანეს გამოკვლევებს ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მთელი რიგი პრობლემური საკითხების ირგვლივ. მაინც, ვფიქრობთ, „გალაკტიონი“ მეცნიერის ახალი, მძლავრი ხმაა ჩვენი ეპოქის მშობლიურ ლიტერატურაში. აღებულთა თემის ღრმა ცოდნით, უზადო პროფესიონალიზმით, უღრმესი მოკრძალებითა და ღიდი სიყვარულით სათუთად შესრულებული სტრიქონები „ლურჯა ცხენების“ ბილიკებით მიგვაქროლებს მგოსანთა მეფის იდუ-

მალი შინაგანი სამყაროსაკენ და ჩვენს თვალწინ ამოიზრდება სრულიად ახალი, აქამდე უცნობი ხატება დიდი გალაკტიონისა, რომელმაც ეკალბარდით აღსავეს გზა განვლო. მხოლოდ მას ჰქონდა მორალური უფლება ეთქვა:

„ჩვენ გვირგვინი გვაქვს ოღნავ მსგავსი,
ლამაზი შუქთა მარადი ნთებით:

მე - მსუბუქ დაფნის ფოთლებით სავსე,

მყინვარს - უმძიმეს იაგუნდებით.“

ნაშრომი ავტორს რამდენიმე ნაწილად გაუყვია, რომლებიც თანმიმდევრულად აცოცხლებს დიდი მგოსნის ცხოვრებისა და შემოქმედების ადრეულ პერიოდს. ის მიწა, სადაც „შრიალებს ჭაობი ჭყვიშის“, ის მიწა, რომელმაც შობა გალაკტიონის გენია, შობა ტიცციანი, ბევრის მომსწრეა და მნახველი. ჯობია ავტორს მოეუსმინოთ: „აქ ოდესღაც არგონავტებს ჩამოუვლიათ. ამ ნაპირებს ახსოვთ მედეას სევდანარევი ღიმილი და იაზონის გახელებაც. ბევრი რამ ახსოვთ...“ (გვ. 5)

აი, ამ მრავლის მომსწრე მიწაზე ჩაეყარა საფუძველი ტაბიძეების მოდგმას. ბატონ ნოდარს რუდუნებით, გულდასმით მოუკვლევია მასალები წინაპართა შესახებ და გენეალოგიური ხეც 1800-იანი წლების, მეფე სოლომონ II-ის დროინდელი ისტორიის წიადში იდგამს ფეხს. მას შემდეგ მძლავრობს, განიტოტება. ამ მიწიდანვე იწყება გალაკტიონის ბიოგრაფია. ნ. ტაბიძე საოცარი სინაზით გაჯერებული პოეტური შტრიხებით აღწერს ჭყვიშს:

„უცნაური შემოდგომა იცის ჭყვიშში.

ნოემბერი წვიმაში იხრჩობა და ტირის ორღობეში ქალის ნაფეხური...“

ქარი ბებერი ვაშლის ტოტს კედელს მიახლის, მცირე ხნით გაარინდებს და ფხაჭანით ჩააცურებს, თითქოს ზღურბლთან წაქცეული მგზავრი სადგურს ითხოვს. მერე მთელი ძალით ეცემა სახლს, ღრიჭოდ დარჩენილ კარებში შემოიჭრება, ააფუთფუთებს იქაურობას და ჭუჭრუტანიდან გაიპარება.

ნედლ შეშას ისევ დააყრიან კერიას და ჯორკოს ცეცხლთან მიაჩოჩებენ.

შემოდგომა სულშიც ჟონავს..."

ან კიდევ: „მდუმარებას მოუცავს მეფის ჭალა. გაძარცვული და თავდახრილი ხეები, თითქოს გაზაფხულის ცოდვებს ინანიებენ. თალხი მომატებია საფლავის ქვებს. სულს ზარავს ფეხმოტეხილი სამრეკლოს ყელგამოჭრილი სიშავე. კვლავ უკრავს წვიმა ყაერის კლავიშებზე და ნელა იწვის ნედლი შეშა" (გვ. 25)

სწორედ ერთ-ერთ ასეთ ნოემბერს ქართული ლიტერატურა დიდად დავალებული შეიქნება ჭყვიშისაგან. ქვეყნიერებას მოეეღინა გალაკტიონი.

როგორც ვხედავთ, ჭყვიშში საკმაოდ სევდიანი შემოდგომები იცის, მაგრამ გაზაფხული სულ სხვაგვარია. გალაკტიონი მოგვიანებით იქ, მშობლიურ სოფელში განცდილს ლექსის საშუალებით მთელს ქვეყანას გადასძახებს. ვერ ვიტყვით, რომ ეს შთაბეჭდილებები მთავარი წარმმართველი ძალაა მგოსნის პოეტური ხმისა, თუმცა ემოციური დატვირთვა და მით პოეტური ნერვის თრთოლვის გამომწვევი მგრძნობიარე იმპულსების მოჭარბება ნათელია.

ვიდრე გალაკტიონს მოუესმენდეთ კვლავ ბატონი ნოდარის მიერ უნაზესი ფერებით აღწერილი ჭყვიშური გაზაფხულის სურათი გვსურს მოვიხმოთ: „... თითქოს ლამაზი ქალი იჩქითად გაშიშვლდა... ყელმოღერებული ატამი და დილის ცვარი... ამპარტავენი მამალი რძიანას ჩრდილს კენკავს. გადაპენტილი ტყემალი ქარის დაბერვაზე ისე ხრის ქნოს თითქოს თეთრი იორღა აწყვეტას ლამობს..." (გვ. 26)

თავიანთებური გაზაფხულის შესახებ გალაკტიონი წერდა:

„გაზაფხულია ხე ფოთოლს ისხამს,
ვაზის ცრემლებით აივსო ზეარი,
ამ მშვენიერ დღეს, ამ დილა სისხამს
ფეხებს გისუსხავს ეს უხვი ცვარი..."

პროფ. ნ. ტაბიძე მართებულად ავითარებს აზრს იმ მიმართულებით, რომ ჭყვიში მრავალმხრივ აირეკლა გალაკტიონის პოეზიაში და ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი მგოსნის, როგორც შინაგანი ხმის გამოკვეთას, ისე მუსიკალური ფრაზების დახვეწას. ნათქვამის მადასტურებელი ნიმუშებით მდიდარია ნაშრომი „გალაკტიონი“ აქვე, ავტორი საინტერესოდ მსჯელობს მგოსნის წინაპართა შესახებ. თავში „არ მოსწრებისარ შენ მშობელ მამას“ ხაზგასმულია ოჯახური და მემკვიდრეობითი ძირითადი მახასიათებელი ნიშნები. წინაპართა ოსტატურად ჩამოქნილ პორტრეტებს ერთგვარად ღირსებასა და ხიბლს მატებს წინ წამძღვარებული გალაკტიონის სიტყვები: „ჩემი წინაპრები მამის მხრით იყვნენ მწიგნობრები. დაწყებული მე-14 საუკუნიდან კი განუწყვეტელი რიგით, თაობიდან თაობაზე მოდის საგვარეულო ეკლესიისადმი ფანტასტიკური, შეუცვლელი უერთგულესი მღვდელთმსახურება. ერთი წინაპართაგანი, რომელსაც იცნობს ქართული მწიგნობრობის ისტორია, მე-17 საუკუნეში მიიწვია დედოფალმა ანნამ თავისი მდიდარი წიგნთსაცავის მოსაწესრიგებლად. ის იყო საუკეთესო მცოდნე ბერძნულისა და არაბული ენების. სთარგმნიდა პლატონის დიალოგებს და ეხლაც ხშირად მხედება ეს თარგმანები ინტიმური ზედწარწერებით: „მათს უმაღლესობას, დედოფალს ანნას – სვიმეონ ტაბიძისაგან“... ჩემი წინაპრები დედის ხაზით მოდიან აფხაზეთის მეფეების შერვაშიძეთა გვარიდან - ჩემი დიდდის, გურული ქალის, ბერიძის დედა იყო შერვაშიძის ასული. ამგვარად ჩემში არის სამნაირი ქართული სისხლი: აფხაზის, გურულისა და იმერლის“ (გვ. 34).

ასეთი სიტყვების შემდეგ წარმოუდგენელია მკითხველი უფრო მეტის მოკრძალებით არ განიმსჯვალოს ტაბიძეთა უძველესი მწიგნობარი, უაღრესად განათლებული გვარის წარმომადგენელთადმი.

სათანადო ადგილი ეთმობა იმ ახლო სანათესაო წრის წარდგენას მკითხველის წინაშე, ვინც უშუალოდ აქტიური

მონაწილეობა მიიღო დიდი გალაკტიონის ადამიანად ჩამოყალიბებაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოვეყოფთ დედის - მაკრინე ადგილშვილისა და მით უფრო ძმის პროკლე (აბესალომ) ტაბიძის ღვაწლს.

უმძიმესი გახლდათ გალაკტიონისათვის 1935 წელი - გარდაიცვალა პოეტის დედა, ქალბატონი მაკრინე. ეს მძლავრი დარტყმა იყო. იგი ტრაგიკულად განიცდის მოუღენათა ასეთ განვითარებას: „დაეკარგე დედა და მასთან ერთად დაეკარგე იმედი, ნუგეში, თანამგრძნობი...“ მაგრამ იმედი მაინც იყო. ძმა, პროკლე ტაბიძე, რომელიც უერთგულეს მეგობრად და თანამგრძნობად დარჩა გალაკტიონისათვის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. მას ყოველთვის მფარველ ანგელოზად, გაჭირვების დროს შემწედ და მეოხად ევლინებოდა ძმა. აი რას სწერდა პ. ტაბიძე რძალს - ო. ოკუჯავას: „...რა ვქნათ, მაინც ღმობიერი უნდა ვიქნეთ, მაინც უნდა გვიყვარდეს ეს უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებული დიდი ადამიანი და გულუბრყვილო ბავშვი...“ (გვ.84)

ღიახ, ძმა ყოველთვის გრძნობდა გალაკტიონის გამორჩეულობას. მას თავიდანვე გაცნობიერებული ჰქონდა, რომ გალაკტიონს არ ძალუძს ჩვეულებრივ მოკვდავთა დარად ცხოვრება. მას შეუძლია საერთოდ არ იფიქროს ჩვეულებრივ ყოფით წერილმანებზე, შეუძლია საათების მანძილზე გარინდებულმა ოცნებით იფრინოს მწვერვალებისკენ. სხვათაშორის, ეს კარგად უწყაოდა მეუღლემაც, რომ გალაკტიონი უნდა მიიღო ისეთი, როგორიც არის. მუზასთან ჭიდილი მისთვის არაქათის გამომცლელი საქმიანობაა, მითუმეტეს ყოველთვის მწვავედ განიცდიდა შემოქმედებითი დატვირთვით აღძრულ ემოციებს. განტვირთვისათვის მგოსანთა მეფეს არაერთხელ მიუმართავს ღვინისათვის. ზოგჯერ ღვინის და მეგობრებისაკენ უბიძგებს ცხოვრებისეული სიძნელებებით გამოწვეული სევდა, ვგულისხმობთ მისი ცხოვრებისათვის საერთოდ დამახასიათებელ ხელმოკლეობას, ვგულისხმობთ 30-იანი წლების რთული დროისათვის დამახასიათებელ მძიმე დამდას, აგრეთვე წარსულის მონატრებით

მოძალებულ ნაღველს, მონატრებას იმ დროისას, „როცა გრძელი დამეების მოსაკლისება ჭირდა, სახლიკაცები ხან ერთთან იკრიბებოდნენ, ხან მეორესთან.

ღადარში კვახი იწეებოდა. ოთხფეხა დაბალ ტაბლაზე არყით სავსე ჩარეკიანი ბოთლი ყელყელაობდა. მჭადი და ყველი, ზოგჯერ დიასახლისი მუავე კეჟურა მსხალს შემატებდა სუფრას და გაგიხარია..." (გვ. 93).

ბველი, კეთილი დროისაკენ მიილტვის ნაღვინევი გალაკტიონი, როდესაც წერს:

„ნეტავ ახლა რად არ ვარ ბავშვი,
ჩემი ჭალების ექროდე ამბავში
ფაზისსა ზედა.
გარშემო ტყეა და გუგუნია,
„გამიცვივდები, ო, გატუნია:
მეძახდეს დედა..."

საანალიზო ნაშრომში დეტალურადაა განხილული მგოსნის ყრმობისდროინდელი ყველა საგულისხმო მომენტი. პირველი ნაბიჯები სასწავლებელში, ქუთაისი, მეგობრები. „ახლაც თვალწინ მიდგას გალაკტიონის გაცისკროვნებული სახე, როცა იგი ქუთაისსა და იქ გატარებულ წლებს იგონებდა. მწუხარე შემთხვევებს ნაკლებ იხსენებდა. ეს ალბათ იმიტომაც, რომ ქუთაისი მისთვის ახალგაზრდული ცხოვრების სიმბოლო იყო. ახალგაზრდობა კი, როგორც მძიმეც არ უნდა იყოს, მაინც საამოდ მოსაგონარია წლებით დახუნძლული ადამიანისათვის" - წერს ბატონი ნოდარ ტაბიძე.

გასრულდა ქუთაისის სასწავლებელი და გალაკტიონი მშფოთვარე თბილისის სემინარიელია. იგი დედაქალაქში ჩამოდის ახალი მწვერვალების დალაშქვრის მიზნით. ამასთან, ქუთაისიდან ჩამოყოლილ ამხანაგ-მეგობართა წყალობით სემინარიის მოსწავლეთა გარკვეული წრე უკვე იცნობს პოეტს, როგორც ნიჭიერ, გამორჩეულ ახალგაზრდას. საგულისხმოა, რომ ჩამოსვლისთანავე აარსებს ხელნაწერ ჟურნალს „შუქი" (1908 წ.). ჟურნალი პროგრესული მიმართულების ლიტერატურულ-მხატვრული ორგანოა. ამ პერიოდში

სემინარიაში რამდენიმე ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთი არსებობს გარდა „შუქისა“, მაგრამ დასახელებულ ნაშრომში მოკრებილი ცნობების მიხედვით ეს უკანასკნელი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. ჟურნალის პოპულარობას პირველ ყოვლისა განსაზღვრავდა რედაქტორის, დიდი გალაკტიონის, მაშინ ჯერ კიდევ სემინარიელის ნიჭიერება. მეორეს მხრივ, იქ გატარებული კრიტიკული პათოსი, სურვილი - მოსწავლეებს „აგი და კარგი გაარჩევენოს“ და „გაანათოს სიბნელით მოცული სემინარიის ატმოსფერო“.

სულ მალე დამთავრდა სემინარიული ცხოვრებაც და გალაკტიონი პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს დგამს ცხოვრებისეულ ასპარეზზე. ამ პერიოდის კუთვნილებაა: სოფლის ახალგაზრდა მასწავლებელი, ქუთაისი- „კოლხიდის“, შემდეგ „მნათობის“ რედაქციებში, მეგობრების წრე - მიხ. ბოჭორიშვილი, ფ. ჩუღუცი და ა.შ. საერთოდ, აქვე უნდა ითქვას, რომ ბევრი მეგობრებით განებივრებული გალაკტიონი არასოდეს ყოფილა.

სკოლა სოფელ ფარცხნალში მალე დაიხურა. რედაქციებშიც მართალია მეორე ხარისხოვანი თანამშრომლის როლს ასრულებს, მაგრამ ეს მდგომარეობა იძულებითია და უკიდურესად მძიმე მატერიალური ყოფიდან მომდინარეობს. ჩვენს მიერ ფიქსირებული პერიოდი აგერ უკვე გაღეული საუკუნის ათიანი წლების დამდეგია. გალაკტიონი ჯერ მთლად ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე დგას იმ სანუკეარი გზის სათავესთან, როდესაც იგი თავდავიწყებით არის შეყვარებული. ისიც უყვართ--

გალაკტიონს შეუფერხებლად ბეჭდავენ--

გალაკტიონს ტაშითა და ყვაეილებით ეგებებიან სცუნაზე--

და მაინც, იგი მჭმუნვარე, დაუკმაყოფილებელია.

საქმე ის არის, რომ გალაკტიონმა ააგო ოცნების კოშკი, რომელშიც მკვიდრად დაბინავდა. ერთმანეთს უპირისპირდება ირეალური და რეალური, თანაც პირველი გაცილებით მძლავრია. ერთგან გალაკტიონი ამბობს: „მშვენიერი

ცხოვრება მე ოცნებებში განვიცადე... და რაც ოცნებებში განვიცდია მთელი არსებით, სინამდვილეში მას ექნება რაიმე ფასი? ეს უკვე გასაღებია, რომლის მომარჯვება აუცილებელია, რათა გალაკტიონის პოეზიის სიღრმეში შევადწინოთ" (გვ. 239).

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს გალაკტიონის ურთიერთობა აკაკისთან: „გალაკტიონი ხარბად იჭერდა აკაკის ყოველ სიტყვას, ითავისებდა მის უესტს და გამოხედვას. ეს იყო მწყურვალე შეგირდის მიერ ბრძენი ოსტატის ყოველმხრივი შეცნობის სურვილი“.

განსაკუთრებით სასიამოვნო მოგონებად ჩარჩა მეფე მგოსნის მეხსიერებას მუხიანში აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის გახსნაზე მიწვევა. ბუნებრივია, ახალგაზრდა გალაკტიონს მანამდეც ჰქონდა პატარ-პატარა შეხვედრები აკაკისთან, მაგრამ ეხლა ეძლეოდა საშუალება მთელი დღით სათაყვანებელი ოსტატის გვერდით ეტრიალა. აკი იმიტომ ელოდება ასე მოუთმენლად დათქმულ დროს. საუცხოოდ ხატავს ბატონი ნ. ტაბიძე ამ ფაქტს: „იდგა საკინძე გახსნილი შემოდგომა ათქვირებული მკერდითა და მობარბაცე მთვარით...“

გალაკტიონი ერთხელ კიდევ გახდა მოწმე იმისა, თუ როგორ ლოცულობდა ხალხი აკაკიზე" (გვ. 272)

მუხიანში ერთად გამგზავრების მიუხედავად გალაკტიონისათვის აკაკი სამუდამოდ დარჩა მიუწვდომელ, შორეულ მწვერვალად.

გვინდა ორიოდე სიტყვით შევეხოთ გალაკტიონის და ოლია ოკუჯავას უნაპირო ტრფობის ისტორიას. ზემოთ ვამბობდით, რომ თავიდანვე ოლიამ მიიღო გალაკტიონი ისეთი, როგორიც იყო და არ ცდილა მის გადასხვაფერებას. მისთვის არ არსებობდა უფრო უკეთესი მამაკაცი. თავის მხრივ გალაკტიონმაც იპოვა ოცნების ქალიშვილი, ურომლისოდაც თითოეული დღე საუკუნესავით მიიზღაზნება, „ქალიშვილი, რომელსაც ყველაზე მომხიბლავი ღიმილი აქვს, ყველაზე მომნუსხველი გამოხედვა...“

პირველი 20-იანი წლების მიმწეხრს, შუა აზიაში გადასახლებიდან ო. ოკუჯავასა და გალაკტიონს რამდენიმე წელი დასცალდათ მხოლოდ ბედნიერი თანაცხოვრება. სამწეხაროდ, 30-იანი წლების ტრაგიკულმა სტიქიონმა კვლავ დააშორა მეუღლეები ერთმანეთს. ამჯერად სამუდამოდ. წლების შემდეგაც არასოდეს დასცდენია სიტყვა გალაკტიონს მისი და ოლიას ურთიერთობაზე. ეს ალბათ უმთავრესად იმით აიხსნება, რომ გალაკტიონს ჰქონდა მეორე სამყარო, მისთვის ძვირფასი პიროვნებებით და პიროვნებათა მისეული მოდელებით დასახლებული, ამ სამყაროს კარი ყველასათვის დახშული იყო. გალაკტიონმა ოლიას სიყვარულიც ამ სამყაროს ზღუდეებში მოაქცია. მის ცისფერ სასახლეში მხოლოდ ორნი იყვნენ და მესამის თუნდაც შემთხვევითი შეხედვა პირველი თოვლის სისპეტაკესა და უბიწობას დაუკარგავდა მათ გრძნობას. ამიტომაც ღუმდა გალაკტიონი, ამიტომაც უფრთხოდა ამ ამაღლებულ სიყვარულზე საუბარს. გალაკტიონისა და ოლიას ცხოვრება რჩება როგორც უმთავრესი პოემა (გვ. 304).

მართალია ტრაგიკული აღმოჩნდა 1912 წელს დაწყებული რომანი გალაკტიონისა და ოლია ოკუჯავას შორის, მაგრამ ტრაგიკული დასასრული ამჯერად აზრობრივი თვალსაზრისით მხოლოდ ფიზიკური სიახლოვის დასრულების მაუწყებელი ტერმინი გახლავთ. მეუღლეებმა ბოლომდე მტკიცედ შეინარჩუნეს ურთიერთსიყვარულის ამაღლებული გრძნობა, „მათი გრძნობა არ გახუნდება“.

შთამბეჭდავი ოსტატობით მოუთხრობს ავტორი მკითხველს გალაკტიონის პირველი და მეორე პოეტური კრებულების დაბადების შესახებ. მგოსნის ირგვლივ არსებული სიძნელეების, ცხოვრებისეული მძიმე ბარიერების ფონზე, ამ პერიოდში უაღრესი დაძაბული მთრთოლავი ნერვიული სისტემით ნაჩვენები გალაკტიონის მღვლეარება ინსტიქტურად გადადის მკითხველზე და ეს უკანასკნელიც ნებსით თუ უნებლიედ ერწყმის იმ ეპოქას, ხდება მოვლენების თანამონაწილე, მგოსანთა მეფეც, უაღრესად ახლობელი და მიუწ-

ვდომელი, მთელი არსებით მოსწანს ბუნებრივი ადამიანური ვნებებით, ადამიანური სისუსტეებით და იმავდროულად ზე-ბუნებრივი სიდიადითა და სიწმინდით.

საინტერესოა კონსტანტინე ბალმონტის საქართველოს-თან ურთიერთობის ამსახველი მასალები, აგრეთვე, გალაკტიონის ურთიერთდამოკიდებულება ცისფერყანწილებთან, რუსეთში მიმდინარე რევოლუციურ ცვლილებებთან. მორკინალურია პოეტის მიდგომა მარადიული თემებისადმი. მაგალითად, „სიყვარული ეს არის ტანჯვით ამალდება, ტრაგიკული განცდა, რაც ბოლოს და ბოლოს სულის გაფაქიზებას ემსახურება“ (გვ.408).

ორიგინალურია პატრიოტული მოტივიც. ისეთი წრფელი გრძნობით „ყალბი პათეტიკის გარეშე“ ბევრს არ უმღერია მშობლიური მიწისთვის, როგორც ეს გალაკტიონმა გააკეთა. მაგალითისათვის მხოლოდ ეს ერთი სტრიქონიც იკმარებდა: „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე - რაა მამული?“ ჭეშმარიტად ბრძანებს პროფ. ნ. ტაბიძე - გალაკტიონის პოეზიაში ირეკლება მსოფლიო მოქალაქის და დიდი პატრიოტის განცდები, უნიჭიერესი და უფაქიზესი პიროვნების ვნებათა ღელვა, რაც მთავარია, ეს ხდება რთულ და შთამბეჭდავ სახეებში. ამიტომაცაა მისი ლირიკა ესოდენ გლობალური და მარადიული.

დასასრულს, კიდევ ერთი მომენტი საანალიზო ნაშრომიდან. გალაკტიონის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი გახლავთ 1921 წლის 25 იანვარს მისი არჩევა საქართველოს პოეტების მეფედ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს გალაკტიონის სხვათაგან გამორჩეულობის ტენდენციას. მართალია, საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან იყო ერთგვარი წინააღმდეგობა ამ ფაქტთან დაკავშირებით, რაც ვფიქრობთ, შურის ამ ფორმით გამოხატულებად უფრო უნდა იქნას აღქმული. აქვე დავსძენთ, რომ მათ გარდა იყო განსხვავებულად მოაზროვნე დიდი ნაწილიც ინტელიგენციისა, რომლებიც სიამოვნებით აღიარებდნენ გალაკტიონის გენიოსობას. მეფედ კურ-

თხვევის აქტის აღსანიშნავად ზედიზედ სახელდახელოდ იშლებოდა სუფრები, „მაღლე უსინარი წვერიც – დიონისეც შემობარბაცდებოდა და ... იყო ლაქვარდებში განაგარდება...“ (გვ.510).

სამწუხაროდ, საგასეთო მიმოხილვა არ იძლევა საშუალებას დაწვრილებით გაეამახვილოთ ყურადღება ყოველი მნიშვნელოვანი დეტალის ირგვლივ, გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების საწყისი პერიოდის თითოეული მნიშვნელოვანი საფეხურის ათელის პროცესის ირგვლივ, რომელთაც მრავლად ახლდა ტკივილიც და სიხარულიც, ალტაცებაც და ერთგვარი მიუკარებლობის სინდრომიც, გახელებაც და სიბრძნეც, მომწესხველი წარმატებაც და სასტიკი მარცხიც, შესაშური ოპტიმიზმიც და ფიქრიც თვითმკვლელობაზე... ყოველივე ამის შესახებ დამაჯერებელი კომენტარი, ობიექტური შეხედულება, მაღალმეცნიერულ დონეზე არგუმენტირებული მსჯელობა, თითოეული ნიუანსის გააზრებით გენიოსი ახლობლის შინაგან სამყაროში შესაშური ხედვა გახლავთ იმ ძირითად კომპონენტთა კრებული, რომელთა მშობლიური ტკბილქართულის მადლიანი, ძარღვიანი სიტყვით მოზღვაება ძალუმად ვიგრძენით ჩვენ პროფ. ნოდარ ტაბიძის „გალაკტიონის“ გაცნობისას.

ნაშრომი უდავოდ დიდი შენაძენია თანამედროვე ქართული ლიტერატურის საგანძურისათვის. მეცნიერი, მკითხველის წინაშე წარსდგა ვალმოხდილი, როგორც დიდი წინაპრის ხსოვნის, ისე საერთოდ, სამწერლო ტრადიციების წინაშე. პროფ. ნოდარ ტაბიძის წლების მანძილზე ჩამოქნლი შრომა „გალაკტიონი“ მომავალშიც არაერთი თაობის ღირსეული მეგზური იქნება „ლურჯა ცხენების“ ავტორის შინაგანი სამყაროს სიღრმეებისაკენ მიმავალ იდუმალ ბილიკებზე.

გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“,
2000, №11(54);

ენათმეცნიერების ემბაზოში ნაბროვები ლაკური ზედაზე

საქართველოს მძიმე დღევანდელი ფონზე, მიუხედავად მეცნიერებას ადევნებულთა საკმაოდ არამოკრძალებული რაოდენობისა, ერთობ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჭეშმარიტი სამეცნიერო პროცესების მავითარებელი რიტმული დინამიკის იშვიათი გამოვლინებანი. სწორედ ამ უკანასკნელ კონტექსტში წარმოგვიდგენია პროფ. გენადი ბურჭულაძის ახლახანს დასტამბული მნიშვნელოვანი ნაშრომი „პირის დაბოლოებათა წარმომავლობა ლაკურში“, რომელიც ავტორის მიერ სამეცნიერო სარბიელზე გადადგმული კიდევ ერთი უაღრესად შედეგიანი ნაბიჯია. პროფ. გენადი ბურჭულაძე საკმაოდ ცნობილი ფიგურაა ქართულ ენათმეცნიერებაში და მკითხველის წინაშე საგანგებო წარდგენას არ საჭიროებს. ჩვენც მხოლოდ რამდენიმე სიტყვით დავსძენთ, რომ მეცნიერის ნაშრომები ძირითადად ეხება იბერიულ-კავკასიური ენების დაღესტნური ქვეჯგუფის ლაკურ-დარგუული და ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა წრის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ლექსიკის საკითხებს. საგანგებოდ იკვლევს იგი იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო ლექსიკასაც.

ამას გარდა, გ. ბურჭულაძემ 50-ზე მეტი ნაშრომი მიუძღვნა ქართული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხებს, ქართული ენის დიალექტიკურ ლექსიკას. მისი ნაშრომები ქვეყნდება როგორც რესპუბლიკურ ჟურნალებში (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბესა“ და „მაცნეში“, „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში „ქართულ ენასა და ლიტერატურაში“ და ა. შ.), ასევე უცხოურ გამოცემათა ფურცლებზე („ვოპროსი იაზიკოზნანია“, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წვლილწდუელი“). გ. ბურჭულაძის ნაშრომი ლაკური ენის ბრუნების საკითხებს რომ ეხება, 1971 წელს გამოქვეყნდა გერმანიის ქალაქ იენის უნივერსიტეტის შრომებში, ხოლო გა-

მოკვლევა „ლაკური ენა“ (თანაავტორი ინგლისელი ენათმეცნიერი ს. კრიპსი) კარგა ხანია გამზადებულია „კავკასიის ადგილობრივ ენებში“ (ოთხტომეული) დასაბეჭდად. კრებულით გამოცემა ნავარაუდევია ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კლიველენდის უნივერსიტეტში.

საგულისხმოა ერთი გარემოებაც, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში წლების მანძილზე მოღვაწეობისას დაღესტნურ ენათა ჯგუფის დარგულ ენას იკვლევდა პროფ. შ. გაფრინდაშვილი, დაღესტნის დიდოურ ენათა ჯგუფის დიდოურ ენას პროფ. ი. მეგრელიძე და ლაკურს პროფ. გ. ბურჭულაძე. ამდენად, იმ პერიოდის ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ფაქტობრივად წარმოადგენდა მთის იბერიულ-კავკასიური ენების დაღესტნურ ენათა საენათმეცნიერო კვლევის კერას. ასეა ახლაც, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ყოფილ პედაგოგიურ ინსტიტუტში) დაღესტნურ ენათა კვლევა კვლავაც გრძელდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროფესორი გ. ბურჭულაძე ჩვენს უნივერსიტეტში უძღვება სპეცკურსს „შესავალი ქართველურ ენათა საერთო ლექსიკაში“, რომელშიც ფაქტობრივ იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო ლექსიკებზეა საუბარი. ამ კურსს ჩვენც ვისმენდით 1994-1995 წლებში.

ჩვენ, თავის დროზე, როცა გვსურდა ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევის შესახებ მასალა მოგვეძიებინა, მივმართეთ პროფესორ გ. ბურჭულაძეს, მან სათანადო წყაროების მითითების გარდა, გადმოგვცა იმ განაცხადის ტექსტი, რომლითაც ჯერ კიდევ ცხინვალში პროფ. გ. ბურჭულაძე მიმართავდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეს პროფ. შ. ქურდაძეს, შემოღებულიყო ზემოთ ხსენებული სპეცკურსი. მოვიყვანთ ამონარიდს განაცხადების ტექსტიდან, რომელიც, ვფიქრობთ, საყურადღებოა.

„ყოველი ცივილიზებული ერისათვის ფრიად საპატიო მისიაა, იძიოს და იცოდეს საკუთარი ხალხის წარმომავლო-

ბა, ისტორია. მას კი სხვა მომიჯნავე მეცნიერებათა გვერდით ემსახურება ენათმეცნიერებაც. აქ ხდება ძიება საერთო ლექსიკური მარაგისა, მათი ურთიერთმიმართებისა... ჩართულია სათანადო მასალის ეტიმოლოგიური კვლევაც.

ძიება ქართული ენისა კავშირისა ახლო მონათესავე ენებთან (მგრულ-ჭანურთან, სვანურთან) და უფრო შორეულთანაც, მყარ მეცნიერულ საფუძველზე ნ. მარმა დააყენა. შემდეგ ეს მუშაობა წარმატებით წარმართეს დიდმა ივანე ჯავახიშვილმა და ბოლოს არნ. ჩიქობავამ და მისმა საენათმეცნიერო სკოლამ.

ქართველურ ენათა ლექსიკის კვლევის შედეგები მრავალ შტუდიებშია გაბნეული, ამიტომაც ამ საკითხებით დაინტერესებული სტუდენტი ახალგაზრდობისათვის (და არა მარტო მათთვის, ზოგჯერ სპეციალისტათათვისაც კი) მათი მიგნება არც თუ ადვილია. მით უფრო თუ გაეითვალისწინებთ, რომ ამ თვალსაზრისით ქართველურ ენათა კვლევისას ჩართულია სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა სათანადო მასალაც, ზოგჯერ სხვა ენათა ოჯახისაც. გასაგებია, რომ ისეთი მასალის გათავისება სტუდენტთათვის დამოუკიდებლად ძალზე ძნელია.

აგერ უკვე ათი წელია ვიკვლევთ ამ საკითხებს. საკაფშირო და რესპუბლიკურ სამეცნიერო ჟურნალებში გამოვაქვეყნეთ წერილების სერია საერთო სათაურით „იბერიულ—კავკასიურ ენათა საერთო ლექსიკიდან.“ გასაგებია, გარკვეული გამოცდილება დაგვიგროვდა, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ხასიათისა, ამიტომაც ვფიქრობთ, კარგი იქნება თუ ჩვენს ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე შემოვიღებდით სპეცკურსს „შესავალი ქართველურ ენათა საერთო ლექსიკაში“. იმასაც დავსძენთ, რომ ანალოგიური კურსი ჯერ-ჯერობით რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჩვენში სხვა პედაგოგიურ ინსტიტუტში არ იკითხება. არადა საჭიროა, განსაკუთრებით პედაგოგიურ ინსტიტუტში, რათა ჩვენთან აღზრდილმა სტუდენტებმა, მომავალმა მასწავლებლებმა შეძლონ, მეცნიერულად აუხსნან და

დაუსაბუთონ სკოლაში თავიანთ მოსწავლეებს, თუ რატომაა, რომ მეგრულ-ჭანიცა და სვანიც ისეთივე ქართველია, როგორც ჩვენ. ჩვენ ხომ ყველანი ქართველები ვართ ეროვნებით, მიაწოდონ ელემენტარული ცნობები იმის შესახებაც, თუ ვინ ვიყავით, ვინ გვენათესავება და რატომ. ამაზე ხომ ყველაზე უკეთ ენა გაგვცემს პასუხს, ენის ლექსიკური შედგენილობა („არსებობს უფრო ცოცხალი მოწმე ხალხებისა ვინემ ძვლები, იარაღი და საფლავები, ეს მათი ენაა“- ი. გრიმი). ამით კი ხელი შეეწყობა ჩვენი მომავალი თაობის თვითდამკვიდრებას.

ერთი სიტყვით, ამ კურსის წაკითხვა, ვფიქრობთ, სასურველია. თუ კათედრა ჩათვლის მიზანშეწონილად ამ კურსის შემოღებას უკვე მომავალი სასწავლო წლიდან და მოგვანდობს ჩვენ მის გაძღოლას, გამოწვლილივით გეგმა-კონსპექტს კათედრას დროულად წარმოუდგენთ”.

ბუნებრივია, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ მიზანშეწონილად მიიჩნია პროფ. გ. ბურჭულაძის უაღრესად საინტერესო, ერთგვარად ნოვატორული ხასიათის წინადადება და ახლად შემოღებული სპეცკურსის გაძღოლაც მასვე დაევალა იმავე 1989 წლის პირველი სემესტრიდან.

აღსანიშნავია, რომ ამ კურსს უფრო გავრცობილი სახით პროფ. გ. ბურჭულაძე ამჟამად უკითხავს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის მსმენელებსაც. დაეუბრუნდეთ კვლავ ბატონი გენადის მიერ სულ ახლახანს დასტამბულ მონოგრაფიული ხასიათის შრომას „პირის დაბოლოებათა წარმომავლობა ლაკურში“. იგი ავტორის მიერ უწინ გამოცემული შრომების: ა) „ბრუნვათა შედგენილობისა და არსებით სახელთა ბრუნების პროცესების ძირითადი საკითხები ლაკურ ენაში“, ბ) „ლაკური ზმნა“, გ) „ზმნური სიტყვაწარმოება ლაკურ ენაში“ მეოთხე დამაგვირგვინებელი ნაწილია, რომლის სამზეოზე გამოსვლითაც დასრულდა ჩამოთვლილი ოთხივე შრომის ერთობლიობაში ჰარმონიზაციის პროცესი.

წარმოდგენილი მონოგრაფია გვესახება დასკვნით ანალიტიკურ ძიებად იმ ფუძემდებელი საენათმეცნიერო პარადიგმებისა, რომელთა სათავეში დგანან ეროვნული ენათმეცნიერების ისეთი კორიფენი, როგორებიც გახლდათ: პროფ. არნ. ჩიქობავა, პროფ. ვ. თოფურია, პროფ. ს. ჯანაშია და სხვა. ნათქვამის საილუსტრაციოდ პროფ. გ. ბურჭულაძეს გვსურს დავესესხოთ:

„1933 წელს არნ. ჩიქობავამ ჩვენს უნივერსიტეტში დააარსა კავკასიურ ენათა კათედრა (მაშინ კავკასიურ და აღმოსავლურ ენათა კათედრად წოდებული), რომლის მიზანი, გარდა სათანადო სამეცნიერო კადრების აღზრდისა, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლაც იყო. ბუნებრივია, რომ ლაკური ენა გახლდათ ერთ-ერთი საუნივერსიტეტო კურსი ახალდაარსებული მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებისა... ეს კურსი ებარა ვ. თოფურიას, მანვე შეადგინა და ლითოგრაფიულად გამოსცა 1939 წლის პირველი პროგრამა ლაკური ენისა. ლაკური ენის კურსი, კავკასიურ ენათა განყოფილების გარდა იკითხებოდა ქართველურ ენათა განყოფილებაზეც.

ბუნებრივია, რომ ვ. თოფურიაში, პირველმა ქართველ ენათმეცნიერთაგან, დაამუშავა რიგი კარდინალური საკითხი ლაკური ენის ფონეტიკა-მორფოლოგიისა. ასე რომ, ზემოთ აღნიშნულ მონოგრაფიათა ციკლის შექმნა გარკვეულ წილად, ვ. თოფურიას მიერ გაკვალული გზის ერთგვარ გაგრძელებად გვესახება“.

ჩვენ არ ვაპირებთ წარმოდგენილი შრომის მეცნიერული სიღრმეების ანალიზს, ინტერპრეტირებას და ამ კუთხით წარდგენას მკითხველის წინაშე. ამჯერად მხოლოდ მისი ზოგადი აღქმის განწყობით მოვიკიდეთ კალამს ხელი.

ავტორის ვრცელი ინტელექტუალური პორიზონტი, მის მიერ ჩამოყალიბებული ლოგიკური ვარაუდები მოიცავს მრავალ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც გახლავთ ლაკური ენის ზმნის დრო-კილოთა სისტემის ძირითადი საკითხები, პირისა და რიცხვის გამოხატვის საშუალებანი

ზმნაში, ზმნის კილოები, დრო-კილოთა საწარმოებელი ფუძე, გრამატიკული კლასის, რიცხვისა და ასპექტის გამოხატვის საშუალებანი ზმნაში, გარდამავლობა-გარდაუვლობის გარჩევა და მრ. სხვა. ყოველივე ეს კი შემდეგნაირად იწყებოდა:

1985 წლის 10 ოქტომბერს, მაშინ უფროსმა მეცნიერთანამშრომელმა გენადი ბურჭულაძემ, თხოვნით მიმართა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების გამგეს პროფ. არნოლდ ჩიქობავას, ჩაესვათ საგამომცემლო (მოსამზადებელ) გეგმაში მისი ნაშრომი „ლაკური ზმნა“, რაზედაც, ბუნებრივია, რეაქცია დადებითი გახლდათ. ფაქტობრივად ეროვნული ენათმეცნიერების მეტრის შეამდგომლობამ ჩაუყარა საფუძველი პროფ. გენადი ბურჭულაძის აწ უკვე დასრულებული ნაშრომის თანდათანობით მისი სინათლეზე გამოსვლას. არადა, პროფ. არნ. ჩიქობავას შეამდგომლობა, რომელიც 1985 წლის მიწურულითაა დათარიღებული, ერთ-ერთი უკანასკნელი გახლდათ დიდი ენათმეცნიერისათვის...

და მაინც, ყურადღება გვსურს გავამახვილოთ ოთხ წიგნად ჩაფიქრებული მონოგრაფიის ბოლო მონაკვეთის „პირის დაბოლოებათა წარმომავლობა ლაკურში“ შესახებ, რომელმაც სულ ახლახანს იხილა სამზეო. იგი განკუთვნილია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სპეციალისტთათვის, აგრეთვე სამსახურს გაუწევს და გამოადგება ზოგადი ენათმეცნიერების სპეციალისტებსაც. ნაშრომის რედაქტორი გახლავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. თოფურია, ხოლო რეცენზენტებად წარმოდგენილნი არიან: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ო. კახაძე და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ტ. სიხარულიძე.

ნაშრომის საოცრად დახვეწილი ენობრივი ქსოვილის მიღმა აშკარად საგრძნობია, რომ ავტორის ღრმა მეცნიერული მენტალიტეტი ქმნის აღებული საკითხის კვლევის თვალსაზრისით დასრულებულ შთაბეჭდილებას.

მონოგრაფიაში „პირის დაბოლოებათა წარმომავლობა ლაკურში“ პროფ. გ. ბურჭულაძე მიუთითებს, რომ „1993 წელს დაისტამბა „ზმნური სიტყვაწარმოება ლაკურში“, რომელიც 1987 წ. დაბეჭდილი წიგნის – „ლაკური ზმნის (დრო-კილოთა სისტემა)“ – უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა. ამ წიგნის „შესავალში“ ვწერდით:

„ვერადულობდით, წარმოგვედგინა „პირის დაბოლოებათა წარმომავლობა ლაკურში“, ოღონდ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზიზების გამო, ეს ვერ მოხერხდა. დაინტერესებული მას მოკლე სახით იპოვის ჩვენსავე გამოკვლევაში „პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების საკითხი ლაკურში“. (იკეწ, VI, თბილისი, 1979, გვ. 223–240).

წინამდებარე წიგნი ავსებს ამ ხარვეზს – იგი რიგით მეოთხე მონოგრაფიული სახის გამოკვლევაა ქართულ ენაზე, ლაკურში გრამატიკის საკვანძო საკითხებს რომ ეხება. ლაკური კი ასეთ საგანგებო ყურადღებას სამართლიანად იმსახურებს, რადგან „...თავისი ბუნებით იგი მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის უნიკალურია“.

დასასრულს, ცალსახად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ხსენებული ნაშრომის ავტორის მიერ ოთხ წიგნად ჩაფიქრებული გამოკვლევის დასკვნითი ნაწილის დასტამბვით გადაიდგა აუცილებელი ნაბიჯი იბერიულ-კავკასიურ ენათა, და კონკრეტულად ლაკურის შესწავლის მნიშვნელოვან საქმეში. პროფ. გენადი ბურჭულაძის ინტელექტის ამოუწურავი შესაძლებლობები და ფართო სამეცნიერო ინტერესთა სფერო გვიტოვებს იმედს, რომ მეცნიერი საკუთარი ღრმა და საფუძვლიანი გამოკვლევებით კვლავ არაერთხელ გაახარებს დაინტერესებულ მკითხველს.

გაზ. “ლიტერატურული ცხინვალი”,
2002, №12(81);

დროული და სპირიტუალური შენახვა

ყოველი ახალი საინტერესო წიგნის დაბადებას, ბუნებრივია, გარკვეული სიახლის შეგრძნება ახლავს თან, მაგრამ ყოველი ავტორის მიერ შექმნილი ფასეული ნაწარმოების სამზეოზე გამოსვლა სასიამოვნო სიახლესთან შეხვედრის მოლოდინით აღძრულ დადებით ემოციებს ასწილ უფრო მძლავრსა და მიმზიდველს ხდის.

ჩვენ სწორედ ამ კონტექსტის ჭრილიდან გვინდა შევაფასოთ ვასილ საბანაძის ახალი წიგნი – „ჩემი მშობლიური ცხინვალის ინსტიტუტი“. აღნიშნული კრებული ვფიქრობთ კარგი საჩუქარია ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისათვის. ავტორი დასაწყისშივე აცხადებს, რომ წიგნს არა აქვს პრეტენზია დალაშქროს სამეცნიერო სიმბოლოები, თუმცა კარგ სამსახურს გაუწევს ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს. კრებულს არა აქვს ლოკალური, რომელიმე გარკვეულ კალაპოტში მოქცეული დანიშნულება. იგი საკმაოდ ვრცლად საუბრობს ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა, მის კურსდამთავრებულთა, მის კედლებში აღზრდილ-დაკვალიანებულ ღირსეულ პიროვნებათა შესახებ და განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

გაზეთის მცირე ფორმატი არ გვაძლევს საშუალებას დეტალურად განვიხილოთ თითოეული თავი წიგნისა „ჩემი მშობლიური ცხინვალის ინსტიტუტი“. ამის გამო შევეცდებით რამდენიმე სიტყვით გადმოგცეთ ჩვენი შეხედულებანი მის შესახებ და მკითხველს წარუდგინოთ ჩვენეული წარმოდგენა ამ უდავოდ სასარგებლო წიგნის ირგვლივ.

საერთოდ, ვასილ საბანაძეს, როგორც აქტიურ ეურნალისტს, კარგა ხანია იცნობს არა მარტო ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა. არც თუ შორეულ წარსულში იგი წარსდგა მკითხველის წინაშე ისეთი საინტერესო წიგნებით, როგორებიც გახლავთ: „ცხინვალი და ცხინვალები“,

„ცხინვალელი მანდილოსნები“ და აი, ახლა კიდევ ერთი მსგავსი – „ჩემი მშობლიური ცხინვალის ინსტიტუტი“. წიგნში შესული მასალები ისეთი პრინციპით გახლავთ შერჩეული, ისეთი რაკურსითაა დანახული ფაქტები და მოვლენები, რომ ვფიქრობ მათზე მუშაობისას ავტორს ამოძრავებდა ერთი უპირველესი შთამაგონებელი სადინარი – ქართულ-ოსური კონფლიქტი და ძიება ამ პრობლემის საბოლოოდ გადაჭრისათვის. არაერთხელ იხსენებს ვასილ საბანაძე ქართულ – ოსურ გარდასულ ურთიერთობათა აუცილებლობას, არაერთხელ უჩვენებს მომავალი კეთილი ურთიერთდამოკიდებულების პერსპექტივებს და მოუწოდებს ახალი ცხოვრების შენებისაკენ, სიყვარული და სიკეთე რომ იბატონებს ქართველთა და ოსთა შორის ცხინვალის რეგიონში.

გარდა ძირითადი ავტორის ვ.საბანაძის მიერ მოკვლეული მასალებისა, წიგნში თავმიყრილია სხვა კომპეტენტურ ავტორთა ნარკვევები, მოგონებები, მონათხრობები და ა.შ. რაც მას უფრო სრულყოფილებისა და ორიგინალობის ელფერს მატებს.

საგულისხმოა, რომ ბატონი ვასილი ყოველთვის თბილად საუბრობს იმ ოსი ეროვნების მოღვაწეთა შესახებ, რომელთა საქმიანობა რაღაც წილად მაინც დაკავშირებული იყო ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან. მაგალითისათვის დავასახელებდით ცხინვალის ინსტიტუტის დირექტორებისა და მოგვიანებით რექტორების: ა. თიბილოვის, ზ. ვანევეის, ზ. ჯიოვეის, პ. დოგუზოვის, ი. გაგლოვის, რ. კაბისოვის და სხვათა შესახებ დაბეჭდილ მასალებს, რომლებიდანაც ავტორის მიერ ჩაქსოვილი სიტბო გამოსჭვივის. ჩვენს მიერ ნათქვამი თითოეული სიტყვის ობიექტურობაში ნებისმიერ დაინტერესებულ მკითხველს სულ იოლად შეუძლია დარწმუნება.

გარდა ზემოთ თქმულისა, ვასილ საბანაძეს ახალ წიგნში, რომელიც საკმაოდ დიდი მოცულობისაა, დაახლოებით ხუთას გვერდს მოიცავს და ცალკეულ საკითხებზე ვრცა-ლად, სიღრმისეულად მსჯელობის საშუალებას იძლევა,

ფართო ადგილი აქვს დათმობილი ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (დღევანდელი ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ისტორიას. საინტერესოაა მოთხრობილი ინსტიტუტის რექტორების, პრორექტორების, მისი პროფესორ-მასწავლებლების შესახებ.

ცალ-ცალკე თავებადაა წარმოდგენილი ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული წიგნების და ინსტიტუტის იმ კურსდამთავრებულთა ირგვლივ დამუშავებული მასალები, რომლებმაც შემდგომში საკუთარი მიღწევებით ასახელეს მშობლიური უმაღლესი სასწავლებელი.

წარმოდგენილ წიგნში არის ავტორისეული მცდელობანი მოკლედ გააშუქოს ინსტიტუტში მოქმედი კეთედრების, მასში დასაქმებული პედაგოგების სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა.

და კიდევ, აქვე გვინდა დავამატოთ, რომ ჩვენი აზრით, წიგნის „ჩემი მშობლიური ცხინვალის ინსტიტუტი“ გაცნობისას, მასში მოცემული წიაღსვლების გააზრებისას ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ვასილ საბანაძე ზოგიერთ მომენტში სცილდება თავდაპირველად აღებულ თემატიკას და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნაშრომი არ არის მხოლოდ ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის მემატიანე, არამედ იგი მოწოდებულია შეასრულოს სტიმულატორის როლი ქართულისური კონფლიქტური ვითარების საბოლოო დარეგულირების პროცესში.

ვიდრე დავასრულებდეთ, ორიოდ სიტყვა გვინდა ვთქვათ წარმოდგენილი წიგნის პოლიგრაფიულ დონეზე. პირველივე შეხედვით თვალშისაცემია მასში უხვად მოცემული ფოტომასალის შინაარსობრივი და ხარისხობრივი ღირებულება. რაც თავის მხრივ უფრო საინტერესოს ხდის და ესთეტიკური თვალსაზრისითაც უზრუნველყოფს მკითხველის დაკმაყოფილებას. დაბეჭდილი ზოგიერთი უნიკალური ფოტო ცოცხალ მატთანეს ქმნის ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიაში.

სადღეისოდ ამით გვესურს დაეასრულოს. ზემოთაც აღ-
ვნიშნეთ, ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენდა ვ. საბა-
ნაძის ახალი წიგნის სიღრმისეული ანალიზი. ჩვენ მხოლოდ
ვცადეთ რამდენიმე ზოგადი შტრიხით დაგვეფიქსირებინა
ჩვენი მისდამი დამოკიდებულება. დაგვეფიქსირებინა ის
შთაბეჭდილებანი, რომლებიც დაგვრჩა ცხინვალის ინსტი-
ტუტზე შექმნილი ერთგვარი მატიანის პირველი გაცნობი-
რება.

ვფიქრობთ, ვასილ საბანაძის „ჩემი მშობლიური ცხინ-
ვალის ინსტიტუტი“ დროული და საჭირო შენაძენია.

გაზ. „შიდა ქართლი“, 2001, №413;



„შეიცან თავი შენი“

პროფესორ გენადი ბურჭულაძის ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა კარგად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. კარგად არის ცნობილი ის გარემოებაც, რომ წლების მანძილზე ბატონი გენადი აქტიურად გახლდათ ჩართული საქართველოს რადიოს ლიტერატურული პროგრამის მთავარ რედაქციაში შექმნილ პროექტში „ენაი შემკული და კურთხეული.“ საგულისხმოა, რომ ხსენებული რადიო გადაცემები მიჰყავდა მწერალსა და ჟურნალისტს თამაზ ხმალაძეს.

პირველი საუბარი-დიალოგი ამ მიმართულებით 1992 წლის 12 მარტს გავიდა ეთერში. მას შემდეგ ორ ათეულს გადააჭარბა და თანდათან დაიბადა სურვილი ამ რადიო-საუბრების ერთ წიგნად გამოცემის თაობაზე. ახლახანს შესაძლებელი გახდა ფრთა შესხმოდა პროფ. გ.ბურჭულაძის საინტერესო ჩანაფიქრს და ფართო მკითხველმა აუდიტორიამ მიიღო მეცნიერის ცალკე წიგნად ჩაფიქრებული „შეიცან თავი შენი“. ფაქტიურად იგი საქართველოს რადიოს ლიტერატურული პროგრამების მთავარ რედაქციასთან არსებული პროექტის „ენაი შემკული და კურთხეულის“ მეცნიერული ლიტერატურული ვარიანტია. წიგნში გაერთიანებული ოცდახუთი რადიო-დიალოგი ფრაგმენტულად მოიცავს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ისტორიასა თუ დღევანდელობას, ზოგიერთ საკითხს საბჭოური და სამამულო, ქართული ენათმეცნიერებიდან და სხვ.

საინტერესოდ საუბრობს ბატონი გენადი სამზეოს ახლად მოვლენილი შრომის „შეიცან თავი შენი“ შესავალში: „პირველ გადაცემათა ტექსტი შემდგომ ივსებოდა... გადაცემას ემატებოდა არნ. ჩიქობავას მიერ სხვადასხვა დროს მოთხრობილი მოგონებათა ფრაგმენტები, რითაც ივსებოდა იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიის ჯერ კიდევ ბოლომდე დაუწერელი ფურცლები... ვის და რას არ მოუხმეთ: ი.სტა-

ლინისა და არნ. ჩიქობავას, ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მოგვიანებით ცნობილ პირად ბარათებს, მარიზმსა და მის წინააღმდეგ გაჩაღებულ ათწლეულობით წარმოებულ უშეღავათო ბრძოლას, ლამის სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მისული რომ გახლდათ... ვისაუბრეთ 1950 წლის საენათმეცნიერო დისკუსიასა და მის პერიპეტიებზე... რადიომსმენელთა კვალდაკვალ სპეციფიკურ საენათმეცნიერო საკითხებზეც გეჭონდა საუბარი - ყოველივე ეს ისე მიეწოდებოდა მსმენელს, რომ დახმარებოდა მას ქართული და ზოგადი ენათმეცნიერების რიგი საკითხების გარკვევაში და ბოლოს, იბერიულ-კავკასიური ენებისა და წინა აზიის მკვდარ ენებთან ურთიერთობის საკითხი... ბასკურ - კავკასიური ენობრივი შეხვედრები და არაერთი სხვა”.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტის, პროფ. გ. ბურჭულაძის კრებულში „შეიცან თავი შენი“ მოქცეულია მასა და საქართველოს რადიოს პოპულარული პროგრამის „ენაი შემკული და კურთხეულის“ წამყვანს თ. ხმალაძეს შორის გამართული სპეციალური რადიო-დიალოგის ციკლი, რომელშიც გაანალიზებულია ვინ ვიყავით, ვისთან ვმეზობლობდით, ვინ გვენათესავებოდა და რატომაა ესა თუ ის ხალხი, ჩვენი მონათესავე, ბუნებრივია, გათვალისწინებულია ისტორიულ-არქეოლოგიური, ეთნოლოგიური ანთროპოლოგიური თუ სხვა მომენტები.

პროფ. გ. ბურჭულაძის ახალ წიგნს მხოლოდ პირობითად თუ უწოდებ რადიოსაუბრების კრებულს. მისი გაცნობისთანავე რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი მთლიანი ნაწარმოები, წლების მანძილზე გაწეული შრომის ლოგიკური ფინალი და ერთგვარი დამაგვირგვინებელი ანგარიში გახლავთ მეცნიერისა, რომლის ნაყოფიერ მოღვაწეობასაც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ადევნებდა თვალს ფართო აუდიტორია.

წარმოდგენილ რადიოსაუბრებში შინაგანი დინამიზმითა და ლოგიკურობით ერმანეთთან მყარად დაკავშირებული

ქვეთავებია, რომლებიც მთლიანობაში წარმოადგენენ ორი-გინალურ, დახვეწილ ენობრივ-სტილურ ქსოვილში მოქცეულ ენათმეცნიერების ისეთ კარდინალურ საკითხებს, როგორებიც გახლავთ: ენათა ნათესაობა, ქართველური ენები, იბერიულ-კავკასიური ენების შემსწავლელი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბება, იკ ენები და ძირის მონოკონსონანტური თეორია, იკ ენები ზოგადი დახასიათება, იკ ენების – გასაღები ზოგი მკვლარი ენისა და მრ სხვ.

პროფ. გ. ბურჭულაძის ახალი ნაშრომი „შეიცან თავი შენი“, თითოეული ჩვენს მიერ დანახული ნიუანსით გააზრებულია პირველადი აღქმის სინათლეზე. მიზანი თავიდანვე არ გახლდათ წარმოდგენილი წიგნის დეტალური ანალიზი, თუმიცა, მიუხედავად თქმულისა, გულგრილი ვერ დავრჩებოდით ნაშრომის ენის, მხატვრული მეტყველებისა თუ საერთოდ ნაწარმოების სტრუქტურული აგებულების მისამართით.

ძნელია აუღვლეებლად გაადევნო თვალი ოსტატისა და შეგირდის უღრმესი პატივისცემით გაჯერებული მოკრძალებული ურთიერთობის შესანიშნავ ნიმუშებს. მხედველობაში გვაქვს დიდი ივანე ჯავახიშვილისა და პროფ. სიმონ ჯანაშიას ურთიერთობის მაგალითი. კერძოდ, ერთ-ერთ პირად ბარათში ბ-ნი ივანე ნიჭიერ მოწაფეს სწერდა: „აბა თქვენ იცით, როგორც თქვენი კვლევა-ძიებით გაგვახარებთ, მარად თქვენი ბედნიერების მოყვარული“. მოთხრობილ სტრიქონებს სამართლიანად დასძენს პროფ. გ. ბურჭულაძე: „დიახ, ასეთი გახლდათ ჩვენი დიდი წინაპრების მორალური კრედო: ყველაზე დიდი სიხარული ბ-ნი ივანესათვის, როგორც მასწავლებლისათვის, ბ-ნი სიმონის, ანუ მოწაფის, კვლევა-ძიების შედეგებია“... (გ. ბურჭულაძის დასახ. ნაშრ. გვ.48-49)

ასეთივე შინაგანი სითბოთი და სიყვარულითაა ნასაზრდოები ბ-ნი გენადის სიტყვები დიდი მეცნიერის პროფ. არნ. ჩიქობავას მისამართით: „ბ-ნ არნოლდთან გარდა წმინდა მეცნიერული ურთიერთობისა, გარკვეულად ახლო ურ-

თიერთობაც მაკავშირებდა. თანაც იგი ხომ ჩვენი საერთო მასწავლებელი გახლდათ... არაერთხელ მესაუბრებოდა მის ენერგიულ განვლილ გზაზე... გაიხსენებდა ხოლმე ზოგ ეპიზოდს მის მიერ განვლილი დიდი გზიდან..." (იქვე, გვ. 73.)

პროფ. გ.ბურჭულაძის მხრიდან აღმზრდელი პედაგოგი-სადმი მოკრძალება ლაიტმოტივად გასდევს წარმოდგენილ ნაშრომს. ავტორი საუბრის დროს ერიდება თემის ფართოდ გაშლისა და გართულების შესაძლებლობას. მკითხველთან მისატანი ყოველი მოსაზრება ლაკონურად, კონცენტრირებულად არის მოწოდებული. არ იგრძნობა არანაირი ხელოვნურობა, მკითხველი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მიდის ჩაფიქრებულ, სასურველ განწყობილებამდე. კიდევ ერთი დეტალი, რაც ვფიქრობთ ღირსებას მატებს ნაშრომს, გახლავთ მისი არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ორიოდვე შტრიხი. კერძოდ, მოცემულ გამოსახულებათა მკაფიოობა, იდეურ-თემატური ნოვაცია, დეტალების სიზუსტე თუ ცალკეული ნიუანსების განსაკუთრებული ტევადობა. აი ჩვენს მიერ გამოკვეთილად შემჩნეული რამდენიმე კომპონენტი, რომელთა გაცნობიერების მიღმა იგრძნობა მეცნიერების ინტელექტუალური ხედვის დიაპაზონის სივრცე და პროფესიონალიზმი.

წარმოდგენილი რადიო-დიალოგების ციკლიდან თითოეულს დართული აქვს შენიშვნები, სწორედ მათი საშუალებით ნებისმიერი კონკრეტული საკითხით დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია უფრო ღრმად ჩასწვდეს და დეტალურად ჩაიხედოს თითოეული წარმოდგენილი პრობლემური საკითხის წიაღში.

ნაშრომი განსაკუთრებულ ელფერს იძენს ზოგიერთი მნიშვნელოვანი ისტორიული პასაჟის მეოხებით. სერიოზული ემოციური მუხტის მატარებელია ა. შანიძის, ი. სტალინის, ნ. მარის. არნ. ჩიქობავას და სხვათა საქმიანი ურთიერთობის ფართოდ გაუხმაურებელი დეტალები (იქვე. გვ. 74, 75, 92, 120 და ა.შ).

ყურადღებას იქცევს ფრაზის დეკორატიულობა, სა-
გულდაგულოდ შერჩეული ნატიფი სტილი. ავტორის ხედვის
ამგვარი რაკურსი პროფ. გ. ბურჭულაძეს წარმოაჩენს რადი-
ოჟურნალისტიკაში საკმაოდ ორიგინალური ხმის და ენათ-
მეცნიერებაში უაღრესად საინტერესო სამყაროს შემქმნელ
მოღვაწედ.

ენის საინტერესო ფორმულირება წარუდგინა ბატონმა
გენადიმ მკითხველს. „ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერ-
ების ერთ-ერთმა ფუძემდებელმა იაკობ გრიშმა ნათლად
ჩამოაყალიბა თეზისი, „ჩვენი ენა ეს ჩვენივე ხალხის ისტო-
რიაა“ და რომ „უფრო ცოცხალი მოწმე ხალხებისა... ეს
მათი ენაა“. მაშასადამე ენა ხალხის ისტორიის ერთ-ერთი
წყაროც ყოფილა, მასთან ცოცხალი, ხოლო ცოდნა შენი
ხალხის ისტორიისა – ელემენტარული მოთხოვნილებაა ყო-
ველი ცივილიზებული ერისა. მართლაც, ენა ის ფენომენია,
რომელშიც მისი მატარებელი ხალხის ისტორიული განვი-
თარებაა უკუფენილი“.

„შეიცან თავე შენი“ გამოიცა საქართველოს მეცნიერე-
ბათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერე-
ბის ინსტიტუტის გრიფით. რედაქტორი – საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პროფ. გ.
თოფურია.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტი ახალგაზრდობისა და
ყველა იმათთვის, ვისაც აინტერესებს ვისი გორისა ვართ,
ვინაა ჩვენი ნათესავი ამ ქვეყანაზე და ვისთან ვმეზობ-
ლობთ. ერთი სიტყვით, შევიცნოთ თავე ჩვენი.

გაზეთი „ლიტერატურული ცხინვალი“, თებერვალი, 2004წ.



პატარა ცხინვალები მსაიღუმლე

გასული წლის დეკემბრის თვეში უჩვეულო სანიუქარი მიიღეს ნორჩმა ცხინვალებმა. ირგელივ არსებული უთვალავი წვრილმანი თუ სერიოზული პრობლემებით აღყა შემორტყმული დევნილი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არ მიუწვდება ხელი არანაირ საბავშვო გამოცემაზე. არადა, ისინი მრავლად არსებობს, არსებობს და მაღალი პოლიგრაფიული დონის გამო საკმაოდ ძვირადაცაა შეფასებული. დევნილის გაძვალტყავებული ჯიბე უწინ თავს ჩამოიხრჩობს, ვიდრე მსგავსი პროდუქციის ყიდვის ნებას მისცემს დრო-ჟამის მიერ ათვალწუნებულ პატრონს. უცნაურია ცხოვრება, ცოტა ხნის უკან, მშობლიურ ქალაქში ცხოვრებისას საბავშვო ჟურნალ-გაზეთი სულაც არ იყო ფუფუნების საგანი... არსებული ვითარების გამო საბავშვო გამოცემას დანატრებული პატარები დამსახურებულ მადლობას უთვლიან გაზ. „შიდა ქართლის“ მთავარ რედაქტორს, ვასილ საბანაძეს, რომელმაც პირველად ცხინვალური ქართული პრესის არსებობის ისტორიაში სათავე დაუდო ქართულ საბავშვო გაზეთს „დილა მშვიდობისა“.

„დილა მშვიდობისას“ ჯერ სულ ექვსიოდე ნომერი დაიბეჭდა, მაგრამ მოთხოვნილება მასზე დღითიდღე მატულობს, დღითიდღე მეტი დამფასებელი, გულშემატკივარი და თანამშრომლობის მოწადინე მოზარდი ემატება მის ერთგულ მკითხველთა რიგებს. პირველივე ნომრიდან გაკეთდა განცხადება, რომელშიც გამოიკვეთა გაზეთის მოწოდება, მიზანი, გამოაშკარავდა მისი მისწრაფება იმ მაღალი იდეალებისაკენ, ბავშვთა სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, მათი ინტერესების დაცვაში რომ გამოიხატება.

ძნელია გადამწყვეტი დასკვნები გამოიტანო და იმსჯელო მიღწეულ სერიოზულ შედეგებზე, მაშინ, როდესაც ჯერ მხოლოდ რამდენიმე ნომერმა იხილა მზის სინათლე, მაშინ, როდესაც გაზეთი ჯერ მხოლოდ ოთხიოდე თვისაა

და თავის პირველ ნაბიჯებს დგამს ცხინვალელი ბავშვების მზიანი გულებისაკენ მიმავალ ნათელ გზაზე. მაინც, ვფიქრობთ, მთავარი ის გარემოება გახლავთ, რომ ცხინვალის რეგიონის მედიის წინსვლა-განვითარების მატრიანეში დაფიქსირდა უპრეცედენტო შემთხვევა, გაკეთდა ერთობ სასარგებლო საქმე და ყველაზე რთული პირველი ნაბიჯებიც გადაიდგა. გაზ. „შიდა ქართლის“ მთელი კოლექტივი რედაქტორის ვასილ საბანაძის თაოსნობით საოცარი ენთუზიაზმით გამოირჩევა, სასიამოვნო აქტიურობას იჩენს ჩვენი პატარა მკითხველიც და ასეთ ატმოსფეროში, ღვთის წყალობით, ალბათ ყველა პრობლემა დაიძლევა.

ნორჩები პირველივე ნომრიდან ამოუდგნენ მხარში რედაქციას და საკუთარი ძალების მაქსიმუმი შესთავაზეს თანამშრომლობისა და დახმარებისათვის: „ჩვენ გეჯერა, რომ გაზეთი „დილა მშვიდობისა“ ჩვენი, ცხინვალის რეგიონის ბავშვების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცხოვრების ამსახველი ორგანო, ჩვენი ინტერესების გამომხატველი გაზეთი იქნება. ჩვენ ჩვენის მხრივ პირობას გაძლევთ, რომ თქვენი აქტიური მკითხველი და თქვენი მუშაობის მონაწილენი ვიქნებით“ (დევნილი ბავშვები).

მიუხედავად ჩვილობისა გაზეთ „დილა მშვიდობისას“ ენა გამართული და მოქნილია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ავტორთა დიდი ნაწილი მოზარდები არიან. ისინი პირველად გამოდიან მკითხველის სამსჯავროზე და თანდათანობით კიდევ უფრო მეტად დაიხვეწებიან, ცოდნის დონეს აიმაღლებენ და ვინ იცის, ზოგიერთი მათგანი იქნებ მაღალი რანგის ჟურნალისტადაც ჩამოყალიბდეს. მაგალითისათვის მოვიყვანთ რამოდენიმე ამონარიდს პატარა ავტორების მიერ მოწოდებული მასალებიდან. აი, როგორი დაწმენდილი ენით მეტყველებენ ისინი: „დილა მშვიდობისაო“- გვესალმება პატარა სათუთი გაზეთი, რომელიც ახლა ჩვენი სულის ანარეკლად იქცევა“ (სკოლა-გიმნაზია „სინათლის“ მოსწავლეები); „ჩვენ, გორელი მოსწავლეები დიდი სიყვარულით ვკითხულობთ ყველა თქვენს გაზეთს, ბატონო ვასო!

ეკითხულობთ რადგან ბევრი დევნილი ბავშვი ჩვენი მეგობარია და მათი სიხარულისა და ტკივილის გამზიარებელნი ვართ” (ნინო გიორგაძე); „დღემდე მხოლოდ „ყაყაჩო“ იყო ჩვენი გაზეთი, ახლა კი „დილა მშვიდობისა“ დაემატა. მიწა და ჩემი და ჩემი თანატოლების სახელით გითხრათ დიდი, ძალიან დიდი მადლობა, ასეთი სიხარული რომ გვაჩუქეთ. ასეთ საჩუქარს ალბათ ვერცერთი თოვლის ბაბუა ვერ მოგვიტანდა საახალწლოდ” (თამთა ელიკაშვილი); „უჩვენოდ დადგა გაზაფხული ცხინვალში, არც ჩიტი-ჩიორა აპირებს საძირკველის დადგმას, თითოეულ ჩვენთაგანს მოგვანდო საკუთარი საძირკველის მოვლა – პატრონობა, მაგრამ გაზაფხული არ დაგველოდა. უჩვენოდ შევიდა იგი ცხინვალში, შებრძანდა და მოიკალათა” (ნინო ელიაური) და მრავალი სხვა. მოხმობილი მასალებიდან ჩანს მოზარდთა განვითარების დონე. ჩანს რა დიდი სამსახური გაუწია ნახსენები პროფილის პერიოდული გამოცემის დაარსებამ ახალ თაობებს. როგორი შეგუბებული ნაკადივით დაიძრა მშობლიური ქართულის მარგალიტებით უხვად შემკული ქართველი ბავშვების ხალასი ნიჭი. ასეთივე დადებით შთაბეჭდილებებს ტოვებს გაზეთის სტილი, კულტურა. თავიდანვე რედაქციამ მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა მკითხველთა ფენებთან და რიგ საკითხებში გამოავლინა ქმედითობა ზოგიერთ ბავშვთათვის აქტუალურ საკითხზე.

არ

შეიძლება რამდენიმე სიტყვით არ აღინიშნოს იმ აქტიურ ავტორთა მიერ გაწეული ფასდაუდებელი საქმიანობის შესახებ, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობენ „დილა მშვიდობისა“ დასახულ მიზანს მიაღწიოს. ამ მიმართებით თვალში საცემია ვასილ საბანაძის წვლილი. თითქმის ყველა ნომერში ჩანს რედაქტორის სახელი. იგი ყოველმხრივ მოუწოდებს ბავშვებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას ურთიერთ თანამშრომლობისაკენ და საკუთარი წერილებით ახალგაზრდებს ესაუბრება ისეთ საინტერესო, მათთვის ჯერ უცნობ საკითხებზე, როგორც გახლავთ, ვთქვათ, ცნობები „ცხინვალის ქართული სკოლის ისტორიიდან“. ამ ციკლში ბავშვთათვის

ბევრი საგულისხმო ცნობის მოძიება შეიძლება. ასევე აქტიურად თანამშრომლობენ, მოზარდ თაობას საკუთარ მოსაზრებას უაზიარებენ და კვალიფიციურ რჩევას არ აკლებენ ჟურნალისტები: ნელი ჩალაური, თამარ ფარეხელაშვილი, ნანა საბანაძე, მათა მღებრიშვილი, ნატო ჯაფახიშვილი, თამარ ხუბულური, ნინო ელიკაშვილი, ნანა კახნიაშვილი, ვახტანგ კობერიძე, ლალი ჯახველაძე და სხვ.

რაც შეეხება ჟანრობრივ მრავალფეროვნებას გაზ. „დილა მშვიდობისას“ ფურცლებზე, ბუნებრივია, ეს საკითხი განსახილველი გამოცემის პროფილის გათვალისწინებით უნდა მიმოვიხილოთ. პირველყოვლისა, გაზეთის ფურცლებზე დომინირებს ცალკეულ ავტორთა საგაზეთო სტატიები სხვადასხვა დროს მოღვაწე პედაგოგების (№2, №3, №5, №6), ცხინვალის ქართული სკოლის დამხმარე, ამაგდარი ადამიანების (№2) შესახებ და აშ.

პერი-

ოდულად დაიბეჭდა რამდენიმე სახის ინტერვიუ (№1, №4), წერილის ჟანრიდან აღსანიშნავია ქვესახეები: ღია წერილი (№2, №3, №5, №6) და წერილი რედაქციას (№1, №2). მართალია პუბლიცისტური ჟანრის სახეებად ვერ ჩავთვლით, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა მოზარდთათვის იოლად წასაკითხ საინტერესო ინფორმაციებს, სხვადასხვა სახის ცნობებს, ბავშვთათვის სასარგებლო რჩევებს, განცხადებებს, მილოცვებს და ასე შემდეგ. აქვე, გვსურს ბატონი ვ. საბანაძის კიდევ ერთ მნიშვნელოვან წამოწყებას გაეუსვათ ხაზი. „ცხინვალის ენციკლოპედიის“ შექმნის იდეა ახალი აღარაა. ბატონი ვასილის ამ საინტერესო ჩანაფიქრზე საუბარი უკვე ბევრი ადამიანის რამდენიმეწლიან შრომას გულისხმობს. გაზეთ „დილა მშვიდობისაშიც“ გამოჩნდა გაზ. „შიდა ქართლის“ მკითხველისათვის კარგად ნაცნობი რუბრიკა „ციკლიდან ცხინვალის ენციკლოპედია“. თუმცა „შიდა ქართლისაგან“ განსხვავებით აქ, ხსენებული რუბრიკით გამოქვეყნებული მასალები საგულდაგულოდაა შერჩეული და მათი ძირითადი ნაწილი

სპეციალობით, პროფესიით თუ მოწოდებით პედაგოგებს ეძღვნება. მაინცდამაინც პედაგოგებს იმის გამო, რომ მოზარდის გონებაში სიტყვებზე: „პედაგოგი“, „მასწავლებელი“ უფრო ძვირფასი და სათუთი სიტყვა იშვიათად მოიძებნება. ისინი არიან ადამიანები, რომლებიც მომავალი თაობების ფორმირების ურთულეს საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებენ. ამ მოსაზრებით რედაქციამ საჭიროდ ჩათვალა „დილა მშვიდობისას“ ფურცლებზე გამოექვეყნებინა მასალები: მარინე ოქროპირიძის (№10) ვაჟა ცერაძის, მაია მღებრიშვილის, ვლადიმერ კოპაძის, იაკობ ლომოურის (№4); ლამარა ბუგიანიშვილის, ნატალია მაისურაძის, მაყვალა თვალაშვილის (№5); დიმიტრი კიკნაძის, ალექსანდრე ცოტნიაშვილის (№6) და სხვათა შესახებ.

დასასრულ, ორიოდე სიტყვით გვსურს შევჩერდეთ იმ პოეტურ ნიმუშებზე, რომლებიც პერიოდულად ქვეყნდება გაზეთ „დილა მშვიდობისასში“ უპირველეს ყოვლისა ნორჩი ავტორების მიერ გამოგზავნილ სტრიქონებს შევეხებით. რამდენი ბავშური სევდა, ბავშური ნაღველი იგრძნობა მათი ვარდისფერი სათვალის მიღმიური სამყაროდან შემდეგ სტრიქონებში:

„ეს ყაყაჩოა თუ სისხლის წვეთი,
არაგველებმა მდელი რომ მორწყეს?!
ო, ზეციურო, შეუნდე ქართველს,
სიმართლისათვის ვიდაც თუ მოჰკლეს“.

(ნინო გიორგაძე)

იქვე იმავე ავტორის ბავშური მოწოდება ჩაგვესმის:

„ქართველო ხელი ხმალს უნდა იკრა!“

აუღელვებლად ვერ წაიკითხავ ცხინვალელი გოგონას მიერ გულისტკივილით დაწერილ სტრიქონებს:

„შენ რომ ოსი ხარ, მამა-ქართველი,

აქ ცუდი რაა ნეტავ?

რატომ აუტყდნენ ერთმანეთს ძმები,

ვერ გამოიგია, დედა“.

ცხინვალიდან დეენილი მათა ბუგინიშვილს კი იმდენად გახარებია საბავშვო გაზეთი, იმდენი მშობლიური სიტბო უგრძენია, რომ ბავშური გულწრფელობით წერს:

„ვაშრიალებ მე შენს ფურცლებს,
ვაშრიალებ, ვფიქრობ,
წაეიკითხავ და მგონია
ცხინვალსა ვარ თითქოს“.

აი, კიდევ ერთი დასტური იმისა თუ რა დიდ საქმეს ჩაეყარა საფუძველი გაზ. „დილა მშვიდობისას“ დაარსებით. მოხმობილი ნიმუშების გვერდით, ყოველგვარი დარდისა და ნაღველისაგან თავისუფალი, წმინდა ბავშური ტალანტის გამოშუქებად აღიქმება თამთა ელიკაშვილის სხარტი, მართლაც მოქნილი ენით ნათქვამი ლექსი „ლაშას თოვლის გუნდა“, ნინო ელიაურის „ზამთარი“, ნათია მამუჩაშვილის „ჩემს ღამაზ გაზეთს ვუსურვებ“ და ა.შ.

საერთოდ გაზეთი „დილა მშვიდობისას“ ფურცლებზე ერთ-ერთი წამყვანი ადგილი საბავშვო პოეზიას უკავია. საბავშვო ლექსებს ბეჭდავენ ცხინვალებლთათვის კარგად ნაცნობი შემოქმედი ადამიანები. ისინი საკმაოდ სერიოზულად ეკიდებიან ამ საინტერესო საქმეს და ჩანს, ავტორები ისეთივე პასუხისმგებლობას გრძნობენ თავიანთი პატარა მკითხველის წინაშე, როგორსაც ზრდასრული, გემოვნებადახვეწილი მკითხველის სამსჯავროზე.

გაზეთში ფართო ადგილი ეთმობა ვ. კობერიძის, თ. ფარეხელაშვილის, დ. ახლოურის, ხ. ბასიშვილის (№1); ს. ჯაფახიშვილის, ლ. ჩლაჩიძის, ნ. რეხვიაშვილის (№2, №3, №4); შ. დარბუშვილის, გ. თუხარელის (№4); დ. ზუბაშვილის (№5) და სხვათა ლექსებს. საგულისხმოა წარმოდგენილი ხალხური პოეზიის (№5, №6), ი. ჭავჭავაძის თუ სხვათა ცალკეული პოეტური ნიმუშები.

თბილი, სიყვარულით საესე საგალობელი უძღვნა დედას ხათუნა ბარიშვილმა:

„შენ ჩემი ამაყი დარდი და ჩემი ღამაზი სევდა,

ღვთისმშობელ მარიამს ჰგავდი

იმ ღამეს, სიზმარში, დედა.
იმ ღამეს პირველად სიზმარს

შენს ფიქრში ვუთევდი ღამეს

და ვთვლიდი სიცოცხლის მიზნად
მაგ შუბლზე გაჩენილ ღარებს”.

საოცარი სიზუსტით დააფიქსირა ცხინვალელმა პეოტმა შოთა დარბუაშვილმა დევნილი ბავშვის სახე. ზედმიწევნით ცოცხალი ნიუანსებით და მშვენიერი პოეტური ენით, საოცარი სიმძაფრით გამოხატა სათქმელი.

წარმოუდგენელია, არ განიცადო, თანაგრძნობის, თანადგომის სურვილი არ აღგეძრას ამ სტრიქონების კითხვისას:

„სახლებს იშენებენ ლტოლვილი ბავშვები,
მიწაზე ლოგინად ქაღალდი დაუგიათ,
ქვებით გაუწყვიათ ოთახი რამდენი,
ცხინვალზე ოცნების კოშკი აუგიათ.
დრომ და უღმობლობამ თქვენი სიზმრებიდან
რამდენი გაზაფხული მოწყვიტა,
ეგ თქვენი თვალები შიშით იმზირება,
კუთვნილი სასახლე-ქოხიდან.
კისერზე გვაწვება ლოდი კვლავ ლოდინით,
მშობელო კუთხეც და ედემო,
მანამდე დააგეთ ქაღალდის ლოგინი,
თქვე ბუდეაშლილო მტრედებო”.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვით გესურს შევეხოთ განსახილველ პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნებულ ფოტომასალას. პირველყოვლისა ყურადღებას იქცევს საინტერესო ფოტოების მთელი რიგი, ციკლიდან „ცხინვალის ფოტომატრიანე”. დევნილთა შემოცვეთილ საოჯახო ფოტოალბომებ-

ში შემორჩენილი თითოერთოდა ფოტო, წამიერად აცოცხლებს ცხინვალური ტკბილი ცხოვრების ქარბორბალას, წარსულის ტკბილ-მწარე შუქჩრდილებს სამუდამოდ უნახავს ისტორიას, რითაც საერთო კეთილ საქმეს ემსახურება.

შეგვიძლია ვთქვათ, გაზეთი ამ თვალსაზრისითაც მოწოდების სიმაღლეზეა.

დასაწყისში აღენიშნეთ, რომ გაზეთი „დილა მშვიდობისა“ მართალია ჯერ მთლად ჩვილია, მაგრამ ერთობ სასარგებლო საქმიანობისთვისაა მოწოდებული. თავისი პატარა ასაკის კვალობაზე მშვენიერად გამოიყურება და საკმაოდ დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს. ვფიქრობთ, ამ ტემპით გააგრძელებს იგი არსებობას და სულ მალე არა მარტო პატარა ცხინვალელებს, არამედ ყველა რეგიონის დაინტერესებული ბავშვის ერთგული მესაიდუმლე გახდება. ჩვენის მხრივ შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ მას.

გაზ. „შიდა ქართლი“, 2000, №355;



ჩვენი თანამემამულე ნიკოლოზ ცხვედაძე

ამ მოკლე ხნის წინათ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა შესანიშნავი კრებული „ნიკო-ცხვედაძე 150,“ რომელმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა თანამედროვე ქართული მწერლობა. მისი შემდგენელი ნიკო გამყრელიძე, ხოლო რედაქტორი სერგო ჯორბენაძე გახლავთ.

კრებულში წარმოჩენილია ნიკო გამყრელიძის (გვ. 3-7), ვარლამ ქაჯაიას (გვ. 7-68), ილია ზურაბიშვილის (გვ. 68-77), ელენე ცხვედაძე – გოგიჩაიშვილის (გვ. 77-80), შაქრო ცხვედაძის (გვ. 80) მოგონებანი და ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსი „ნიკო ცხვედაძე“ (გვ. 83). ისინი ეძღვნება თავდადებულ მამულიშვილს, უდიდეს განმანათლებელს, საზოგადო მოღვაწეს ნიკოლოზ ცხვედაძეს, რომელსაც დიდი ღვაწლისა და დამსახურების ნიშნად ილია ჭავჭავაძემ „ნიკო აღმაშენებელი“ უწოდა.

იგი დაიბადა 1845 წლის 27 იანვარს სამაჩაბლოს სოფელ სოჭინში, მღვდლის ოჯახში. დაახლოებით 4-5 წლის ასაკში სოფელ კავთისხევში გადაიყვანეს. იმ ორდობეს სადაც ცხვედაძეების სახლი დგას, დღესაც მღვდლიანთ ჩასახვევად მოიხსენიებენ იქაურები.

პირველდაწყებითი განათლება ოჯახშივე მიიღო და თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1865 წელს სახელმწიფო ხარჯით გაიგზავნა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. 1870 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია და თბილისის სემინარიაში დაინიშნა მასწავლებლად, სადაც თავის განუყრელ მეგობართან, იაკობ გოგებაშვილთან ერთად ღუთისადმი რწმენას, სასოებას და სიყვარულს უნერგავდა მოსწავლეებს.

ეს უდიდესი უანგარო მეგობრობის გრძნობა მათ სიცოცხლის ბოლომდე გაიყოლეს ისევე უმწიკვლოდ და უშემღვრევლად, როგორც დასაწყისში იყო.

აღსანიშნავია წიგნში მოყვანილი ციტატა ილია ზურაბიშვილის მოგონებიდან: „როგორც ილია და აკაკი ყოველთვის ერთად იხსენიებოდნენ, ვით ქართული ლიტერატურის მესურენი, ისე იაკობ გოგებაშვილი და ნიკოლოზ ცხევედაძე ერთად იხსენიებოდნენ, ვით ქართული განათლების მოციქულნი“.

ზაფხულობით ი. გოგებაშვილი თავისი საუკეთესო მეგობრის, ნიკოს სოფელში, კავთისხევში ისვენებდა. აქ მას ცალკე ოთახი ჰქონდა მიჩენილი დასასვენებლად და სამუშაოდ. კავთისხევში აქვს დაწერილი იაკობს „კონა“ და „იანვანამ რა ჰქმნა“. მის ოთახს კი ცხევედაძეების ოჯახი შემდგომში „იაკობის ოთახს“ ეძახდა.

წიგნიდან ნათელი ხდება, რომ პირად ცხოვრებაში მძიმე ხვედრი ხვდა წილად ნიკოლოზს. მისი მომღერალი მეუღლე კარიერას არჩევს ოჯახს. მიატოვებს ქმარს და სამიოდე წლის ქალიშვილ ელენასთან ერთად და იტალიას მიაშურებს, სადაც სვეტა დეს ფსევდონიმით მოღვაწეობდა.

ნ. ცხევედაძე თავიდანვე დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძეს, დიმიტრი ყიფიანს და მათთან ერთად ჩაება ფართო მასშტაბის საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი ძირითადი დამაარსებელი და ხელმძღვანელია.

სიცოცხლის უკანასკნელი 15 წელიწადი ნიკომ საშვილიშვილო საქმეს მოახმარა, 1897 წლიდან თავს იღო თბილისის ქართული გიმნაზიისათვის ახალი შენობის აგების ურთულესი ამოცანა, რომელიც იმთავითვე ქართული უნივერსიტეტისათვის ჰქონდა ნაგულისხმევი. მას დიდი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა ამ შენობის ასაგებად. ამას ემატებოდა დაცივნა, აბუჩად აგდება და მაინც, უკიდურესი გაჭირვებისა და უამრავი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ 1900 წელს, შემოდგომაზე მოიწვია თბილისის მოწინავე საზოგადოება და საზეიმოდ ჩაუყარა საფუძველი ქართული კულტურის მომავალ დიდ კერას. საინტერესოა, როგორ შეხვდა მოაზროვნე ინტელიგენცია ამ სასიხარულო ფაქტს.

გადავხედოთ იმდროინდელ პრესას. გაზეთი „ივერია“ წერდა: „14 ოტომბერს, თბილისის სათავადაზნაურო სკოლის გამგე-კომიტეტის მიერ შექმნილს ადგილზედ, ამ სკოლის ახალი შენობის საძირკველი ჩაჰყარეს და აკურთხეს“ (გაზეთი „ივერია“, 1900 წელი, №225).

აღნიშნულ წიგნში მოყვანილია თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლის, შემდეგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორის გრ. ნათაძის მოგონება, სადაც ნათქვამია: „ნიკო ცხვედაძე მასწავლებლებს გვესაუბრებოდა ამ შენობის მომავალზე და ხშირად იტყოდა ხოლმე: „ყმაწვილებო, აქ ქართული უნივერსიტეტი იქნება, ქართული უნივერსიტეტი“. ჩვენ ამასე არაფერს ვეუბნებოდით ზრდილობის გულისათვის, მაგრამ ეს სიტყვები მოხუცი კაცის ახირებად მიგვაჩნდა. უნივერსიტეტს ვინ გვაღირსებს?- ვეუბნებოდით ერთმანეთს და ვიცინოდით“. (პროფ. გრ. ნათაძე, მოგონებანი საქართველოს სახალხო განათლების სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, №1773)

ასე თავდავიწყებით უყვარდა ნიკო ცხვედაძეს მისი საშვილიშვილო წამოწყება, რომელსაც მან თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები უანგაროდ შეაღია. ამიტომ გადაჭარბებულად არ უნდა მოგვეჩვენოს იაკობ მანსვეტაშვილის დებულება, რომ „თუ დღეს ჩვენ გვაქვს ის საუცხოო შენობა, სადაც დღეს ქართული უნივერსიტეტი იმყოფება, ამას უნდა ვუმაღლოდეთ ნ.ცხვედაძეს, იმის მხნეობას, იმის ერთგულებას, იმის თავგანწირვას“ (ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936წ. გვ. 218).

ხანგრძლივი და მეტად ნაყოფიერი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობით დაქანცული ნ. ცხვედაძე 1911წლის 30 ოქტომბერს (12 ნოემბერს) გარდაიცვალა და მადლიერმა ქართველმა საზოგადოებამ იგი დიდი პატივისცემით მიაბარა მიწას დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. მისმა გარდაცვალებამ უაღრესად დაამწუხრა თვითონაც დაუძლურებული იაკობ გოგებაშვილი და უკანასკნე-

ლი სურვილი თავისი საუკეთესო მეგობრის გვერდით დასაფლავებისა მალე აღუსრულდა.

ამდენად, კრებული ეძენება სასიქადულო მამულიშიელისა და უდიდესი მოაზროვნის, ნიკოლოზ ზებედეხ ძე (კხვედაძის დაბადებიდან 150 წლისთავს. მასში საინტერესო მასალებია მოხმობილი ამ სახელოვანი განმანათლებლის მოღვაწეობის მრავალმხრივ გასაშუქებლად. იკითხება საინტერესოდ და განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

გაზეთი „ქართლი“, 21 ნოემბერი, 1997 წელი.



საზოგადოებრივი საპირფარეო ლიტერატურისა და მეცნიერებისათვის

ყოველი ახალი შრომის ღირებულების ხარისხს გასაზღვრავს სამეცნიერო თემატური დიაპაზონის სივრცე, მისი გაგება-შეფასების დონე. ამ კონტექსტიდან მომდინარეობს ჩვენი დაინტერესება პროფესორ შოთა ქურდაძის ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიკის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე მომზადებული ნაშრომით – „ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორია“ (ნაწ. I). მისმა გაცნობამ შეგვიქმნა შთაბეჭდილება, რომ ავტორს გააჩნია აღებული პრობლემის არსში წვდომის პოზიტიური პერსპექტივა, იგრძნობა სამეცნიერო წიაღის ახალ წრეთა ხედვის ორიგინალურობა. აღნიშნული ნაშრომი „ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორია“ (რედაქტორი ალ. ტაბატაძე, რეცენზენტი დოც. თ. გოგოლაძე), კომპლექსურად გვიჩვენებს ქართული საბავშვო ლიტერატურის როლს ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურათმცოდნეობის განვითარება-გაღრმავებაში. შრომა შესავლისა და ექვსი თავისგან შედგება. ავტორს შემუშავებული აქვს განსახილველ საკითხთა ლოგიკური გადანაწილების მხატვრული მექანიზმი. უფრო მეტი დეტალიზაციისათვის დაესძენთ, რომ ქართული საბავშვო მწერლობის საწყისი პერიოდის ირგვლივ ბატონი შოთა გარკვეული თანმიმდევრობით აყალიბებს დიდაქტიკურ-მეთოდოლოგიური ხასიათის დაკვირვებათა ხანგრძლივი კვლევის პირობებში მიღებულ შედეგებს. ცალსახა ჭრილებში გააზრებულია დამწერლობამდე არსებული საბავშვო ლიტერატურული მასალები, პირველი სკოლები, პირველი საკითხავი ტექსტები, სახელმძღვანელოები და მისი სწავლების საკითხები, საბავშვო ლიტერატურის მასალები V-XI საუკუნეების მწერლობაში, საბავშვო ლიტერატურის მასალები XII საუკუნის ქართულ მწერლობაში და მისთ. პროფ. შ. ქურდაძის განსახილველი შრო-

მის შესახებ დოც. თ. გოგოლაძე მიუთითებდა: „წინამდებარე ნაშრომი მრავალი წლის კვლევისა და საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში სხვადასხვა ინსტიტუტებში ვრცელი პედაგოგიური მოღვაწეობის ნაყოფიერი შედეგია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის არაა პირველი და ერთადერთი ნაშრომი საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში, მაგრამ ჭეშმარიტად პირველი სერიოზული დამხმარე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოა საბავშვო ლიტერატურის ისტორიის კვლევის დარგში. ავტორს დიდი რუდუნებითა და გულმოდგინებით მოუხდენია ქართული საბავშვო მწერლობის პირველი პერიოდის — ძველი ქართული მწერლობის მიმოხილვა პედაგოგიურ-მეთოდოლოგიურ პრიზმაში“. ავტორს ნათლად გაცნობიერებული და არგუმენტირებულად წარმოდგენილი აქვს იაკობ გოგებაშვილის საგულისხმო დებულება — ეროვნული ზეპირსიტყვიერებისა და მწერლის ორიგინალური შემოქმედებითი კვალის ძიება უმაღლეს კატეგორიას წარმოადგენს. აკი თვით დედაენის ავტორი ბრძანებდა ამ მიმართულებით: „გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყრდენი ნაწარმოებებით, საყმაწვილო ლიტერატურით. იგი მაგრა ადგამს ნაბიჯებს წინ, მკვიდრს წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ყრმანი გარემოცულნი არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებებითა“ (დასახ. შრ. გვ. 7). ბუნებრივია, პროფ. შოთა ქურდაძე სავსებით იზიარებს დიდი მოღვაწის წარმოდგენილ მოსაზრებას და დასძენს, რომ ამ ორიგინალურ მოსაზრებაში დასახულია საბავშვო მწერლობის უაღრესად ტევადი, შემეცნებითი და მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება (იქვე გვ. 8).

საგულისხმოა, რომ აღებულ შრომაში ეროვნული საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკის განსაზღვრისას პროფ. შ. ქურდაძე აყალიბებს ერთობ ლოგიკურ და ცხად დებულებას. კერძოდ, „საბავშვო ლიტერატურა შინაარსობრივად ემოციური და დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი დარგია. მოზარდისათვის საინტერესო, ცხოვრებისეული სინამდვილის გასაცნობად საბავშვო მწერალი არსებითად იყენებს მხატ-

ერული ასახვის იმავე ხერხებს, რასაც მოზრდილთა ლიტერატურა, ოღონდ ამ შემთხვევაში ანგარიში ეწევა მხატვრულად ასასახავი თემატიკის მისაწვდომობას, კონკრეტულობას, ლაკონურობას და ენობრივ სიფაქიზესა და მრავალფეროვნებას. (იქვე, გვ.9).

მიგვაჩნია, რომ ქართული საბავშვო ლიტერატურისადმი მიდგომის ი. გოგებაშვილისეული და პრფ. შ. ქურდაძის ზემოთ მოტანილ ფორმულირებათა სინთეზური მოდელირება აქტუალური და საჭიროა თანამედროვე ლიტერატურულ ტენდენციებში მკვიდრებადი ეროვნული მენტალიტეტისათვის უცხო, არაკეთილსასურველი კონსტრუქციების მანევრული ზეგავლენის თავიდან არიდებისათვის. შრომაში „ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორია“ ავტორი ეხება ეროვნული დამწერლობის წარმოშობამდე არსებული მდიდარი ხალხური ზეპირსიტყვიერების წიაღს, ეძიებს გიორგი მერჩულეს, ბასილ ზარზმელის, იოანე ზოსიმეს, მიქაელ მოდრეკილის თხზულებებში დაუნჯებულ დიდაქტიკური ხასიათის მითითებებს, კიდევ ერთხელ შეახსენებს მკითხველს ექვთიმე ათონელის, გიორგი მთაწმინდელის, ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის და სხვათა შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესახებ, რომელთაც, როგორც ბატონი შოთა ბრძანებს, „თავიანთი კომენტარებით ხელი შეუწყეს ტექსტის პედაგოგიურ მოდიფიკაციას“ (იქვე, გვ. 45).

გაწეული დიდი სასიკეთო შრომა პროფ. შ. ქურდაძეს აძლევს საფუძველს ქართული საბავშვო ლიტერატურის ცალკე დარგად ჩამოყალიბების სათავეები XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ეძიოს: „ერთის მხრივ, სათანადო სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენა, ამ სახელმძღვანელოებში შეტანილი ლიტერატურული მასალის პედაგოგიზაცია; მეორე მხრით, ქართველ მწერალთა შემოქმედებაში სხვადასხვა ეპოქაში სკოლამდელი და, განსაკუთრებით, სასკოლო ასაკის მოსწავლეთათვის ისეთი პრობლემების დამუშავება, რგორიც იყო სასულიერო აღზრდა, საერო აღზრდა, ზნეობრივი აღზრდა, დემოკრატიული აღზრდა და ენციკლო-


პედიური განათლება, იმის მომასწავებელი იყო, რომ ახალ ისტორიულ ვითარებაში ცალკე დარგად უნდა ჩამოყალიბებულიყო ქართული საბავშვო ლიტერატურა (იქვე, გვ. 54). პროფ. შ. ქურდაძის აღებულ შრომას ატყვია საფუძვლიანი პედაგოგიკურ-მეთოდური ცოდნის კვალი. მკითხველის მხრიდან ზოგიერთი მომენტის სათანადო აღქმა, ერთის მხრივ, წმინდა ფოლკლორულ-ლიტერატურული, ხოლო, მეორეს მხრივ, პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებას მოითხოვს. ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული შრომა („ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორია“) საბავშვო ლიტერატურის შესწავლის ერთადერთი მცდელობაა, თუმცა წარმოდგენილ ნაშრომამდე ჩვენ არ ვიცნობდით ცალკე კურსს, მსგავსი ტიპის დამხმარე მეთოდურ სახელმძღვანელოს ეროვნული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში. ავტორი მართებულად მიუთითებდა, რომ „დღემდე არ არის დაწერილი ეროვნული საბავშვო ლიტერატურის ისტორია. ჩვენ შესაძლებლობის ფარგლებში ვცადეთ ამ ხარვეზის შევსება; ამჯერად ქართული საბავშვო ლიტერატურის საკითხები შესწავლილია დღიდან ამ დარგის ცალკეული მასალების წარმოშობისა ფოლკლორსა და მწერლობაში XIX საუკუნის სამოციან წლებამდე“.

მცირე საგაზეთო ფორმატით შეზღუდულ პირობებში გვსურდა რამდენიმე სიტყვა გვეთქვა პროფ. შ. ქურდაძის ხელმეორედ დაბეჭდილი „ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ნაწილის შესახებ. მიგვაჩნია, რომ იგი ავტორის მიერ ნაყოფიერ სამეცნიერო სარბიელზე გადადგმული ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. მთლიანობაში ნაშრომი დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს. ღრმად, შინაარსიანადაა გაშუქებული აღებული თემატიკა. მეცნიერი ცდილობს თითოეულ საკითხს ამომწურავი პასუხი მოუძებნოს. მით უმეტეს, რომ პრობლემის აღნიშნულ ჭრილში დასმა და ამ მიმართულებით ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის მონოგრაფიული შესწავლა, როგორც

ვთქვით, ერთ-ერთი პირველი მცდელობაა. მისი თემატური აქტუალობა და კვლევის სერიოზული მეთოდოლოგიური საფუძველი მიუთითებს ნაშრომის პოზიტიურ, პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. სათანადო ხარისხშია ატანილი ენის, სტილისა და კომპოზიციური სრულყოფის საკითხები.

ჩვენ მხოლოდ ორიოდვე ზოგადი შტრიხით შევეხეთ პროფ. შოთა ქურდაძის განსახილველი შრომის ჩვენეული ხედვის კონტურები. ვფიქრობთ, იგი დახმარებას გაუწევს აღნიშნული დარგის სპეციალისტებს და საერთოდ ეროვნული საბავშვო ლიტერატურის, ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, ივლისი, 2003წ.



მრისხანე ეპოქის მხატვრული მატრიანე

ბოლო დროს ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე არაერთი საინტერესო გამოკვლევა მომზადდა. სხვა დროს ჩვენ უკვე ვცადეთ იმ უანგარო ძალისხმევის წარმოჩენა, რომელსაც კათედრის გამგე პროფ. შოთა ქურდაძე უშურველად ახმარს საკუთარი კათედრის წევრთა მეცნიერული კეთილსინდისიერებისა და მათი წარმატებული სამეცნიერო კვლევის ეფექტური შედეგიანობის ამაღლებას. არ აგვიანებს მუხლჩაუხრელი შრომის ლოგიკური ნაყოფიც. ამჯერად მხედველობაში გვაქვს დოც. ზაზა ცოტნიაშვილის ბოლოდროინდელი ნაშრომი „თანამედროვე ქართული ნოველის მხატვრული თავისებურებანი“.

ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით დასტამბული ნაშრომი, რომელიც ორმოცდაათიოდუე გვერდზეა გაშლილი, მიმოიხილავს გასული საუკუნის 90-იანი წლების ქართული ნოველის მხატვრულ თავისებურებებს, აანალიზებს იქ გამოყენებული მხატვრული ხერხების ძირითად ნიმუშებს. ნაშრომის რედაქტორია პროფ. რ. მიშველაძე, რეცენზენტები-პროფ. დ. თევზაძე, დოც. ლ. მელაძე.

აღებული პრობლემის დაძლევას ახალგაზრდა მკვლევარი ცდილობს რ. ინანიშვილის, რ. ჭკვიშვილის, ნ. შატაძის, ო. იოსელიანის, ვ. ჩხიკვაძის ნოველებით. ზ. ცოტნიაშვილის დასახელებული ნაშრომის შესახებ დოც. ლ. მელაძე წერდა: „XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული ნოველა, რომელიც მხატვრულ თავისებურებათა თვალსაზრისით ბევრ საინტერესოსა და ორიგინალურს გეთავაზობს, ლიტერატურის თეორეტიკოსთა მიერ ჯერ-ჯერობით შეუსწავლელია. არადა, ქართული ნოველური ჟანრის განვითარების რთული და გრძელი გზის სრულყოფილად წარმოსაჩენად, გასააზრებლად მის მხატვრულ-გამომსახველობით საშუა-

ლებათა მეცნიერული შესწავლა მეტად საშური საქმეა. დოცენტ ზაზა ცოტნიაშვილის წინამდებარე ნაშრომი: „თანამედროვე ქართული ნოველის მხატვრული თავისებურებანი“ მოკრძალებული ცდაა აღნიშნული პრობლემის კვლევის გზაზე; მიუხედავად ამისა, ნაშრომში სიღრმისეულადაა წარმოდგენილი მხატვრულ ღირებულებათა მეცნიერული ანალიზი“.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ქართული ნოველა, ანუ, როგორც მას ავტორი უწოდებს-მირისხანე ეპოქის მხატვრული მატიანე, ჩვენი ქვეყნის იმ დროინდელი დამძიმებული ყოფიერების მთელი სიმძიმის საკუთარ თავზე გადამტანი და სევდიანი აწყმოს ერთგვარი მოამბე გახლათ.

თანამედროვე ქართულ ნოველას უდიდესი წილი უდევს ეროვნული კულტურის განვითარების მნიშვნელოვან საქმეში. განსაკუთრებული დატვირთვა ამ ჟანრმა გასული ასწლეულის ავბედითი მიწურულის მიჯნაზე შეიძინა. კვალდაკვალ მიჰყვა „მირისხანე ეპოქის“ მიერ დატრიალებულ ქარბორბალას, შეძლებისდაგვარად შეეცადა ზოგადი კონტურებით მოეხაზა განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი მახასიათებლების კონკურენტული ნიუანსები.

ამავე პერიოდის ნოველის სიუჟეტურ ქარგაში გამოჩენილი დევნილის სახე მკაცრი რეალობიდან მომდინარე ერთგვარი სიახლეა, რასაც ხსენებულ შრომაში სათანადო და დროულ ყურადღებას უთმობს ზაზა ცოტნიაშვილი. კერძოდ, იგი მიუთითებს, რომ „ეროვნული პოზიციიდან ნაჩვენებია დევნილის სახის ფსიქოლოგიური ჩამოყალიბების კანონზომიერებანი“ (დასახ. შრ. გვ.7). ვერ ვიტყვი, რომ დოც. ზ. ცოტნიაშვილის დაინტერესება თანამედროვე ქართული ნოველით და მასში გამოჩენილი დევნილის სახის ჩვენებით, შემთხვევითი გარემოებითაა ნაკარნახევი. ცხინვალის ბებერ ქართულ მიწაზე გაზრდილმა მეცნიერმა საკუთარ თავზე გამოსცადა სამშობლოდან სამშობლოში იძუ-

ლებითი დეენის ტრაგიკული ხედრის სიმძიმე. აქედან გამომდინარე, მსგავსი ლიტერატურული პერსონაჟების ხასიათისა თუ ფსიქოლოგიური პორტრეტის ხატვის პირინციპებზე საუბრისას ის განსაკუთრებით ფრთხილი და სათუთია. მშობლიური კუთხის უზომო სიყვარული ზ. ცოტნიაშვილს მამისაგან, დღევანდელი ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მოამაგის დოც. ავთანდილ ცოტნიაშვილისგან გენეტიკურად გადაეცა. მამისაგან, რომელმაც მთელი ენერგია ქართულ-ოსურ ურთიერთობათა კვლევას შეაღწია.

ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ გამოკვლევაში ლოგიკური თანმიმდევრობით ნაჩვენებია თანამედროვე ქართული ნოველის მხატვრულ ფორმათა ვრცელი პალიტრა. კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით ავტორი მიმოიხილავს თითოეულ ამ ფორმათაგანს, კერძოდ, მეტაფორას, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია თანამედროვე ქართული ნოველის მხატვრულ სტრუქტურაში (გვ.17). შედარებას-ტროპის მნიშვნელოვან სახეთაგანს, რომლის „ძირითადი ფუნქციაც საგნის ან მოვლენის პლასტიკურად დახატვაა სხვა საგნის ან მოვლენის რომელიმე თვისების ხაზგასმით“ (გვ. 23), ეპითეტს (გვ. 28), გაპიროვნებას (გვ.30), და ა.შ.

დოც. ზ. ცოტნიაშვილის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ორიოდე შტრიხით წარმოსადგენად დავსძენთ, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალობით) ასპირანტურის კურსის დასრულების შემდეგ 1995 წლიდან გაზ. „შიდა ქართლის“ თანამშრომელია. არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. სისტემატიურად იბეჭდება პრესაში. 2000 წლიდან ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგია-ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანია. რაც შეეხება მის ახალ წიგნს „თანამედროვე ქართული ნოველის მხატვრული თავისებურებანი“ საკმაოდ დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს. ავტორის მხრიდან იგრძნობა მეცნიერული კვლევის მეთოდის სათა-

ნადო ცოდნა, საყურადღებო მოვლენების ოპერატიული და დროული ხედვა, წარმოდგენილ შრომაში მოტანილი თითოეული ფაქტის ბოლომდე გაცნობიერებით –ნიუანსებამდე წვდომის შესაძლებლობა. მიუხედავად თქმულისა, უფრო მაღალი სამეცნიერო სიმაღლეების დაძლევის მიზნით, ეფიქრობთ, მკვლევარი აღნიშნულ პრობლემას პერიოდულად გამდიდრებს არაერთი საინტერესო ფაქტით და ღრმა ნოვატორული ხედვით.

მიგვაჩნია, რომ ზაზა ცოტნიაშვილის ამ მიმართულებით წარმოებული კვლევა დახმარებას გაუწევს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს, უახლესი ქართული ლიტერატურის სპეციალისტებს და საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, მაისი, 2003წ.



სამაჩაბლოს ბარდასულ დღეთა კვალდაკვალ

ახლახანს დაბადებული ერთი საყურადღებო წიგნის შესახებ გადავწყვიტეთ ვაუწყოთ მკითხველ საზოგადოებას. მათ, ვინც დაინტერესებულია ცხინვალის რეგიონის და საერთოდ საქართველოს ისტორიის რიგი მნიშვნელოვანი საკითხებით.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი უძველესი სათავადოს – სამაჩაბლოს სოციალურ-პოლიტიკური ბუნებისა და პოლიტიკური ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაშრომი „სამაჩაბლოს ისტორია“ ეკუთვნის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს გიორგი სოსიაშვილს.

„სამაჩაბლოს ისტორიაში“ მოკლე ხნის წინ იხილა სამზეო. ავტორს იგი საფუძვლიანად გამოუკვლევია. მკვლევარი გულმოდგინედ ეძიებს ყოველი განსახილველი პრობლემის თითოეულ დეტალს. ამჟღავნებს დახვეწილ გემოვნებას და რაც, ჩვენის აზრით, ღირსებას მატებს წარმოდგენილ ნაშრომს – ჭეშმარიტების ძიებისას გ. სოსიაშვილი უკომპრომისო ანალიტიკოსის პოზიციის სამაგალითო დამცველია. სწორედ ყოველივე ამან განაპირობა ერთობ ორიგინალური, შინაარსობრივი თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესო ნაშრომის დაბადება. როგორც თვითონ გიორგი წერს: „ნაშრომი წარმოადგენს, სამაჩაბლოს, როგორც სათავადოს მონოგრაფიულად შესწავლის ცდას. ცნობილია, რომ სათავადოთა ფორმირებას XV საუკუნეში აქვს ადგილი. ასეთი უჯრედები მრავლად აღმოცენდა საქართველოს ტერიტორიაზე, რაც ქვეყნის პოლიტიკური დაშლის შედეგი იყო. ქართულ ისტორიოგრაფიაში სათავადოთა შესწავლა არაერთი მეცნიერის კვლევის ობიექტად იქცა და ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც გადაიდგა. შესწავლილ იქნა ქსნისა და არაგვის საერისთაოები, სომხით-საბარათიანოს სათავადოები, საამილახვრო, საციციანო და სხვ. გამონაკლისს წარმოა-

დგენს სამაჩაბლო, რომლის შესახებ ერთიანი, განზოგადებული სახის ნაშრომი დღემდე არ შექმნილა“. (გვ. 164)

კვლევა-ძიებითი ხასიათის ძირითადი საქმიანობით გ. სოსიაშვილი მზარდი პროფესიონალი ისტორიკოსია. მიუხედავად იმისა, რომ მრავალმხრივია მისი სამეცნიერო ინტერესების პალიტრა, ცდილობს ახსნა მოუძებნოს არაერთ პრობლემურ საკითხს საქართველოს ისტორიაში, ახალგაზრდა მკვლევარის ფიქრი დღენიადაც თავისი მხარის – სამაჩაბლოს წარსულის ყოველმხრივ შესწავლას დასტრიალებს. ამასთან, ბუნებრივია, მას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მაჩაბელთა სათავადოს ისტორიის ძირეული შესწავლა შეუძლებელია მეზობელი სათავადოების ისტორიული ცხოვრების ცოდნის გარეშე. გ. სოსიაშვილი განსაკუთრებული გულისხმიერებით სწავლობდა მაჩაბელთა მეზობელი სათავადოების წარსულს, რამდენადაც მათი ისტორია მჭიდროდაა გადაჭადვული სამაჩაბლოს ისტორიასთან. თავდაუზოგავმა გარჯამ სასიკეთო ნაყოფი გამოიღო. დაიბადა საინტერესო, ორიგინალური ხასიათის და მეტად დროული გამოკვლევა „სამაჩაბლოს ისტორია“.

ცხინვალის რეგიონის და საერთოდ სამაჩაბლოს პირუთენელი მატიანის შესაქმენლად გ. სოსიაშვილის მიერ მოკვლეული მასალები, მით უფრო ქართულ-ოსური დაძაბული ურთიერთობების ფონზე, ვფიქრობთ, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. უფრო მეტიც, ხსენებული შრომა ერთგვარი გასაღების ფუნქციის მატარებლადაც გვესახება ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტის ჟამს არაკომპეტენტური ოპონენტების მხრიდან ქართული კულტურის, ისტორიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ეტაპის ხელოვნურ წყვედიადში მოქცეული საკითხების ამოსაცნობადა და გასაშუქებლად.

„დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა უმძიმესი საფრთხის წინაშე დადგა, როცა ისტორიული სამაჩაბლოს ტერიტორიაზე ოსი სეპარატისტების თვითმარქვია ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა გამოაცხადა, როცა სეპარატისტ ძალთა დაკვეთით არაერთი ფსევდომეცნიერი ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაციას ახდენს და წარსულს გვიმა-

ხინჯებს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სამაჩაბლოს ისტორიის შესწავლას, რათა მომავალში თაობებმა ისტორიული ჭეშმარიტება დაინახონ და სწორი ორიენტირების დასახვა გაუადვილდეთ. ამ მიზანს ემსახურება წინამდებარე ნაშრომი, რომელიც საკითხის შესწავლის თვალსაზრისით ავტორის მოკრძალებულ ცდას წარმოადგენს.“ (გვ. 4)

წარმოდგენილი ნაშრომი სამაჩაბლოს არსებობის პერიოდს, ანუ XV-XIX საუკუნეებს მოიცავს. მოგეხსენებათ XV საუკუნე ერთგვარად რთული პერიოდი გახლდათ საქართველოს ისტორიაში. ცოტა ხნით ადრე დაეთითსა და თამარის დასაყრდენი ხელისუფლება თანდათანობით კარგავს პრივილეგიებულ მდგომარეობას. ქვეყნის პროგრესულ ძალთა დიდ ნაწილს ეხშობა განვითარების ასპარეზი, სანაცვლოდ წინა პლანზე იწევს დიდებულთა ე.წ. „გახელმწიფებისაკენ“ მიდრეკილების ტენდენცია. იწყება თავადთა ცაკლე წოდებად ჩამოყალიბების პროცესი. ბუნებრივია, თავადთა სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ გაპირობებული გახლდათ ცენტრალური ხელისუფლების სისუსტით. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ პერიოდიდან ხდება მაჩაბელთა ძლიერი ფეოდალური სისხლის აღზევება.

გ. სოსიაშვილი წარმოდგენილი ნაშრომის ფურცლებიდან საინტერესოდ მსჯელობს სამაჩაბლოს ფორმირების წინაპირობების, იმ სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური წინამძღვრების შესახებ, რომლებიც ახლდა აღნიშნული საფეოდალოს ჩამოყალიბებას. ახლებურად არის წარმოდგენილი მაჩაბელთა გვარის წარმოშობის საკითხი. „სამაჩაბლოს ისტორიაში“ ცალკე თავი ეთმობა სამაჩაბლოს სოციალურ მდგომარეობას, მაჩაბელთა სათავადო სახლის სურათს, შესწავლილია სამაჩაბლოს ეკონომიური მდგომარეობის სურათი, საეაჯრო ურთიერთობანი აღნიშნულ ტერიტორიაზე, მართვა-გამგეობის მაჩაბელთა სათავადოსთვის დამახასიათებელი სისტემა და სხვ.

ავტორის მიერ ნაშრომში აქცენტირებულია საუკუნეების მანძილზე მაჩაბელთა ურთიერთობანი მეზობელ სათავა-

დოებთან. შესწავლილია მათი სამეფო კართან ურთიერთობის ძირითადი მომენტები.

აქვე, საგანგებო ადგილი ეთმობა აღნიშნული სათავედოს პოლიტიკურ თავგადასავალს და ა.შ.

„სამაჩაბლოს ისტორია“ გარდა ღრმა შინაარსობრივი დატვირთვისა, ნათელ წარმოდგენას ქმნის ავტორის ჩამოყალიბებულ, დახვეწილ აკადემიურ სტილზე. ენა გამართულია და მოქნილი. ყურადღებას იბყრობს ახალგაზრდა მეცნიერის მხატვრული აზროვნების სისტემა, განსახილველ საკითხთა სიღრმისეულ შრეებამდე წვდომის დაუოკებელი სურვილი.

ამდენად, ვფიქრობთ, გ. სოსიაშვილის დასახელებული შრომა კვალიფიციური გამოკვლევაა, რომელშიც უამრავ სხვადასხვა სახის წყაროზე დაყრდნობით ნაჩვენებია მაჩაბელთა საფეოდალოს როლი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში (XV-XIX სს). იგი დიდ დახმარებას გაუწევს საკითხით დაინტერესებულ მკითხველს. რეცენზენტებად წარმოდგენილნი არიან: პროფ. გ. ჯამბურია, აწ განსვენებული პროფ. ჯ. გვასალია, ხოლო რედაქტორი გახლავთ პროფ. ე. მამისთვალიშვილი.

ხსენებული შრომიდან ნასესხები სიტყვებით დავასრულებთ, რომლებიც ავტორის ზნეობრივი სრულფასოვნებისა და ღრმა, ჯანსაღი შეხედულებების უტყუარი მაცნეა: „სამაჩაბლომ დიდი როლი ითამაშა ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში და რაოდენ სამწუხაროა, რომ ისტორიას გვერდს უქცევს ე.წ. სამახრეთ ოსეთის თვითმარქვია ხელი-სუფლება, რომელმაც ისტორიული აჩაბეთის ხევი, მერმინდელი სამაჩაბლო და მასთან ერთად შიდა ქართლის დიდი ნაწილი ოსთა ძირბველ მიწა-წყლად გამოაცხადა. დიდი ივანე ჯავახიშვილისა არ იყოს: „საჭიროა ხალხმა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია... უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“.

ბაკო მელიქიძე

ო უ ბ ი ლ ა ტ ი ბ ი



უკვე მძლავრად იგრძნობა გაზაფხულის სუნთქვა. ერთი შეხედვით არაფრით განსხვავებული დღეები ჩვეული სიღინჯით მისდევენ ერთმანეთს. ახლად შეღერებული გაზაფხულის ნიავი უდარდელად დანავარდობს შემოქმედის მიერ მწვანე საღებავით მოხატულ ქუჩებში.

უჩვეულო პატივი ხვდა წილად წლევეანდელ გაზაფხულს, წლევეანდელი აპრილი ცხინვალზე შეყვარებული მეცნიერის, ბატონი გენადი ბურჭულაძის უაღრესად შინაარსიანი ცხოვრების მესამოცე აპრილია.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ბურჭულაძე ათწლეულების მანძილზე სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ცხინვალის ავუამიანობის დროიდან გორში გადმოსულ ინსტიტუტს ერთი-ორად მომეტებული ენერგიით დასტრიალებს თავს, ტკივილს უმსუბუქებს.



სწორედ ცხინვალიდან გამოდგენის შემდეგ, მუშაობის უმძიმეს პირობებში მოხერხდა რამდენიმე კაბინეტ-ლაბორა-

ტორიის მოწყობა, პერიოდულად გამოდის ინსტიტუტის შრომების კრებული, დაარსდა ინსტიტუტის გაზეთი, ნაწილობრივ შეივსო ბიბლიოთეკა და მრ. სხვ. ბუნებრივია, ეს სასიკეთო ძეგლები სხვა პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად პრორექტორის პროფ. გენადი ბურჭულაძის უდიდესი ძალისხმევის შედეგია.

ბატონი გენადი ბურჭულაძე ასევე უაღრესად საჭირო, ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტის რანგში.

ასობით შრომის ავტორი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს წევრი გ. ბურჭულაძე ავტორია რამდენიმე მონოგრაფიისა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა სამეცნიერო წრეებში სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით და გამოირჩევა მაღალი სამეცნიერო ღირებულებით.


უდიდესი სიყვარულით საუბრობს ბატონი გენადი ცხინვალში გატარებული თითოეული დღის შესახებ. მას ხომ ჯერ დოცენტის, მოგვიანებით კი პროფესორის წოდება ცხინვალში, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე მიენიჭა. უამრავი ტკბილი მოგონება, იქ განცდილი უამრავი ძვირფასი წუთი, განუყრელი, დაუვიწყარი მეგობრების ხსონა... აი ის მყარი საფუძველი, რომელმაც მკვიდრად დაადულაბა, სამუდამოდ შეუსისხლხორცა ბატონი გენადი ბურჭულაძის სახელი ცხინვალს.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ჯერ კიდევ აბიტურიენტობის დროიდან მომეცა საშუალება მომესმინა ბატონი გენადის უკიდევანო პროფესიონალიზმით გაჯერებული ლექციები. მომეცა საშუალება მიმელო ბევრი ბრძნული, მამაშვილური დარიგება. ბატონი გენადის გულიდან უხვად გამონაშუქი სიკეთე საკუთარი სამკვიდროდან აყრა-გამოდენის მძიმე ხვედრს ნაზიარებ ახალგაზრდას წლების მანძილზე მინათებდა და მითბობდა შეცვიებულ აწმყოს.

დღესაც ასეთივე ბედნიერებად მიმანია ჩემს სათაყვანებელ აღმზრდელთან გატარებული თითოეული წუთი. ეს წუთები ძალზედ ძვირფასია და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ცხოველ მოგონებად გაჰყვებიან ჩემს მეხსიერებას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ბატონო გენადი მესამოცე გაზაფხულს. ფეხბედნიერი ცხოვრების ახალი დასაბამი, უამრავი სასიკეთო გარდატეხის მძლავრი ნიშანსვეტი ყოფილიყოს წლევეანდელი აპრილი თქვენთვის და თქვენი ღამაზი ოჯახისათვის.

გაზ. “შიდა ქართლი”, №354, 2000 წ.



ავადსახსენებელი ოსურ-ქართული კონფლიქტის დაწყებისთანავე ცხინვალის ერთადერთი ქართული გაზეთის "საბჭოთა ოსეთის" კოლექტივი დაიშალა და ქვეყნის სხვადასხვა მხარეში გაიფანტა. ფაქტიურად გაზეთმა არსებობა შეწყვიტა, მაგრამ იმდროინდელი დუხჭირი პირობების მიუხედავად გარკვეულმა ნაწილმა ცხინვალელი ჟურნალისტებისა შეძლო გაერთიანება და მიზნად დაისახა ცხინვალის რეგიონის შემოქმედებითი პოტენციალის ნაწილობრივ მაინც გარკვეულ კალაპოტში მოქცევა.

ასეთ ვითარებაში ვერებოდა საფუძველი გაზ. "საბჭოთა ოსეთის" მემკვიდრეს, რომელიც ასპარეზზე სრულიად ახალ ეპოქაში უნდა გამოსულიყო და წინამორბედისგან განსხვავებით აბსოლუტურად განსხვავებული მისია უნდა ეკისრა. ახალი გაზეთის სახელწოდებად თავიდანვე "შიდა ქართლი" შეირჩა.

პირველი ნომერი "შიდა ქართლისა" დაიბეჭდა 1991 წლის 27 ივნისს. დაარსდა თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პრობლემური, ერისათვის მტკივნეული თემბტიკით გულდამძიმებული გაზეთი. აქვე უნდა მიუთითოთ, რომ პირველივე ნომრიდან იგი იბადება არა მშობლიურ ქალაქში, არამედ ქართლის უმშვენიერეს შუაგულში, გორში, მაგრამ მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ შინდაბრუნების ღოდინით გაიღეოდა ერთი ათეული და ვინ იცის კიდევ რამდენი უსაშველო და მძიმე წელიწადი.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მოყოლებული 1991 წლის ივნისიდან თითოეული ცხინვალელი ჟურნალისტი საკუთარი მხრებით ეზიდება იმ სისხლიანი ტრაგედიის უმძიმესი შედეგების ტვირთს, მაგრამ მათდა სასახელოდ ვიტყვოდით, რომ ამ ეკლიან გზას ისინი არასოდეს შეუშინებია, ობიექტურობის გზიდან არ გადაუყვანია და პროფესიული კეთილსინდისიერების გრძნობა არ შეუბღალავს.

ვიდრე უშუალოდ გაზეთ “შიდა ქართლზე” ვისაუბრებდეთ აუცილებლად მიგვანინია რამდენიმე ზოგადი შტრიხით შეგქმნათ პორტრეტი პიროვნებისა, რომელიც დაარსების დღიდან სათავეში უდგას და დღემდე ერთგულად ემსახურება აწ უკვე ერთ ათეულ წელს მიღწეულ “შიდა ქართლს”.

ვასილ საბანაძე – დაიბადა ცხინვალში. წლების მანძილზე ცხინვალშივე ეწეოდა აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას. მუშაობდა საქართველოს რადიომაუწყებლობის საკუთარ კორესპონდენტად. გაზეთ “საბჭოთა ოსეთის” ლიტერატურულ მუშაკად, განყოფილების გამგედ, რედაქტორის მოადგილედ. ოსურ-ქართული ტრავმების წინა პერიოდში რედაქციის დარბევამდე ცოტა ხნით ადრე “საბჭოთა ოსეთი” მისი რედაქტორობით გამოდის.



როგორც ზემოთ მოგახსენებდით, ცხინვალის დატოვების შემდეგ აქაური ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც მშობლიურ ქალაქში ერთადერთი ქართული გაზეთის მაღალ დონეზე არსებობას უზრუნველყოფდა, დაიქსაქსა. ასეთ ვითარებაში სხვა ცხინვალელ ჟურნალისტებთან ერთად ვ. საბანაძემ ყველაფერი იღონა დაარსებულიყო ცხინვალიდან დევნილი მოსახლეობის დარდის გამზიარებელი პერიოდული გამოცემა. მართალია ვერც მაშინ, ვერც მომავალში მთლიანი კოლექტივის შეკრება ვერ მოხერხდა, მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ სულ მალე “შიდა ქართლის” პირველმა ნომერმა დღის სინათლე იხილა და სულ მალევე იქცა ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესების პირუთენელ მემბტიანედ.

ვ. საბანაძის ინიციატივით დაარსდა საზოგადოება “ცხინვალის” გაზეთი “ცხინვალი”. აგრეთვე გაზ. “შიდა ქართლის” პერიოდული დამატებანი: “ცხინვალის სამრეკლო”, “ცხინვალის მაცნე”. პირველად ცხინვალის რეგიონის ისტორიაში, ამ მხარის ქალთათვის, მათი უფლებების გასარკვევად და მათი პრობლემების წინა პლანზე წამოწვევის მიზნით ორიოდე წლის უკან გამოსვლა იწყო გაზ. “შიდა ქართლის” კიდევ ერთმა დამატებამ “ცხინვალელი მანდილოსანი”.

ამავე დროიდან ცხინვალური ქართული პრესის არსებობის ისტორიაში სათავე დაიდო კიდევ ერთმა პერიოდულმა დამატებამ, საბაეშვო მიმართულების “დილა მშვიდობისამ.”

გაზეთ „შიდა ქართლს“ დაარსების დღიდან მხარში უდგანან და აქტიურად თანამშრომლობენ ცხინვალელი ჟურნალისტები: ციალა თინიკაშვილი, ნელი ჩალაური, ელენე მამისაშვილი, თამარ ფარეხელაშვილი, ნანა საბანაძე, თინა კვალინიძე, ზოია ნიკუჭაძე, ზაზა ცოტნიაშვილი, ნიკო ოთინაშვილი, ლობერტ ოდიკაძე, ვახტანგ კობერიძე და სხვები.

ქართველ კაცს რწმენა ამარჯვებინებდა საუკუნეების მანძილზე. ყოველთვის, განსაკუთრებით კი გაჭირვების უამს მხსნელად და მფარველად უფალს ვიხმობთ და ღვთის რწმენა განსაკუთრებულ სიმხნევებს გემატებს ქართველთ. ასე ვიქცევით დღესაც, ასე ვიქცეოდით მაშინაც, იმ განსაკუთრებული ძნელბედობის უამს და შევთხოვდით ცხინვალის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს.

“ცხინვალის ღვთისმშობლის ტაძარო, ჩვენი გაჭირვების მოწმევე, როგორც გვიფარავდი, დღესაც დაგვიფარე, ნუ წაგვეწყმედ, ნუ გაგვიმეტებ, შენ გვედრები, შენ ღვთისმშობელო დედაო, შენ იცი მტყუანი და მართალი. შენ უნდა მოგვცე ძალა ღვთისმშობელო დედაო” (გაზ. შ. ქ. №38).

ვერ ვიტყვით, რომ ღმერთი არ შეეწიათ და არ დაიფარა ცხინვალიდან დევნილნი. წინააღმდეგ შემთხვევაში რითი აიხსნება, რომ სახლ-კარიდან აყრილ-გამოდენილი ცხინვალის ქართული ინტელიგენცია არსებობის ურთულესი პირობების მიუხედავად საკუთარ თავში ყოველთვის პოულობს მძლავრ შინაგან ძალას, ენერგიას შემდგომი კულტურული განვითარებისათვის.

საგულისხმოა, რომ გაზეთი “შიდა ქართლი” ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ დაბეჭდილი მასალების სიუხვით გამოირჩევა. იმავდროულად იგი დღენიადაც ცდილობს როგორმე დაახქაროს, ხელი შეუწყოს, კონფლიქტის მარეგულირებელი ძერები საიკეთოდ წარმართოს. ამავე მიზანს ემსახურებოდა ერთი ათეული წლის წინათაც, დაარსებისას.

საინტერესოდ მოუთხრობს მკითხველს დოც. ტიტე სულაბერიძე ოსი ხალხის შესახებ საქართველოში შემოსახლებაზე.

“მისი პეპერა-წინაპრებიც გაჩენის დღიდანვე მუდამ ოღრო-ჩოღრო ფლატეებსა და თვალუწვდენელი ნაპრალებით დასერილ მაღალ ჭიუხებში იყვნენ შეყუჟული... მერე და მერე ჩამოივაკეს... ბევრი, მართლაც, ნამდვილი ღვიძლი და სისხლ-ხორცი გახდა. დიახ, ბევრზე ბევრი ახლაც გუ-

ლითადი მეგობარ-ნათესავია, უყვართ ერთმანეთი, უერთმანეთოდ ვერც კი ძლებენ, მაგრამ... ხომ იცით..." (გაზ. შ. ქ. №49)

საბჭოური ანექსიის შემდეგ, ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგს კიდევ ერთხელ შეეცადნენ სამაჩაბლოს მზიური ქართულის გადაჯიშებას. ამ პირობებში გაზეთმა "შიდა ქართლი" საკმაოდ ღრმა კვალი გააელო. მისი მეშვეობით თანდათანობით გაცოცხლებას იწყებს ცხინვალის რეგიონის ისტორია, შორეული თუ ახლო წარსულის პრობლემები, მნიშვნელოვანი ფურცლები. პირველი ბარიერი წარმატებით გადაილახა, გადაიდგა პირველი ურთულესი ნაბიჯები, მაგრამ ეს მხოლოდ საწყისი ეტაპი გახლდათ.

დღეს კი, "შიდა ქართლი" უკვე არსებობის ათ წელიწადს ითვლის. გვინდა მიუულოცოთ გაზეთის შემოქმედებით კოლექტივს ეს პატარა საიუბილეო თარიღი, თუმცაღა მშვენივრად გვესმის რა მძიმე, რა უსაშველო და რა საშინელი მოგონებების სკივრია ის ათი წელი დევნილთათვის. გაცილებით მხნედ და ომახიანად შეეძლებდით მისალოცი სიტყვების თქმას იქ, მშობლიურ ქალაქში. დღევანდელ მილოცვას კი კვლავინდებურად დადუღაბებული აქვს შინდაბრუნების ლოდინით შემონევეული ტკივილი და მაინც, ხვალინდელი დღის იმედით მოგილოცაეთ და ახალ შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ "შიდა ქართლებო".

გაზ. "შიდა ქართლი", № 406-407, 2001წ.



მიმდინარე წლის მარტში დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ ტაბიძეს. მეცნიერს, რომელმაც საკუთარი შინაარსიანი სიცოცხლის თითოეული წუთი უანგაროდ მოახმარა ეროვნული მეცნიერების, მშობლიური ტკბილქართულის კიდევ უფრო განვითარებას.

მართალია ტაბიძეთა მქუხარე გენის მშობელი ოჯახის წიაღში დაბადებულ-აღზრდილ შემოქმედს ცხინვალში არასოდეს უცხოვრია, მაგრამ ბატონი ნოდარისათვის ცხინვალის და ცხინვალელები არასოდეს ყოფილა უცხო გარემო. იქაური ქართული გაზეთის რედაქციის ნაგვემი კედლები სათუთად ინახავს ძვირფასი სტუმრის ნაფეხურებს.

ისევე, როგორც მაშინ, დღესაც პროფესორი ნოდარ ტაბიძე დედაუნევერსიტეტში ერთგულად ემსახურება მომავალი თაობების აღზრდის, დაკვალიანების, მათი წიგნიერებისაკენ შემობრუნების უმნიშვნელოვანეს საქმეს. მის პიროვნებას ყოველთვის გამოარჩევს შემართებული, ბრძოლისუნარიანი განწყობილება და ძარღვიანი, მჭრელი სიტყვა.

ამას წინათ ბატონი ნოდარის ოჯახში გახლდით, სადაც სხვათა გვერდით გულუხვმა მასპინძელმა შესვა სადღეგრძელო წიგნის, ყანწის და ხმლის. თანაც დასძინა: ვინც მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ წიგნს ჩაჰკირკიტებს წიგნის ჩრჩილიაო მხოლოდ, ვინც დღემუდამ ყანწს ატრიალებს ხელში ღოთიაო საწყალი და ავაზაკია ვისაც სულ ხმალზე უდევს ხელი. აი სამივე ერთად კი ქართული გენია, ქართული ჯიშია და ამ ჯიშს გაუმარჯოსო.

ამ სიტყვებს ჩვენის მხრივ დავსძენდით, რომ ძნელად შეხედები ადამიანს, რომლის ბუნებაშიც ისეთი ზომიერებითა და ჰარმონიულობით იყოს შერწყმული ზემოთ ჩამოთვლილი სამივე კომპონენტი, როგორც ეს ბატონი ნოდარის არსებაშია ჩაკირული და რომელიც ერთობლიობაში წარმოადგენს ზეობას იმ ქართული ჯიშისა და გენისა, დღესაც სამაგალითოდ რომ ითვლება მსოფლიოში.

გულწრფელად ეულოცავთ პროფესორ ნოდარ ტაბიძეს საიუბილეო თარიღს. დაე, უნაპირო სიკეთე და სიყვარული ყოფილიყოს მისი ფუძემდებრი ოჯახის მეგზური დამდევახალ საუკუნეში.

მოკრძალებით და უღრმესი პატივისცემით.

კრებ. „ნოდარ ტაბიძე – ქართული ჟურნალისტიკის მამსტრო“,
თბილისი 2001 წ.



2000 წელს ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გადაკეთდა ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტად, რომლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პირველი გამგე გახლავთ პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ქურდაძე. საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მოღვაწე, პროფ. შოთა ქურდაძე ყოველთვის ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც ახალგაზრდობიდანვე გამოირჩეოდნენ მეცნიერების მწვერვალების დაპყრობის დაუოკებელი წყურვილით, გარშემომყოფ ადამიანებთან სითბოთი და სიკეთით სავსე ურთიერთობის დამყარების საოცარი უნარით.

ბატონ შოთასთან საუბარი დღემდე ბედნიერებად მიანია მისი მრავალრიცხოვანი შეგირდების სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთ. ზემოთ, ადამიანებთან ურთიერთობა ვახსენეთ და არ შეგვიძლია აქვე არ დავსძინოთ, რომ პროფ. შოთა ქურდაძისათვის არასოდეს ახლოს არ ყოფილა ის ურატატრიოტიზმი, რომლის ჟინით ატანილთათვის უცხოა სხვა ერის ღირსეულ შეილებთან მეგობრული თუ საქმიანი ურთიერთდამოკიდებულება. ეროვნული შეზღუდულობის სინდრომი მას არასოდეს გასჩენია და აკი უამრავი ნაცნობ მეგობარი ჰყავდა კიდევ ცხინვალში, ჯერ კიდევ იმ ავბედით დღემდე, სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობისას. ყოველთვის სევდიანად საუბრობს იმ ტკბილ-მწარე მოგონებებით დატვირთულ წლებზე მანაბელთა უმშვენიერეს სავანეს, ცხინვალს რომ უკავშირდება.

შოთა იოსების ძე ქურდაძე დაიბადა 1926 წლის 17 აგვისტოს ხაშურის რაიონის სოფელ იტრიაში. სურამის II საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1955 წელს მიენიჭა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის, მოგვიანებით კი შრომისათვის “ახსნითი და ღი-

ტერატურული კითხვის საკითხები ძველ ქართულ მწერლობასა და პედაგოგიურ აზროვნებაში მე-4 საუკუნიდან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის 80-იან წლებამდე” ენიჭება მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

წლების მანძილზე სამეცნიერო პედაგოგიურ მიღვაწეობას ეწეოდა მაშინდელ გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. სხვადასხვა დროს გახლდათ ისტორია-ფილოლოგიის და დაწყებითი განათლების ფაკულტეტების დეკანი, 1970-1983 წლებში ამავე ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში.

1983 წლიდან ბატონი შოთა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეა და შეთავსებით ასრულებს პრორექტორის მოვალეობასაც. 1989 წლიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე ტოვებს პრორექტორის თანამდებობას და ღმრთივ მოღვაწეობას განაგრძობს კათედრის გამგედ.

პროფ. შოთა ქურდაძე ავტორია ასზე მეტი სამეცნიერო შრომის, რომელთაგან ერთ ათეულზე მეტი ცალკე მონოგრაფიების სახითაა დასტავებული. აქტიურად თანამშრომლობს პრესაში. დაჯილდოებულია სხვადასხვა სახელმწიფო ჯილდოებით.

აი რამდენიმე ზოგადი შტრიხი იმ ადამიანის პორტრეტის შესაქმნელად, რომელიც არა მარტო სტუდენტი ახალგაზრდობის, არამედ ახალგაზრდა მეცნიერთა ერთგული მეგზურიც გახლავთ. ყოველთვის ჭეშმარიტი ოსტატისათვის დამახასიათებელი სიკეთისა და სამართლიანობის პოზიციიდან წყდება მოვლენების სიღრმეს და დაუმადლებლად გასცემს კვალიფიციურ რჩევას ყველა მთხოვნელისათვის.

ბატონი შოთას ცხინვალში მოღვაწეობის ბოლო პერიოდი დაემთხვა იმ ტრაგიკულ მოვლენათა ჯაჭვს, რომელიც ამ რეგიონში გაიბა გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში. დაირღვა წლების მანძილზე ნაკოწიწები ხიდი ქართველ და ოს ხალხს შორის. ამ დროს ბუნებრივად იბადება კითხვა, რა პოზიცია უკავია ისეთი რანგის მეცნიერს, რო-

გორიც პროფ. შოთა ქურდაძე გახლდათ. ერთ-ერთ ინტერვიუში იგი ამბობს: “ძალზე უშუალო, მეგობრული დამოკიდებულება გექონდა ოსი ეროვნების საქართველოს მოქალაქეებთან. საგანგებოდ გამოვეყოფ ჩემს ურთიერთობას ინსტიტუტის რექტორთან იური გაგლოითთან, პროფ. ლუდვიგ ჩიბიროვთან, დოც. რ. ცხოვრებოვთან, პროფ. რუტენ კაბისოვთან, მწერალ ნაფი ჯუსოითთან...”

უნდა ითქვას, რომ ბატონი შოთა იმ აყადსახსენებელი პერიოდის მძიმე შედეგებს ისევე მტკივნეულად განიცდის დღესაც, როგორც წლების წინათ. საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ყოველთვის ცდილობდა წინ აღდგომოდა ძმათა მკვლელ ომს, მოუწოდებდა ჩანასახშივე ჩაეხშოთ დაპირისპირების ყოველი ახალი კერა... და მაინც, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს დროებით დევნილია და არსებობას გორში განაგრძობს. შოთა ქურდაძე კვლავ ძველებური შემართებით ემსახურება საყვარელ საქმეს. ცხინვალის უნივერსიტეტმა და მისმა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ ისე შეისისხლხორცა პროფ. შოთა ქურდაძის სახელი, რომ წარმოუდგენელია დღეს ერთ-ერთი მათგანის ცალკე ხსენება. ისინი თითქოს თავისთავში გულისხმობენ ერთმანეთს.

დღეს ბატონ შოთას 75 წელი შეუსრულდა. გვინდა მივეულოცოთ საიუბილეო თარიღი ცხინვალის უნივერსიტეტისთვის დამაშვრალ მეცნიერს. მეცნიერს, რომელიც ყოველი ლექციის კითხვისას თავანკარა წყაროდ იღვრება კათედრიდან და სამუდამოდ ივანებს გონიერი მსმენელის მეხსიერებაში. გატყვევებს ადამიანის გონის მსგავსი სრულყოფილება, ერთი კაცის ინტელექტუალური, ორატორული შესაძლებლობების პორიზონტი.

ბატონო შოთა, კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს, იცოცხლეთ და იღვაწეთ თქვენი მშობლიური ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის.

გაზ. “შიდა ქართლი”, № 414, 2001 წ.

რთული დღევანდელობის ფონზე, როდესაც ქვეყანა უკიდურეს გაჭირვებას განიცდის, საფრთხე დაემუქრა წარსულის წიაღში ღრმად ფესვგამდგარ ეროვნულ ცნობიერებას, ლიტერატურულ-კულტურულ ტრადიციებს, მაგრამ განგებამ ამჯერადაც, ისევე, როგორც მანამდე არაერთხელ, გადაარჩინა სამშობლოს მერმისზე ღრმად ჩაფიქრებული დიდებული ადამიანები. ზნეობრივი დევალუაციის გზაზე შემდგარ მასაში ისინი ოაზისივით ამოზრდილან. ასეთ ადამიანებზე საუბრისას ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურად გვესახება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სოსო სიგუა. ჩვენ არაერთხელ საკუთარ თავზე გამოგვიცდია მისი მართალკაცობის, უანგარობის, კეთილშობილები-სა და საოცარი თავმდაბლობის იშვიათი ჰარმონიულობა.




ბატონი სოსო ის ადამიანია, ვისთვისაც უცხო არ არის სხვისი ტკივილი, ვინც საკუთარი კეთილდღეობისათვის დღესა და ღამეს იოლი გზების ძიებაში არ ათენ-აღა-

მებს. მისი ფუნდამენტური შრომები სულის საგზლად მიჰყვება თაობებს და ტკბილქართულისაკენ, კარგი კაცობისაკენ, ეროვნული სიწმინდეებისაკენ მიახედებს მათ.

პროფესორ სოსო სიგუას ახლახანს დაბადებიდან 52 წელი შეუსრულდა. გულწრფელად ვუერთდებით თქვენს კეთილისმსურველთა წრეს, გილოცავთ და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს, როგორც პირად ცხოვრებაში, ისევე შემოქმედებით-სამეცნიერო სარბიელზე.

დაე, თქვენნაირი ადამიანები არ გამოუღიოს შემოქმედმა ჩვენს ქვეყანას.

გაზ. "შიდა ქართლი", № 405, 2001 წ.



“შორს იმიტომ ვიხედებოდი, რომ ბუმბერაზების მხრებზე ვიდექი”— ბრძანებდა გენიალური ნიუტონი. პროფ. გენადი ბურჭულაძეს თამამად შეუძლია ამ სიტყვების გამეორება. მისი ინტელექტუალური ხედვის ფართო არეალი ხომ სწორედ გენიალურმა პედაგოგებმა განაპირობეს. გასული 65 წლის უმნიშვნელოვანესი ნაწილი უადრესად ნაყოფიერია. პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს პირველხარისხოვანი შრომებით შეტანილი დიდი წვლილი საერთო საენათმეცნიერო ოჯახში, ხოლო მეორეს მხრივ უდავო დამსახურებად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ იგი დღემდე ერთ-ერთი ცენტრალური სასიცოცხლო არტერია გახლავთ ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის.

ჯერ კიდევ ცხინვალში, ქართულ-ოსურ ტრაგედიაში, ბატონი გენადის სახელი იმდენად ესხეულა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს, მოგვიანებით უკვე სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომ დღეს საუბარი ცხინვალურ უმაღლეს სკოლაზე წარმოუდგენელია მისი ღვაწლის ხსენების გარეშე.

ზემოთ ვთქვით, რომ პროფ. გ. ბურჭულაძეს განგებაში ჩვენი ეროვნული ენათმეცნიერების კორიფეთა შეგირდობის ბედნიერება არგუნა წილად. იმ წლებში და შემდგომშიც დაგროვილ გამოცდილებას ბატონი გენადი ასევე უშურველად გასცემს მომავალ თაობებზე. სტუდენტი-ახალგაზრდობის თუ კოლეგების მნიშვნელოვან ნაწილს სულის პურად გაჰყვება ამაგდარი მეცნიერის დროული რჩევა, მზრუნველობა, მშობლიური სიტბო.

ბატონო გენადი!

გილოცავთ 65-ე ბარაქიან გაზაფხულს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს. თქვენი და თქვენი დარი ადამიანების იმედი ნუ მოუშალოს ღმერთმა ჩვენს უნივერსიტეტს.

“არცერთი დღე სტალინის ბარათზე...”

პროფ. ნოდარ ტაბიძის ზემოთ მოტანილი სიტყვები მისმა მრავალრიცხოვან შეგირდთა არაერთმა თაობამ ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად გაიხადა. თვითონ მოძღვართა შორის პირველთაგანს ამ გზიდან არასოდეს გადაუხვევია...

თუკი განგებამ ერთხელ მაინც გარგუნა წილად ნოდარ ტაბიძესთან შეხვედრის ბედნიერება, თვალი ერთხელ მაინც თუ შეგივლია მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობისათვის, მისი პიროვნებისათვის, ძნელი არ არის იგრძნო, რომ იგი არა მარტო ბრწყინვალე მოქართულე და ლიტერატორია, არამედ განუმეორებელი ნიმუში კაცურ-კაცობისა, ადამიანურობისა. ბატონი ნოდარის პიროვნებაში საოცარი სინთეზურობით გასხივოსნდა ქართული ჯიშის, მაღალზნეობრიობის განუმეორებელი თავისებურება.

პროფ. ნოდარ ტაბიძე დღემდე ეროვნული სულიერების ერთგულ მეციხოვნეთა ავანგარდშია და ბუნებრივი თავმდაბლობით, საოცარი სისადავით ეზიდება ამ უმძიმეს ტვირთს. უანგაროდ გასცემს სიკეთეს, მისი კომპეტენტური რჩევა არაერთთათვის ქცეულა სულის პურად ცხოვრების გზაზე.

ნ. ტაბიძის შემოქმედებითი პალიტრა გაჯერებულია ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის იდუმალ შრეებში ოსტატურად წვდომით ნასაზრდოები ღალი ფერებით. მის არსებაში ჰარმონიულადაა შერწყმული მკაცრი კრიტიკოსის ალღო მაღალ მხატვრულ გემოვნებასთან.

ბატონი ნოდარი ბრწყინვალე გენიის ღირსეული მემკვიდრეა. მისი შრომების განუმეორებელ სტიქიას ქმნის არა მხოლოდ დახვეწილი, მოქნილი ენა, არამედ იდეურ-შინაარსობრივი აღქმის სიღრმეც.

დღეს ბატონ ნოდარს 75 წელი უსრულდება. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით უამრავი მიუკერძოებელი,

ობიექტური, უკიდურესად ინდივიდუალური, დიდი სითბოთი და სიყვარულით სავსე სტრიქონები დაიბეჭდება. ქართული ჟურნალისტიკის მანესტროს მოთაყვანე შეგირდთა მიერ ნათქვამი ბევრი გულწრფელი სიტყვის დაუსრულებელ განსხვავებათა მიუხედავად ძირითადი სათქმელი საერთოა – ნუ დარ ტაბიძე ქართული ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის დედაბოძთა შორისაა.

კრებ. „ქართული ჟურნალისტიკის მცოდნეობის პატრიარქი“,
თბილისი 2006 წ.



სიბჭოვის შუადღე

შემოდგომის პირველი თვის უკანასკნელი დღეებიდა ყველყელობდნენ, როდესაც ბატონ ზაურ წაქაძეზე გადავწყვიტეთ რამდენიმე სიტყვის თქმა. ნაგვიანვეი ბარათი გამოგვივიდა. 65 წელიწადი სამსეოზე არც ბევრია, მაგრამ არც ცოტა. შუბის ტარზე შემდგარი მზე საშუალებას იძლევა უწინ ჩაყრილ თესლზე აღმოცენებული მომავალი მოიწიო, მერე ისეთი 65 წელი ზაურ წაქაძეს რომ გაუვლია.

„აუვსებელი ფიალა ვის აუვსია, გულისწადილი ვის აუსრულებია“ - ბრძანებს ბატონი ზაური და სავსებით მართალია. ისევე, როგორც ნებისმიერ ჩვენგანს გულის ერთი წილი ხომ სევდით სავსე მოგვაქვს და არც მისი ბავშობის წილი წუთისოფელი ყოფილა მაინცდამაინც ღმობიერი. მომწუსხველი ოსტატობით გამოიკვეთა მწერლის ყრმობის პერიოდი წერილში „ოცნებებში მოფრენილი კითხვები და ოცნებებში გაცემული პასუხები.“

„ცხოვრებისეული ნილაბი დაბადებიდან არ დაჰყვება ადამიანს. იგი გარკვეულ მომენტში შეერწყმის მას და ის ნილაბი მით უფრო დამახასიათებელია ადამიანისათვის, რაც უფრო ადრეულ ასაკშია შექნილი...“

როდის აღმოვაჩინე ნილაბი? დიდი ხნის წინათ-ჩემი არსებობის პირველ ათეულში ომი ახალი დამთავრებული იყო, იმერეთში დაიწყო უფრო დიდი და საშინელი რისხვა-შიშშილი. დედამ ნასესხები ჭადის ფქვილი დაგვიტოვა ძმებს, ჩემს მოსვლამდე მშიერები არ დაიხოცოთო და სიმინდის მოსატანად წავიდა. წავიდა და აღარ დაბრუნდა, თვალები გზაში გექონდა გაფენილი, მაგრამ არ ბრუნდებოდა. ერთ დღეს მოვიდა „მახარობელი“ და გვითხრა, დედაშენი თავის დახრჩობის მიზნით ყვირილაში გადავარდა, მაგრამ ვილაცამ ივაჟკაცა და გადაარჩინესო. აი, იმ დროს

ჩემმა ნილაბმა მიიღო დღევანდელი სახე, მას მერე დავატარებ თან, სიკვდილამდე აღარ მოვიხსნი. მიზეზი ერთია, ჩემი ნილაბი კეთილზე კეთილია და ღალატი არ შეუძლია, რა ეუყო, თუ მრისხანე გამომეტყველება აქვს?!”

ბატონი ზაურის ერთი პერსონაჟისა არ იყოს ჩვენც ყველას წამი გეკიდია წამწამებზე, წუთისოფელი სულ მალე გადაიქცევა წამისოფლად და დამთავრდება საწუთროც. მრავალ, ცხოვრებას ტყუილ-უბრალოდ ადევნებულთაგან განსხვავებით ზაურ წაქაძეს არაფერი აქვს საფიქრალ-სადარდებელი. როგორც პოეტი ჯემალ ინჯია ბრძანებდა, იგი ხომ „მდიდარი მწერალია, თუ იმ აქსიომას გავითვალისწინებთ, რომ მწერლის სიმდიდრე მისი ლექსიკური მარაგია. ზაური დღეს მოქმედ მწერალთა შორის ერთ-ერთი უხემოსავლიანი ხელოვანია... ბევრი მტვერწაყრილი ფონემა გამოსტაცა ზაურმა დიალექტიკურ უღრანს და თანამედროვე მკითხველის საკუთრებად აქცია”. როგორც ზემოთ მივუთითებდით, საკმაოდ მრავალფეროვანია ზაურ წაქაძის პერსონაჟთა სახეების პალიტრა. მათი ხატვის განსაკუთრებული, ორიგინალური მეთოდები გააჩნია მწერალს. ბუნებრივია, დღეისათვის ჩვენ არ ვაპირებთ თითოეული მათგანის ხასიათში, მათ შინაგან სამყაროში წვდომას. ამის საშუალებას თუნდაც გაზეთის ფორმატი არ მოგვცემდა. ამჯერად ძალიან ზოგადი შტრიხებით შევეცდებით მკითხველს წარუდგინოთ რამოდენიმე მათგანი, რომელთა გაცნობამ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

ბატონი ზაურის პერსონაჟთა აბსოლუტური უმრავლესობა წარმოდგენილია სიკეთისა და კაცთმოყვარეობის მანტიით. ისინი იბრძვიან, დღენიდაც თესვენ კეთილს, იძლევიან ჰუმანურობის საოცარ მაგალითებს და იმკიან მეტ, რაც შეიძლება მეტ სიყვარულს, თუნდაც ზოგჯერ მეტად სევდიანს. ნიმუშისათვის ვფიქრობთ მწერლის შეშუტაანთ მახარეც იკმარებდა: „არც მამას ჩამოჰგავდა, არც პაპას, არც ბიძას, თითქოს ცარგვალისათვის შეუდგამსო ფიცარივით

სწორი ბეჭეტი. შუშუტაანთებურად არც ალაბალა ადგამდა ნაბიჯებს. მუდამ უცინოდა საოცრად კეთილი და ჭკვიანი თვალები, სიმღერასავით ალაგებდა სიტყვებს... პატარაობიდანვე უყვარდა სოფელს, თავიდანვე ამოიჩემა, თვალი და ადგა და მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა. დავაქაცდა და მის ბედს შენატროდნენ, შუშუტაანთ როდი ჰგაედა, პატარაობიდან წიგნი არ გაუგდია ხელიდან. ხუთი წელიწადია დიდ ქალაქში სწავლობს და დიდი სწავლული კაცით ტრახახობს სოფელ

ყურადღება აუცილებლად უნდა გამახვილდეს იმ განსაკუთრებულ ფერებზე, რომლებითაც მწერალი საკუთარ მოთხრობებში ხატავს ბუნების უმშვენიერეს სურათებს, ისინი ხშირად ორგანულად ერწყმიან იქვე ახლოს მოტრიალე გმირების ცხოვრებისეულ თბილ თუ ნისლიან ეპიზოდებს. ზოგიერთ მომენტში იგრძნობა პერსონაჟთა ხასიათებისა და გარესამყაროს ერთგვარი ჰარმონიზაცია, რაც თავის მხრივ განუმეორებელ ელფერს მატებს ავტორის შემოქმედებით მენტალიტეტს. საკმაოდ თავისებური პოეტური მუხტით გამოირჩევა თუნდაც ეს სტრიქონები „საგაზაფხულო არდადეგებიდან“: „კალენდარი 18 საკვირტეს აჩვენებდა. იქ, ბარში კვირტთა ამბოხი იწყებოდა, ალბათ, აქა-იქ საადრეო ტყემალიც ყვავილობდა. აქ, მთაში კვირტებს დათვებთან ერთად ზამთრის ძილით ეძინათ და გაზაფხულის სიზმარიც არ ენახათ. გაყინული ხეები შესცქეროდნენ ყინვიან წუთისოფელს და მოქუფრულ ცას“. რადგან საუბარი მოთხრობაზე „საგაზაფხულო არდადეგები“ ჩამოვარდა არ შეგვიძლია არ ვახსენოთ, რომ, ჩვენი აზრით, ამ თხზულებით ზაურ წაქაძე მკითხველის წინაშე წარსდგა, როგორც ადამიანის შინაგანი სამყაროს იდუმალი შრეების მომწუსხველად წვდომისა და ადამიანურ ვნებათა მაინტრიგებელი ფერებით სამზეოზე გამოტანის ოსტატი. მოთხრობაში ნათლად ჩანს ცნობიერ არ არარეალურ სამყაროთა ჭიდილი. მთის სოფლის მასწავლებლის ტრაგიკული სამზეო ხაზგასმით მიანიშნებს თუ რა ახლოს გადის ზღვარი რეალობასა

და სასურველ, იღუმალ რეალობას შორის. კიდევ ერთხელ დავესესხებით ბატონ ზაურს.

„თუმცა ათასში ერთხელ მასაც შეხედავდა, გაუღიმებდა და ის ღიმილი მთელი წელიწადი ჰყოფნიდა საეზლად. სიზმარშიაც იმ ღიმილს ხედავდა. ვერავის გამოუტყდა, რომ სიზმრებში კოჭლი აღარ იყო, მთიდან მთაზე დახტოდა... მერე და მერე ძილი ერჩია ყველაფერს. ზოგჯერ დღეც სიზმრებისა იყო...“

უამრავი ნიმუშის მოყვანა შეიძლება ზაურ წაქაპის შემოქმედებითი ოსტატობის სადემონსტრაციოდ. ახალხანს კიდევ ერთი საინტერესო რომანი მიიღო მკითხველმა „ათოვდა თერგს და ათოვდა თრუსოს“, რომლის წინასიტყვაშიც ავტორი წერს: „გული დავიმშვიდე, დავრწმუნდი, რომ საწადელს მივადწიე, ბაქარს თრუსოს ხეობა დავაბყრობინე და აქაფებულ თერგს ფეხდაფეხ ავადევენე. მოვისვენე, თითქოს სიცოცხლის ოცნება ავისრულე სიბერის ჟამს...“ ჩვენ კი დავსძენთ: ბატონო ზაურ! ვფიქრობთ, სიბერე ჯერ შორსაა, შორსაა გულდამშვიდებული მოსვენებაც. მკითხველი კვლავ და კვლავ მოელის თქვენს ახალ, საინტერესო სიტყვას. გულწრფელად გილოცავთ სიმწიფის შუადღეს. გისურვებთ მხნეობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

გაზ. „გორის უნივერსიტეტი“, სექტემბერი-ოქტომბერი,
2002 წ.



შუბის ტარზე შემდგარი მზით

შოთა დარბუაშვილი მთელი არსებით პოეზიის თვალუწვდენელი სივრცეების ბინადარია. შუბის ტარზე შემდგარი მისი წილი მზე ორმოცდაათჯერ გამოზაფხულებას იუწყება. ერთობ მძიმე გახლავთ იმ ყოფიერების ფონი, რომლის ანარეკლითაც მას უკანასკნელ წლებში უწია ცხოვრებამ. ბევრი ტკივილიანი მოგონება ესხეულა პოეტს საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცევის შემდეგ. დიდი ძალისხმევითა და შრომისმოყვარეობის წყალობით შ. დარბუაშვილის შემოქმედება დღემდე აქტუალურ, საჭირობოროტო საკითხებს მოიცავს.

ლექსები სავსეა ნოვატორული იმპულსებით. ერთობ ორიგინალურია მარადიული თემებისადმი ავტორის მიერ მიგნებული მსხვერპლშეწირვის რიტუალი. იგი ვერ ეგუება დინამიური ცხოვრების რიტმს. ქარტეხილებით სავსე მჩქეფარე ცხოვრება, უკეთესი მერმისის რწმენა, სისტემატური ხეტიალი საკუთარი ინტელექტის ლაბირინთებში და ძიება... ძიება რწმენის, იდეალების, საკუთარი თავის... აი იმ კომპონენტთა მოკლე ჩამონათვალი, რომელთა ჭარბი რაოდენობაც თვალშისაცემია შოთას პოეზიის ერთი თვალის გადავლებითაც კი. ბუნებრივია, ჩვენ არ ვაპირებთ ლექსების ანალიზს, არც მისი წიგნებიდან გვსურს რომელიმე მათგანის უფრო ვრცლად წარმოჩენა. უბრალოდ ვერ გუვლით გვერდს ზოგიერთ გულიან ლექსს, რომელთა სტრიქონები სევდით, ღრმა ტრაგიზმით და იმავდროულად ოპტიმისტური განწყობის დაუოკებელი წყურვილითაა გაჯერებული:

„სახლებს იშენებენ ლტოლვილად ბავშვები,
მიწაზე ლოგინად ქალაღდი დაუგიათ,
ქვებით გაუწყვიათ ოთახი რამდენი,
ცხინვალზე ოცნების კოშკები აუგიათ.
დრომ და უღმობლობამ თქვენი სიზმრებიდან,
რამდენი გაზაფხული მოწყვიტა,

ეგ თქვენი თვალები შიშით იმზირება,
კუთვნილი სასახლე-ქოხიდან.
კისერზე გვაწვება ლოდი კვლავ ლოდინით,
მშობელო კუთხევე და ედემო,
მანმადე დააგეთ ქაღალდის ლოგინი,
თქვე ბუდეაშლილო მტრედებო“.

შოთა დარბუაშვილი დღეს იუბილარია. მის უკან საინტერესო და შინაარსიანი ათწლეულები დგანან, მუხათა საუფლო, დაკარგული სამოთხის ძიება, პოეტის მანტია... შეიძლება ითქვას, რომ გასული 50 წლის თითოეული დღე საკუთარი ქვეყნის მოხარკეობის სურვილით განვლილი ბილიკებია. გაკეთებული ბევრია, გასაკეთებელი უფრო ბევრი...

შოთა დარბუაშვილის ლირიკა გოლგოთის გზით პარნასისაკენ მიმართული ეროვნული ტემპერამენტისა თუ ბოჰემური ემოციის არტახებით დაბორკილი შეუცნობელი ცეცხლის ექსტაზს მიძალებული, არტისტიზმის საოცარი გამოვლინებაა. შოთა დარბუაშვილი ჩვენი თანამედროვე შემოქმედთაგანია, რომლის ყოველი ლექსი თანამედროვეობის სულით, პოეტის სისხლითაა გაჯერებული. მის მთელ შემოქმედებას ეროვნული კულტურის სამსახური ჰქვია სახელად.

ეს არ გახლავთ რეცენზია შოთას პოეზიის განსახილველად დაწერილი, არც ინტერვიუ ავტორთან, არც ნარკვევი მისი პიროვნული თვისებების წარმოსაჩენად. უბრალოდ ვცდილობდით დაბადებიდან 50 წლის აღსანიშნავად, საიუბილეო თარიღი მიგველოცა ცხინვალელი შემოქმედისათვის.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ იუბილეს, ვუსურვებთ მომავალ შემოქმედებით წარმატებებსა და წინსვლას.

ვფიქრობდით ზემოთ მოტანილი წინადადებებით დაგვესრულებინა, მაგრამ ვარჩიეთ ისევ ჩვენს იუბილარს დაფსესხებოდით სტრიქონებს, სადაც მისი სიცოცხლის, არსებობის ძირეული კრედოა კოდირებული:

„მზე კი მათბობს
დასაუღლეთით ჩამავეალი,
იასამნის სუნიც მათრობს
ციდან ცისა;
ნეტავ იმ დროს, ...
მოგონება შემრჩა მხოლოდ,
და სიმღერას გულში ვმღერი
ცხინვალისას“.



შინაარსი:

პატი I

ცხინვალის მონაწილეობის ანუ ძველი ხელოვნებისა და ლიტერატურის დეპარტამენტი10

ცხინვალის კულტურის ზეიმი თბილისში 1956 წელს20

საუბრეებით ნაწარმოები მემორიალი24

“თუ ბინდა, მშვენიერი ძველი ისწავლო...”29

ცხინვალის ძველი გაზეთი XX საუკუნის 90-იან წლებში35

XX საუკუნის ცხინვალის სამეცნიერო ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ46

სასკოლო ცხოვრების ზოგიერთი საკითხისათვის ცხინვალის რევიზიაში55

უმადლესი ბანათლების შესახებ ცხინვალში62

ცხინვალი – ბალახტიონის მასპინძელი68

გაზეთი „შიდა ძველი“ და ძველი-ლესი ურთიერთობანი71

ბიოგრაფიული და ცხინვალი75

მარტვილით ღირსეული სტუმრები80

დროის აღდგენის პროცესი და გაზეთი, „შიდა ძველი“86

სატირული პუბლიცისტიკის ზოგიერთ მხარეს თანამედროვეობათა შესახებ91

ძველი-ლესი ურთიერთობათა ერთი საბულისხმო მომენტის შესახებ100

მსოფლმხედველობის თაზისებურებანი ძარტულ- ოსურ ლიტერატურულ-კულტურულ ურტიერტობათა კვლევისას	104
--	-----

КАВКАЗСКИЕ ТРАГИЧЕСКИЕ СОБЫТИЯ 2008 ГОДА НА СТРАНИЦАХ ЗАПАДНОЙ ПРЕССЫ	111
--	-----

მზანე მარბლის ცხოვრების უკანასკნელი დღეების ურნობი ურცვლები	119
--	-----

მარბლის რბალი	126
---------------------	-----

THE PRESS OF TSKHINVALI REGION AND THE PROBLEMS OF GEORGIAN-OSSETIAN RELATIONSHIP	130
---	-----

ВОПРОС ПРАКТИЧЕСКИХ ОСНОВ ВЫСШЕГО ОБРАЗОВАНИЯ НА ПРИМЕРЕ ЦХИНВАЛЬСКОГО РЕГИОНА	133
--	-----

ძარტულ-გბრულ ურტიერტობათა ერთი საბურლისხმო მორმენტის უმსახებ	137
---	-----

ოსური ურრნალისტიკა და ძარტულ-ოსური ურტიერტობანი	147
--	-----

კბრი II

კვლავაც ერთად იცხოვრებენ ძარტველებიც, ოსებიც	160
---	-----

მისეილ ცოტნიაუვილი ცხინვალის უმსახებ	163
--	-----

“ის ულები ბამოტრჩეული იყო”	169
----------------------------------	-----

ოსებთან მებობრულ ურტიერტობაში	174
-------------------------------------	-----

მხატვრული სიტყვის დიდოსტატი ცხინვალში	180
---	-----

ძარტველი და ოსი ხალხის ერთგული რბინდი	185
---	-----

ფოტოლიური ენის სწავლების მეთოდოკური ცოდნის მებრი ცხინვალში	188
---	-----

ცხინვალის გაზეთის რედაქტორი	193
1832 წლის შეთქმულება და ჩვენი მხარე	200
ერის სულიერების მკურნალი	205
ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-ДАГЕСТАНСКИХ ЛИНГВИСТИЧЕСКИХ ОТНОШЕНИЙ	211
ღვთით კასრაქე-მწერალი, საზოგადო მოღვაწე	217
ცხინვალელი აკადემიკოსი	222
ზნეპეთილი აღმსრულებელი	227
ერის სამსახურში დაღლილი გული	232
სიკვლეთა მკვლევარი ღიასვის ხეობაში	238
საგზობლოს შეწირული შვილი	245
მშობლიური ლიტერატურის მესაიდუმლე	252
სულის კურის უანბარო მთესველი	256

პარი III

“სულში ბენით ატეხილი რეპაზს ღერყაში...”	262
ენათმეცნიერების ეგზაზში ნაბროვები ლაგური ზედაზე	274
დროული და სავირო შენაქენი	281
„შეიცან თავი შენი“	285
პატარა ცხინვალელების მესაიდუმლე	290
ჩვენი თანამემამულე ნიკოლოზ ცხვედაძე	298
საუბეთსო საპირკმელი ლიტერატურისა და მეცნიერებისათვის	302

მრისხანე ეპოქის მხატვრული მატრიანე306

სამარაბლოს ბარდასულ დღეთა კვლდებავალ311

პარი IV

ცხინვალზე შექმარებული მაცნიერი316

ბაზეთი "შილა ქართლი" 10 წლისა319

ზომიერება და კარმონიულობა324

კათედრიდან დაღვრილი თამანებარა წყარო326

კვლავაც წარმატებით გეგლოთ329

მაცნიერის სადღეობრებლოდ331

"ატცერთი დღე სტრტქონის ბარეშე.."332

სიმწიფის შუადღე334

შუბის ტარზე შემდგარი მზით338



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. შაჰნავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge